

1972

# დავით აღმაშენებელი



8

1972

# ენათობი

სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუროალი

წელიწადი 48-ე

№ 8

აგვისტო, 1972 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა კ ს ი

11846

ალექს შანგიანი — ლექსები	3
კუთარ ჩიჯავაძე — თვითმკვლელობი. რომანი. ნაწილი მეორე. გაგრძელება	6
შალვა ამისულაშვილი — ფრონტული რაფსოდია	39
ვანო ურჯუშელაშვილი — ფრიცვალი. რომანი. ნაწილი მეორე. გაგრძელება	43
ხუბა ბაგვა — ლექსები	57
გიორგი ბელაშვილი — ადრეული სიზმარი. მოთხრობა	58

### კრიტიკა და კვლევები

ოზარ ძაჯანია — ეპიკური ლიტერატურის განვითარების უზრუნველყოფის შესახებ	67
გურამ ბათიაშვილი — ნაზიმ ჰიკმეთი საბჭოეთში	80
გიორგი ზიგაშვილი — ირანის მართლმადიდებელი მოსახლეობა	86
მურმან ქიქვაძე — ზრუნვა-ფორმისა და აბსტრაქტულობის დიალექტიკა კოეზიუსი	92
ეთერ ავსაჯანაშვილი — ალ. ჟაგაძის „მომღვაკის“ ხალხური წყაროები	104

### შ ე მ ნ ი ე რ ე ბ ა

აკაკი შანიძე — გზამკვლევი ცვლილება ენის ისტორიული განვითარების პროცესში და ორთოგრაფია	112
გიორგი გოჭალაშვილი — კომუნისტური დინამიკის ეთნიკური წარმოშობის საკითხისათვის	116
თეიმურაზ ბერიძე — თაგორის ციხე	140
რამაზ კატარაძე — მართლმადიდებელი ანთროპოლოგი. გაგრძელება	145

მიხეილ კვეციანი — ას ერგასის დღი. დასასრული

წიგნები, მიგონებანი

ალექსანდრე დუმანი — კართული ლექსი რუსულ ენაში

190

მოვარი რედაქტორი ელგუჯა მალრაძე

სარედაქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, დ. ბანაშვილი, დ. გავაზარდუშვილი, ა. ლეხანიძე, ბ. ქლავანი, ა. სულაია, რ. ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი, (პ/მგ. შლიენი), ხ. ზანდუაშვილი, დ. შინგელია, ვ. წულუკიძე, მ. შილაძე, რ. ჯაფარიძე, ვ. ჯიბლაძე.

ტიპოგრაფიული რ. ნაპოვაძე

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11.  
პ/მგ. შლიენის — 98-55-12, ვანუფილდებ-  
ის — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწეობად 4/VII-72 წ. ხელმოწერი-  
ლია დანაბეჭდად 21/VIII-72 წ. ანაწეობის ზომა  
71/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108/16  
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი  
ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ-სავამომცემლო  
თბილისი 12.

№ 01997. ტირაჟი 13.150. შვეკ. 2344.  
საქ. კ. ც-ის გამომცემლობის სტამბა.  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



## 1924 იანვარი

იყო თოვლუკყაპი,  
თუ თოვდა იქნებ,  
ეზოში იდგა  
მაღალი კაცი,  
ჩუმად ვტოვებდით  
კლასებში წიგნებს,  
და ეზო იყო  
ცივი და მკაცრი.

ცრემლი მოადგა  
მასწრომის მდივანს,  
ჩვენ არ გვენახა  
ჯერ მისი ცრემლი,  
ტკივილი იგი  
მე დღესაც მტკივა,  
ის ცრემლი დღესაც  
ცრემლია ჩემი.

ის გვაუწყებდა  
ლენინის სიკვდილს,  
დარდით, წუხილით  
და გლოვით სავსე,

და, რადგან ასე  
ტიროდა იგი,  
ცრემლი გვახრჩობდა ჩვენც,  
დამფრთხალ ბავშვებს.

წავიდა დრო და,  
არ ვიცი ახლაც,  
ან სად იბრძოლა,  
ან სად დაიწვა,  
მაგრამ ვიცი რომ  
ლენინს თან ახლავს,  
ვიცი ლენინი  
კველგან დაიცვა.

იყო თოვლუკყაპი,  
თუ თოვდა იქნებ,  
ეზოში იდგა  
მაღალი კაცი...  
მე, ბავშვობისკენ  
მიყვებები ღიქრებს,  
და, ელოცავ იმ კაცს; —  
ლენინის ნაწილს.

## ქ რ უ ა ნ ზ ე რ ი

მე საშენოდ გაეხსენ კარი,  
და შენც მოხვალ ალბად,  
გზას მინათებს შენი კვალი,  
ანთებული ლამპრად.

მინდვრად გავალ, ათას ყვავილს  
დაგიქარგავ კაზად.

ყველა ერთხმად საფიცარი;  
შენთვის თვალებს ნაბავს!..

...და, დამზურავს  
გზაში ჭარი,  
ერუანტელის საბანს:  
„ერუანტელი — ტანში ზარი ს  
დავლას ნიშნავს“ (საბა).

## ქარლში პარის იასამანი



ამ ჩემს ოთახში

ეს იასამანი

რომელმაც დატოვეთ ნეტავ?

იქნებ, შენ მარსულა,

იქნებ, შენ იანა,

იქნებ, შენ იხუმრე გედა?

მე თქვენი ქალობის მელექსეს,

მეგობარს,

ეს კარგი ხუმრობაც მეყოფა

და, მადლობის თქმას ვბედავ.

ოთახში ჩემად რომ

თავისთვის დადის,

და, რომ არ მაკლებს

ზრუნვას და პატივს, —

მიღიმის კარლა...

— იქნებ, თქვენ, დედავ?

მოსუცი დაბნეულს მხედავს,

და, თვალში უკრთება სევდა:

— დიას, თქვენ, ბატონო,  
ბასნიკი ბრძანდებით,

მეც მყავდა

ბასნიკი ვაჟი.

წავიდა, დაიწვა

ჩეხეთის დარდების,

ჩეხეთის შავი დღის წვაში,

და, ახლა აქ ცხოვრობს,

კარლოვი ვარში,

აქ ცოცხლობს ქვაში.

და, მიყვარს ლექსი,

და, როგორც ჩეხური,

ქართულიც მესმის,

რუსულიც მესმის, —

ოღონდაც იყოს ლექსი!...

ჩემს ვაჟს, ბატონო იანი პქვია,

იასამანი უყვარდა იანს.

• • •

დავით აღმაშენებელს

არა ლომი და

არა არწივი

შენ იყავ

შენი ქვეყნის მხედარი,

კაცთაგან

თვითონ ღმერთის ნაწილი,

სიკვდილ-სიცოცხლით

დაუღეგარი.

შენ,

დავითიან-სოლომონიანს,

გწავდა სამშობლო

აღმოდებული.

და შენი სული,

ასე მგონია,

თვით ფსალმუნშია

ამოვლებული.

შენ რაც ახარე და

რაიც თესე,

სამარადისოდ

ვერვინ ვერ მოშლის,

შენი სახება

სკვდავი ესე,

შუქივით დადის

საქართველოში.

ქებად ვერ გაადრე

სოტყვა ვერცერთი, —

შენ ზარდე

ნიწა თავისუფალი,

შენ დაუპყარი

ქართველს მეჩეთიც,

იქაც შეგყავდა

ჩვენი უფალი.

ქართლის პატრონად  
რომ დაგვენახე,  
შენი სიცოცხლის  
ვართ მადლობელი.

შენი დემეტრეს  
„შენ ხარ ვენახი“  
სულს გვინთებს,  
როგორც საგალობელი.



## კვად მოზიოზა

ჩემი ნავი,  
მაგ წამწამზე მისაბმელი,  
მე უჩუმრად  
ავუშვი და წინ დავძარი.  
და შენს ირგვლივ  
ჩამოეშვა  
ციხარტყელის  
ყველა ფერი  
და, ტაძარი  
გაჩირალდნდა,  
ელდა ეცათ მალალ ზარებს  
და, დიდი ხმა  
ჩამოეშვა  
ძირს ტრიალით.  
ნე უშენოდ  
აწ ვერავინ გამახარებს,  
უშენობით გაგტიალდი!

ციხარტყელად ჩაეიხატაე  
შენს ნაწნავებს,  
ჩემთა თვალთა  
სუფთა ცაზე,  
რა მაწვალებს?  
საწუთროის  
ცოდვით სავსეს.  
ვერ გაგიტყდი.  
ვერ გითხარი მე სათქმელი,  
ერთადერთი ცოდვა მინდა  
აღვასრულო, —  
ჩემი ნავი,  
შენს წამწამზე  
მისაბმელი,  
სამუდამოდ  
მაგ თვალეზში შევაცურო!



## თვითმკვლელები

რომანი

ნაწილი მეორე

— ტოვო რომ მათემატიკოსია და ოცის თავის ჯიბეში ფულის თვლა, ამაში ეჭვი არ მეპარება... — დაეწყე მე გზაზე. — მაგრამ აი, სტეპკო საიდან ვახლა ასტრონომი, ვერ გამიგია! — ამ საცოდავს საზღვარზე გადმოსვლისასაც კი არ შეუხედავს ცაზე ვარსკვლავებისათვის.

— მაშინ სტეპკო მხოლოდ ტოვოს უკანაღს უყურებდა და მაინც ვერ მოგვლევდა. — გაეცინა ომარს.

— ერთი ამ ტეტისა დამიხედე, — იწყინა სტეპკომ. — შენ რა, ბებიაშენის ჯარაზე, თუ ძროხის კუდებზე ვაქვს ნასწავლი ინიცინრობა?

— ვინ არი შენი ტეტია? — იღმუფოთდა ომარი.

— ჰო, მე ვიცი ფულის თვლა... და, საერთოდ, ჩემი პრინციპია: არც მე მიწა შენი, ნურც შენ გინდა ჩემი! — მოგვიანებით, მაგრამ მაინც გამოთქვა თავისი კრედო რაციონალისტმა ტოვომ.

— ეგლა მაკლია, რომ ლოთი ვაპრუკანას ბიჭმა ტეტია დამიძახოს! ჩვენ ქალაქელი ლუმბენები კი არა, აზნაურები ვართ! — ომარს ბრაზით აუთამაშდა თვალები და ცხვირის წვერი გაუწითლდა.

ვაგრძელება იხ. „მნათობი“, № 7.

ლუმბენებისა და აზნაურების დაპირისპირებამ გამაცინა, რამაც მხოლოდ ცეცხლზე ნავთი დაასხა.

— ლოთი ათასჯერ ჯობია გადარეულ თვითმკვლულს! — სტეპკო უკვე საჩხუბრად იწევდა.

რადგან ომარმაც დაიწყო მუშტების ქნევა იძულებული გავხდი ორივესათვის ხელი შეტაცა და ერთმანეთისგან გამეშველებინა. როგორც მოსალოდნელი იყო, ვილაცის მუშტი ყურზე მომხვდა და გაბრაზებულმა ორივე ისე შეეაჩვლრიე, რომ წამსვე გაუქრათ ფიზიკური ახსნა-განმარტების სურვილი.

— მთელ სოფელს გინდათ აჩვენოთ, როგორ ამტვრევთ ერთმანეთს ცხვირპირს? — ეუთხარი და ყური მოვისრისე.

— ნუ მასწავლი, თუ ღმერთი გწამს!... — ომარს გაფითრებულ სახეზე ცხვირი წითელ ლაქად ულაპლაპებდა. — სარგებლობ შენი ღონით... თორემ სხვა რითი ხარ ჩემზე მეტი?

— ან ჩემზე?! — დაკარგა საკუთარი თავის კონტროლი სტეპკომ.

— ყველაფერი შენი დაწყებულია! — განზე მდგომი ადამიანის მთელი ობიექტურობით მითხრა ტოვომ.

ეს ის მომენტი იყო, როდესაც აუცი-

ლებლად უნდა დამემტკიცებინა ჩემი ინტელექტუალური უპირატესობა. ამ მიზეზს მდგომარეობიდან გამოვედი იმით, რომ თითოეულ მათგანს ცხვირპირის ამონაყვას შევპირდი.

მეორე დღეს დაერწმუნდი, რომ ჩვენი პიროვნებებით გამოწვეული აღტაცება მასწავლებელს ვერ დაეფარა. მთელ სოფელს გაეგო, რომ ომარი ინჟინერ-მექანიკოსი, მე კი — ექიმი, ასტრონომები და მათემატიკოსები, სოფლის უაღრესად მიწიერი საჭიროებისათვის სრულიად გამოუსადეგარნი იყვნენ.

ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ ჩემი და ომარის პირველი ნაბიჯები ორივემ ჩინებულად დავაგვირგვინეთ.

ჯერ ყავახანის მეპატრონემ მოხოვა თვალები მიმკურნალეო. მე ერთობ ჭკვიანური გამომეტყველებით გავუსინჯე თვალები და ვუთხარი, რომ უსათურდ ექიმ-სპეციალისტთან წასულ იყო. მას ქუთუთოები დაწითლებული და ალაგ-ალაგ ჩაჩირქებული ჰქონდა. ცხვირსახოცი კი, რომლითაც თვალებს განუწყვეტლივ იწმენდა ხოლმე, არაფრით განსხვავდებოდა იატაკის გასაწმენდი ჩვარისგან.

— საიდან? — როგორ? — გაიკვირვა მეპატრონემ. — აქედან რამდენიმე დღის სავალზე ვერ შეხვდები ვერც ერთ ექიმსა და ვერც ფერშალს. თვალისთვის კი რომელია უკეთესი, ექიმი თუ ფერშალი?

მაშინ მე წავედი წამლების საშოვნელად დუქნებში, მაგრამ ვერსად ვერაფერი ვიშოვე. მერე და მივხვდი წავსულიყავი მასწავლებელთან და მისი სკოლის პატარა აფთიაქში აღმოვაჩინე ერთი პარკი ბორის სიმეავე. მანგანუმის კალიუმი და ბამბა.

ყავახანის მეპატრონეს დაჩირქებული ქუთუთოები ბორის სიმეავის სუსტი ხსნარით მოვუბანე და კატეგორიულად ავუკრძალე თვალებზე ხელის ხლება.

ერთი საათის შემდეგ გამოცოცხლებული მეპატრონე მხიარულად უმას-

პინძლდებოდა მუშტრებს და უკვე საკუთარი ინიციატივით ~~მეტრებში~~ პატეფონის სახელურს.

შემდეგ რა დაემართებოდა მის თვალებს, რა თქმა უნდა, არ ვიცოდი, მაგრამ შეება რომ მოვგვარე, ამაში ეჭვი არ იყო.

იმავე საღამოს ყავახანის ერთერთმა მუშტარმა ჭრელი ვილეთის ჯიბიდან ამოიღო სახურავიანი „ოქროს“ საათი, მოხსნა სქელ, ასევე ყალბი ოქროს ბეწვეს და ომარს გაუწოდა.

ომარი ისეთივე ჭკვიანი გამომეტყველებით, როგორც მე ექიმობისას მქონდა, დიდხანს ათვალეირებდა საათს... სანამ მიხვდებოდა, როგორ უნდა გაეხსნა ქვედა სახურავი.

საათის მექანიზმი სრულიად უბრალო ნატეფრი აღმოჩნდა, სამაგიეროდ მთელი ყურადღება მხატვრული გაფორმებისკენ იყო მიმართული. სახურავზე გაწაფული ხელით ამოკვეთილი იყო სირაქლემას მსგავსი რამდენიმე ბულბული, რომლებიც ხის ტოტებზე შემომსხდარიყვნენ და გალობით ატკობდნენ მხართქოზე წამოწოლილ მიბნედილ ტიტველ ქალს.

არ ვიცი რომელ „იზმების“ მიმდევარი შეიძლება ყოფილიყო მხატვარი, მაგრამ ქალის თქოები იმ ხეზე უფრო მაღალი იყო, რომელზედაც ბულბულები ისხდნენ.

ომარს ბედმა გაუღიმა, ქანქარის ზამბარის ბეწვები ერთმანეთზე შემეტარიყო, რაც მე იმ მომენტში ვუთხარი ომარს, როდესაც ამ საათის ბედნიერი მფლობელი სხვა რამით იყო გართული.

ომარი არც ისე მიაპიტი აღმოჩნდა. როგორც კი მიხვდა, რომ საათი ამუშავდებოდა, მან დაიწყო რაღაც რთული. ყურადღების გამფანტავი ოპერაციები — საჩვენებელი თითით საათს ოდნავ უკაქუნებდა, უბერავდა ცალთვალმოხუჭული ყურთან ატრიალებდა და მხოლოდ მერე, ქინძისთავის დახმარებით ზამბარის ბეწვი თავის ადგილას ჩაავადო.

საათი ამუშავდა და ჩვენმა პრესტიჟ-



მა ზედ ყავახანის ჭერის მორგებამდე აიწია.

სამწუხაროდ, მომდევნო დღეებში ომარმა ველარ შეძლო ვერც ერთი საათის შეკეთება, რამდენიც არ უბერა, ატრიალა და თითოეტი უკაუნა.

თუმცა ომარი მექანიკაში იმაზე მეტად ვერ ერკვეოდა, რამდენსაც „უცხოეთის რომანებში“, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს მისი ბრალი არ იყო. იგი ხელს ჰკიდებდა შეუძლებელს — ნატიფი მგქანიზმის ამუშავება ისევე ძნელია, როგორც მკვდარი ვირის გაქენება.

თურმე, ერთი წლის წინ აქ ერთი კომიოვიაციორი ჩამოსულა და ყველა აქაური მდიდრისათვის მიუყიდა ასეთი საათები.

საოცარი ის იყო, რომ უცხოეთის ყველაზე ნატიფი საქონლის ვაჭრები ასეთ პრიმიტიულ ანეკსზე წამოეგნენ.

ომარის ცალკეული მარცხის მიუხედავად მუშტრები თანდათან გვემატებოდა და ჩვენ, არცთუ უსაფუძვლოდ ვწუხდით, რატომ გვაჩერებდნენ ამდენ ხანს ამ სოფელში.

ყავახანის მეპატრონე ცალი ხელით მარჯვედ ახვევდა სიგარეტს (ჯერჯერობით ეს იყო ერთადერთი, რითაც ალტაცებამი მოყვავდი თურქებს), და გვიხსნიდა: ყველაფრის მიზეზი ყაიმაყამსა და მაიორს შორის ფარული ომია და თქვენ აქ ყაიმაყაში გააკვებთ, როგორც თქვენდამი ნახმარი ძალადობის მოწმეებს.

ჯერჯერობით კი აქედან გასტუმრების მოლოდინში, განვაგრძობთ ჩვენი „სპეციალობით“ მუშაობას.

როგორც ყველა ეჭიმი, მეც ვილაპარაკებ მხოლოდ ჩემს წარმატებებზე, მარცხზე კი... მაგრამ მარცხზე, ეჭიმები კი არა, საერთოდ არავინ ლაპარაკობს. თუმცა, გარდა ძალიან ჰკვიანიან ძალიან სულელი ადამიანისა... და კიდევ დაპატიმრებული ქურდისა, რომელიც უმტიციებს პროკურორს, რომ ვერ შეეძელი სეიფის გახსნა და ქურდობა სხვისი ჩადენილიაო.

ზოგჯერ ქურდზე უკეთ ვერა ვგრძ-

ნობ თავს იმის მიმართ, რომ რომელიმე ჩემმა კლიენტმა ფეხებზე დაგდოს, თუნდაც არა ჩემამ მიზეზით.

მივდევ რა ჩემი დიდი წინამორბედების კვალს ესკულაპიდან დაწყებული წვეროსანი მუხრანელი ექიმით დამთავრებული — ღარიბებს ვმკურნალობ უსასყიდლოდ, მდიდრები კი ჯერ არა მყოლია, უფრო სწორად, მყავდნენ, მაგრამ მე უარი ვუთხარი.

ჩემი მთავარი პატივისმცემელი და პროპაგანდისტი ყავახანის მეპატრონე, ზეცისკენ აღაპრობს ხოლმე სრულიად უწამლო, საოცრად მეტყველ თვლებს და იფიცებს ალაჰს, რომ მე უდიდესი „დობტური“ ვარ, მერე კი მე და ჩემს „ასისტენტ“ სტეპკოს, პაწაწინა ფინჯნებით მაგარი ყავით გვიმასპინძლებდა.

სტეპკო მოჩვენებითი დარბაისლობით მიირთმევს სურნელოვან სასმელს და განუზომელ სიამოვნებას ღებულობს... ომარისა და ტოგოს შურიანი გამოხედვისგან. საცოდავებს წუთიერი სიამოვნებისათვის ვერაფრით ვერ გადაუწყვეტიათ გადაიხადონ ერთი ქათმის საფასური. რასაკვირველია, ქათამი ასე იაფი რომ არ იყოს, ისინი ყავაზე არ იძუნწებდნენ.

მე და სტეპკო ძალიან მეგობრულად ვმუშაობთ და მისი ავტორიტეტის შესანარჩუნებლად პროფესიული ხასიათის ყველა შენიშვნას მოწმეების გარეშე ვაძლევ.

ამასწინათ, ჩვენი ოთახის მყუდრო ვითარებაში ორჯერ მომიხდა მისი გატყუება, პირველად იმისთვის, რომ გამომეტეხა ჩემი ერთერთი „პაციენტი“. მშობლებისგან ფულის გამორთმევას, მეორედ კი იმის გამო, რომ გაბედა იმ ფულის გამორთმევა.

პედაგოგიურ აზარტში შესული მე, შესამედაც ვაპირებდი მის მიზეთქვას იმის გამო, რომ მან ვერ დინახა რა იმედიათი თვალებით გვიყურებდნენ ავადმყოფი ბავშვის მშობლები... მაგრამ სტეპკომ მითხრა ოდნავ ხრინწიანი ხმით, რადგან ყელში ხელწაქერილი მე-

ვირა, რომ მათ თვალეში ვედრება ამოვიკითხე, და ფული მხოლოდ იმართომ გამოვართვი, რომ დარწმუნებულ იყვნენ შენს ნამდვილ ექიმობაშიო. ჩემზე იმოქმედა მისი ფსიქოლოგიის ასეთმა გამჭრიახობამ და სამედიცინო ეთიკის მესამე გაკვეთილი გადავდე.

ჩემს შესახებ მინდა ვთქვა, რომ მე არავის ვატყუებ. აი, მე რომ „დობტურის“ ნაცვლად ფერშალს მექანდნენ, ანდა საერთოდ არაფერს, სარგებლობა მაინც მომაქვს. რაც არ უნდა იყოს, რალაც-რალაცებში მაინც ხომ ვერკვევი...

ყვიანახველისაგან დასუსტებული ბავშვი, სიკვდილის პირას იყო მისული. მე შშობლებს ვუთხარი დილა-საღამოს ბავშვი მთებში აიყვანათ და უსათუოდ ნაღებით ეკვებათ. მართალია ძროხა ჰყავდათ მაგრამ მთელ რძეს იყენებდნენ კარაქისათვის, რომელსაც ჰყიდდნენ.

მერე, როდესაც დავინახეთ მთიდან მომავალი ჩადრიანი ქალი, რომელსაც აყვანილი მიჰყავდა უკვე გამოკეთებული ბავშვი, ისეთი სიამაყით ამევსო გული, რომ მე თვითონვე გამიკვირდა. სტეპკოსაც გული აუჩუყდა და მითხრა, ამოდ მივმე, ხომ ხედავ, ბავშვს ეტყობა, რომ ფული ტყუილად არ ამიღიაო.

ჩემი მკურნალობის მეთოდი, შეზღუდული ფარმაკოლოგიური საშუალებების მიუხედავად, ერთობ ნაირფეროვანია. მაგალითად — ფადრაოს ვმკურნალობ ბრინჯის ნახარშით, ან სიმინდის ფაფით, სირსველას — ნიკოტინის მსგავსი ყვითელი მასით, ქალაღის დაწვის შემდეგ რომ რჩება, ჰობს — გოგრის თესლითა და ჭამაყით, სხვადასხვა მუწუქს კი ებან მანგანუმის კალიუმის ხსნარით, ან ბორის სიმკვებით.

ერთი მსუნავი კაცი გაზებისაგან ვავნათავისუფლე მუხის ხის დაფუჭული ნახშირით. ნახშირი მას მზის ჩასვლამდე უნდა მიეღო და მზის ამოსვლამდე პირში ლუქმა არ უნდა ჩაეღო. ერთი

ვიდაც ფეხის ოფლისაგან ვიხსენი — ჩემს მიერ დამზადებული ჰომეოპათიური ფხვნილით მარილისა და ყვინს ნალექის ნარევით. მთავარი კი, რა თქმა უნდა, ის იყო, რომ ფხვნილის მოყრამდე, დილა-საღამოს ფეხები უნდა დაეზანა.

ცხადია, ყოველთვის ყველაფერი ასე უბრალოდ არ ხდება... ხანდახან ისეთი შემთხვევას გადავეყრები ხოლმე, რომ არ ვიცი რა ვიღონო.

იმ დღეს ერთ ძალიან ხელმოკლე ოჯახში დამიძახეს. როდესაც მივედი, ყველაფერი დამთავრებული იყო. ტახტზე ესვენა ტუბერკულოზისაგან უკვე გარდაცვლილი ყმაწვილი. მიცვალბულს საკმაოდ რიგიანი ტანსაცმელი ეცვა და, ეტყობოდა, ამ ტანისამოსში ჰქონდა გატარებული თავისი უკანასკნელი დღეები.

მე თავი ვალდებულად ჩავთვალე დამწუხრებული მამა და ძმა გვერდით გამეხმო და ამეხსნა, რომ აუცილებელი იყო საჩქაროდ ღებინფექციის ჩატარება.

ვიდრე მე მათსავით ღატაკ მეზობლებში დავრბოდი კირისა და დიდი ქვაბის საშოფენლად, რომ წყალი ამედუღებინა, ვიდაც დედაბერს მიცვალბული უკვე ტანთ გაეხადა და ბანდა... მიცვალბულის ძმა კი, უკვე მის ტანსაცმელში გამოწყობილიყო.

ყველა ჩემი პროტესტი ამით აღმოჩნდა.

— რა შუაშია ტანისამოსი... თუ ეს ასე ინება ალაჰმა! — აღაყრო ზეცისკენ ხელები მამამ, თან ცდილობდა ცრემლების შეკავებას.

ყავახანაში დაბრუნებისას ყველაფერი მოუყევი მეპატრონეს.

— ჰო, ჩვენთან ასეა. — მითხრა მან და არც თუ სიამაყის გარეშე დაუმატა: — ჩვენ, თურქები, ჯანმრთელი ხალხი ვართ და ასეთი რამეების არ გვემინია.

მგონია ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც მე, როგორც „დობტურს“ არ დამიჭერეს. საერთოდ ჩემი ძალიან სჯერათ, ეს კი გამბედაობას მშა-

ტებს... თუმცა ცოტა კიდევ მაშინებს ის, რომ მეც ვიწყებ საკუთარ თავში დაჭერებას და ვემსგავსები ადამიანს, რომელიც შემთხვევამ მისთვის მიუწვდომელ სიმაღლეზე აიყვანა და სულელურად დაიჭრა, რომ იგი ამას იმსახურებს.

თუმცა, დასწყევლოს ღმერთმა, ეს რა მიუწვდომელი სიმაღლეა, მე ხომ ისედაც სულ მალე ნამდვილი ექიმი უნდა გავმხდარიყავი?!

მაგრამ, სჯობია ამაზე არ ვიფიქრო, თორემ შეიძლება ჰკუდიდან შევიშალო.

დღეს ყავახანის მეპატრონემ მიიხრა, რომ გავსულიყავი პატარა ოთახში, სადაც ვილაკები მელოდებოდნენ. საკუთარი ღირსებით აღვსილი შევედი. პატარა მაგიდას ირგვლივ უჭდა ის ოთხი თვალბამღვრეული და სახეგათქვირებული ჩვენი ყავახანის მუდმივი სტუმარი, რომლებიც მე ყველაზე ნაკლებ მომწონდა.

მაგიდაზე იდგა ნახევარზე მეტად გამოცლილი ბოთლი, და, ჩანდა იქ მყოფთ უკვე ცოტა გადაეკრათ. მე ძალიან მინდოდა გამესინჯა რასაც ისინი სემდნენ, მაგრამ ჭიქა, რომლითაც სასმელი შემომთავაზეს იმდენად გაზინთული იყო, რომ უარი ვთქვი.

— თქვენ უნდა მოგვარჩინოთ!.. ფულისა არ შეგეშინდეთ, კარგად გადაგიხდით. — მიიხრა ერთერთმა მათგანმა.

— თუ კი რაიმე შემიძლია, სიამოვნებით. რას უჩივით?

— დღე და ღამე არ მასვენებს თავის ტკივილი, ღამის გამისკდეს.

— მე კი, აი აქ... — მიიღო გაფუებული ხელი გვერდზე, მათში ყველაზე სქელმა.

— მე კი ყელი და თვალები...

— მოიცადეთ, ეს ხომ სხვადასხვა რამაა. — ვუთხარი მე.

— არა, ერთია ერთი! — დაიქნია ყველამ თავი.

მე ვერაფერი გავიგე. და მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაცა მეთქვა, ვკითხე:

— დიდი ხანია ასე ხართ?

— უპ, ვინ იცის, რამდენი წელია!..

— ჩაიცინა და ეშმაკურად ჩამიკრა თვალი იმან, რომელმაც შემომთავაზა მათთვის მემკურნალა. — ჩვენ სტამბოლიდან სულ ერთთავად ვიწერთ წამლებს, მაგრამ არა გეშველის.

— ამას ცოლი ჰყავს ძალზე ავად. —

— დაუმატა სქელმა, — სულ ახლახანს შეირთო, ახალგაზრდაა... ადრე ჯანსაღი იყო... ახლა კი...

— რის წამლებს იწერთ? — შევეკითხე მე.

— ათაშანგის. განცხადება წაიკითხეთ... ცულაპეთ ის აბები...

— თითოს მაგიერ ორორი... სამსამიც კი... მაგრამ ნამდვილი ჯიბჯირობა გამოდგა.

— აქ მე არაფერი შემიძლია! თქვენ ქალაქში უნდა წახვიდეთ, სადაც სპეცილისტი ექიმია. — ვუთხარი მე. — აბებით კი არაფერი გამოგივათ.

— როგორ წავიდე? ჩემს სავაჭროს რა ვუყო?

— ოჯახიც თან წაიყვანოთ? არა ეს შეუძლებელია! — ისე გააქნია თავი მსუქანმა, რომ ფომფლე ლოყები აუთამაშდა. — მოდი, ისევ შენ იყისრე, ჩვენ კი ფულს გადაგიხდით.

— გადაგიხდით, რამდენსაც იტყვი. — დაუდასტურეს დანარჩენებმა.

მთელი საათი ეუხსნიდი, რომ ეს შეუძლებელია-მეთქი, და როცა დავაჭერე, უხალისოდ ზურგი შემაქციეს.

ოთახიდან უკვე ისეთი ღირსებით აღარ გამოვსულვარ.

ომარსაც საქმეები ძალიან ცუდად წაუვიდა, ჩვენ რომ არ ვეხმარებოდით. ამისათვისაა, რომ შესაკეთებელი ნივთები მხოლოდ შინ მოაქვს, ესე იგი, ჩვენს ოთახში. მას აგრეთვე ზოგიერთი იარაღის შოვნა დასჭირდა.

როგორც ყოფილი ტრაქტორისტი და მექანიკოსი, ამ სამუშაოებს ვხელმძღვანელობ მე, ომარი კი მერე თავისად ასალებს და აღებულ გროშებს არავის უწილადებს.

— ჩემი წყალობით თქვენ ათასები

დაბრუნეთ! — გვისაბუთებს იგი. — რაში გკირდებათ ჩემი კაპიკები?

მართლაც, რად გვიინდა ან მე, ან ტოგოს, მაგრამ სტეპკო სულ სხვა აზრისაა:

— ჩემთვის არაერთი ფული არ დაუბრუნებიათ! — მორიდებულად გადაგვიყრავს ხოლმე სიტყვას სტეპკო.

— შენც ნუ დამეხმარები! — მართებულად მოუჭრის ხოლმე ომარი, რადგან სტეპკო მექანიკაში მასზე უკეთ ვერ ერკვევა.

ამასწინათ ჩვენ დავშალეთ და ავაწყეთ მადლიძარა საათი, რომელიც ამუშავდა, თუმცა ზოგიერთი დეტალი ზედმეტი აღმოგვაჩნდა.

— ჩემის აზრით, — მითხრა ტოგომ, რომელიც მეხმარებოდა, — ცხოვრებაში მთავარი ინიციატივაა... — თუნდაც არ გესმოდეს, საქმე, თუ არ გეშინია, ბოლოს და ბოლოს მიადრწევ შენსას. — და დარჩენილი ზედმეტი დეტალები ჯიბეში ჩაიყარა, რითაც ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი [ ტენდენციები „პლუშკინიანობისაკენ“.

— ეგ სრული სიმაართეა — მოიწონა მისი ფილოსოფია სტეპკომ. — მე როდესაც გაკეთილი არ ვიციდი, ყველაზე ჭკვიანურ გამომეტყველებას ვღებულობდი ხოლმე.

— მაშ ყოველთვის ჭკვიანური გამომეტყველება გქონია! — უთხრა ომარმა.

— ყოველთვის! — ღირსებით უპასუხა სტეპკომ.

ყველაზე ძნელია პატეფონის მოტეხილი შპინდელის ზამბარის ბოლოში მოქლონვა და მერე ზამბარის უკანვე, კალატოში ჩასმა. იმ დღეს ამოვარდნილმა ზამბარამ სტეპკოს ნიკაბი დაუსერა და ომარმა, როგორც სამუშაოს მიმცემმა ხუთ ყურუშად ქათამი უყიდა.

სტეპკო ერთპიროვნულად სანსლავედა ვეება ქათამს და თან დაწვრილებით ლაპარაკობდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციაზე, რადგან ომარმა

ამ სამუშაოებში ორმოცდაათი ყურუში აიღო.

არქონული  
ნივლითობა

ნავთის ლამპამ ჭერ ბეუტვა დაიწყო, მერე კი მთლად ჩაქრობას აპირებდა. მე პატრუქს ავეწიე, მაგრამ ახლა აბოლდა. ან უნდა ჩამესხა ნავთი, რომელსაც აქ ოქროს ფასი აქვს ან ჩამეჭრო და დავწოლილიყავი დასაძინებლად.

ლამპა სიბნელეში გავმართე, კვლავ ავანთე და თითქოს პირველად დავათვალიერე ყვითელი შუქით მოფენილი ოთახი, ცარიელი ყუთები, მაგიდისა და სკამების მაგივრობას რომ გვიწვედნენ და კუთხეში ნამჯაზე მძინარე ბიკები, რომლებსაც საბნებზე თავიანთი პალტოები ეხურათ.

— დედა... დედიკო... — ძილში საცოდავად წარმოთქვა ტოგომ.

ომარმა თავი წამოსწია და ხილვადაკარგული თვალები მიაპყრო ტოგოს. — დედა... — ამოხვნეშით გაიმეორა მან და თვალებდახუჭულს თავი ნამჯაზე დაუყარდა.

ორივეს ისეთი ბავშვური და უმწეო გამომეტყველება ჰქონდა, რომ ძალისაგან მიტოვებულ ქლეკებს მაგონებდნენ და ძალიან შემებრაღნენ.

ანდა, იქნებ მე საკუთარი თავი მებრალებოდა... ცოტა ხნის შემდეგ მეც რომ დავწვეები მათ გვერდით ნამჯაზე, დავიხურავ ტილიან საბანს და მათავით ძილში საშინელ ფხანას დავიწყებ.

მასხოვს „ზარატუსტრაში“ მე ყველაზე მეტად ის ადგილი მომიწონა, სადაც ნათქვამია: „ადამიანს ყველაზე უფრო შეურაცხყოფს ის, როდესაც მას იცოდებენ“. გამოდის, რომ ყველაზე დიდ შეურაცხყოფას მე ვაყენებ ჩემს თავს.. მერე რა, ახლა ამას აღარა აქვს მნიშვნელობა ისევე, როგორც მატარებლის ქვეშ ჩავარდნილი თვითპველელისათვის არა აქვს მნიშვნელობა, რომ ბორბლები მის სხეულს დამტყვევებელი ძვლების, დაწყვეტილი ძარღვებისა და დაკეპილი ხორცის ფაფად აქცევენ.

გამოქცევის წინ მე შეგონა, რომ ყველაფერი გავიფარავს — ხიფათი, არაჩვეულებრივი ფიზიკური სიმძლევები და შეიძლება ტრაგიკული შემთხვევითობაც კი, მაგრამ თურმე ეს ყველაფერი როდი ყოფილა... მე ვერ გავიფარავსწინე ის ჭეჭყი, რომელსაც აქ წაეწყდი. ჭეჭყი ყოვლად პრიმიტიული, რომელიც მოსდევს საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე ჩამორჩენილობას, და რომელიც ცივილიზაციის მოსვლისთანავე, ალბათ, მხოლოდ უფრო რთული და რაფინირებული ხდება.

რა თქმა უნდა, ამ ყრუ სოფელში ვერ განვსჯი ახალ სამყაროს, რომელშიც მოვხვდი. მე ვერ არაფერი მინახავს, მაგრამ აქედანვე ვპერეტ, რომ ბევრის ნახვა მომიწევს.

რაღა მაინცა და მაინც დღეს, როდესაც გამოვეცხადებს, რომ ხვალ გაგამგზავრებთო, მოხდა ეს საზიზღრობა.

და, საერთოდ ამ უკანასკნელ დღეებში ბევრი რამ მოხდა.

ჯერ თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა და ჩვენ მხოლოდ მკენარი გვეწუხებდა, რადგან მასთან ბრძოლა „კუსტარული“ მეთოდით, ყველგან არ იყო შესაძლებელი, ამიტომ ბიჭებს შეეთავაზე თავები გადაგვეპარსა.

პასუხი მოკლე და კატეგორიული იყო: — „არა, არავითარ შემთხვევაში!“

სიცივეები დაიჭირა და ბიჭები მართლები იქნებოდნენ, რომ არ მიგველო მხედველობაში ამ საოცრად თავხედი და სისხლის მსმელი არსებების გაუთავებელი სეირნობა მთელ თავის ქალაზე.

თუმცა მივხვდი, რომ ისინი ფუტკრები არ იყვნენ და მე კი ცოტნე დანიანი, და რომ ჩემი თავგანწირვა ისტორიაში არ ჩაიწერებოდა, მაინც, გადავწყვიტე განზრახულისათვის მიმეღწია.

საღამოს, ნამჯაზე წოლისას დავიწყებულვის ცნობილ მეკობრეებზე — კორსარებზე ამბების მოყოლა. ძირითადად

ვიყენებდი სტივენსონსა და... სიკეთარ ფანტაზიას:

გარკინენული

ყვებოდი ძალიან ბევრს დავატყობით, ვცდილობდი შევწყობოდი თითოეული მსმენელის გემოვნებას.

სტეპკოსთვის ეს იყო გარგანტიუანგური ლზინი მუქთად, ტოგოსათვის — ოქროსა და ძვირფასი ქვების უთვალავი სიმდიდრე, ომარისათვის კი ხომალდების აბორდაჟზე აყვანისას ეკიპაჟების განუწყვეტელი ზოცვა-ქლელა.

დავასრულე იმით, რომ მეკობრეებს თავზე წითელი თავსაფრები ჰქონდათ წაქრული და გაკვრით დაეუმატე, რომ თავები, რაღა თქმა უნდა, გადაპარსული ჰქონდათ-მეთქი.

ბიჭები მეგვეწებოდნენ კიდევ მეამბნა, მაგრამ მე კრინტი აღარ დამიძრავს თავი მოვიმძინარე.

მეორე დღით დუქანში წავედი და ვიყიდე სამართებელი „ორი ბიჭი“, რომელზედაც სხვათა შორის, დიდი ხანია, ვოცნებობდი, და ორი დიდი წითელი ბაღდადი. მეორე ბაღდადი ავიღე სტეპკოსთვის, რომელიც მთლად ჩემზე იყო დამოკიდებული და თავის გადაპარსვაზე უარს ვერ მეტყოდა იმის შიშით, რომ შიმშილით სიკვდილი არ ასცდებოდა.

მერე ფარულად ვაცნობე ჩემი განზრახვა სტეპკოს, მიუხედავად მისი ტრაგიკული გამომეტყველებისა, წავათრიე ოთახში, სადაც ომარი და ტოგო უხმოდ გვითვალთვალდნენ და საქმეს შევედევით.

საერთოდ, ყოველგვარი შრომითი კონფლიქტები და მათი მომდევნო შეთანხმებები მხოლოდ საწარმოო პროცესის საფუძველზე შეიძლება დაიბადოს.

რადგან ჩვენ ერთმანეთს თავებს რიგრიგობით ვპარსავდით და ყოველგაქრავზე ჩვენს შორის მძაფრი კონფლიქტი წარმოიშობოდა ხოლმე, ჩემი წინადადებების საფუძველზე შემდეგნაირად შეეთანხმდით: თითოეულმა პარსოს გაქრის მომენტამდე.

არ დავფარავ, მე ძალიან კმაყოფი-

ლი ვიყავი, რომ მივაგენი შრომის ასეთ დემოკრატიულ განაწილებას.

„თუ კი გაქვს ორგანიზებული ტვინი, ყველაფრის გადაწყვეტა შეიძლება, შენთვის საკმაოდ უცნობი საკითხებისაც კი“. სიამაყით გავიფიქრე და როგორც კაბინეტის ყველა თეორეტიკოსი, უწყალოდ შევცდი.

მართალია, ჭრილობის რაოდენობა ჩვენ თანაბარზე გვექონდა, მაგრამ როდესაც სტეპკო მთლად იყო გადაპარსული, მე გადაპარსული ვიყავი მხოლოდ სამ მეოთხედზე.

— ხომ უნდა მივიღოთ მხედველობაში დასამუშავებელი ფართობის განსხვავება!.. მაგისი გოგრა ჩემსაზე ორჯერ დიდია! — თავს იმართლებდა სტეპკო.

— არაფერიც!.. ჭრილობიდან ჭრილობამდე მე უფრო დიდი ფართობის დამუშავება მოვასწარი. — ვამტყიცებდი მე.

ომარსა და ტოგოს ხელები ექავებოდათ. მთელი გულითა და სულით მარწმუნებდნენ, რომ სამართებელს შესანიშნავად ეხმარობოთ. რადგან მე სტეპკოთი უკმაყოფილო ვიყავი, შევისმინე მათი თხოვნა, რამაც შემდეგ მხოლოდ გაზარდა ჩემი ორივესადმი კრიტიკული დამოკიდებულება და შესაბამისად ჩემს თავზე ჭრილობათა რაოდენობაც.

მე და სტეპკომ ჭრილობები მოვიბანეთ მანგანუმის კალიუმის ხსნარით, თავზე წითელი ბაღდადეგი წაეკარით და თითქოს არც ისე ცუდად გამოვიყურებოდით. ამას საუკეთესოდ ამტყიცებდა ის, რომ ომარი და ტოგო აგრეთვე წავიდნენ წითელი ბაღდადეგის საყიდლად.

პარადოქსი, რომ ბლაგვი სამართებელი ბასრზე ცუდად პარსავენ, მაგრამ უკეთ ჭრის, ვირწმუნეთ მას შემდეგ, რაც ომარისა და ტოგოს თავებს შეუხედეთ. საცოდავები, თუმცა საშინლად იღრიჭებოდნენ, მაინც ბოლომდე მედგრად აიტანეს „კორსარებად ვადაქცევის ეს ოპერაცია“.

მერე, ბაღდადეგარულ თავებზე ჩამოვიცივით კეპები და სოფელში უსასწრაოდ წავედი. შესახვედროს, ყმაველგვარი ეჭვის გარეშე ძალიან ვაქაცური გვექონდა და მხოლოდ ძველი ჩვეულებისამებრ, ხანდახან ხელებს წავიღებდით ხოლმე თავისკენ მოსაფხანად.

მომდევნო დღეები, ვიდრე თავზე ჭრილობები შეგვიხორცდებოდა, განვაგრძობდით პატიოსან შრომას, მიუხედავად ყველა უკუღმართობისა, რომელიც ხანდახან მოსდევს ხოლმე კერძო ინიციატივას.

უკვე რამდენჯერმე მოუტანეს ომარს ერთი და იგივე პატეფონი, რომელსაც არაფრის დიდებით არ უნდოდა ამუშავებულყო... მე კი მომგვარეს ისევ ის ბავშვი, რომლის მკურნალობაზე კატეგორიულ უარს ვაცხადებდი.

ეს იყო ერთი ციციქნა არსება ბებრული სახით, გაბერილი მუცლითა და წერილი, დაღუული ხელ-ფეხით.

შესახედავად ბავშვი ეჭვისოდე თვისას ჰგავდა, ნამდვილად კი მეხუთე წელში იყო, ლაპარაკი არ იცოდა და სრული იდიოტი იყო.

ამ უკანასკნელ „ვიზიტზე“ შობლებმა ველარ გამიბედეს მორჩენის თხოვნა, იცოდნენ, რომ უარს ვეტყოდი, იმასლა მევედრებოდნენ: ბავშვი ჭიებისაგან გამენთავისუფლებინა. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ბავშვს ძალ-ღონეს ართმევდნენ ჭიები, რომლებითაც იგი თითქმის მთლად გატენილი იყო. ხოლო, რაც შეეხება მათი ამ ერთადერთი ნაშიერის ჰყუა-გონებას, ამაში არავითარი ეჭვი არ ეპარებოდათ.

— არჩვეულებრივად გონიერი ბავშვია. — მითხრა მისმა მეფისტოფელის მსგავსმა ახმახმა მამამ. — როცა აქმევენ, კოვხს შესცქერის ხოლმე.

დედაც საესებით იმავე აზრისა იყო, ზედ დამატებით მისაყვედურა, რომ მე მოვარჩინე შეილი იმ უნიჭო მამედისა, რომელიც იმ ტვირთის ნახევარსაც ვერ აიკიდებს, რასაც ჩემი ქმარი ზურგიით

ატარებს... და თანაც, მესაზღვრეების ძალიან ეშინიათ.

აქ უკვე უარი ვეღარ ვუთხარი და ვურჩიე ეძლიათ ბიჭისთვის გოგონის თესლი და ცოტაოდენი ქაშაყი.

დაიმედებულმა მშობლებმა წასვლისას ფულის მოცემა მოინდომეს, რომელიც, რასაკვირველია, არ გამოვართვი, და ალერსიანი ღირსებით მომღიძვარი კარებამდე გავეყვი მიმავალთ, თან ცალი ხელით ვიჭერდი სტეპკოს, რომელიც სულგრძელად ემზადებოდა ისინი ქუჩამდე გაეცილებინა.

ძირითადი მოვლენები განვითარდა წუხელის, როდესაც ძილის წინ ჩვენ ერთმანეთში ჩხუბი მოგვივიდა.

ჩხუბის მიზეზი თავის ქალის სილამაზის ესთეტიკური შეფასების სხვადასხვაობა იყო... მაგალითებად კი ჩვენი საკუთარი გადახორტილი თავის ქალები მოგვეყავდა.

ცხოველი დისკუსიის მსვლელობისას, თითოეული გამოსული ორატორი ბოროტად დასცინოდა თავისი ოპონენტის სამივე ქალს და მხოლოდ შემდეგ ალტაცებულ ხობტას ასხამდა მეოთხეს — საკუთარს.

თავის ქალის საუკეთესო, კლასიკურ ფორმად ომარი კვადრატულსა და პატარას თვლიდა, ტოგო — მაღალსა და ნესვისებურს, სტეპკო — ვიწროსა და მოგრძოს.

მე მთელი ლექციის წაკითხვა მომიხდა ოსტეოლოგიაზე, მერე დარვინიზმზე და შემდეგი სიტყვებით დავასრულე:

— თანამედროვე ადამიანს მოაზროვნის მაღალი შუბლი უნდა ჰქონდეს! რატომღაც სამივემ თავი განაწყენებულად იგრძნო, ომარმა კი განაცხადა, რომ ჩვენს სოფელში ერთი იდიოტი იყო, რომელსაც შენზე უფრო დიდი შუბლი ჰქონდაო.

ეს, ჩემს გარდა, ყველას მოეწონა და ბევრიც იცინეს.

რალა თქმა უნდა, რომ მე ვალში არ დავრჩი და თითოეულს ცალ-ცალკე გავაძრე ტყავი, უკვე მოურიდებელი ეპითეტებით.

ნაწყენი ბიჭები დიდხანს დუმდნენ, მერე ერთიმეორის მიყოლებით ხერხინვა ამოუშვეს. მე კი ვერაფერი ვერ დავიძინე, ვუყურებდი შავ კედელზე გამოსახული ფანჯრის ნათელ კვადრატს და ათას რამეზე ვფიქრობდი.

ეზოში, ფანჯრის ქვევით რალაცა ამოძრავდა და ახმაურდა. ეს, ალბათ, დიდი ცხოველი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არა ჰგავდა ცხენს, რომლის ფეხის ხმა ყოველთვის იცნობა.

ცხოველი მოძრაობდა სწორედ ჩვენს ფანჯარასთან და გამოედო კიდეც აქვე მდგარ ცარიელ ყუთებს, რომლებიც გადმოცვივდა.

მე ვერ მინდოდა ავმდგარიყავი და ფანჯარაში გამეხედა, მაგრამ გადავწყვიტე, რომ მაინც ვერაფერს დავინახავდი, რადგან ღამე ბნელი იყო... და უეცრად ფანჯრის თვალი მთლიანად ამოავსო უზარმაზარმა დათვამა.

ასე მეგონა, სიზმარში ვიყავი და თვალების სრესა დავიწყე. ამ დროს ძლიერმა მოწოლამ ზრიალით გაალო ფანჯარა.

ხმაურისაგან გამოღვიძებული ბიჭები წამოხტნენ და ყველა ერთად ნამჩაზე წამომსხდარი ცახცახით ვუყურებდით, როგორ მოძვრებოდა დათვი ფანჯარაში.

უეცრად ელექტროფარანის სხივმა თვალთ დაგვიბნელა, მერე კი სხივმა ჩვენს ხელეზე დაიწყო სრიალი. კაცი ფრთხილობდა, რომ ჩვენ იარაღი არ გვებმარა... ამასობაში ოთახში კიდევ ორი კაცი ამოძვრა.

ვიღაცის ხელში გაკრულმა ასანთმა გაანათა სამი კაცი, რომლებსაც მოკლულ და აბურჭვენილბაღნიანი ნაბდეზებურათ ვიდრე ერთი მათგანი ლამპას უტრიალებდა და აანთებდა, პირველი ფარანის შუქს არ გვაშორებდა და თანაც, გადაღვლილი ნაბდის ქვეშ მარჯვენა ხელი მაუზერის ბუდეზე ეკავა.

როდესაც ანთებულმა ლამპამ ოთახი გაანათა, მოსულები კარგად დავათვალიერე. პირველი დანარჩენ ორზე ბევრად უფროსიც იყო და ზორბაც ნაბ-

დის ქვეშ ქამარმოჭერილი ცხვრის ტყუპუჭი ეცვა, წინ მძიმე ხანჯალი ეკიდა მარცხენა გვერდზე კი მაუზერი, ფეხებზე ქალამნები და თათრული ხეშეში შარვალი ეცვა, თავზე კი წოპწოპა, გრქელბანჯგვლიანი ფაფახი ეხურა, სწორედ ისეთი როგორიც ჩვენს გამყოლს ჰქონდა. დანარჩენი ორიც ასევე იყო ჩაცმული, ოღონდ მაუზერის მაგიერ მარჯვენა გვერდზე ნაგანები ეკიდათ.

დაუპატრებელმა სტუმრებმა ისე უხმოდ შეამოწმეს კარის ურდული და დახურეს ფანჯარა, თითქოს თავის სახლში ყოფილიყვნენ.

მე დავაპირე მეკითხა რა უნდოდათ, მაგრამ ყელში რაღაც მომაწვა და ისეთი გაურკვეველი ბურტყუნი გამომივიდა, რომელსაც მშობელი დედაც კი ვერ გაიგებდა.

ბიჭებს ცალი თვალით გადავხედდე და მივხვდი, რომ ალბათ მეც ისეთივე იდიოტური შესახედაობა მქონდა, როგორც მათ და გავბრაზდი.

— თქვენ რა გნებავთ? — რაც შეიძლება მშვიდად შევეკითხე მე.

— ჩვენ ფული არა გვაქვს! — ძალიან უადგილოდ და თან ფალცეტით თქვა ტოგომ.

— მთელი ჩვენი ფული... ყაიმაყამს აქვს.. — საცოდავად სცადა ტოგოს შეცდომის გამოსწორება ომარმა.

ზორბა, რომელიც ყველაფრით ჩანდა, რომ მეთაური იყო, ეტყობოდა ფულით არ იყო დანტერესებული, რადგან ჩვენს ლაპარაკს არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა, შეუპოვრად გვიყურებდა და ნარევი რუსული და ქართულით გვეკითხა:

— რატომ გინდოდათ ჩვენი კაცის მოკვლა?

— ვინ კაცისა?

— ჩვენ არავის მოკვლა არ გვინდოდა!

— ეგ ტყუილია!

— იქ საზღვარზე! — თქვა ზორბამ.

— ამის გამო ახლა თქვენ რომ დაგხოცოთ!

ჩვენ დიდხანს და საცოდავად ვდუ-

მდით. ჩემი საიქიოს გამგზავრება რომ უნდოდათ, ეს ჩემთვის სპირიტუალში არ იყო. მაგრამ, დასწყველის დღემდე, ამას ვერა და ვერ ეჩვენევი.

აღშფოთებისაგან ერთიმეორეს სიტყვას ვაწყვეტივდით და სხადასხვა პით ვუხსნიდით რა არამზადა აღმოჩნდა გამყოლი, მაგრამ ზორბას ჩვენი არა სჯეროდა. და როდესაც ვუთხარით, რომ გამყოლმა საზღვარზე გადმოყვანაზე უარი გვითხრა და ჩვენ თვითონ ვადმოვედითო, ამისთანა ტყუილით გაბრაზებულმა ზორბამ უშვერად შეგვაგინა:

დღემდა მხოლოდ ჯიბეგაფხვცილი სტეპკო, რომელიც თვლიდა, რომ ყველა საკითხი, სადაც ფულზეა ლაპარაკი, მას არ ეხებოდა და ისეთი გამომეტყველებაც კი მიიღო, თითქოს ამბობდა: „თუ გინდათ მაგათი მოკვლა, მოკალით, მე კი აქ, არაფერ შუაში ვარო“.

ჩვენ მაინც ჩვენსას ვამბობდით. ჩვენმა ერთი და იგივე ვერსიის გამოჩენის სიჭიუტემ, ბოლოს და ბოლოს მოახდინა შთაბეჭდილება და ტოგომ კი საბოლოოდ განამტკიცა იგი, როდესაც შეეკითხა, გამყოლი ცოცხალი თუაო.

— ჰო, ცოცხალია, მაგრამ ძალიან ცუდად არის. — თქვა ზორბამ.

— მაშ, ცოცხალია! — ტოგომ ბედნიერად გაიღიმა და სიხარულის ცრემლები ჩამოუგორდა სახეზე.

ამან თურქებზე შთაბეჭდილება მოახდინა, ზორბა ერთბაშად შეიცვალა და უკვე დეტალურად დაგვიწყო გამოკითხვა სადა და რა ადგილას მოხდა ეგ ყველაფერიო.

გამზნევებულები იმით, რომ ჩვენი უკვე სჯეროდათ, დაეწყეთ თითოეული ბილიკის, ქვისა და კლდის აღწერა. ის ადგილი, სადაც ჩვენ გამყოლი დავტოვეთ, მთლად წვრილმანი დეტალებითაც კი აღწერეთ.

— ჰო, ეგ საზღვრიდან შორსაა. —

უკმაყოფილოდ გააჭნია თავი ზორბამ.

— თქვენ მესაზღვრებებს ხელში ვერ



ჩაუვარდით მხოლოდ იმიტომ, რომ იმ ღამეს იქ დიდი მეწყერი ჩამოწვა.

მერე მან თურქულად აღესნა ორ დანარჩენს მომხდარი ამბავი, და ისინიც თავის მხრივ გამყოლის მისამართით უკმაყოფილოდ აქნევდნენ თავებს.

მგონი ახლა ყველაფერი რიგზე იყო, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობდი. ზორბა კი ამ დროს თავით ფეხებამდე გვათვალეირებდა და მის შავ, ბაღნით მოღებულ წითელ სახეს დამცინავი ღიმილი გადაეფარა.

— ჩვენ კი იქიდან ვადმოგვეცეს, რომ ტერორისტები ხართ... და საზღვარი ჩვენს დასახოცად ვადმოლაზეთ. ხა, ხა, ხა! — ზორბა ისე ხარხარებდა, რომ ფანჯრის მინები აზანზარდა. ხარხარებდა მისი ორივე დამქაშიც, რომლებიც სულის მოთქმისას დამცინავად გადმოგვხედავდნენ ხოლმე და მერე უფრო, უმატებდნენ ხარხარს.

ეს აგდებული სიცილი იმდენად საწყენი იყო, რომ მე გულით ენანობდი, რატომ ნამდვილად არ ვიყავი ტერორისტი.

ბიჭებიდან მხოლოდ სტეპკო იცინოდა, ლაქუციით შეკუყრებდა თურქებს თვალეში და ჩერდებოდა მაშინ, როდესაც ისინი ჩუმდებოდნენ.

ომარი გულისყურით მისჩერებოდა ერთ წერტილს და რაღაცაზე დამაბული ფიქრობდა.

— ბოლშევიკებმა მამა დამიხვრიტეს. — მოულოდნელად თქვა მან. როდესაც სიცილი ცოტა შენელდა.

მე ვიცოდი, რომ მამამისმა თავი მოიკლა და გაკვირვებით შევხედე ომარს.

— მაგრამ შურს ვიძიებ! — ბოროტი გადაწყვეტილებით დაუმატა მან.

— აჰა!.. — თქვა ზორბამ და კითხვის თვლით შემოგვხედა ტოგოს, სტეპკოსა და მე.

მე მხრები ავიჩეჩე, არ მინდოდა ამ კომპანიაში მამაჩემზე ლაპარაკი.

— ამის მამა ცნობილი ინჟინერი იყო. მაგრამ მოკვდა. — თქვა ტოგომ.

— მამაშენი? — შეეკითხა ზორბა.

— ის რკინიგზაზე მუშაობს... და არ

იციოდა, რომ გამოქცევას ვაპირებდი.

— გულწრფელად გამბრწყინებოდა.

ამის შემდეგ ჩამოვარდნილმა სტეპკო, განაწყენებული, რომ მას არაფერს ეკითხებოდნენ.

— მამაჩემიც დახვრიტეს... — სხაპასხუბით დაიწყო სტეპკომ. — მდიდარი კამერსანტი იყო, საზღვარგარეთთან ვაჭრობდა. მე კი ვეღარ შევძელი ბოლშევიკებთან ცხოვრება... და გამოვიქციე. — უკვე ტრაგიკული ტონით დაასრულა მან.

მე იმდენად საზიზღრად მომეჩვენა მოსმენილი, რომ ჯერ დავიბნეი, მაგრამ შემდეგ გავეფიქრე, ესენი, ჩემზე უფრო ეშმაკები ყოფილან-მეთქი. ამას ამტკიცებდა ისიც, რომ ჩვენ ახლა უკვე აშკარად მოვწონდით ზორბას, რომელიც მეგობრული ფამილარობით გვიყურებდა და ერთ-ერთი თავისი დამქაში რაღაცაზე გაგზავნა.

ვიდრე ის ფანჯარაში გადაძვრა და რამდენიმე წუთის შემდეგ იმავე გზით დაბრუნდა ზორბამ გვამცნო, რომ ის მთელ საზღვარზე ცნობილი ყაჩაღი ყოფილა.

გულახდილად რომ ვთქვა, ვერ გავიგე, რა შუაში იყო აქ საზღვარი, მაგრამ შეკითხვა ვერ გავუბედე.

ხურჯინში, რომელიც ახალგაზრდამ მოიტანა, ეწყო ცხვრის მოხარშული ბარკალი, მშრალი ყაურმა, ძალიან გემრიელი თაღი პური და არაყი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ უკვე ვჭეფობდით იმ ხალხთან, რომელიც ჩვენს ამოსაწყვეტად მოვიდა.

არაყი ძალიან მაგარი იყო, ყველა დათვევრით, ყველაზე მეტს კი ლაპარაკობდა, უფრო სწორად, ტრაბახობდა ზორბა. მისი თქმით, იგი გადადიოდა საზღვარს და საბჭოთა ტერიტორიაზე ხოცავდა ყველას, ვისაც კი ქულზე წითელი ვარსკვლავი ჰქონდა... მოსწავლეებსაც კი...

ნუთუ ეს მართალი იყო?

თუმცა მისი ვეებერთელა დინგი ხანდახან ორად მეჩვენებოდა ხოლმე, მაგ-

რამ მე მინც ვცდილობდი უფრო ყუ-  
რადღებით შემესწავლა.

არა, ეს არ იყო არც მადლიანი ტა-  
რასკონელი ტარტარენი და არც სიმპა-  
თიური ფანტაზიორი სვიატოსლავ ინო-  
კენტოვიჩი.

ეს იყო რევენი და გაბოროტებული  
პრიმიტივი, რომელიც ვილაციის ნაქარ-  
ნახევ როლს თამაშობდა. ერთადერთ  
როლს, რომლის თამაშიც კი მას შეეძ-  
ლო.

აღბათ იმითომ, რომ ამდენჯერ უნ-  
დოდან ჩემი მოკვლა, ახლა მე თვითონ  
გამიჩნდა ადამიანის მოკვლის საოცარი  
სურვილი... და ჩემი მსხვერპლი აუცი-  
ლებლად ეს კრეტინი უნდა ყოფილიყო.  
გულადობისათვის გამოვცალე ჩემი  
არყის ჭიქა, მერე ტოგოსი და ზედ სტე-  
პკოსიც მივაყოლე. ახლა ზორბა არა მა-  
რტო ორად მეჩვენებოდა. არამედ ქა-  
ნაობდა კიდევც.

რასაკვირველია, ზორბასთვის უნდა  
გამერტყა... მაგრამ ამისთვის გამბუდა-  
ობა არ მეყო. ის იქვე, ადგილზევე მი-  
მაკლავდა.

— თფუ, რა საზიზრობაა ყველაფე-  
რი! — ვთქვი და ნაშაზე გადაწოლილ-  
მა თვალები დავხუჭე.

— რა თქვა? — გავიგონე ზორბას  
ხმა.

— ძალიან ბევრი ძალია, — უპასუ-  
ხა ტოგომ. — ჩვენი ყველა ჭიქა ამან  
გამოწრუბა.

— მანამდეც ყოველ ჭიქას ცლიდა.  
— დაუმტა სტეპკომ.

კვლავ აგუგუნდა ზორბას ბოხი ხმა...  
მე კი საღდაც უფსკრულში ვიძირებო-  
დი.

როგორ გადაძვრნენ ისინი ფანჯარა-  
ში, მე უკვე აღარ მახსოვს.

დილით საშინელი თავისტიკივლით  
გამელეიმა. ბიჭები შინ არ იყვნენ, ოთა-  
ხი კი უპატრონო ბოსელს ჰგავდა.

ყავახანაში ბიჭები ცარიელ ფინჯნებს  
უსხდნენ, მეპატრონე კი დაბლის იჭი-  
დან ზელების დახმარებით ამათ ელაპა-  
რაკებოდა.

— თორმეტ საათზე ყაზარმაში

უნდა ვიყოთ. — მითხრა ტოგომ. —  
აღბათ სასამართლო იქნება.

— მადლობა ღმერთს, ეს ხალხი მტვერ  
რომელი საათია?

— თერთმეტი.

მეპატრონე დახლიდან გამოვიდა, ფა-  
ნჯრიდან გახედა კიბეს და ქურჩას და  
მერე ჩემთან მოვიდა.

— ზვალ თქვენ ყარსში გაგამგზავ-  
რებენ, შენ კი, ჭერჯერობით ფრანკი-  
ლად უნდა იყო. — მითხრა მან.

— რატომ?

— დილას, როცა თქვენ ყველას გე-  
ძინათ, მოვიდა ის სულელი დურდუ.  
მისი ბავშვი, რომელსაც შენ მკურნა-  
ლობდი, მოკვდარა... გოგრის თესლი  
ვერ მოუნელებია.

თავბრუ დამეხვა და იძულებული  
გავხდი დაემჯდარიყავი.

ბიჭები უკვე საქმის კურსში იყვნენ  
და მღუმარედ შემომცქეროდნენ.

— ამბობდა, რომ შვილი შენ მოუ-  
კალი. ბიჭი განუწყვეტლივ გოგრის თე-  
სლის ჩენჩოს ალებინებდაო.

— ღმერთო ჩემო, აკი ავუხსენი,  
ბავშვისთვის თესლი მოუხალავი ეჭმიათ,  
ჩენჩოიანი კი არ მითქვამს.

— არაუშავს, ასე ჯობია ბავშვისთვი-  
საც და მშობლებისთვისაც... — დამი-  
წყო დამშვიდება მეპატრონემ. — იმ  
სულელმა ხანჭალი იძრო, მაგრამ მე...

— მეპატრონემ დაამრგვალა თვალები,  
რომლებიც ახლა ძალზე სიმპათიური  
მეჩვენა და დამანახვა შარვლის ჭიბიდან  
ამოჩრილი რევოლვერის ტარი. — მე  
ვუთხარი, იმათ კართან ახლოსაც რომ  
მიხვიდე, ძალივით მიგაკლავ-მეთქი.

— ძალიან კარგი ადამიანი ყოფი-  
ლა. — ხმამალლა თქვა სტეპკომ და  
მეპატრონისკენ მიმიითთა.

— თქვენი დიდი მადლობელი ვარ. —  
ვუთხარი მეპატრონეს.

— მადლობელი მე ვარ შენი! — მი-  
პასუხა მან, დაახამხამა თვალები და  
მიტრიალდა, მერე მაყალს მიუახლოვ-  
და, იჭიდან პატარა ქვაბი გადმოდგა და  
ფინჯანში ყავა დამისხა.

— თქვენ მე სიკვდილს ვედამარჩი-

ნეთ! — ცოტა მაღალფარდოვნად ვუთხარი მე, თან საკუთარ თავს ფრიად მნიშვნელოვან პერსონად ვგაჩნობდი.

— შენ მე აღამიანად მაქციე... ვისაც არ განუცდია, რა იცის რას ნიშნავს თვალების გამუდმებული ტკივილი. — და გულაჩუყებული ხელზე კოცნას მიპირებდა.

მე ერთბაშად ვერ მივხვდი რა უნდოდა, მერე ხელი გავითავისუფლე და თვითონ ვაკოცე.

არ ვიცი, როგორ ავხსნა, მაგრამ მეპატრონე ჩემთვის ძალიან ახლობელი და ძვირფასი გახდა. ალბათ, ექიმებსაც ასე უყვართ თავიანთი გადარჩენილი აღამიანები.

თორმეტ საათზე ჩვენს წასაყვანად ასკერი მოვიდა და ყაზარმაში წაყვდიოთ. მართალია, არავითარი ხიფათი არ გველოდა, მაგრამ მაინც ვღელავდით. გზაში გადავწყვიტეთ, რომ თავი ღირსებით დაგვეპირა.

სოფელში გასვლისას აქეთ-იქით შიშით ვიყურებოდით, მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ, ის მეფისტოფელის მსგავსი დურღუ არსად შემინიშნავს.

ამაყად ჩავუარეთ საყარაულოს ჯიხურს, მერე მწყობრში მდგარ ფორმაში გამოწყობილ ასკერებს და გავჩერდით სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლების ჯგუფიდან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით.

ჯგუფის ცენტრში ყაიმყაიმი იდვა და ზურგზე ხელზე შემოწყობილი მღუმარედ ელოდა.

ჩვენ რომ დაგვინახა, თავი ოდნავ დაგვიქნია, რითაც გაგვაგებინა, რომ იქ ვმდგარიყავით.

მწყობრში მდგარ ასკერებს შევხედეთ. ისინი გაშეშებულნი იდგნენ, ერთმანეთს ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ და როცა კაპრალი ჩაუვლიდა ხოლმე, ჩუმდებოდნენ.

ბოლოს, ყაზარმის კარებში გამოჩნდა მაიორი, ახლა უკვე თავისი განუყრელი სტეკის გარეშე და გაისმა კაპრალის ხმადაღალი წამოყვირება — სმენა!

მაიორი ცერემონიალურად მივიდა

ყაიმყაიმთან, ხელი ჩამოართვა, ხოლო დანარჩენებს სამხედრო კალომეტი მიცა. მაიორმა აღმაცურე და ხანჯალს მივი მზერით გადმოგვხედა, მერე მედიდურად მივიდა მწყობრში გაქმულ ასკერებთან და რაღაცა ბრძანება გასცა.

თორმეტი ასკერი მწყობრიდან სამი ნაბიჯით წინ გამოვიდა, მარჯვნივ შეტრიალდა და კაპრალის წინამძღოლობით გასწვია საპატიმროს მიმართულებით, რომელიც შორს, ქვევით, ეზოს შორეულ კუთხეში იყო.

მაიორი შუა ეზოში კეისრის პოზაში დადგა და პატიმრების მოყვანას ელოდა.

ჩვენ კი რარიგ არ ვცდილობდით შეგვენარჩუნებინა ღირსება, მაინც ერთობ შებოქილი ვიყავით და საცოდავი შესახედაობა გვქონდა.

ეტყობა, საპატიმროში ჰასანსა და მისი დამჭაშების გარდა არავინ იყო რადგან საპატიმროს კარი ისევ ღია დეტოვს.

ჰასანი თავის ტანდაბალ დამჭაშებს შუა გამომწვევად მოდიოდა, ერთ ზოლად ჰქონდა ცხვირი, ნიკაპი და ხეანი.

სამივე ქამარმოხსნილი, ფეხშიშველი, გაუპარსავი და ჭუჭყიანი იყო!

ალბათ როგორ იწყევლიდნენ თავს, რომ მაშინ იქ, მთებში არ მოგვიღეს ბოლო.

ერთ პოზაში გაყინული მაიორი ჯერ ელოდა ვიდრე პატიმრებს მთლად ახლოს მიუყვანდნენ, მერე შემზარავი ყვირილითა და ხელების ქნევით ამცნო ყველას თავისი აღშფოთება... და თვითვე ასკერს ალიყურიც კი გააწნა.

ორივე ასკერი ძალღური მორჩილებით შეჰყურებდა მაიორს, და მხოლოდ ჰასანმა ააუღვარა გუბები, რომ თვალი აერიდებინა თავისი უფროსისა და თანამონაწილისათვის.

საოცარი შესახედაობისანი იყვნენ მწყობრში მდგარი ასკერები, სახეები ისეთი მკაცრი და დამბული ჰქონდათ, თითქოს თავიანთ მებრძოლ ამხანაგებს ასაფლავედნენ.

მაიორმა რაღაცა ახალი განკარგულება გასცა და მიწვეულებისკენ ზურგმუქცეულმა ხელთათმნების ჩაცმა დაიწყო.

პასანი და მისი ორი მეგობარი მიწაზე ზურგით დააწვივნეს, შიშველი ფეხები შეუწყეს შაშხანებზე, რომელთა ლულეები და კონდახები ორივე მხარეს ორ-ორ ასკერს ეკირა. ასკერებმა შაშხანებს მწვადებაცმულ შამფურებივით ტრიალი დაუწყეს და შემოხვეულმა თასმამ თანდათან მჭიდროდ მიაკრა დამნაშავეთა ფეხები ზედ შაშხანის შუაზე.

შემდეგ ჯარისკაცები გასწორდნენ, შაშხანები მკერდის სიმაღლეზე აიტანეს და ჩვენი სამი მძარცველი მხოლოდ ბეჭებითა და კეფითა ეხებოდა მიწას.

სასაცილოდ აშვერილიყო ჰაერში სამი წყვილი შიშველი, ყვითელი და გაუხეშებული ფეხის ტერფი... და უეცრად გამახსენდა ჩემი სტუდენტობა, პროზექტურა... და მკვდრების მოიხსნო-მოხვითალო ტერფები...

— რა გემართება, ოთარ? — ჩურჩულით მკითხა ტოგომ.

— არაფერი, იქნებ გგონია, რომ შენ ჩემზე უკეთ გამოიყურები?

— ჰო, უსიამოვნოა... — თქვა ტიგომ.

მე სტეპკოსა და ომარს შევხედე. სტეპკო ტუჩებს იკნეტდა, წარბები ზედ შუბლზე ასვლოდა, ომარი კი ძალზე გაფითრებულიყო და ცხვირის წვერი ჩვეულებრივზე უფრო მეტად გასწითლებოდა.

ახლა, თითოეული წყვილი შიშველი ფეხის წინ იდგა ორ-ორი ჯარისკაცი როზგებით ხელში და ელოდა ბრძანებას.

— ა.ა.ათ! — წამოიყვირა კაპრალმა, როგორც კი დაინახა მაიორის ოდნავ შესამჩნევი თავის დაქნევა და როზგების ზუილია ჰაერი გააპო.

ძლიერი მოქნევით რიგრიგობით და მეტად მარჯვედ ურტყამდნენ ჯარისკაცები შიშველ ტერფებზე... და ტიკილისისაგან იკლავებოდნენ ჰაერში ნახევრად ჩამოკიდებული დასჯილები.

— ა.ა.ათ!.. ა.ა.ათ!.. ა.ა.ათ!.. — უფრო

და უფრო ხმამაღლა, თითქოს აზარტში შესული იმეორებდა კაპრალმა:

თუმცა მაზიდებდა, მგერამ-მგერამ ვერ ვაშორებდი თვალს ტიკილები-საგან დაღრეჯილ პასანის სახეს, და განსაკუთრებით მის დიდ პირს, ხან ძაბრით წინ წამოწყულს, ხან ყურებადღე დაღებულს, და ხან კი მჭიდროდ მოკუმულს, როდესაც იგი კენისის შეკავებას ცდილობდა.

დარტყმათა რაოდენობა ალბათ წინასწარ იყო განსაზღვრული, რადგან ექვსივე როზგებიანი ასკერი ერთდროულად შეჩერდა, მეორე ექვსმა კი შაშხანების ტრიალა დაიწყო, რომ დამნაშავეთა ფეხები გაეთავისუფლებინათ.

მაიორი ღიმილით მიუახლოვდა ყაიმ-აყამს და გამოეღლაპარაკა.

მე კი თვალყურს ვადევნებდი პასანსა და მის დამქაშებს. ისინი დიდი გაკირვებით წამოდგნენ, ვაივავალახით გადაჰქონდათ სხეულის სიმძიმე ერთი დაშავებული ფეხიდან მეორეზე და უშნოდ მზრებბარქილები ყაზარმისკენ გაემართნენ.

ეგზეკუცია ჩატარებული „მართმსაჯულების“ უკანასკნელი საფეხური გახლდათ და ისინი თავისუფლები იყვნენ. ყაიმ-აყამმა თითის დაქნევით მიგვიხმო.

— ხვალ, დილის რვა საათზე ყარსში გამგზავრებით. — გვითხრა მან. — მაიორი დაცვას გამოგიყოფთ ეანდარმერის პირველ პუნქტამდე.

დასტურის ნიშნად მაიორმა უსიტყვოდ დააქნია თავი.

ჩვენთან ყველაფერი მოთავებული იყო. წასვლაზე ერთი ხანობა შევყოყმანდით იმის მოლოდინში, რომ კიდევ რაღაცას გვეტყოდნენ, მერე კი გასასვლელისაკენ გავწიეთ.

როდესაც ალაყადის კარში გავედით, ეკლისმავთულიანი ღობის იქით გავიხედე. მაიორი და ყაიმ-აყამი პლაცის შუაში იდგნენ და როგორც ძველი, გულითადი მეგობრები, რაღაცაზე ძალიან მზიარულად მუსაიფობდნენ.

— არა, მინც რომელია მოიგო, ყაიმ-აყამმა თუ მაიორმა? — მკითხა

ტოგონ, როცა შეამჩნია საით ვიყურებოდი.

ბასუბი რომ არ მიიღო, ნაბიჯს უმატა და ომარსა და სტეპკოს წამოეწია.

ყავახანაში დავბრუნდით რაღაც გაუჩვეველი განწყობილებით. არც ერთ ჩვენთაგანს სიტყვა არ დაუძრავს ჩვენს თვალწინ მომხდარ მართლმსაჯულებასზე. მეპატრონემ უკვე ყველაფერი იცოდა და ალბათ ჩვენთვის, რადგან კლიენტები ჯერ არ იყვნენ, პატეფონი მომართა.

ცოტა ხნის შემდეგ იგი საზეიმო გამომეტყველებით მომიახლოვდა, უბიდან ამოიღო ორი წყვილი მატყლის წინდა და მაგიდაზე დამიდო.

მე შეუხერხულა, მინდოდა საფასური გადამეხადა, მაგრამ ძალიან იწყინა.

— გზაში ძალიან გამოვადგება. — ცდილობდა წყენა დაეფარა, ისე მითხრა მან, — და კიდევ იცი რა... გზაში, შიმშილით რომ კვდებოდეთ კიდევ, არავის არ დაანახოთ, რომ ფული გაქვთ!

— რატომ? — აღშფოთდა ქამრის მაგრად მოჭერით მოპებრებული სტეპკო.

— იმიტომ, რომ მაგ ფულით შეიძლება იყიდოთ ძროხა, ცხენი... სახლიც კი... ხალხი კი, რომ იცოდეთ, ძალიან...

ყველაფერი გასაგებზე გასაგები იყო. ჩვენ ოთახში შევედით, რომ უფრო ეშმაკურად მიგვეკერებინა ფარული ჯიბეები.

შემდეგ ომარი და ტოგო წავიდნენ თავისთვის მატყლის წინდების საყიდლად, როდესაც ნახეს, რომ მეპატრონის ნაჩუქარი წინდებიდან ერთი წყვილი სტეპკოს მივეცა.

სალამოთი კი ეს საზიზღარი ამბავი მოხდა.

უკვე რამდენჯერმე დავებმარეთ ჩვენ ყავახანის ზოგიერთ მუშტარს ოფიციალური ქაღალდების შედგენაში.

მუსტაფა ქემალ ფაშას მიერ შემოღებულ მრავალ რეფორმათა შორის, თურქული ანბანის ლათინურზე გადასვლაც იყო. ლათინური ანბანის სწავლება ყველაზე მეტად უყვარდა ტოგოს. ეს მას საკუთარ თვალში ერთგვარად მაღლა

სწევდა და ალბათ პედაგოგიური მიდრეკილებაც ჰქონდა.

და აი, სალამოთი ივერტაქჩაქი ყოფილხარ იქდა, იმ ოთხ მუდმივ სტუმართან ერთად, რომელთა მკურნალობაზე მე უარი განეაცხადე, და რაღაცა ქაღალდის შედგენაში ეხმარებოდა.

ჩვენ სამივე კი ყავახანაში ადგილს ვერ ვპოულობდით, აქეთ-იქით დავდიოდით, ვუყურებდით რა აზარტით არტყამდნენ მოთამაშენი გაბოხილ კარტებს მაგიდაზე და ხვალინდელ დღეზე ვფიქრობდით.

ვეროპაში გამგზავრებამდე რაღაცა საათებილა გექონდა დარჩენილი... და, თუმცა ვეროპა თითოეულ ჩვენგანს თავისებურად ჰქონდა წარმოდგენილი, იგი მაინც მთელი ჩვენი სურვილების კულმინაცია იყო.

როდესაც პატარა ოთახიდან აღშფოთების ხმა შემოგვესმა, მე ჯერ კიდევ ვერაფერს მივხვდი და ირგვლივ მყოფთ გადავხედე. კარტის მოთამაშენი რატომღაც ორაზროვნად ილიმებოდნენ, მეპატრონე კი დახლის იქიდან მოძვრებოდა და თავს უქამყოფილოდ აქნევდა.

მაგრამ როდესაც მოგვესმა ჩხუბში ჩართული ტოგოს ბრახმორეული ყვირილი, ჩვენ ყველა პატარა ოთახს ვეცით.

იმ ოთახიდან ყველაზე სქელი შუა ოთახში იდგა და გასისხლიანებულ ცხვირზე ხელის გული მიეფარებინა, კუთხეში კი გააფთრებით ტოგო ხტოდა და ხელებს აქნევდა, რომ მისწვდომოდა და ნარჩენ სამს, რომლებიც მაგიდას ამოფარებოდნენ.

იატაკზე ცარიელი ბოთლი და დამტვრეული ჭიქები ეყარა.

ტოგოს ხელი ვტაცეთ და ოთახიდან გამოვიყვანეთ. გაცოფებას მისთვის ღონე გაეთყეცებინა და ჩვენ დიდი გაჭირვებით გავათრიეთ იგი მთელი ყავახანის ფართობზე. მე ის მაინც შევნიშნე, რომ ყავახანის კლიენტები ახლა ორაზროვნად უკვე აღარ ილიმებოდნენ.

ოთახში შეყვანისას ტოგოს ხელი გავუშვით მაგრამ მაინც კარებში მოგვიხ-

და ჩადგომა, რადგან იგი კვლავ უკან, საჩხუბრად მიიწევდა.

— რა მოხდა, ტოგო?

— უპ, ეგ საზოზრები... უპ, ეგ გათახსირებულები!...

— პა, თქვი, რა მოხდა, ბიჭო, რა?

— ისინი... მე მათ ლათინურ ანბანს ვასწავლიდი, იმათ კი... — წყენისაგან ტოგოს ცრემლები წამოუვიდა, — იმათ უნდოდათ მე... ნუთუ მე იმნაირს ვგავარ, იმნაირს?... — და პატარა ბავშვივით ხმამაღლა ატირდა.

თვალეში წითელი წრეები ამითამაშდა. კარს ვეცი და ყავახანაში შევევარდი. ომარი და სტეპო უკან გამოყენენ.

კლიენტები ხელისკვრით გზიდან ჩამოვიცილე და პატარა ოთახს ვეცი. იქ აღარავინ იყო.

— უკვე წავიდნენ. — მითხრა მეპატრონემ, რომელიც ბოთლის ნამტვრევებს კრფდა.

დაძაბულებმა და მრისხანედ თვალბგადმოკარკულულებმა ჩამოვარდნილ სიჩუმეში გავიარეთ ყავახანა და ჩვენს ოთახში დავბრუნდით.

ერთი კი შეეხედეთ ყუთზე მჭადარ ტოგოს... და ხმამაღლებლივ ძილისათვის მზადება დაეიწყეთ.

— ეპ!.. — კვენსასავით აღმოხდა ტოგოს. — რა იდიოტი ვარ!

— იმიტომ, რომ გაკვეთილებს აძლევდი? — რაც შეიძლება უფრო დასამშვიდებლად ვკითხე მე.

— არა... საერთოდ...

უკვე ოთხი დღეა გზაში ვართ. შარაგზებს, და ხანდახან ბილიკებს, საღამოხანს მივყავართ ხოლმე რომელიმე უმწიო სოფელში, რომელიც ტყეში ძმასავით ჰგავს იმას, საიდანაც დილას წამოვედით.

მიუხედავად აღმამფოთებელი სიღატაკისა, გლეხები, როგორც კი გაიგებენ ხოლმე ჩვენი თანმზლები ჯარისკაცისაგან, რომ ქართველები ვართ, საოცარი გულითადობით გვხვდებიან.

თითქმის ყველა, უკლებლივ, გვთავაზობს თავის ქერსა და საჭმელს. ეს მეტ-

წილად ქერის სალაფავი და ჭვავის ბურია

გარკინული

ხანდახან კარაქიც არის ზოლმე, კაცილებლად შეზავებული მუმიადქცეული რწყილებით, რომლებიც შავ წერტილებად გამოირჩევიან კარაქის ყვითელ მასაში. ახლა კი ჩემთვის საესეებით გასაგებია, ბუნებამ რატომ მიანიჭა მათ ასეთი მეტი ფერი.

გვძინავს ხოლმე პირდაპირ მიწაზე, იქვე, შუაეცხლთან. აქ ყველას შეუძლია გახდეს ხელოსანი — მეღუმელე, ამისათვის საკმარისია მხოლოდ ჭერში კვადრატული ხერელის ამოჭრის ცოდნა. კვამლი იმ ხერელში გადის, მაგრამ მანამდე კი მთელი მიწური იესება ხოლმე სქელი, თვალისმწველ და მადრჩობელა ბოლით.

ჩვენ ვისწავლეთ მიწურში შესვლისთანავე ჩაცუცქება — ჭვედა ფენებში ატმოსფერო უფრო ასატანია. ალბათ ზოგიერთ თევზს რომ აღამიანის გონება ჰქონოდა, და ჩვენი სტრატოგემა გამოეყენებინა, მაშინ ჭვეყანაზე აღარ იქნებოდა არც შებოლილი ჭამაყი და არც ზურგიელი.

მთელი დღე ყინვაში სიარულის შემდეგ სითბო ჩვენზე ისე დამასუსტებლად მოქმედებს, რომ ხელ-ფეხი გვერთმევა. საუბედუროდ, სითბო სრულიად საწინააღმდეგოდ მოქმედებს მკბენარებზე. ისინი გაორკეცებული ენერგიით გადმოდიან იერიშზე და სრულებით ავიწყდებათ იმ უმადურებს ჩვენი ამაგი, რომ მთელი დღე თან ვათრევთ. მერე მათ დასახმარებლად ადგილობრივი ტომის მოდგამათა მთელი ურდოები მოდიან ხოლმე. მეტადრე მაშინ, როდესაც ქვეშ გასაშლელად ცხერის ტყავებს გვაძლევენ... მაგრამ ჩვენ ისეთი დალილები ვართ ხოლმე...

როგორც ქანცამოლეულ ფოსტის ცხენებს უნაცვლებენ, ისე გვინაცვლებენ ჩვენს თანხლებ ჯარისკაცებს.

ზოგიერთ სოფელს ჰყავს უფლებებით მოსილი და შამხანით მომარაგებული

თავისი კაცი, რომელიც ერთი ან ორი დღით ჩვენი მცველი ხდება.

ჭერჭერობით მხოლოდ პირველი მცველი გამოგვადგა ტლანქი და ავი. ალბათ, მაიორმა ჩვენთვის სპეციალურად ამოარჩია ყველაზე ბოროტი.

თავიდანვე, როგორც კი სოფლიდან გამოვედით, მცველმა დაგვიწყო ყვირილი, ხელების ქნევა და შაშხანითაც გვემუქრებოდა, როდესაც რომელიმე ჩვენგანი შეჩერდებოდა ხოლმე სულ უბრალო საჭიროებისათვისაც კი.

ასე, სასიკვდილოდ განწირულებივით მივდიოდით მთელი ნახევარი დღე. დღის მეორე ნახევარში ჩვენი მცველი ძალიან ჩამოგვჩა, ვაი-ვაგლახით ადგამდა მძიმე ფეხსაცმელიან ფეხებს.

შემდეგ იგი შეჩერდა და სცადა ჩვენთან გამოლაპარაკება, მაგრამ არც ტოგომ და არც მე პასუხის ღირსი არ გავხადეთ. მაშინ ომარს მიმართა, მაგრამ ასევე უშედეგოდ. თურქული ენის ყველაზე ცუდად მცოდნე ომარს მისი არაფერი ესმოდა. ბოლოს სტეპკომ, როგორც იქნა, დაუკმაყოფილა ადამიანური ურთიერთობის სურვილი.

სალამო ხანს მცველი დამბლადაცემულივით მოლაცლაცებდა, მაშინ, როდესაც ჩვენ ჯერ კიდევ მხნედ მივაბიჯებდით ჩვენი მსუბუქი ქალამნებით.

— ახია ამ საზოლარზე!... — თქვა ბოროტად ომარმა, როდესაც მცველი უკვე რამდენჯერმე შეჩერდა და ჩამოღებულ შაშხანას დაეყრდნო.

— ამათი ყაზარმული კვებით მეტს ვერაფერს მოსთხოვ. — ეთქვი მე.

— ცხოვრებაში ყველაფერი ერთიმეორეზეა დამოკიდებული, — ჰკვიანურად აღნიშნა ტოგომ.

მარტო სტეპკო იყო მცველის გავლენის ქვეშ მოქცეული და მასთან ერთად უკან გვრჩებოდა.

როდესაც დაუსრულებელი აღმართი დაიწყო, ტოგომ მითხრა, რომ მოვტრიალებულიყავი.

მცველი და სტეპკო ძალიან შორს

ჩამოგვრჩნენ და სტეპკოს მხარზე შაშხანა ეკიდა.

კიდევ რამდენიმე წინს შეიღებ სტეპკო მთლად ჩამოგვშორდა და მცველმა მოგვაძახა შეეჩერებულებო.

— რა მძიმეა ეს წყველი თოფი! — სულის მოთქმით წარმოთქვა მოახლოებულმა სტეპკომ.

— შენ რას უძერები ამ ღორს! — თავით ეანიშნე ორი ნაბიჯით დაცილებელ ასკერზე.

— ჩაძალდეს, მაგისი!.. — ზიზლით შეხედა ტოგომ მცველს. — მაგის გულისათვის, დილას... კინაღამ შარვალი დავისველე... კიდევ კარგი, რომ მოვი საზრე, სიარულის დრას...

მცველი ქვეშევშე გვიყურებდა და, რაღა თქმა უნდა, ხვდებოდა, რომ მას ელანძღავდით.

მან უკვე დააპირა თავისი დილანდელი ნომრების გამეორება, მრისხანედ შექმუნა წარბები და პირი მობრიცა... მაგრამ თავი შეიკავა — სტეპკოს მხარზე გადაკიდებული შაშხანა ჩვენთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე მასთან და, თანაც ფეხზეც ძლივს იდგა.

ჩვენ კვლავ გზას შეეუღლებით, თავში კი სხვადანსხვა აზრი მიტრიალებდა.

მართლაც რა შეუსაბამობაა. ყველაზე უვარგისს, მხოლოდ იმიტომ, რომ მას ხელში იარაღი უჭირავს, შეუძლია დანარჩენებს მოექცეს ისე, როგორც მოეპრიალებო... და ასე მოდის დასაბამიდანვე... ასევე დასაბამიდანვე თავისი ეპოქის მოწინავე ადამიანები ამოდ აღგენდნენ განუზოროცილებელ გეგმებს. ასეთ მოვლენებთან შესაბამისობადად... მე კი ვიპოვე, ვიპოვე ყველაზე სწორი საშუალება: პლანეტის თითოეული მცხოვრები თავით-ფეხებამდე უნდა შეაიარაღო... და მაშინ ეელარაგინ გაბედავს ახლობლის წყენას! ადამიანებს ხომ აბუნჩად მხოლოდ მაშინ იგდებენ, როდესაც თავს მათზე ძლიერად გრძნობენ...

— დაცადეთ!.. — სტეპკო და მცვე-

ლი ძალდატანებული მოწადინებით გვიხლოვდებოდნენ.

— ოთარ, მე მეტი აღარ შემიძლია, ცოტა ხანს შენ ატარე ეს თოფი. — შემევედრა სტეპკო.

— ასე მოგიხდება, შე ლაქიავ, შენა! — ვუთხარი მე. — მე კი მაგ საზიზღარს არ მივეხმარები!

— მომეცი — მოულოდნელად თქვა ომარმა, გამართვა სტეპკოს შაშხანა, მხარზე გადაიკიდა და ისე წავიდა ამაყად თავაწეული თავისი მოკლე ფეხის მიწაზე მხოლოდ ცერის შეხებით, რომ სასიამოვნო სანახავი იყო.

ამ ჩვეულებრივმა შაშხანამ მის ფიქიკაზე ისევე ამგზნებდალ იმოქმედა, როგორც მათრახის დარტყმამ დაქანცულ ცხენზე.

ამაყად აწეულმა ომარის თავმა გამახსენა, როგორც ეს ყოველთვის ხდება ხოლმე, სხვები... განა ასევე არ იბრძიებოდნენ მენშევიკების საშხედრო კომისარია ფასანაურში, და ინგლისელი; ფრანგი და გერმანელი ოფიცრები საქართველოს თავიანთი მორიგი ოქუპაციის დროს... და თუ გინდ ახლანდელი მილიციის უფროსი, ამაყად რომ მოლაჭებდა გრძელი, ვერცხლის ზარნიშით მორთული ხმლით, ვეებერთელა რევოლვერითა და მონურად დაუზარელი ადიუტანტით.

ალბათ ძალიან მოქმედებს შეზღუდულ ადამიანებზე ის უპირატესობის გრძნობა, რომელსაც მათი აზრით იარაღი ანიჭებთ... ასევე მახსოვს, როგორ არ მოსწონდა კომისარის ეს პრანკვაგრება „ახალს“ და ყველა პატიოსან ადამიანს.

თურმე მართალია, რომ ზოგიერთი ადამიანი რაღაცაში სულელ ბავშვად რჩება. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ამისთანა ადამიანები ხანდახან ახერხებენ დიდი თანამდებობის დაკავებას და ხალხის ტრაგეირებას.

სოფელში შესვლისას მცველმა ომარს შაშხანა გამოართვა და საოცარი ქედ-

მალღობით დაუწყო ლაპარაკი შემხვედრ გლეხებს.

ლაპარაკი შემხვედრ გლეხებს.  
თავითკაცი  
გლეხებს

— ერთი მითხარი, ოთარ, ნუთუ მე სომეხს ვგავარ?

— არა, რას ამბობ!.. ეს არის, რომ ცოტა შევეგერმანი ხარ. შენ უფრო ესპანელს გავხარ...

— კი მაგრამ, ესენი ხომ არ იცნობენ ესპანელებს... ქართველს განა არ ვგავარ?

— რა თქმა უნდა! მაგას არ უნდა ლაპარაკი!

გამხნეებულმა ომარმა ნაბიჯს უმატა და კოლონის თავში მოექცა.

უკვე ორჯერ, როდესაც სოფელში შევედით და მცველმა იჭაურებს აუხსნა, რომ ჩვენ ქართველები ვართ, გლეხებმა, როგორც ყოველთვის, სულგრძელად შემოგვთავაზეს საშემელი და ბინა ჩვენ სამს, გარდა ომარისა.

— ეგ სომეხია! — ამბობდნენ ისინი და ამით ყველაფერს ხსნიდნენ. დიდხანს და დამამცირებლად გვიხდებოდა გლეხების დარწმუნება, რომ ომარი წმინდა წყლის ქართველი იყო.

ასეთი კამათის დროს, პირდაპირ საცოდავი სანახავი იყო ოდნავ განზე მდგარი, ყველა თავის გრძნობებში გულნაკლული ომარი.

უკანასკნელი დღეები ჩვენ გავდივართ იმ ადგილებს, სადაც ადრე სომეხებიც ცხოვრობდნენ და სადაც მათსა და თურქებს შორის „სამხედრო შეტაკებები“ მოხდა, უბრალოდ რომ ეთქვათ — შუასაუკუნეობრივი ზოცვა-ქმობა...

თუმცა უქარო დღეა და ჩვენც სულ მოძრაობაში ვართ, მაინც ძალიან გვეცოვა გვეგონება ვიღაცას ისე მაგრად გაეებროს ეს დედამიწა, რომ ყოველ ფეხის დადგმაზე ზრიალს იწყებს.

ჰაერი საოცრად გამჭვირვალეა და ირგვლივ დიდ მანძილზე ყველაფერი ჩანს. ჩვენს წინ გაშლილა



შორს მიმავალი ღელე, ორივე მხარეს მოხსული მინდვრებით. სოფლის შარაგზა დახეული ბაფთის მსგავსად გაქიმულა მის ქვედა მარცხენა მხარეს და საბოლოოდ იყარგება დიდი ბორცვის უკან, რომლის გადაღმობიდანაც ცისკენ აზიდულან კვამლის ვიწრო სვეტები.

— აი, იქ, ჩემი სოფელია. — კვამლზე მითითებით გვეუბნება მცველი, და რატომღაც კმაყოფილებით იცინის.

ჩენი ღღევანდელი მცველი არა ჰგავს თავის წინამორბედებს. ეს გრძელფეხება, თქობებანიერი და მხრებვიწროა. აცვია მას ისე, როგორც თავისი სოფლის რაიმე სოციალური მდგომარეობის მქონე ყველა გლეხს, და თუ არა მხარზე გადაკიდებული ძველი ყაიდის რატომღაც ხიშტწამოცმული შაშხანა, არაფრით არა ჰგავს სამხედროს.

რაც მთავარია, ჩენი გამცილებელი ნამეტანი ყბედია.

— შაშხანაზე ხიშტი რატომ გაქვს წამოცმული? — ვკითხე მას.

— თუ მოხსენი, მერე ძალიან ჭირს გაკეთება.

მე გამეცინა და ალბათ სიჩუმისა და სუსხიანი ჰაერის გამო, ძალიან ხმაშაღლა გამომვიდა.

— ეს ხიშტი მთელს ამ ოლქშია ცნობილი!... — წყენით მიბასუხა მცველმა, რაღაც უცნაურად შემოატრიალა თავი და ცალი თვალით შეხედა მის ზურგს უკან ამოჩრილ ხიშტს.

მე ტუჩზე ვიკბინე, რომ კვლავ აღარ გამომსვლოდა ასეთი გამაყრუებელი სიცილი, მაგრამ მცველმა შემნიშნა.

— რას იცინი? — წყენით მკითხა მან.

რა საჭირო იყო ახსნა. მე მომავლანდა რაღაცა ძალიან შორეული და ხელი რომ არ შეეშალათ ჩემთვის, მცველსა და ბიჭებს ჩამოვრჩი.

ფასანაური... გრძელფეხება, ლამაზი მამლის მეთვალყურეობით ეზოში ფუსფუსებდნენ ნაირფერი, კოხტა ქათმები. ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ ან სასაცილოდ მისდევდნენ მოუხელთებელ პელებს ყვინჩილები და ამაოდ ცდილობ-

და კრუხი თავის ირგვლივ შემოგვრია დაფანტული ყვითელი წიწილები.

უეცრივ მზის სხივებით ჩაივლილ ეზოს ჯერის მსგავსი ჩრდილი გადაუვლის... ეს ქორია, ის მაღლიდანვე ირჩევს მსხვერპლს, რომ ჭვასავით დაეცეს რომელიმე ვარიას ან ყვინჩილას. ყველა ეზოდან ისმის მამლების გამაფრთხილებელი კიკვივი. შეშინებული ქათმების ისტერიული კრიახი და თავგადაკლული კუტკუტი კრუხისა, რომელიც თავის ფრთების ქვეშ აქუჩებს წიწილებს.

ახლა მამალი ნამეტანი გრძელი და სასაცილო ნაბიჯებით დადის ეზოში, უცნაურად ატრიალებს გაშეშებულ თავს და ცალი თვალით ცაში იყურება.

ისევე, როგორც აი ახლა შემოატრიალა თავი და შეხედა ხიშტს ჩვენმა მცველმა.

მახსოვს, მაშინ მამალი ძალიან სასაცილო იყო, მაგრამ, ახლა სრულებით არ მეცინება... მე მთელი სულით ჩემს ფასანაურში ვარ, რომელიც შეიძლება ვერასოდეს ვეღარ ვნახო...

— ეი, „ოლან“, — მითხრა მცველმა, რომელიც მიცდიდა, — შენ რა მთერლივით მოდობარ, თითქოს თვალწინ ვერაფერსა ხედავ!

— მე იქ ვიყავი, ფასანაურში...

— სადა?

— იქ, სადაც დავიბადე...

მცველმა მხრები აიჩეჩა და მე კვლავ ჩამოვრჩი მას.

ჰო... მაშინ, ბავშვობაში, ყველაზე ავი არსება დედამიწის ზურგზე ქორი მეგონა, რადგან ყველა ნადირი გალიაში იჯდა, ქორები კი თავისუფლად დაფრინავდნენ.

მახსოვს, რიყის ქვით ნაშენ დაბალ ღობეზე ვიჭექი, მამაჩემს ჩემს მხარზე ედო ხელი და ღობის იქით მდგარ მეზობელს, პაპა — დუშა გუდიაშვილს ელაპარაკებოდა.

სულ რაღაც ნახევარი საათის წინ, ქორს ვილაყის ეზოდან მაგრად ჩასუქებული ვარია მოეტაცა. ქორს მაღლა აფრენის თავი არა ჰქონდა და დიდხანს

დაბლა, არაგვსა და ბოსტნებს შუა, თითქმის ზედ მიწის პირზე მიფრინავდა. მე, ჩემი მეგობარი კოლა მელიქიშვილი და სხვა ბიჭები ყოყინით მოვდევდით ქორს იმის იმედით, რომ გავაგდებინებდით მსხვერპლს, მერე ქორმა აღიდებულ ი არაგვი გადასერა, ფრთებით თითქმის წყალსაც კი შეეხო და გაუჩინარდა შესუნა მინერალური წყაროს მახლობლად გაბარდნილ ნორჩ თხილნარში.

ქორისადმი სიძულვილით ყველაფერი გვითრთოდა და როგორც კი ნათელი გახდა, რომ ვარიას ველარაფრით ვუშველიდით, ჩვენ ერთმანეთს წავეჩხუბეთ.

— აი, წელან თქვენი თოფი რომ თან გქონოდათ... — უთხრა მამაჩემს დემა პაპამ.

— ჰო,ო... — რალაც უცნაურად წარმოთქვა მამამ. — იმიტომ, რომ თვითონ იცოცხლოს, ადამიანმა სხვას უნდა მოუსპოს სიცოცხლე...

— მაგრამ ქორმა რომ ქათამი შესაქმელად მოიტაცა! — ვუთხარი მე.

— განა შენ არ უამ ქათმის ხორცს? — ღიმილით შემეკითხა მამა.

— ჰო, მაგრამ მე...

— შენ რა? ჰა, რა? — ლამაზი კლარით შემოსილ დემა პაპას სახე მეტად სერიოზული ჰქონდა, და მხოლოდ შემდეგ, წვრილი ნაოჭები აუთამაშდა თვალების გარშემო, თავი ველარ შეიკავა და გაეცინა.

რა უცნაური მეჩვენებოდნენ მაშინ უფროსი ადამიანები!..

მერე დემა პაპამ გვიამბო, ერთხელ, თავის ახალგაზრდა ცოლთან უსიამოვნების შემდეგ როგორ გავიდა სახლიდან ქვის ვიწრო ორღობეში და ერთმანეთში მოჩხუბარი ქორი და მამალი დაინახა.

ორივე ზორბა იყო, მთლად სისხლში ამოგანგლულები და ისე იყვნენ ქანც-გამოლუღუნნი, რომ ფეხზე ძლივს იდგნენ... ჩხუბს კი მაინც განაგრძობდნენ... თითოეული მათგანი მოწინააღ-

მდეგზე იერიშის მიტანის შემდეგ ფრთებგაშლილი მიწაზე ეცემოდნენ!

— მერე ქორი ვერ დაიჭირეთ? — შევეკითხე მე.

— არა, მე ჩემი დარდი მანუხებდა... ქორს ფეხი ვკარი და გზა განვაგრძე... — თქვა დემა პაპამ.

მე გამტერებულმა შევხედე მამაჩემს, მან კი თვალით მანიშნა, რომ მერე ყველაფერს აგხსნიო.

— ჰო, მაგრამ მამალს ხომ მიხმარება სკირდებოდა! — მაინც ვერ მოვითმინე.

— სკირდებოდა და როგორ!... — სევდიანად წარმოთქვა დემა პაპამ. — მერე ბიჭებმა იქ მკედარი მამალი და ქორი იპოვეს... და მთელი დღე თოკგამომშულები ათრიეს ფასანაურში...

მოგონებაში წასული თითქმის ზედ წავაწყდი მცველსა და ბიჭებს, რომლებიც მელოდებოდნენ. ისინი გზაჯვარედინზე იდგნენ.

ის გზა, რომელიც მთავარი გზიდან მარცხნივ უხვევდა, დატკეპნილი და ნავალი იყო, მარჯვენა კი, ეტყობოდა, დიდი ხნის უვალი.

— ერთი ჰკითხე, იმ სოფელში რატომ არაიენ ცხოვრობს? — მითხრეს ბიჭებმა.

— რომელში? — მე ჯერ კიდევ ფასანაურში ვიყავი.

— აი, იმაში, მარჯვნივ.

მართლაც, მე დიდი ხანია შევნიშნე, რომელიდაც სოფელი, რომელიც დანარჩენებისაგან რალაციით განსხვავდებოდა, მაგრამ ისე შორს ვიყავი იქაურობიდან...

დავაკვირდი. ხვეის მარჯვენა ფერდობზე გაშლილი სოფელი განსხვავდებოდა ყველა აქამდე ნახული სოფლისაგან. ქვიტკირის კარგი სახლები ფანჯრებით, კარებით, დაქანებული სახურავებით და, რაც მთავარია, საქვამლე მიღებით.

მაგრამ რატომდაც მთელ სოფელში ყველა კარ-ფანჯარა აფიკრული იყო.

— იქ რატომ არაიენ არ ცხოვრობს?



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ორგულივ ხომ მიწები დამუშავებულა? — კვითხე მცველს.

— ეს მიწები, აი, იმ სოფლისაა, ჩვენია. — მცველმა მახვილი უკანასკნელ სიტყვას დაუსვა და ხევის მარცხენა ფერდობზე მიმითითა, სადაც თუ არა ამომავალი კვამლი, ვერც კი შეიმჩნეოდა უღიმღამო მიწურები.

— აი, ეს მხარე ჩვენი იყო... — მცველმა გრძელი ხელის წრიული მოძრაობით მიგვიითითა გზის მარცხენა მხარეს გაშლილ მინდვრებზე. — მარჯვენა კი, იმათი... სომხებისა. ჩვენსა და სომხებს შორის როცა ის ამბავი დაიწყო, მაშინ მთელ ჩვენს სოფელში ერთადერთი თოფი იყო. აი, ეს, ჩემი... ჩვენ ჩვენთვის ვიყავით... სომხების სოფლებიდან კი ყველა მამაკაცი გაკრეფილი იყო.

მერე ჩვენთან თოფიანი კაცი მოვიდა... შემედი ვრქვა სახელად და გვიამბო, თუ როგორ ელუტდნენ სომხები ჩვენებს. ადელდა ჩვენი სოფელი, და შემედის წინამძღოლობით წავედით სომხების იმ სოფელში... შეეკრიბეთ ყველა, ვინც კი იყო დარჩენილი და გავრეკეთ იქითკენ, სადაც ჩვენი ჯარები გვეგულებოდა... ერთი თოფიანი წინ მიუძღოდა, მეორე კი მათ უკან მისდევდა... პოდა, დანარჩენები კი, ხანჯლებით, ორთითებითა და ცულებით გვერდით მისდევდნენ.

მერე კი, გზაზე ჩვენების შეიარაღებული რაზმი შემოგვხვდა, ასე, ორმოცდაათ კაცამდე იქნებოდნენ... მათ შორის დაპირილებიც იყვნენ... და რომ ისეთი აღარაფერი მომხდარიყო, ამოვხოცეთ ყველანი, იქვე: გზაზე... მე, აი ამ ხიშტზე წამოცმული ორი ტუქთა ბავშვი მთელი დღე ვატარე...

ჩაყვითლებული, ქოსა სახე მცველს რაღაცა უცნაურად დაემანჭა, გამომეტყველება კი ვიყისა ჰქონდა.

— ახლა შემედი ჩვენს სოფელშია დასახლებული, სომხების მიწებიდან ყველაზე უკეთესი ნაწილი მას ერგო. — წყენით გაიქნია თავი კაცთმოდგმის

უსამართლობით აშკარად უკმაყოფილო მცველმა.

ჩვენს მორიგ მცველს რამდენჯერმე აებნა გზა და სამ დღეში ერთი დღის სავალიც კი ვერ გავიარეთ.

მივაბიჯებთ სრულიად უმწიკვლო, მუხლებამდე მომდგარ თოვლზე, რიზმელსაც წინმსვლელი კვალავს. ხშირად ვენაცვლებით ერთმანეთს. ომარი და ტოგო პირდაპირ ვაყვაცები არიან, ძალიონეს არ ზოგავენ.

ძალიან უპირს სტეპკოს, და ჩვენ მას წინ არ ვაყენებთ... თუმცა ზოგჯერ მგონია, რომ თვალთმაქცობს ამბავების ანგარიშზე.

სუსხი სულ მატულობს და მატულობს. ფურთხი ჰაერშივე იყინება და კენჭოვით ეცემა თოვლზე.

მცველი ამბობს, ასეთი ყინვები ჯერ არა ყოფილაო. თუ არა ჩემი გამოგონებული წითელი „კორსიკული“ ზაღდადები, დიდი ხანია, ყურები მოგვეყინებოდა.

ახლა მხოლოდ მცველი და ომარი გვიკვლევენ გზას, მე და ტოგო კი ხელმცლავით სტეპკოს მივათრევთ.

სულერთთავად მშობა, რადგან ერთი საღამოს ვახშამი და ისიც ძალიან მწერი, ასეთი დაძაბულობისათვის საკმარისი არ არის.

დღეს უსიამოვნო ამბავს ვემსხვერპლე და რამდენი არ ვეცადე დამეფარა ამხანაგებისათვის ჩემი შიში, ამან უფრო მეტად შემაშინა.

შუა გზაზე, გადღმა, ერთი სოფელი დავინახეთ და გადავწყვიტეთ გასათბობად შევსულიყავით. ჩვენ იქ პური და კველიც კი გვაჭამეს.

მიუხედავად იმისა, რომ ორ-ორი წაველი სქელი წინდა გვაცვია და განუწყვეტლივ ვმოძრაობთ, ფეხები მაინც გვეყინება.

მიწურში გაჩაღებული შუაცეცხლის პირას ჯდომისას მე თითქმის შიგ ცეცხლში შევყავი ჩემი გაყინული ქალამნები და სიამოვნებით ვიგრძენი როგორ

ანობრავდა სისხლი გათოშილ თითებში.

ეს არა მხოლოდ მორიგი სისულელე იყო, არამედ საშინელი შეცდომაც. მარცხენა ქალამანს, როგორც ჩანდა, საკმაოდ არ ჩამოვებერტყე თოვლი და ერთ ადგილას სისველემ წინდას გაატანა. მერე კვლავ ყინვაში გავედით და ძალიან მალე ვიგრძენი, როგორ მიშემდებოდა თითები იმ ფეხზე, რომელზედაც წინდა სველი მქონდა.

ძალიან გამიჭირდა სიარული, თანაც სტეპკოს თრევა, რომელიც უნდა ითქვას, როდესაც სოფელში დასაძინებლად შევდივართ, თავს ყოველთვის სხვებზე უკეთ გრძნობს.

საბედნიეროდ, ამ საღამოს დიდსა და ჩვენი სოფლის მსგავს სოფელში მოვჩვედით.

სახლში შესვლისთანავე მე გამაოცა ოთახის სიდიდემ, ჩვენებურმა ბუხარმა და განსაკუთრებით კი ქერის რამდენიმე ვეებერთელა კოკებმა. მხოლოდ შემდეგ შევნიშნე ტლანქად შეკრული, მასობრივი მავიდა და სკამები.

ორმა კაცმა, ეტყობა მამა-შვილმა, მოგვიტანა ვეება პური, ყველი და დიდი ჯამით ლერძის ფაფა, რომლის შუაგულში დატურავდა ერბოს მონადირე ნაჭერი.

მოპირდაპირე კედელთან მდებარე იჯდა რამდენიმე ჩადროსანი ქალი და გვიყურებდა, როგორ შევეცქეროდით ამ ღვთაებრივ საჭმელს.

თუმცა ფეხი მტკიოდა, მაგრამ ჯერ უნდა მეჭამა. მე თან სხვა რამეზე ფიქრსაც კი ვასწრებდი... და შევნიშნე, რა უცნაურად დაიჭირეს თავი მამაკაცებმა იმის შემდეგ, რაც მიველმა უთხრო, რომ ჩვენ საქართველოდან გამოქცეულები ვიყავით.

მერე ვეღარ მოვიტონინე და მარცხენა ფეხზე ქალამანი და წინდა გავიძირე. ღმერთო ჩემო... ცერი თითქმის მთლიანად გამშავებოდა და მტკიოდა უკვე იქ, სადაც სიშავე მთავრდებოდა.

— ჰო, ო... — თქვა სტეპკომ და თან ხელის ზურგით გაქონილი ტუჩები მოიწმინდა. — ზორბად მოგყინვია.

— უნდა მოიჭრა. — დარწმუნებით თქვა ომარმა. — ვიდრე მოვლენ ფეხი არ მოგალპება...  
გეზულირთქვა

— აბა, აქ ვინ არის მომჭრელი? — საქმიანად ჰკითხა სტეპკომ.

მე რალაციის იმედით შევხედე ტოგოს. მან თვალები სწრაფად დაახამხამა და გაწითლდა.

— დავილუბე!... სიარულს ვეღარ შევძლებ... მერე კი განგრენა დამეწყება!.. მე ხომ ვიცი!.. — ამას ალბათ იმიტომ ვამბობდი, რომ ბიჭებს საწინააღმდეგოში დავერწმუნებინე, მაგრამ ისინი ღუმილით თვალს მარიდებდნენ.

მოხუცი სახლის პატრონი მომიახლოვდა, თითი გამისინჯა, შემდეგ კედელთან მჯდომ ქალებთან მივიდა და რალაცა უთხრა.

ო, რა იმედით შევეცქეროდი ჩემსკენ მომავალ შევებში ჩაცმულ პატარა ტანის ღედაკაცს!

ქალი ახლოს მოვიდა, ჩაცუცქდა და თითს სინჯვა დაუწყო. შავი მანდილი, რომლითაც მას სახის ქვედა ნაწილი ჰქონდა დაფარული, გადაეწია მაგრამ ამას ყურადღება არ მიაქცია.

ეს იყო ხნიერი ქალი, რომელიც ძალიან წააგავდა ჩემს მამიდა ელენეს. ისეთივე არწივისებური ცხვირი, მსხვილი კეთილი თვალები და ისევე ზვეით აწეული წარბები ჰქონდა, როდესაც იგი ყურადღებას იკრებდა. ოღონდ ტანით ეს ქალი მამიდაზე ორჯერ უფრო პატარა იყო.

— ეჰ, თქვე სულელო... ბავშვებო! — თქვა მან.

მე დამნაშავესავით გავიღიმე, მზად ვიყავი მომეთინა ყველაფერი, რასაც მეტყობდნენ, ოღონდ ფეხი გადამერჩინა.

— აბა, როგორ შეიძლება სამშობლოს დატოვება?!... — ქალი სწრაფად წამოდგა და წავიდა. მე კი ვცდილობდი გამეგო არა ის, რაც მან გვითხრა, არამედ, რომელ ენაზე იყო ნათქვამი. ეს იყო რალაც უცნაური, მაგრამ მაინც ქართული ენა.

— გაიგონეთ, ქართულად დამელა-

პარაკა! — დაფუყვირე მე ბიჭებს, თუმცა ისინი იქვე იყვნენ.

— ჰო, ჩვენ ქართველები ვართ... ლაზეზი! — ისეთივე ქართულითა, ენის უცნაური მახვილებით აგვიხსნა ჩვენთან მოახლოებულმა ხნიერმა სახლის პატრონმა.

ნეტავი რას გამოიხატავს?! — შორიდან ყრუ ხმით, ბრძანებასავით გადმოგვძახა ახალგაზრდამ.

— გვაქვს ალბათ მიზეზი! — ცივად მიუგო ომარმა.

— აი, ამას.. და მეც ბოლშევიკებმა მამები დაგვიბოცეს! — სხაპასხუბით, თავისი საქონლის მაქებარი ვაჭარით დაიწყა სტეპკომ.

მე სტეპკოზე და ომარზე ძალიან გაბრაზებული ვიყავი, ისე გულცივად რომ შეხედნენ ჩემი ფეხის უბედურებას.

— ტყუიან ეს საზიზღრები! — დავიყვირე მე. — ამისი მამა ახლაც ლოთობს, იმისმა კი, თვითონ... მოიკლა თავი...

— შენ თვითონ ტყუი, — დაუოკებელი აღშფოთებით წამოიყვირა ომარმა. — ეს იმათ, ბოლშევიკებმა აიძულეს.

მე წამოვხტი, რომ ორივესთან გამესწორებინა ანგარიში, მაგრამ ჩვენს შუა მოხუცი ჩადგა.

— აბა, რატომ.. რატომ ატყუებთ ჩვენებს!.. ტოვო ოდნავ ენას უკიდებდა. — ჩვენ გამოვიჩქვით იმიტომ, რომ იქ არ გვედგომებოდა!

— ქართველს მართო საქართველოში ედგომება! — დამარცვლით თქვა მოხუცმა.

— ოჰ, ჩვენ რომ შეგვეძლოს... დაიწყა ახალგაზრდამ და ერთბაშად შეჩერდა.

დაბრუნდა მოხუცი ქალი, მას ხელში თოვლით სავსე პატარა გობი და რალაცა შეხვეულები ეჭირა.

ერთხანობას ყველა იდგა და უყურებდა ქალი თოვლით როგორ მიხელდა მოყინულ თითს, მერე მამაკაცები წავიდნენ. მე მომჩვენა, რომ ისინი

წავიდნენ ჩვენდამი რალაცა ზიზღის გრძობით, რადგან არც მერსს ჩვენსკენ აღარ მოუხედია.

ქალი ძალიან დიდხანს და დავიძინებოთ მიხელდა თითს.

— მტკიავ! — ბოლოს ველარ მოვიტმინე და ვუთხარი მე.

— ეს კარგია, შეილო, — აღერსით მიპასუხა მან და გაორკეცებული ენერგიით განაგრძო თითის ზელა.

მერე ქალმა ჩითის პატარა პარკიდან წაბლისფერი ფხვნილი ამოიღო, ფიალაში რალაცით გააზავა და დამიწყა შეზელვა კვლავ ძალიან დიდხანს და ენერგიულად. მერე უკვე სხვა ფხვნილის კომპრესი დამადო.

— ეს ინაა და ბასმა... ოფლიანი სახე მანდილის ბოლოთი მოიწმინდა მან. — ახლა კი ყველაფერი უფალი ღმერთის ნებაა...

მე დადხანს ვერ დავიძინე, სულ ვცდილობდი უკუმეგდო ჩემი თითის მორჩენაში უფლისათვის ხელის შემშლელი ათეიზმი.

ღილით ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ინითა და ბასმით მიხაკისფრად შეღებილი თითი გათეთრებულყო, თუმცა ჩქმეტას მაინც ვერა ვკრძნობდი.

წასვლისას ქალს ხელზე ვეამბორე, მან კი შუბლზე მაკოცა.

— იცოდე, შეილო, ნურასოდეს ნუ დაკარგავ სამშობლოს სიყვარულს! — რალაცა სევდიანი საყვედურით შემომხედა თვალებში და ისე მითხრა მან.

მამა-შვილი მაინც ველარ ვნახეთ, თუმცა გვესმოდა მათი ხმები მეორე ოთახიდან, როდესაც ქალები წასვლისას გვიმასპინძლებოდნენ.

რატომ არ გამოვიდნენ ჩვენს სანახავად? მამასადამე, ჩემი გუშინდელი შთაბეჭდილება, რომ ჩვენ მათ მაინცა და მაინც არ მოვეწონეთ, მცდარი არ ყოფილა...

რა პარადოქსია.. საქართველოს სიყვარულით ვეზიზღებოდით ჩვენ, თავისი თანამემამულენი... თუმცა, მათ

თვალში, ჩვენ არავითარი ქართველები არა ვართ... აბა, მამ, ვინდა ვართ ჩვენ?!..

როდესაც მუდამ ჩამორჩენილი სტეპკო გაჩერდა და გამოგვიცხადა რომ მეტი სიარული აღარ შემიძლიაო, მე ისეთივე გულცივობით, როგორითაც ის ლაზების სოფელში ჩემს მოყინულ თითზე ლაპარაკობდა, ვუთხარა:

— ასეთ სუსხში თუ არ იმოძრავებ, ათ წუთში გაიყინები!

მობუზული სტეპკო მიყურებდა და საცოდავად ახამხამებდა დამძიმებულ მოყინულ წამწამებს. პირსაწმენდზე, რომლითაც სახის ქვედა ნაწილი ჰქონდა შეხვეული, ზედ ცხვირის ძირში დიდი ყინული ეყიდა, რომლის მოცილებას არც აპირებდა.

— დაიცა, თქვენ... აქ ხომ არ დამტოვებთ!..

— დაგტოვებთ!.. ყველა რომ არ გავიყინოთ, ერთი მსხვერპლის გაღება მოგვიხდება. ეს იქნება როგორც აუცილებელი „ჭირურგიული“ ოპერაცია.

— სიტყვა „ჭირურგიული“ მე მახვილით გამოვთქვი.

დაბრუნდა მამის ნიფხვის ტოტით თვალბამდე გახვეული. ყინულის ლოლუას დამსგავსებული ტოგო.

სტეპკო მიხვდა, რომ მე გულს ვეღარ ამიჩუყებდა და ტოგოს მიუტრიალდა.

— დღეს რატომ აღარ მეხმარებით და მტოვებთ... ვერა ხედავთ, რომ მეტი სიარული აღარ შემიძლია! — პირსახოცი, რომელიც სახეს უფარავდა, სიგანეში ოდნავ შეიჩხა, ალბათ სტეპკო საცოდავად იღრიჭებოდა.

— ვითომ რატომ არ შეგიძლია სიარული?! — გაბრაზდა ტოგო. — წუხელის და ამ დილითაც ყველაზე მეტი ხომ შენ ჩახეთქე!

მცველი, რომელიც ომართან ერთად შორიახლო გველოდებოდა, მოგვიახლოვდა. ომარი კი ტოგოს მამის ნიფხვის მეორე ტოტით სახეშემოხვეული არც მოტრიალებულა და მთელი თავისი

მშვიდი პოზით სტეპკოს ბედისადმი სრულ გულგრილობას მუქმობდა. თუ ან ვინმე ათვალდა...

— რა მოხდა? — იკითხა მცველმა.

— ამას აღარ ნებავს მეტი სიარული. — ვუთხარა მე.

ამ ორი დღის განმავლობაში მცველმა არც თუ ისე ცუდად შეგვისწავლა და თვლიდა, რომ ჩვენ ამოდ ვეხმარებოდით სტეპკოს.

— საცაა „კირკ ფინლარი“ იქნება. — ნრავალმნიშვნელოვნად თქვა მცველმა.

გუშინ მცველმა გვიამბო, რომ „კირკ ფინლართან“ — ორმოც წყაროსთან, ამ რამდენიმე დღის წინ მგლებმა შექამეს ჯარისკაცი და ერთი პატიმარი, რომელიც მას არდაგანის ციხეში მიჰყავდაო. ჯარისკაცი ალბათ დიდხანს იგერიებდა მგლებს, რადგან იმ ადგილას იპოვნეს შაშხანა, ჩვიდმეტი ნასროლი მასრა, ბლუჯა ბალანი და ტანისამოსის ნაფლეთები, როგორც ჩანს, მგლების ზროვა ძალიან დიდი უნდა ყოფილიყო, რომ ყველა დახოცილი მგელიც კი ასე პირწმინდად გადაესანსათ.

— შენ ხომ იცი, მგლებს აქ ორი კაცი შეუქამია! — დაუწყო დაშინება ქვეშ-ქვეშ მოშხირალ სტეპკოს ტოგომ. მაგრამ, რადგან ამის უშუალო საშიშროება ჯერ არ იყო, სტეპკო, თუნდაც შეშინებოდა, ისეთი მიაიბიტი არ იყო, რომ ეს გამოემყლანებინა.

ყოველ შემთხვევაში, სტეპკო ადგილიდან დაიძრა ჯერ ნელა, კვნესითა და ოხვრით, მერე კი არავისზე ნაკლებად არ მოდიოდა.

დაბინდებამდე ორიოდ საათით ადრე, მცველს ლელვა დაეტყო ხშირად ჩერდებოდა და აქეთ-იქით იყურებოდა.

— მგონი, გზას ავცდით. — თქვა მან.

ეს სიკვდილს უდრიდა... და ალბათ ამიტომ იყო, რომ არ დავიჯერე.

იოგვლივ რასაც კი თვალი სწვდებოდა, გადაშლილიყო თეთრად მოქათვით ველი, ყოველგვარი ნიშნის გარეშე, რომლითაც კი შესაძლებელი იქნებოდა ორიენტირება.

— იი, ჩვენ იქიდან მოვდივართ. — უკან მიგვივითთა ომარმა.

— არა, იქიდან! — სხედასხვა მხარეზე ვანიშნეთ მე და ტოგომ.

ჩვენს ჩჩევას არავითარი აზრი არა ჰქონდა და ამას მიხვედრილები, უკვე უსიტყვოდ შევცქეროდით მცველს.

არა, შეუძლებელია, რომ ეს ახალგაზრდა, მხარბეჭიანი, გონიერი და გაშლილი სახის ბიჭი ცდებოდეს. ესეც ხომ ჩვენთან ერთად დაიღუპება... — ვიშვიდებდი თავს.

— უკან რომ გავბრუნდეთ, მთელი ღამე სიარულში... გაეციენებით... — მცველი ამას ჩუმაღ, თავისთვის ამბობდა.

მე დავიწყე რაიმე ნიშნის ძებნა, რომ დავხმარებოდი მას ორიენტირებაში, მაგრამ ირგვლივ არაფერი იყო... თუმცა, აი, იქ შორს, მთლად დედამიწის კიდებზე, ცის ფონზე გამოირჩეოდა რაღაცა მრგვალი, ადამიანის თავის მსგავსი... შემდეგ მხრები და ჰორიზონტის ორივე მხარეს გადაშლილი მკლავები... და იქიდან ჩვენამდე ბრტყელი, გაფიჩხებული მკერდი...

ჩვენს ფეხქვეშ იწვა თეთრ სუღარაგადაფარებული, უსიცოცხლო დედამიწა... ჩვენ კი, შექუჩებულები, ვიდებოთ ზედ... პატარა ცოცხალი კაცუნები, რომელთაც ასე გვეშინოდა სიკვდილის..

ოთხივენი მღუმარე იმედით შევცქეროდით მცველს, რომელიც დაძაბულად რაღაცას ფიქრობდა...

— მოიცადეთ — მოგვმართა მცველმა და უკან, ჩვენს გატყუებულ კვალს გაჰყვა. მე მხოლოდ ახლა შევნიშნე, რომ ეს კვალი დიდ ნახევარწრეს აკეთებდა.

სტეპკო დაბმულივით ერთ ადგილს უშნოდ ცმუტავდა, თითქოს აწყვეტას ცდილობსო, მერე მოსწყდა და მცველს დაედევნა. ჩვენ იმდენად აღელვებულნი ვიყავით, რომ სტეპკოში გაჩენილმა ასეთმა მოულოდნელმა ენერგიამ არც კი გაგვაოცა.

სტეპკო დაწვია სწრაფად მიმავალ მცველს და ნაბიჯი ააყოლა. როგორც

ეტყობა, დაავიწყდა, რომ სულ ახლახანს სიარულის თავი არა ჰქონდა.

ჩვენ, სხეულზე ხელების ტყუილქმედებით და ერთ ადგილზე ცეკვით გავცქეროდით როგორ გვეშორდებოდა და თანდათან პატარავდებოდა ორი შავი, რძეში ჩავარდნილი ბუზების მსგავსი არსება.

ბოლოს, დაუსრულებელი ლოდინის შემდეგ ისინი დაბრუნდნენ.

— „ქორხმა“, — ნუ გეშინიათ. — მხიარულად თქვა მცველმა და ხელის ენერგიული ქესტით გვანიშნა ის მხარე, საითაც უნდა წავსულიყავით.

სტეპკომ თავის დაქნევით დაადასტურა, რომ გეზი სწორი იყო და ჩვენ მხნედ გავეწიეთ. ერთმანეთს ბუზუნით ველაპარაკებოდით, რადგან პირი ყველას ჩრებით გვექონდა აკრული.

— მცველს რატომ გაჰყევით, სტეპკო?

— მართლა, ბიჭო, რად გაჰყევით?

— იმიტომ, რომ თოფი ჰქონდა.

— მერე რა?

— როგორ თუ რა.. მგლები რომ გამოჩენილიყვნენ. ესროდა!... თქვენ კი... უიარაღონი ხართ, რას გახდებოდით, თქვე ჩერჩებო!...

— მაშ, ჩვენ აქ მგლების შესაქმელად დავგებოვ?

— რა ჩემი ბრალია რომ, როცა ჰქვას არიგებდნენ. თქვენ იქ არ იყავით!

სტეპკო ძალიან კმაყოფილი იყო თავის თავისა, მე კი მეცინებოდა და ცოტა მწყინდა კიდევ.

— შენ რაღაც გამომწვევად დაიწყეთ თავის დაქერა... საინტერესოა, რა ამბავია შენს თავს? — ვუთხარი მე.

— ჰო, ველარ მიცენიხარ. ეს რაო, მგლებმა იმოქმედეს ასე შენზე? — ქირდვით ჰკითხა ომარმა.

— ჩემთვის თქვენ მგლებზე უარესები ხართ.

— მეცა? — ძალზე დაიმედებულმა ვკითხე მე.

— თქვენ ყველა!.. დაიცადეთ, ერთხელ მეც გამოთენდება კარგი დღე.

— შენც შეიძლება გაგითენდეს, მაგრამ არა ჩვენს ანგარიშზე! — ტოგო

არც კი აპირებდა მახვილსიტყვაობას და ამიტომ გამოუვიდა ასე სასაცილო.

მე და ომარმა თავი ვერ შევიკავეთ და ავხარხარდით, შემდეგ ტოგოც შემოგვიერთდა.

— რას აჭიზინდით!.. რომ იცოდეთ ფეხებზეც არა მკიდხართ, თქვე წუბაკებო!..

— ეს იმის სამადლობელოდ, ამდენი რომ გათრიე? — თავის მხრივ იწყინა ტოგომ.

— დღეს კი მშვენიერად მოდიოდი სხვის დაუნხარებლად. — დავუმატე მე. — ტყუილუბრალოდ ვიდგამდით წილებზე ფეხს.

— რასაკვირველია, ტყუილუბრალოდ... — სიბრაზით გაიციინა სტეპკომ.

მაგრამ სტეპკოს დიდხანს არ უცინია. მე თვითონ არ ვიცი ეს როგორ მოხდა, როდესაც ჩემმა მუშტმა მას პირსაწმენდზე წამოშვერილი ცხვირი მიუჭყლიტა, რაღაც გატკაცუნდა... და მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ მგონი დაემახინჯე.

— ახია მაგაზე! — ჯავრით აღმოხდა ტოგოს.

ომარი ბოროტი მხიარულებით აქნევდა თავს, მცველი კი სადაც ქვევით იცქირებოდა, სადაც თოვლში ამოჩრჩილი მხოლოდ სტეპკოს ქალამნები მოჩანდა.

მერე მცველმა სტეპკოს წამოყენება დაუწყაო, მაგრამ იგი კვლავ თოვლში ეცემოდა.

— მომეხმარეთ, — რაღა! — დაიყვირა მცველმა.

მე და ომარი გავტრიალდით და წავედით. ტოგო წამოგვეწია, მკლავში ხელი წამავლო და უკან გამწია.

— ოთარ, წამოდი, ცოლოა...

— ვინ, ის არაშხადა! ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია!.. — მაგრამ მაინც დავბრუნდით. მე და ტოგომ მცველს სტეპკო გამოვართვით და წავათრიეთ. ახლა, რასაკვირველია, უფრო გავიჭირდა, სტეპკო სავსე ტომარასავით გვეკიდა მკლავებზე და მისი წითელი ბაღდადით გაქრული კეპჩამოფხატული თავი კი ქანქარასავით აქეთ-იქით მოქანაობდა.

ცოტა ხნის შემდეგ სტეპკო მსულთწერდა, გოაცებით შეგვათვლიერდა... და შეეცადა ჩვენგან გათავისუფლებულიყო. ამ ჭიდილში შევამჩნიე, რომ სახეზე აკრული პირსაწმენდი სისხლიანი არ იყო და გამიხარდა. მაშ ნეტავი წელან ის რა გატკაცუნდა?... ჰო, ეს ალბათ ის ყინული იყო, ცხვირქვეშ რომ ეკიდა... მადლობა ღმერთს! მე კი მეგონა, რომ ყბა ჩავუმტვრიე. გულზე მომეშვა.

ნახევარი საათის შემდეგ კი, კარგამოშორებით პატარა სახლი დავინახეთ. სახლს დაქანებული სახურავი და აგურის საკვამლე მილი ჰქონდა, რომლის გვერდით მალა ამგერილ ჭოკზე რაღაცა ეკიდა.

ამ უსახდრო, დათოვლილ ველზე, პაწაწინა განმარტოებული სახლი... ასე მეგონა, რომ ის რომელიღაც კეთილფერიის ბრძანებით გაჩნდა. თანაც მიახლოებისას დავინახეთ, რომ ჭოკზე ჩამოკიდებული ორი გაბღღენილი ბატყი იყო.

— მე მგონია, რომ ეს შირაყია, — ვუთხარი ჩემს გვერდით მომავალ ომარს.

— არა, ასეთი დიდები და მსუქნები მხოლოდ ბატები უნდა იყოს. — მიპასუხა მან.

თოვლი სახლის ირგვლივ გადახვეტილი იყო. მცველმა საკმაოდ დიდხანს არახუნა, ვიდრე კარი ოდნავ გაიღო და ღრიჭოში გამოჩენილმა ხელმა გვანიშნა, რომ სასწრაფოდ შევსულიყავით.

თვალისმომჭრელი სითეთრის შემდეგ, საიდანაც მოვედით, მოჰჩვენა, რომ ოთახში უკუნეთი მეფობდა. მერე კარის მოპირდაპირე კედელზე აციმციმდა სქელფარდაჩამოკიდებული პატარა თანჯარა და თანდათან გამონათდა იჭაურობა — ოთხკუთხა მაგიდა, რკინის საწოლი, ტახტი და წიგნების პატარა თარო.

სახლის პატრონმა სანადირო თოფი ტახტის ზემოთ ლურსმანზე ჩამოკიდა. შემოგვთავაზა ტანთ გაგვეხადა და ჩვენც დავიწყეთ მოცილება ყველაფრისა, რაც კი ზედ გვეცა, გვეხვია და გვეხურა.

უკვე გახდილებმა შევნიშნეთ ოთახის



ბნელ კუთხეში ხნიერი ქალი, რომელიც იდგა და იატაკზე ბორცვივით ამართულ ქონების გროვას დასცქეროდა.

— დასხედით, დასხედით... — სახლის პატრონმა მაგიდის ქვეშედან ტაბურეტები გამოსწია. — ახლავე ღუმელს გავიხურებთ...

ჩვენ მოწაფეებით ტაბურეტებზე ჩაშვსხედით, სახლის პატრონმა კი ჩაიჩოქა რკინის პატარა ღუმელთან და გამალებით დაუწყო ბერვა ღუმელის კარის ჩაშვებულ ნაპრალს, ვიდრე წითელმა ანარეკლმა არ გაუნათა მესურნესავით გაბერილი ღოყები.

სტეპკო ჩემს გვერდით იჭდა და თითქოს ჯიბრზე, ფანჯრის ფონზე იხატებოდა მისი პროფილი, თითქმის ცხვირზე მიბჯენილი, გასიებული ზედა ტუჩით.

ცეცხლის გაღვივების შემდეგ სახლის პატრონმა გაიხმო მცველი ოთახის კუთხეში, სწორედ ჩემს ზურგს უკან და მე უნებლიეთ გავიგონე მათი ლაპარაკი.

— ესენი არდაგანში მიგყავს? — ჰკითხა მან მცველს.

— ჰო, არდაგანში.

— მე ამით, რასაკვირველია, ვაჭმევ... ყველაფრის მიუხედავად, ესენი ხომ აღამიანები არიან, მაგრამ..

უკანასკნელი სიტყვები გულზე მომხედა და ახლა უკვე ნამდვილად დაეუწყე ყურის გდება.

— გამაღობ, ალაპი იყოს შენი შემწე!

— ალაპი, ალაპი!... — საკმაო ავდებით მოიხსენია ალაპი სახლის პატრონმა. — ალაპმა კი არა, თქვენი ციხის აღმინისტრაციამ უნდა იფიქროს, რომ ამით გზაში ჰამა უნდათ!

— ვინა? — ჰკითხა მცველმა.

— როგორ თუ ვინა?! არა, შენ არ გეგონოს, რომ ერთი ღუკმა პური მენანება, მაგრამ ამ ყინვაში როგორ შეიძლება ამათი გზაში გამოყრა... რაც არ უნდა ბოროტმოქმედნი იყვნენ!

— ესენი? ესენი პატიმრები კი არ არიან, მე ამათი გამყოლი ვარ გზაში... ზანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა.

— მაშ, აბა, ვინ არიან? — უკვე ხსენებით იკითხა სახლის პატრონმა.

— ქართველები არიან, ამოვიყვამო-ქცეულები.

— ჩვენები?!... ჩემები!.. მე ხომ... მეც ხომ.. — შემდეგ უკვე ველარაფერი გავარკვიე.

ბიკებმა, რომლებმაც არ იცოდნენ რაში იყო საქმე, ალბათ იფიქრეს, რომ სახლის პატრონს რაღაც ნერვული დავადება სჭირდა, თორემ ხსენება ვერაფრით აიხსნებოდა მისი შემდგომი საქციელი.

იგი რაღაც უცნაური ნაბიჯებით მოგვიახლოვდა, დაიხარა და უსიტყვოდ თითოეულ ჩვენგანს თვალებში გვაცქერდებოდა, ხან იღიმებოდა და ხან ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ეს-ესაა ატირებოდა.

მე ვიცოდი რაშიც იყო საქმე და გავუღიმიე. ომარი კი პირიქით, მოღუშულ მზერას არ აცილებდა, ხოლო როდესაც ტოგოს რიგი დადგა, მან ვეღარ მოითმინა და ჩემსკენ მობრუნებულმა, ნახევრად ჩურჩულით ქართულად მკითხა:

— ეს კაცი გიგი ხომ არ არის?

— არა!.. — მთელი ჩვენი ერისადმი სიამაყით ხმამაღლა ვუპასუხე — ქართველია.

სახლის პატრონმა თვალები დახუჭა, ღრმად შეისუნთქა... და აქ, ამ ჩამოვარდნილ სიჩუმეში გაისმა სტეპკოს ხმა:

— მაშ, გვიქამია ბატი და ეგ არის!

უ, როგორ ვინანე, რომ წელან ყბა არ ჩაეუმტვრიე.

— ჰო, ჰო, ჰო!.. რა თქმა უნდა, გავმევეთ!.. — სახლის პატრონი გვეხვეოდა და თან სულ იმეორებდა: — რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა...

ყველას რომ გადაგვეხვია, მერე კარს ეცა, გააღო და მაშინვე დახურა, რადგან მიხვდა, რომ ყინვაში ჩაუცმელი გალიოდა.

ვიდრე ქალი მას ტყაბუქს აცმევდა და თავზე ფაფახს ახურავდა, კაცი სულ ხელებით გვანიშნებდა, რომ დაიცადეთო, თითქოს ჩვენ წასვლას ეპირებდით.

როდესაც ქალმა კაცის გასვლისას კა-

რი დახურა, ტოვო სტეპკოს მიუბრუნდა და გარკვევით დაპარცვლა:

— შენ კი მაინც ღორი ყოფილხარ!

— პო... ღორი ვარ... — დაეთანხმა სტეპკო, — მაგრამ რა ვქნა, წამომცდა...

— არა უშავს, — უცებ შემრიგებლის როლში გამოვიდა თმარი. — თვითონაც უხარია, რომ გაუმასპინძლებდა თავის ქართველებს.

— რა თქმა უნდა! — კვლავ დაეთანხმა სტეპკო და პატარა დაფიქრების შემდეგ დაუმატა: — აბა, მამ რაღა თანამემამულაა?!

— ეს მართალია... — ალაღმართლად დაუდასტურა ტოვო.

ბიჭებს ზეშთაგონებული სახეები ჰქონდათ. საოცრად ამაძღვებელია ეს პატროტოზმის გრძობა, მით უფრო მაშინ, როდესაც ყველა პირობა იქმნება იმისათვის, რომ ბატის ხორცი იგემო.

სახლის პატრონს თავიდანვე ვილაყას ვამსგავსებდი, ახლა გამახსენდა, რომ იგი ჩემი სკოლის მათემატიკის მასწავლებელს წააგავდა. ისეთივე ტანდაბალი. ისეთივე ვიწრო სახისა და ისეთივე ზავსუერი კითხვის გამომეტყველების მქონე შეუსაბამოდ მსხვილ თვალბში. უღვაშებიც კი ისეთივე ჩამოშვებული ჰქონდა... თუმცაღა, ახლა მე ყველას ვილაყ-ვილაყებს ვამსგავსებ... ალბათ იმიტომ, რომ მხოლოდ, მოგონებებით ვცხოვრობ.

მცველი ქალს რაღაცას ელაპარაკებოდა, სითბოსაგან მოთენთილი ბიჭები კი თვლემდნენ.

მე სტეპკოს ეუთვალთვალეზბდი, იგი უნებლიეთ ხელს გასიებულ ტუჩზე იკიდებდა. ტკივილებისაგან იღრიჯებოდა და თვალბს აბლატუნებდა.

კიდეც ვარგი, რომ არ ჩაეუღუნე. ანდა არ ჩაეუმტვრიე კბილები, ეს, შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ იგი ერთბაშად ვადაფირავდა და სწორედ ავან გადაარჩინა...

სახლის პატრონს ჯერ ბოროტმოქმედი ევგონეთ. ნათქვამია, პირველი შთაბეჭდილება ყველაზე სწორია... ბორო-

ტმოქმედად გახდომა კონსეკრაციულია, როგორც მატარებელზე დაგვიანება... ზოგის საათი ცუდად მოშობს, ზოგის კი თავშეკავების საწყისებში...

„ბოროტმოქმედად კი არ იბადებიან, ხდებიან!“ — ასე მეუბნებოდა ხოლმე „ახალი“, თავისი „პატიოსანი“ პოზიციებიდან... იმ მიაპიტმა არ იცოდა, რომ თუ უკვე ხარ ბოროტმოქმედი, რა მნიშვნელობა აქვს შენთვის, დაიბადე ასეთად, თუ მერე გახდი!

საინტერესოა, ნეტავი რა ლაპარაკი ექნებოდა მას დედაჩემთან. რა თქმა უნდა, დედაჩემი ეტყოდა, რომ არაფერი ვიცო... და ატირდებოდა. ის კი, ასეთი შეუღრეკელი თავის პრინციპებში, ილაპარაკებდა იმ ზნეობრივ მოტივებზე, რომლებმაც მე ეს ჩამადენინა... დამშვიდებული ბრძანდებოდეს, მე მათ არ უარეყოფ... ოღონდ ისეთი მღგომარეობაც არის ხოლმე, როდესაც ეს მოტივები შემდეგისთვის უნდა გადაიდოს... და არა მხოლოდ იმიტომ, რომ როგორმე გაკეთილშობილდე საკუთარ თვალში... არამედ იმიტომ, რომ ამჟამად სხვანაირად არ შეიძლება.

ნეტავი ახლა მალაპარაკა მასთან ცხოვრებაზე... კეთილშობილებისა და ფლიდობის, მაღალი მისწრაფებისა და ყველაზე დაბალი ინსტიქტების ნარევი.

ვიცო, იგი მიპასუხებდა, რომ „ადამიანი ყოველთვის ადამიანად უნდა დარჩეს!“ ადვილია ტყვიანური გამოთქმების გამოყენება, მაგრამ როგორ „უნდა დარჩე ადამიანად“, დასწყევლოს ღმერთმა, როდესაც სხეები...

რა წარმოუდგენელი გაჭირებებით. ქანცამოლუქულები მივათრევდით ჩვენ სტეპკოს... და როცა კი ნახა, რომ მისი ფანდი აღარ გადიოდა, მაღლობის ნაცვლად ყველაზე სულმდაბლური დაკინვა მოგვიზღო...

რაღას ვანვიციდი, მამ მართალი ვიყავი როდესაც გაეარტყი.

რაც თავი მახსოვს, ყოველთვის მართალი ვარ ჩემი თავის წინაშე... ოღონდ აი, შედეგებს, რატომღაც, ყოველთვის საეაღალოს ვეღებულობ ხოლმე...

ცივი ჰაერი შოლტივით მოგვხვდა. ყინვის ბურუსში გახვეული სახლის პატრონი ორივე ხელით, რომლებშიც ბატები ეჭირა, კარს აწევებოდა დასახურად.

— ახლავე, ახლავე ივახშებენ ჩემი... ქართველები... ბატები... რამდენი წელია ჩემს ენაზე არ მილაპარაკია... — სახლის პატრონი და დედაკაცი გაუჩინარდნენ ბნელ კუთხეში, სადაც სამზარეულოში გასასვლელი იყო.

— ორივე ბატი შემოიტანა. — ჩურჩულით, სასაცილოდ ამოძრავა გასიებული ტუჩი სტეპკომ.

— ჰო... — ბედნიერად გაიღიმა ტოგომ.

— მე რომ არ მეტყვა... — სტეპკოს არ უნდოდა, რომ მისი დამსახურება შეუძინეველი დარჩენილიყო და როდესაც ომარის გულითადი შეხედვა შეამჩნია, ახლა იმავეს ჩემგან ელოდა.

— ეჰ, თქვე... ბატების პატრიოტებო! — ხიზლით ვთქვი მე და შეენიშნე როგორ მოიღუშა ომარი, რომელიც მხოლოდ თავის თავს თვლიდა ნამდვილ პატრიოტად.

— შერე რა... მე თუ, როგორც ჭართველმა...

— ხმა ჩაიწყვიტე. შე მპოროს!... — კბილებში გამოსცა ომარმა. — ნეტავი რატომ არ მოგკალით მაშინ!...

— როდის? — სტეპკო დაიბნა და ირიბად გადმოიხვდა.

მე ვიცოდი, რომ ომარი მე აღარ შემომხედავდა, რადგან პატიოსანი პატრიოტის სახელი აღიდგინა, სტეპკოს ჭკუის სწავლებას კი არაუიფარა აზრი არ ჰქონდა.

მოყინულმა თითმა ძალზე შემაწვხა და მოვლა დავუწყე.

— გინდა თითი დაგიზილო? — ლაქუციით შემომცქეროდა სტეპკო თვალუბნში.

— მოაწყვდი თავიდან!

მან უფრო მოსწია თავისი ტაბურეტო.

— შენც გინდოდა მოგკალი? — შიშისგან ჩახლენილი ხმით მკითხა მან.

— არა.

— მაშ... როდის უნდოდათ ამათ... ჩემი მოკლა?

— იყო დრო. მარკინაშვილი  
ნიკოლოზი  
— რისთვის?! ღმერთო ჩემო!.. რა დავუშავე ისეთი?

იგი მგონი პირველად რაღაცას ნამდვილად განიცდიდა.

— იმისათვის, რომ შენ გათხსირებული ეგოისტი და ვიგინდარა ხარ!

— მაგრამ, თქვენც ხომ ასეთები ხართ.

— კიდევ გინდა ვთხლიშო სიფათში?! — ეს ვუთხარი მხოლოდ იმიტომ, რომ არ ვიცოდი რა მეპასუხა.

მე აღრეც შევხვედრივარ ზნედაცემულ ადამიანს პატიოსნებას რომ ჩემულობდა და აკვირებულად ამტყიცებდა, არაეისზე ნაკლები არა ვარო... მაგრამ არაეინ ეპასუხებოდა... სისულელეა უმტყიკო ადამიანს, რომ შენ სხვა ცომისაგან ხარ გამომცხვარი.

ჭიქების ბოთლზე ეღრიალით სამზარეულოს კარიდან სახლის პატრონი გამოვიდა.

— ვიღრე ვახშამი მზად იქნება, ჩვენ ცოტა შევთბეთ. — პატარა, მუცლიან ჭიქებში არყის დასხმას შეუდგა და თან განაგრძო: — რამდენი წელია ენატრობ, გავიჯონო ჩემი ენა... მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სამშობლო აქვეა... და არაეინ, სრულიად არაეინ... დალიე, დალიე!.. უკვე თურქულად მიმართა მან მკველს, რომელსაც არაფერი ესმოდა.

— მეც ამათსავით „გურჯი“ ვარ! მაგრამ არაყმა შეგნეულობა ამოგვეთუთქა, დაგვიარა ძველ-რბილში და ძველი ძალ-ღონე დაგვიბრუნა.

— დალიეთ, დალიეთ!.. — კვლავ გვისხამდა სახლის პატრონი. — რას მოვიფიქრებდი, რომ ამ არაყით ჩემს ჭართველებს გაუუმასპინძლდებოდი!

ოთხივე ბედნიერად ვიღიმებოდით და მხოლოდ მკველი არ იზიარებდა ჩვენს პატრიოტულ ენთუზიაზმს, თუმცა კი უთხრა სახლის პატრონს:

— შენზე ამბობენ, რომ კარგი ხელსაწილია.

მართლაც, სახლის პატრონი გზის ის-

ტატი ყოფილა. ჟერ კიდევ მენშევიკების დროს უმუშავია აქ მერე კი უკან ველარ დაბრუნებულა.

ამ მივარდნილ ადგილზე ის იმითმ დასახლებულა, რომ „იარკ ფინლარში“ ბევრი კალმახი სცოდნია...

— ნეტავი თუ გადაურჩა კალმახი ასეთ ზამთარს, — სევდიანად წარმოთქვა მან და ერთბაშად სხვა თემაზე გადავიდა: — მაშ, თქვენ საქართველოდან გამოიქცით?

— ჰო, — მრავალწინეულგონად უპასუხა ომარმა.

— რაო.. რა მოხდა.. რატომ?

— როგორ თუ რატომ? — იწვინა ომარმა.

— მე ბოლშევიკებმა... — წამოიწყო სტეკომ, მაგრამ ალბათ გაახსენდა რით დამთავრდა ეს ყველაფერი ლაზეზის სოფელში და გაჩუმდა.

— თითოეულ ჩვენგანს გქონდა რაღაცა... პირადი მიზეზი. — საკმაოდ მშრალად ვთქვი მე, და ვაგრძნობინე, რომ მთელი მსოფლიოს ბატებიც კი არ მისცემდნენ მას უფლებას სხვის სულში შემძვრალიყო.

— გასაგებია... მაპატიეთ!.. — მორცხვად გაიღიმა სახლის პატრონმა და ჭიქტად დაუწყო თვალყურება თავის ჭიქაზე მემჩანურად მოხატულ ყვავილებს.

უხერხული სიჩუმე დიდხანს არ გაგრძელდებულა. სახლის პატრონმა ველარ მოითმინა და საქართველოზე დაგვიწყო გამოკითხვა. მას ანტერესებდა ამსოლუბურად ყველაფერი, ისეთი უმნიშვნელო რამეებიც კი, რომლებიც ადრე თავში აზრადაც არ მომივიდოდა.

და აქ ყველამ ერთად სხაპასხუბით დავიწყეთ საქართველოს სილამაზის აღწერა. უხვად მოსჩქედდა ფერთა, საღებავების ნაკადულები, რომელთა არსებობა ამ მოქენტამდე ჩვენ თვითონაც ვერ წარმოგვედგინა.

მერე კი ჩვენს შორის სრული თანამობა და მეგობრობა დამყარდა. არც ერთმა ჩვენგანმა არ შეაწყვეტინა მახრო-

ბელს, რომელიც გატაცებული თავის აღწერით ისე აკარბებდა, რომ სხვა ვითარებაში მას პირდაპირ უკრძმუნტელს დაუძახებდით. ამის კი „წმინდა ტყუილსაც“ ვერ დავარქმევდით, რადგან ალაღად გვეჩროდა ის, რასაც ვამბობდით.

ჩვენ დაგვაიწყდა სიმულელიამდე მისული ურთიერთქმედობა და გავხდით თანამოაზრენი, მტკიცედ გადაჭკვეულნი ერთადერთი უდიდესი სიყვარულით... და ბედნიერები ვიყავით.

მაგრამ ეს ჩვენი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელდებულა... როგორც კი ქალმა შემოგვიტანა სპილენძის დიდი სონით ბრინჯში მოხარშული სურნელოვანი ბატები საშობლო კვლავ შორეული და დაკარგული გაგვიჩნდა. ჩვენ კი, ისევ ჩვენ ვიყავით — საცოდავი, ჩამოშხმარი არსებანი, რომელთაც ერთადერთი მიზანი გქონდა — ჩქარა ვცემოდით საქმელს.

და ვეძგერეთ კიდევ. სახლის პატრონი გულანუყვებული შემოგვეტყროდა, როგორც ველამდელი ვეება, ქონიან ლუქებს და ზედ კოვზით ბრინჯს ვაყოლებდით ერთთავად მოღუშულ ქალსაც კი რამდენჯერმე თანაგრძნობით გაეღიმა და რაღაცა თქვა ბატების შექმნელ ალაზე და მის წინასწარმეტყველ მაჰმადზე, რომელიც ბატებს ანაწილებს ამ ცოდვილ დედამიწაზე.

შემოთავაზებულის მთლიანად შექმნიდან ვერ შევძელით, თუმცა ყველა ჩვენგანს მსუნაგების კონკურსზე თავისუფლად შეგვეძლო პირველი პრემიის მიღება.

სახლის პატრონი მოუთმენლად ელოდა როდის დაეამთავრებდით ჭამას და გაორკეცებული ენერგიით დაგვაყარა შეკითხვები.

ჩვენ კი ძილი გვერეოდა. თავს ძლიერ-მლიეობით ვიკავებდით, რომ მასპინძლისათვის პირში არ მიგვემოქნარებინა. მის ურიცხვ შეკითხვებს მოკლედ ვპასუხობდით და გუნებაში ეწყველიდით მის დაუცხრომელი ცნობისმოყვარეობის ამგზნებ მოტივეებს.

— და აქ, მე საოცარი რამ აღმოვაჩინე — აღამიანის სულის ყველა დიდი მოძრაობა, ყველა ამალღებული გრძნობა, მხოლოდ ცარიელი კუჭის მქონე აღამიანებს აქვთ ზოლმე.

რა თქმა უნდა, ფილოსოფიურ ფიქრებსა და განზოგადებებს საოცრად ეხმარება არაყი... მაგრამ, ამაზე მაინც სხვა დროსაც უნდა ვიფიქრო.

როდესაც ლაპარაკი ხელოვნებას შეეხო, მე დავიწყე მოყოლა ჩვენს პოეტებზე და პოეზიის ყველა იმ მიმართულევაზე, რომლებიც ერთმანეთს ებრძოდნენ.

— ისინი ხეებზე აღიან და იქიდან კი-ხოლობენ თავიანთ ლექსებს! — ჩაერია სტეპკო და მობოღიშებით გამიღიმა, რომ სიტყვა შემაწყვეტინა, მე, ერთადერთ აღამიანს, რომელსაც მისი მცდარი აზრით, არ უნდოდა მისი მოკლეა.

— რატომ ხეებზე? — გაიოცა მასპინძელმა.

— თბილისი რომ ფუტურისტები არიან. — აუხსნა ომარმა.

— ფუტურისტი რაღაა?

— როგორ თუ რაღაა ფუტურისტი... — ჩავარდა მძიმე მდგომარეობაში ომარი და გადამოხედა, რომ დავხმარებოდი. მაგრამ მე განგებ ვლუმდი და მას ზეტი რა გზა ჰქონდა, უნდა განეგრძო.

— ფუტურისტები, ეს.. აი, მაგალითად... მოაპირიან აღამიანს საჭდოვს და მიაწებებენ იქ, სადაც თავი უნდა იყოს... მოაპირიან ძუძუს და მიაწებებენ იქ, სადაც... — ომარი შეეყოყმანდა, რადგან არ იცოდა. ახლა სად მიეწებებინა ძუძუ, მაგრამ მაინც საბოლოოდ მიაგნო, — ძუძუს კი აწებებენ ცხვირზე...

— რას ამბობთ?! აღმფოთდა ლოგიკურად მოაზროვნე მასპინძელი. — ცხვირი საიდანაა ექნება აღამიანს, თავი თუ არა აქვს?

— თავსაც სადმე მიაწებებენ... — უკვე საბოლოოდ დაიბნა ომარი.

— საოცარია, რომელი მოქანდაკე... ვინ კადრულობს ამას? — განაწყენებულად იკითხა მასპინძელმა.

— მე!.. — უთხრა ომარმა. — მე თვითონ უნდა გამოვსულიყავი, მოქანდაკე.

— აბა, რა საქირია ეს *გამოვსულიყავი* — გაიციხა მასპინძელმა.

აქ მე მომიბდა ჩარევა და ვუამბე ფუტურისტ მარინეტიზე და მისი ქართული მიმდევრების შესახებ. ვიცოდი, ახლა აღარავინ შემაწყვეტინებდა და ისე ფართოდ მოვყვედი ფუტურისტებზე, რომ მგონი, ომარიც კი მიხვდა, ვინ უნდოდა რომ გამოსულიყო.

— თეატრები. იქ რაღა ამბებია? — გადავიდა სხვა თემაზე მასპინძელი.

ამ საქმის დიდი მცოდნე ტოგო აღმოჩნდა. უკანასკნელ ხანს ჩვენი ფეხბურთის გუნდს „დურუქს“ რუსთაველის თეატრი შეფობდა და ჩვენც თეატრში უფასოდ შევდიოდით.

ვიდრე საბილიარდოში სიარულს დაიწყებდა, ტოგო მთელ საღამოებს თეატრში ატარებდა და ყველა სპექტაკლი ზეპირად იცოდა.

მგონი ტოგო უკვე მეზუთე თუ მეექვსე სპექტაკლის უკანასკნელ აქტს ყვებოდა, როდესაც მასპინძელმა, როგორც იქნა შენიშნა ჩვენი დაქანცულობა და მიმართა ქალს, რომ ჩვენთვის ლოგინი გაეშალა.

მასპინძელი ცოლს ეხმარებოდა და თან ბოღიშებსაც კი იხდიდა, რომ ადგილის უქონლობის გამო იატაკზე გიშლითო.

რალაც ერთი წამით ჩვენი თავი ადამიანებად ვიგრძენით და გადავედით მასპინძლის დარწმუნებაზე, რომ ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

როდესაც მასპინძელი ლეიბის მოსატანად გავიდა, ტოგომ თავისი საოცარი მოფიქრებულობით გაგვაკვირვა.

— გავთბით, გამოვქეხით, გამოვტყვევით.. ახლა გამოვიძინებთ და მადლობის ნაცვლად ჩვენ ამით ტილებს დავუტოვებთ!

— ხომ არაფერს ვართმევთ, პირიქით, ვუტოვებთ! — წაიხიზუნჯა გაღიმებულმა სტეპკომ და გაბერილ მუცელზე ხელები წაიტყაუნა, მაგრამ დაინახა, რომ ეს

არც ერთ ჩვენგანს არ მოეწონა, მოიღუშა და გაიწმინდა.

— უნდა ვუთხრათ სახლის პატრონს... — არც ისე დარწმუნებით ვთქვი მე და თან ვუქცროდი, როგორ აგებდა ქალი გამწილ ფარდაგზე მასპინძლის მოტანილ ფუმფულა ლეიბს.

— ჰოდა, შენ უთხარი. — ცდილობდა ლეიბისათვის თვალი აერიდებინა, ისე მიუხრა ომარმა.

— რატომ მაინცდამაინც მე?

— მაშინ, ტოგომ — თქვა ომარმა.

— არა, — მკაცრად გამოთქვა ტოგომ. — რაკი ოთარი ამდენხანს ფუტურისტებზე ელაპარაკებოდა და, ახლა ტილებზე ელაპარაკოს.

— ეს რა ლოგიკაა?... — აღვშფოთდი მე.

— რაკი თქვენ არ გყოფნით ამდენი ვაქცაობა, მაშინ მე ვეტყვი. — მოულოდნელად წამოდგა სკამიდან სტეპკო.

— ჰო, ჰო... მიდი, უთხარი! — ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც სამივე დავეთანხმეთ სტეპკოს.

სახლის პატრონმა ტახტიდან ლეიბი გადმოიღო და პირველის გვერდით შლიდა.

— ძია... — მიუახლოვდა მას სტეპკო. — არ არის საჭირო... ლეიბები.

— რატომ? — წელში გასწორდა და ალერსით შეხედა მასპინძელმა სტეპკოს.

— ჩვენ.. ჩვენ არ გვინდა... ჩვენ შეჩვეულები ვართ... პირდაპირ ფარდაგზე... ანდა...

— რას ამბობთ?! როგორ ვიკარებ, რომ ჩემი სტუმრები ულეიბოვ დაწვენენ!

— არა.. ჩვენ.. ჩვენ არ დავწევებით...

— რატომ?

— იცით რა, ძია... — სტეპკო ჩვენსკენ შემოტრიალდა, რომ მივშველებოდით, მაგრამ ჩვენ პირი ავიარიდეთ — ჩვენ ტილიანები ვართ!... — ჰო, ჰო, ძალიან ბევრი გვყავს!..

— მერე რა, თქვენ გგონიათ, არ ვიცი! — სახლის პატრონმა სტეპკოს ალერსით მიუთითა ხელი ლოყაზე. — კარგია,

რომ შენ ასეთი პატროსანი და კეთილშობილი ბიჭი ყოფილხარ!

— არა, რას ბრძანებთ!

— ჩვენ ეს არ შეგვიძლია.

— ჩვენ ამას ვერ ვიზამთ!

ერთბაშად ალაპარაკდნენ ომარი და ტოგო, რომლებსაც არ უნდოდათ ერთხელ მაინც დაეთმოთ სტეპკოსათვის პატროსნებისა და კეთილშობილების პირველობა.

— არაფერია არაფერი!.. დილაზე ლეიბებს გარეთ გავიტან და ორმოც გრადუს ყინვას ისინი ვერ გაუძლებენ. ნუ ღელავთ და დაწეკით!

ალბათ, საცოდავზე საცოდავი შესახედაობა გვექონდა, რადგან გულკეთილი მასპინძელი მორიდებულად გავიდა სამზარეულოში.

— რა კარგი აღამიანიას!.. — თქვა გულჩუყებულმა ტოგომ და თან ქალამნის თასმა შეიხსნა.

— ჰო! — დაუდასტურა კეთილი გრძნობების გამოსატყვამი ძუნწმა ომარმა.

სტეპკო რაღაცაზე დაძაბულად ფიქრობდა.

— იცით, რა კარგია, როცა გეუბნებიან რა პატროსანი და კეთილშობილი ხარო... — წამჩურჩულა სტეპკომ და თან სახეზე ბედნიერი ღიმილი აუთამამდა.

— სტეპკო... ასევე ჩურჩულით ვუთხარი მე. — ყველა აღამიანში კარგი სჭარბობს... ოღონდ უნდა შესძლო აიძულო შენი თავი...

— ეჰ!.. — სიმწარით წარმოთქვა მან. — ვანა მე თვითონ არ ვიცი, რომ ზოგჯერ.. მაგრამ მეც ხომ აღამიანი ვარ... და გავხდები კიდევ...

— რა თქმა უნდა, როდესაც შეეჩვევი, ეს ადვილია.

განწყობილება ორივეს ძალზე ამაღლებული გვექონდა, მაგრამ საუბედუროდ, ომარი უფროს გვიგდებდა.

— მცოცავად შობილს, არ ძალუხს ფრენა! — ხმამალა თქვა მან, თან გამხდარ კანკებზე შარვალს იძრობდა...

მთელს ჩვენი განწყობილება ქარმა წაიღო.

— მაგას უნდოდა ჩემი... მაგრამ მე თვითონ მოვკლავ!.. — ჩამესმა ყურში ბტკეოს გააგებული ჩურჩული, როდესაც თვით ჩემს გვერდით წვებოდა.

ღილით, ვიდრე ჩვენ კეთილსინდისიერად ვამთავრებდით წუხანდელი ვახშმის ნარჩენებს, სახლის პატრონი ისევ და ისევ საჭარბოვანად შესახებ გვეკითხებოდა.

გვრძნობდით, რომ ეს იყო ერთადერთი, რითაც შევეძლებდით მადლობის გადახდას, ამიტომ ყოველნაირად ვცდილობდით. და ამით მის სახეს სულ უფრო და უფრო ეფინებოდა ნაღველი.

რაც იცოდა, რომ ჩვენ დრო არა გვქონდა, სახლის პატრონი ჩქარობდა, სხამსებუთი გველაპარაკებოდა, ენა ვებმოდი და თვალებს საცოდავად ახამხამებდა, გამოხედვა კი უფავდა მათხოვარს. რომელიც ან მოწყალეობას, ან პანაშურს ელის.

მე ნამდვილად შემეცოდა იგი, და უფროდ მივხვდი, რომ მეც ისეთივე მათხოვარი ვიყავი, როგორც ის.

თვალეებში ნისლი ჩამიყენა მომღვარება ცრემლებმა, მერე კი წამსკდა, ესოდენ უბედი... და მწარე. იძულებული გავხდი მივბრუნებულყავი, მაგრამ სახლის პატრონმა მაინც შეშინა, ნიკაბი აუქანა-კალდა და რაღაცა უცნაური სლუქუნით მოგვიახლოვდა, მერე გვეცა, დაგვფეხობევდა, კოცნა და თან გვისურვებდა მამუდამო ბედნიერებას და ჭანჭრთვლობას.

თი, ასე, არცთუ ისეთი დაფფისთან მილოდრამის ვათამაშებით შევუღვქით ვხას, და რას წარმოვიდგენდით, რა გველოდა ამივე დღის ბოლომდე.

არსებითად ეს მაინც ასატანი უსიამოვნება იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო ახალი ყინვა, ბატის ქონის ღიდი რაოდენ-

ნობით ქამამ ჩვენ ყველას, გარდა მცველისა, კუქი აგვიშალა.

მცველის სიტყვებით, უსახლოესი ნოღელი ძალიან შორს იყო და შეუჩერებლო უნდა გვეყოლო, რომ შებინდებამდე მიგვეგნო მისთვის. ჩვენ კი, გამუდმებით ვჩერდებოდით, რომ სხეულით დაგვეფარა ჩაცუქებული რომელიმე ჩვენთაგანი, რომელსაც სიცივე უფრო აქარგინებდა გრძნობას, ვიდრე კუქის ტკივილი.

არ ვიცი, იქნებ შორიდან ჩვენ ძალიან სასაცილონიც ვიყავით, მაგრამ იმ მომენტში მე სრულებით არ ვიყავი იუმორის ხასიათზე. ექვი აღარ მეპარებოდა, რომ დაგვიდგა აღსასრულის დღე... და ცხოვრების ასე პროზაულად დამთავრება, შარვალიახდილი გაყინვა — თანაც, როდესაც შენ უკვე საზღვარგარეთ ხარ, ბედის უმკაცრესი ირონია იქნებოდა!

მაგრამ არა აქვს საზღვარი მოწყალეობას უფლისას, და მოგვფინა კიდევ მან თავისი სიკეთე — დედამიწაზე წარმოგზავნა დაისი, რომ არა გვექონოდა საშუალება გვეშინრა ერთმანეთის ერთობ არა ესთეტიკური წველებისათვის.

ჩამოწოლილ სიბნელეში მსურდა როგორმე გამეკეთილშობილებინა ისეთი უღამაზო დასასრული, ბრმა ლეკვებივით რომ აქეთ-იქით ვაწყვდებოდით. და ჩემთვის გადავასხვაფერე ნერონის მიერ სიკვდილის წინ ნათქვამი სიტყვები: „რადიდი მოაზროვნე კვდება!“... „აქტიორის“ ნაცვლად „მოაზროვნე...“ არ იყო ურიგო მიგნება ასეთი ტრაგიკული მომენტისათვის, მაგრამ რატომღაც განუწყვეტლივ, უკვე ჩემი ნების გარეშე, ვიღაცა ჩემს შიგნით მიკარნახებდა, რომ სიტყვა „მოაზროვნე“ შემეცვალა უფრო შესაფერი სიტყვით — „სულელი...“

უკვე გვიან ღამით, წყვდიადში, ვიღაცის მიერ ეზოში მიტოვებული ძაღლის საცოდავი ღმუილის წყალობით, ჩვენ მივაგენით სოფელს.

## უჩონგული ჩაუსმონია

### 1.

...გაყინულ ტბაზე ვიდექით, ყინულის ბექთარს ვხეთქავდით,  
წყლის წვეთი გვენატრებოდა, ვით ფუტკარს ყვავილთ ნექტარი.

ის იყო,

წყალმა იელვა,

როგორც ლაგუარდის ნაჭერმა,

შტაბიდან კაცი მოვიდა, ღიმილით შემომამჩერდა.

შტაბში გთხოვენო. გაგყვი, გენერალს გამოეცხადე.

სერპუხოვს წახვალ, იცოდე, გაემზადეო ეხლავე!..

რა გამზადება მინდოდა, დროზე ვესტუმრე სერპუხოვს.

მითხრეს:

არწივად გაქცევთო,

არწივებს ვნატრობთ დღეს უფრო!..

მეგრამ ჩამოდგა იენისი, ცეცხლი აცურდა გველებად,

სამშობლოს წმინდა საზღვარი გადმოსტერეს გერმანელებმა.

ნაცადი მესაჭეები ღრუბლიან ცაში ავარდნენ,

ჯიქურად ეჯახებოდნენ შავ სვასტიკიან არმადებს ..

საჩვენოდ

ვიღას ვცალა,

ზესკენელიც ჰგავდა დამეხილს,

ძირს პროპელერი ცვიოდა ჯიხვის რქასავით ნაგრეხი...

უცხად ბრძანება მოვიდა, საით წავალთო ელელავდით,

ჩავსხედით ეშელონებში, ყაზახეთს გაგზნდით ყველანი...

საჭის მაგიერ

დღედაღამ

ხელში შამხანა გვეჭირა..

ჩექმებში გეიგუბდებოდა ოფლი დამსკლარი ბექიდან...

სამი ხალათი გაეცვიოთ ქეიშაზე ცურვით მარტო მე,

ფრონტს როდის ველირსებიოთ, ყველანი ამას ნატრობდნენ.

უდაბნოს ქარი ხვიოდა, გლეჯდა პალოებს კარავისას,





ყელამდე ვიმარსებოდი წყველ ქვიშაში ხანდისხან...

ყველი

გავიდა სწავლესა,

დაღვა ნანატრი წამება,

უღაბნოს ზურგი ვაქციეთ, წინ სიმღერებით წავედით.

იმ სიმღერებში ქართულად ჩემი ნუქარაც ისმოდა:

— ცაში ვერ დაგხედი?

ნაწაზე

მინც დაგხედები, მტრის მოდგმავ!..

## 2.

...ტყვეს ნაპირ-ნაპირ მისდევდა ღარტაფიანი შარაგზა.

ტყვის თავეში მტრის ნაღმმტყორცნები იყეფებოდნენ საზარლად...

გზადაგზა ხშირად ვხედებოდი დაჭრილ, დაფრდომილ მფომრებს.

სიმწარის ცუცხლით დამწვარნი შევლოდნენ ვრთიმეთარეს...

ვქარობდით?

უფრო ავქარადით,

აღვა ღრუბელი მტვერისა,

მზე რაღას ვერჭეა. კინაღამ გადაგვეკარგა მთელი ცა...

გაგვიგეს მტრის ურდოებმა. აფრინეს თვითმფრინავები,

სისხლის ღვარებსა ნატრობდნენ ისედაც სისხლით მთვრალები.

ცა ისე ჩამოიდაბლეს, ტოტებს ლაწუნი გაჰქონდათ,

ტყვეს ოთხჯერ

დაჰყვნენ ბოლომდე,

არ აგვედენოდა ჩაქოლვა...

დაბომბვა როდი გვაკმარეს, ტყვიამფრქვევითაც დავხეტყავს,

სიკვდილის სუნმა დამზნა, სისხლი მომაწვა საფეთქლებს.

ხედვით ყველაფერს ვხედავდი, სმენა რა ქირმა წამართვა?!

დაჭრილი კიდეც დაჭრილა, ფუ ამისთანა სამართალს!..

მეგონა,

ტყვეს შევეფარე,

ზედ შუა გზაზე აღმოვჩნდი.

ადგილზე როგორ გაგვიყავდი. ყველა შეძახდა ტანმორმილს.

ან ჩემ ცხენს რა დაემართა, რამ დააფესვა ხესავით?

სხვა დროს

მთლად გამგიგებია.

ქვეულა ცეცხლის მკვესავად...

დაბურულ ტყიდან ნელ-ნელა გამოიკრიფნენ ყველანი.

უბრალო გადაკაწრულიც ვერ მომიძებნა ვერავინ.

გაოცდნენ,

აოულვებისგან

ხელეებს მირტყამდნენ ზეჭებზე.

ჩემს დასანახად, მცირეხანს დაჭრილებიც კი შეჩერდნენ...

არ ვიცი, სიხარულისგან, არ ვიცი, თავისთავადა,

სმენას ყვდირსე სანატრელს, კვლავ გული გამითამამდა...

ისევ გაისმა ბრძანება, დაიძრა ჩვენი კოლონა,

მხოვრის კვამლი

აქა-იქ

აუშვა თითო-ორილამ.

მხოორეკა რა სათქმელია, არ მინატრია „ყაზბეგიც“.

მაგრამ იმ წამში არ მწამდა, რომ უმაზორკოდ გავტლებდი.

კაპიტანს ბეშვი ვურევენე, გაიგო ჩენი წადილი,

ოითზე სათვლელი წამები გავრძელდა წულიწადივით...

3.

დონის მახლობლად გაფრდით, ვთხარეთ და ვთხარეთ სანგრები.

ურყევ სიმაგრედ ვაქციეთ მხარე მტრის ხელით ნანგრევი...

ჩათვლენაც ვერ მოუხანწართ, ბრძანება გასცეს მენავეს:

— წყალგაღმა დასაზვერავად გადაიყვანო მხვერავებს...

ცხენებთან

საყარაულოდ

ერთ თურქმენს ვთხოვეთ დარჩენა.

იწყინა, ცეცხლი მოიღო, მკერდზე დაირტყა მარჯვენა...

ისევ კენჭის ყრა ვარჩიეთ, რაღა მე შემხვდა ტიალი?!

გრძნობათა ამ მოახლოვლებას (ტენდენციას), მალარმემ უწოდებდა „შესაბამისობათა ანუ შეთანხმებათა განბის, საუნჯე, წინარე რიტმის მოგონება“, სიტყვის ზოგადობის (ლოგოსის, აზრის, „აბსოლუტის“, ე. ი. ღმერთის) ზოგადი სიმბოლოს, „ტრანსენდანსის“ მისტერიული შემეცნება. ეს იგივეა, რაც ადრეთა ინტიმური კავშირი“. სიმბოლისტებისათვის მხოლოდ ამ ფერთა ნიუანსი და მუსიკალობის გრძნობა არსებობს; სხვა ყველაფერი „ლიტერატურა“ და იგი ზიზღის ღირსია.

თუ აქამდე გრძნობათა მთლიანობა მარტივად და რეალურად, ბუნებრივად იყო გაგებელი, მალარმეს ბუნდოვანი ფრაზებში მოკლეულია საეჭიბის ვართლდებელი, თეორიულ-პრაქტიკული გაგება. მალარმეს ზემოთყვანილი მისაზრება სავსებით ეთანხმება შარლ ბოდლერის შეხედულებას, რომელიც მან გამოთქვა სონეტში „შესაბამისობა“.

ყველაზე უფრო რთული და მნიშვნელოვანია მალარმესული გამოთქმა — „ზოგადი სიტყვის მისტერიული შემეცნება“, რომელიც ყველა ტიპის სიმბოლისტთა თვალსაზრისით არაამკვეთნიერ, მღმირურ, ღვთაებრივ, იდეალურ ფეროშენს გამოხატავს. ბოდლერი პრაქტიკაში იყენებდა სინესთეზიას. უფრო მეტიც: „მწარე, ბორბორ, ბედშავი და ავი ყვავილებს“ შემოქმედთან, მგრძნობელობის მთლიანობის კავშირი, როგორც ქვემოთ დავინახებთ, „ფაქტისტურ“ ხასიათს იღებს. კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ „სინესთეზია“ უვადშირდება ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, მგრძნობელობა დაკავშირებულია წინარე-პოეტურ განწყობილებასთან (ტრანსლობასთან — ჯერ უთქმელ, ფართლ ინტონაციებთან) შეთავრებასთან და იგი წინ უსწრებს აბსტრაქტულ შემეცნებას; მგრძნობელობას (შეგრძნებებთან ერთად) შეუძლია მოგვეყვას „ობიექტური სამყაროს სუბიექტური სურათი“.

ბოდლერის აზრით, მართლაც განსაკვირვებელი იქნებოდა, რომ ბეგრას არ შეეძლოს ფერის შეთავრება და გამოწვევა. ბეგრა იქმნება ფერის კარნახით, ფერის წარმოქმნის მელოდიურობის იდეას. ბეგრა და ფერი არლია შესაბამიო საშეღლება იდეათა გადმოსაცემად. საგნებში მუდამ გამოიხატება უქუქცივითი ანალოგიით. „ასე ხდება დასაბამიდან ბუნებაში რადგან თვით ბუნება არის სავანთა კომპლექსი, ანუ განუყოფადი მთლიანობა“.

თუ ერთმანეთს შევედარებთ ბოდლერის ამ მისაზრებასა და ზემოთყვანილ განმარტებას გრძნობათა დიალექტიკური მთლიანობის შესა-

ხებ, დავინახებთ, რომ აქაც შეთანხმება ბეგრასა და ფერს შორის გამოხატავს გრძნობათა მთლიანობის პირველ პრინციპულ მთლიანობას.

ამგვარად, ბეგრათა და ფერის შეთანხმებებუნებთ არის განპირობებული, ხოლო შემდგებ, ავტორის მხატვრული კონცეფციის მიხედვით ხდება მისი იდეის ენაზე გადატანა-გადათარგმნა. აქ უკვე მოცემულია ბუნების მთლიანობის (მისი განუყოფადობის) ობიექტური სურათი, ჯერ კიდევ ნაადრუდია ვიმსჯელოთ სიმბოლისტის ანუ იდეალიზმის შესახებ პოეზიაში, თემუცა აქედანვე ისახება „ტრანსცენდენტურ“ სახეთა წარმოქმნის სთავე.

სინესთეზიის შესახებ არსებობს სხვა უფრო ბრწყინვალე არგუმენტი, რომლის ციტირებას ახლენ ყოველთვის განარჩევლად, როცა კი დამოწმებენ სიმბოლისტისა და, საერთოდ, სიმბოლურ სახეზე მსჯელობას. ესაა ბოდლერის ცნობილი სონეტი „შესაბამისობაში“ ანუ „შეთანხმებაში“ (ფრანგულად „კორესპონდანსი“), რომელიც ქართულად არ უთარგმნიათ სიმბოლისტის ქართულ მიმდევართ, ქართული პოეზიის ყვავილარში უხვად რომ რგადენენ შარლ ბოდლერის „მწარე, შხამინ, ბორბორ და ველიან“ ყვავილებს. ფრანგული ლირიკის სპეცილისტთა აღიარებით (ანდრე ბარი, კამილ მოლერი, სეგალენი, სევერანი, იოჰანსენი და სხვანი) ეს სონეტი არ იშხახრებს განსაკუთრებულ ყვადრეულებას. არ გამოირჩევა ფერის ბრწყინვადებით, როგორც ბოდლერის სხვა სონეტები. ამ სონეტში გამოთქმულია პროგრამული დებულებები, თანაც არა მარტივი სინესთეზიისა, არამედ მისი ყველაზე უფრო რთული ფორმებისა. წმინდა „თეორეტული“ დეკლარაციის თვალსაზრისით ამ სონეტს ზაღას ვერ მოვუძენთ; მას, მსგავსად, ტიუნტინვის გამოწონაქვამისა „სიტყვებში გამოხატული აზრის სიცრვის შესახებ“, შეიძლება ეწოდოს სიმბოლისტურად გაგებელი „სუბ სპეციეს ეტერნიტატის“.

გაღმოცემთ ამ სონეტის დედააზრს, რომელიც კომენტარების გარეშე კი მეტყველებს მის დეკლარაციულობაზე.

პირველი კატრენი (ოთხტაქვიანი სტროფი): „ბუნება არის ტამარი, რომლის ცხოველ და მათელ სევეტებიდან გამოურთის მღულვარე სიტყვები; ყოველი აღამიანი აქ გათვლის სიმბოლოთა უსიერ ტერენი და მას უყვირდებათ ფამილარული ხედვით“.

მეორე კატრენი: „სურნელება, ფერი და ბეგრა ერთმანეთს ეხმატებილებიან ბუნდოვან და ღრმა ერთიანობაში ვითარცა ერთმანეთში არეული შორეული ეჭობის გამოძახილი, ვრცელი, როგორც ღამე და სინათლე“.

პირველი ტერკინა (სამტაქვიანი სტროფი): „სურნელების სონორე ისეთივეა, როგორც ბავშვის სხეული. წყნარია, როგორც პიპობის



ქვეყანა, მწიანე — როგორც ველ-მინდორი; სხვა სურნელებათა სინორჩე კი გამოირჩევა გაბრწყინებით, სიმღერითა და ბუნებისადაც.

მეორე ტიპიანია: „მათ აქვთ ვანწისაზღვრულ საგანთა ვანწერობადობა, ისევე როგორც ასეთივე განწერობადობა აქვთ ამპარს (სურნელუნას). მეშეს ან სანთელ-საქმეველს, რომლებიც ვენდრატეს უკვეყენ ვონებას და მღერაიან ვრწინობათა აღდრთოვანების შესახებ“.

ტიპიურად უნდა ჩითვალოს ის ვარემოება, რომ ბოლღერი უპირატესობას უნსივს ზენსორულ აღქმებს ანიჭებს. სურნელება შეადგენს ძირითად ელემენტს, რომლის ვარწემო თანდათანობით ჯვეფდება სხვა სენსორული ელემენტბი.

ლესივგის ვანწაღერებას, რომ პოეზია არის მეტყველი მხატვრობა, ხოლო მხატვრობა უტყვე პოეზიაო, დემიტა აგრეთვე სტუფან მალარმეს „ლიტერატურული სიმფონია“. წერამ მესიკის კარნახით, შეთანხმებათა მფიდარმა საუნჯემ წარმოქმნა ფერთა ინტიმური კავშირი, წინარე რიტმის მოგონება (მესიკის ვანწუობილება), რომელიც თვის მხრად ზოგადი სიტყვის (ლოგოსის, „ტრანსცენდენტის“, უზოგადესა სიმბოლოს, დუბოლოგებელი იფენი) მისტერიული შემეცნებაა. ეს უკანასკნელი სიმბოლისტთა ერთადერთ პირად საკუთრებას შეადგენს.

პოეზია, ცხადია, ეშუარება მგვრწინებლობისა და სინესთეზიის ბუნებრივ ფაქტორებს (რეალურ მგვრწინებლობას ანუ ბუნებრივ შთაგონებას). მაგრამ ასე როდია სიმბოლისტებთან, რომლებიც იმსჯელებიან არაბუნებრივ შთაგონებით და ქმნიან არარეალურ მგვრწინებლობას. ახალი პანგეზისა და სტილის თვისებურებათა ძიებაში ვარობული ბუნების გამო იქმნება მხოლოდ მგვრწინებლობის ილუზია მაშინ, როდესაც მხატვრის-ლიტერის დიალექტიკის მომღერების მიხედვით ვრწინობა აუტოლოგული ფაქტორია იდამიანის სულოერი ცხოვრებისა. ცნობიერების ფორმები „არის ვარეგანი ვალიზიანების ფაქტის ვადამქვევა ცნობიერების ფაქტად“ (ლენინი). ცნობიერება (თუნდაც მგვრწინებლობის სახით მოვლორი) სიტყვაში, პოეტურ ფორმებში, მეტაფორებში ვამოიხატება.

პოეტური სიმბოლური სახე, როგორც არ უნდა იყოს იგი, ხატოვანი იდეალური ფენომენია და ამგვარად, ილიას ვამოქმეა რომ ვიხზაროთ, იგი, როგორც პოეტური მხატვრული ხატი, „უკრისა და ვონების მონავარია“, ერთგვარის მადლის საიდუმლოებაა და ზეგარდმო შეთავონებათა მიილება (მხოლოდ არა — „სუფეტესტიერად“, არამედ, „ენსპირაიეულად“).

პოეტური სიმბოლური სახე აბსტრაქტული და „ტრანსცენდენტური“ მხოლოდ პარნასული სკოლის პოეტებთან — სიმბოლისტებთან. ანდრე ბელის მარტივი და ელემენტარული ვან-

მარტივითაც, სიმბოლური სახე აღებულია ბუნებისაგან და ვარდამწილია შემოქმედის მიერ. სიმბოლური პოეტურ სახეში ვანწინანწებულა მხატვრის ვანცეა და ის ნანწეობს კანწებში აღებულია ბუნებისაგან.

პარნასული სკოლის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი თეოფილ ვოტიეც, რომელიც იმავე ვითომ ლექსის წერის ხელოვნებაში სიმბოლისტთა მოძღვრად და სულიერ მამად გამოაცხადა, ამბობდა: პოეზია არის ხელოვნება, რომელსაც უნდა შესწავლა, რომელსაც ვანწინა თავისი მეოთხი, ფორმულა, საიდუმლოება, თავისი „კონტრაპუნტი“ და პარამიული მუშაობა“. ცხადია, უნდა დავემოწმოთ ვითოს, რომელმაც იქვე შენიშნა: ვოტიემ დავიწყა, რომ „კონტრაპუნქტი“ შთავონების („ენსპირაციის“) ვარეგან ასანოდეს არ შეუქმნია „რამე ღრმა“, „რამე ახალი“, მესიკოსის შემოქმედებაში, ხოლო სიმბოლისტურ „შეგონებას“ („სუვეესტიას“) შეუქლია შექმნას არა პოეზია, არამედ მხოლოდ ვერსიფიკაცია, რომელიც ვანსხეველება პოეზისაგან ისევე, როგორც მეცნიერება პარამიის შესახებ ვანსხეველება შთავონებული მესიკაულთა „ქენოსისაგან“ (ვიუო, „ხელოვნება სოციოლოგიის თვალსაზრისით“; გვ. 334).

პარნასული სკოლის პოეტთა შემოქმედებაში, ხშირად „ტრანსცენდენტური“ სიმბოლური სახე იქვევა „წმინდა ხელოვნების“ იარაღად, რომელიც მოკლებულია რეალური ცხოვრების საფუძველს და, როგორც ქემსი შენიშნავს, სიმბოლური აზროვნება უკვე ხდება საფუძველი მისტიციზმისა, მაგრამ არა ყოველთვის და არა ყველა შემთხვევაში... მისტიური წარმოსახვის ერთადერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზად სიმბოლური სახე ხდება მხოლოდ რელიგიაშია და პარნასული სკოლის პოეტთა შემოქმედებაში. როგორც ცნობილია, მთომარტიკოსი აზროვნებს სიმბოლოებით, მაგრამ ეს არ აქვეყნს მას მისტიციზმად. ცნობილი ფსიქოლოგის რიბოს დავიერებით, სიმბოლური სახეები საფუძველია მხოლოდ მისტიციზმისა (რიბო, „შემოქმედებითი წარმოსახვა“, გვ. 185).

პარნასული სკოლის ზოგიერთ პოეტებთან და სიმბოლისტებთან (ბოლღერი, მალარმე, რემბო, ვერლენი, ვალერი), სიმბოლური სახე ვანსაზღვრულია როგორც აბსტრაქტული, რეალობის მოკლებული, ზემთავონებითი, მადლიური, ზემხედველობითი ჰერეტიკი მიღებთან ფენომენი. როგორც არკვევა, სიმბოლისტებთან, ვარკვეულ შემთხვევაში, სიმბოლური სახე აქტიური პროცესთან ფსიქოლოგიური ვრწინობადი ელემენტების მიმართების მფდევად მოპოვეული, რეალობას მოწყვეტილი, არაკონკრეტული, აბსტრაქტული ფენომენია“; მაგრამ ჰემარტიკი სიმბოლისტური სახეები (თუნდაც აბსტრაქტული სურათოვნება) როდია „სტატუარი“, იგი იქნის იგვარაი „ტრანსცენდენტის“ ძალას, რომელსაც



შეუძლია მიიღოს მრავალგვარი მიმართება. ხშირად იგი უკავშირდება სხვა მრავალ აბსტრაქტულ სახეს და, როგორც ვალაკტიონი ამბობს „ღრმად ცხენებში“, ასე იქმნება „შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეები“, რომლებაც უსულღმბულო დღეებშიც ქვესწელებს, ამ სიბინათ ბნელ ზვედებში, ვითარცა გამოქცნობ ქობრებს; ქაოსში დაკარგული ეს შეშლილი სახეების წინაარსდაცლილი ჩონჩხიანი ტყეები ხომ იგივე ჩამავალი მზით ნაფერი ნისლის ნამკვრია, რომელიც შორეულ და უხილავ ნაპირით ელვარებს სამუდამო მხარში, რომელსაც არ უნას შენაბირი, ციფია და მესუსფარი მღვმარების გარეშე და სიცივის თარეშში. ასეთია ეს „ტრანსცენდენტური“ სიმბოლური სახეები, რომლებიც ვნებულ-წამებული ქრება ღამის ზმანებასავით და ზქარი გრვეინვა-გრიალით ქრიაან, ვითარცა „ღურჯა ცხენები“, ეს შეშლილი და ამონჩხილი სახეები (ლანდები და ეფემერები, რომელთაც არა აქვთ რეალური შინაარსი) გამსჭვალულნი არიან „ტრანსცენდენტური“ მისტიური, მიღმიური განწყობილებებით, მისაწყაფიან განდგომისაყენ, განაპირებისაყენ, საღდაც შორს, მეორე „ირეალურ“ სამყაროში, „სამუდამო მხარეში“, სადაც კვიე სამარის სიმწებარეა. და, ცხადია, აღარც სულს უხარია, რადგან ეხლა ეს სამარეა მისი განსახელებული. არავის შეუძლია გამოიციოს ეს წყველით შენაწეუნები სახე, ან ვინ იტყვის მის სახელს, ვინ გაიგებს, ვინ დაიყრებს მის სახელს, როცა ასე უმინოდ დაეხეტებიან ეს განაწეები შეშლილი სახეების აჩონჩხილი ტყეები სელისა და გონების თოვლთან და ღურჯად ნახავერებ უღამანში.

მართალია, აღნიშნულ შემთხვევაში, სიმბოლური „ტრანსცენდენტური“ ფენომენი, როგორც შეშლილი სახეების აჩონჩხილი ტყეები, მოვლადელია გარკვეულ რეალურ შინაარსს, ზგოვთ იგი შიენ სელის განწყობილების (წინარტკობეტური ტონალური ელემენტების) გამოხატულება, ანუ სხვაგვარად: ამ ტონალობის, ბუნდოვანი აზრის, „ირეალური“ შინაარსის აქტივრება, განაღდება, და, ხშირ შემთხვევაში, მოვლადელი როდია ფარულ აზრსა და იდეას, სხვაგვარად იგი ვერ გახდებოდა ესთეტიური ფენომენი. ამგვარად, სიმბოლური სახე ალევორიული არ რეალური ელემენტითაც იმსკვლება. გორაკი გამოთქმა რომ ვინმარით, შხოლოდ ასე შეიძლება დაიბადოს ბასრი რეალიზმით ფესკვამკავრებული სიმბოლური სახე. ცხადია, სიმბოლური სახე ყოველთვის არ იქცევა წმინდა ხელოვნების იარაღად. ხოლო როცა აბსტრაქტული სახეები შერყვნლია „აჩონჩხილი ტყეთა საწინელებითა და ირაციონალური-ტრანსცენდენტური“ უშინაარსობით, წარმოუდგენელი შშრალი რიცხვებით, მიმქრალ შექთა კაპარეთ და ბუნდოვანი პოეტური „ინტეგრალუბით“,

ცხადია, მოვლადელი იქნება რეალურ-სოციალისტულ შინაარსს...

სიმბოლური სახე, როცა იტყვება, რომ სხვაგვარად აღვარობული ფორმით გამოხატავს სახისა და აზრის მთლიანობას. იგი ამ ორი ელემენტის მთლიანობის მანიშნებელია, ე. ი. სახის ალევორიული ელემენტო. აზრის შექით არის ვასიეონნებული. სხვაგვარად: აზრის ალევორიული მნიშვნელობა გამოხატულია არა პირდაპირ, არამედ შხოლოდ მინიშნებით, გადატანით, გადაკრულად, ქარავმულად, შხოლოდ „შეფარებით“. შოთა რუსთაველის სიტყვები, „შეფარეთ მითქვამს, მიქია“, სიმბოლური სახის ძირითადი ელემენტია.

მასასადამე, სიმბოლური სახე, როგორც სუბიექტური და ესთეტიური გამოხატვის ფორმა, ორმაგი ბუნებით ხასიათდება — ორი, თვალნათლივი და ფარული ელემენტისაგან შედგება. ერთთა კონკრეტულად დასახელებული და თვალნათლივ დასახული სიტყვა, ხატი, ხოლო მეორე — ნაგულასხმევი, მინიშნებული, ქარავმულად, შეფარეთ ნათქვამი სახე, რომელიც, აგრეთვე, კონკრეტული აზრისა და რეალური შინაარსის გამოხატულია.

ალევორიულად გამოხატულ აზრს არ შეიძლება მიეკუთვნნოთ სხვა თვისება, გარდა მეორეხარისხოვანი მნიშვნელობისა; ცხადია, არ შეიძლება „ეთარგმნოთ“ (გადეიტანოთ) სიმბოლური სახე აზრებში (ანუ სხვანაირად: აზრი სიმბოლურ სახეში გაითქვიფოს), ეს იქნებოდა მისი ბუნების საწინააღმდეგო, რადგან სიმბოლური სახე არის შეტფორული აზრი, რომელიც წარმოქმნილია ისევე სახისაგან.

როცა „პოზიტივიზმის (ობიექტივიზმის, რეალტივიზმის, კომპარტივიზმის) პოზიციებიდან განიხილავენ პარანსელი სყოლიდან წარმოშობილი სიმბოლისტური სახის თეორიას და პრაქტიკას, ცხადია, იმ დასკვნამდე მიღიან, რომ სიმბოლური სახე არის ტონალობის (სხვაგვარი ტერმინოლოგიით, წინარე-პოეტური განწყობილების) მოტივი, თემა, აზრი-იდეა, წინარე რიტმი, გრანობა, შოავონება, სელის საწყისი მდგომარეობა) „შეკონებითი“ და არა „შოავონებითი“ გამოხატულება წარმოსახვაში, რომელიც რთული და მრავალგვარი „ტრანსცენდანსის“ შესაძლებლობას შეიცავს.

საპირისპირო და პრინციპულად განსხვავებული განსახლებებით, სიმბოლური სახე არის ტონალობის „ენსპირაციული“ (შოავონებითი და არა „შეკონებითი“) გამოხატულება კონკრეტულ წარმოსახვაში, რომელიც რტიურ ხასიათთა, მდგომარეობათა და განწყობილებათა წარმოქმნის მრავალგვარ რეალურ შესაძლებლობას შეიცავს...

სიმბოლური სახე ზდება იმ ინსტრუმენტად, რომელმაც მოვლენათა და საგანთა შორის „კო-



მეტრი\* კავშირი უნდა გამოხატოს. ამგვარად, თეორეტიკოსთა ტერმინოლოგიით, სიმბოლურმა სახემ უნდა გამოხატოს ამა თუ იმ ასპექტის „ინტერსექციები“, მათ შორის არსებული იდეო-მალე, უხილავი და წუთთერი კავშირი, რომელიც, თურმე, გამოხატავს „ეურიოზულ“ დამოუყვებლობას დროისადმი (ეპოქისადმი). ასეთია პოეზიის მთელი „ინტერდინგენცია“, რომლისაკენაც მიისწრაფვის წმინდა ხელოვნების ერთგული მესიტყვე და, შეიძლება ითქვას, სიმბოლისმის ყველაზე უფრო გააფთრებული დამცველი, პირწმინდა ადვკატი — სტეფან მალარმე, ხოლო XX საუკუნეში მალარმეს კვალს ერთგულად აგრძელებს პოლ ვალერი (*ახ. მისი „ჩემი ფაქტა“*, „ახალგაზრდა პარკა“). ასევე, ესთეტიკური ხასიათის შპავალარიცხოვანი ტრანკატები).

ასეთი იყო ფარული და აშკარა სიმბოლისმის დედამისი. ასეთი აზრებია გატარებული ვალაკტიონ ტაპიძის მრავალ ლექსში, როცა იგი შემოქმედების აღრიზდელ პერიოდში სიმბოლისმით იყო გატაცებული. ეს ლექსები მაინც გამოიჩინებოდა წინააღმდეგობის მუსიკალური განწყობილებითა და სათუთი მგრძობილებით („უხილავი“, „წუთი“).

ამგვარად, სიმბოლისმის თეორეტიკოსთა მტკიცებით საგანთა პირდაპირი და მთლიანი ჩვენების გზით შექმნილი სახეები მანკურია, რადგან უარყოფილია მისტრია, საგანთა პირდაპირი დასახელება მალარმეს სკოლისათვის მიუღებელია, რადგან პოემისაგან მიღებული ტკობა აღარ ხერხდება... მთავარია მხოლოდ „სუბექსტური შეგონება“; მალარმესათვის ეს იგივეა, რაც მისტრია და ოცნება. მხოლოდ სრულქმნილი მისტრია იქნება წარმოქმნის „სიმბოლის“, საჭიროა საგანთა თანდათანობით გამოწვევა, რომ უარყოფით სულის მდგომარეობა, ან, პირუთუ, შევარჩიოთ საგანი და ამ გზით გავწმინდოთ და გაეთავისუფლოთ სული... მალარმეს სიმბოლისტური პოეტიკის სული ზოგჯერ პირდაპირ გვენიშნება ვალაკტიონის მთელ რიგ ლექსებში ამ ვარემობას საუფეთესოდ მოწმობს 1916 წელს დაწერილი ლექსი, სადაც პოეტი გადმოგვეცხვოს სიმბოლისტური პოეტიკას, როგორც თეორიის\* (ტურ, „თეატრი და ცხოვრება“. მისი სათაური იყო „არტ პოეტიკ“ ფრანგული ტრანსკრიპციით. „სატრინს“ წერა იმ ლექსის შესახებ დაიბეჭდა ჟურნალში „ახალი ცისკარი“, 1916).

მეყარდა პანტი გრძნობით გამოხარო  
 ყვაილებივით ნაზი და ჩემო,  
 ხან მომრიალე ვით აბრეშუმი, ხან მოთამაშე  
 ვით ნიავეჭი —  
 სიმღერა გულში დაგებულელი ხან ნივივით,  
 ხან შეშლილივით, —

როს სიღრმეში ვერ იტყვია გული,  
 გადმოდიოდა ფერად ლეველივით...  
 ემღეროდი დამთვრალ ყვავილეთა...  
 ემღეროდი ტრფობის ან მტრობის ხმაზე.  
 მსურდა ყოველში და ყველაფერში, მუსიკა,  
 გრძნობა, და სილაშხზე.  
 მუსიკა იგი! პოე, მგონებო, მართალი არის  
 იგი თქმულება,  
 რომ უფრო დიდი და საოცნებო, უფრო  
 მალალი დანიშნულება,  
 არ არის როგორც განწმენდის ხმაში ვით  
 ცეცხლის აღში დააცხრო ვნება;  
 რასაც არ ჰქვია რითმითა ტანში და განცდათ  
 ტანზე მშვენიერება.

მართალია, ეს ლექსი ეთანხმება მალარმეს ზემომოტანილ სიმბოლისტურ თეორიას... ცხადია, აქ სიმბოლისტური პოეტიკის უყვე ნაცობი აკორდებია... „სიტყვისა და ლოგოსის დაპირისპირებაში აზრისა და სიტყვის განთავსულება, სიტყვის მატროოდენ მინიშნებად აღიარება სიმბოლისმის თეორიისათვის ნიშანდობლივია“... (ვ. ჯიბლაძე, ეტიუდები, ტ. III, გვ. 38) თუნდაც, სიმბოლური სახის შესახებ არსებული თეორიული რეზოლუცე ვავისხენოთ, რომელიც მოცემულია ჟინი სევერინის დეკლარაცი-ში, აეტარიმა ვიულ პორეს „ანკეტანი“ რომ გამოაქვეყნა. ამ რეზოლუცეს თანხმად, პოეტი კი აღარ ასახელებს საგანს, თუმცა იღვას, შეგრძნებას და სახეს მხოლოდ საგანი იწვევს ჩვენში (შეგრძნებაში იფელისხმება: შთაბეჭდილება და მისი აღქმა). პოეტი არ იძლევა და არც ასახელებს მიზნს, არამედ იგი იძლევა მხოლოდ ეფექტს, განუსაზღვრელ საბოლოო მიზანს და ამ საბოლოო განუსაზღვრელ მიზანს უკავშირებს „უნივერსალურ“ ცხოვრებას. ეს პოეტური მღვლეარება გადმოცემულია ვალაკტიონის ცნობილ „ეფემერაში“

ამა! შორით მოისმის ქვეყნიერი გუგუნი.  
 ელვა ელვას გაეჭრა, დაეღევა ცან ღვარი,  
 გაქპრა როგორც ღრუბელი ცოლვით  
 გადამუგული  
 უკანასკნელ ძებნათა სეველიანი საზღვარი.  
 კიდევები შეშლილი, დამეგები ველური  
 დაატვირთონ წამებით, დამე მთვარეს  
 მოვებას,

სულს სწყურია საზღვარი ისევ  
 ეფემერული,  
 სულს სწყურია საზღვარი როგორც  
 უსაზღვროებას.  
 სთქვი, რას ნიშნავს ზენიტზე მღვარი შორი  
 პალმები?  
 წინ! იმ უსაზღვროებაში მწუხარებას აიტან.  
 ჩემებარ დიდ საიდუმლოს მე იქ  
 მივესალმები,

ყოველ მხრივ სიერცე იყოს, შველა კი არსიდან. ოუბრალო ხმებისთვის არასდროს არ შევალა, დაისერა მსოფლიო გამოუცნობ წყლულებით. კოწყებს სიზმარებისას ნისლი გადაეცალა და იქ მიეცინება სული განწირულებით...

განუსაზღვრელ საბოლოო მიზნისაკენ მისწრაფება, უკანასკნელ ძებნათა სვედიანი საზღვრის ძიება, ეფემერული სულის წყურვილი უსაზღვროებისა, გამოუცნობი წყლულები, ნისლგადაცლილი კოწყები სიზმარებისა, საითაც სული კვლავ განწირულებით მიემართება და რომელიც ქვეყნის შორეულ გუგუნში დაღვრილ ცის ელვას და ღვარს, შეშლილ კიდევებს, ვაღუს დამეებს, წამებით დატვირთულ ზნანებებს უკავშირდება უშიზნოდ და უშიზუზოდ, და სადაც ხდება (აშკარად) ანტირეალისტური, „ფიქტიური“ და ეფემერული“ სიმბოლური ხერხებისა და საშუალებების გამოყენება — ასეთია რეჟიმის საბოლოო მოცემული „ტრანსცენდენტური“ სიმბოლური სახის არსი და რაობა.

ამგვარად, სიმბოლური სახე, როგორც სტილის ელემენტი, მაშინ ხდება სიმბოლისტური (იდეალისტური) შემეცნების საკუთრებად, როცა იგი „ტრანსცენდენტური“ და მისტიური შინაარსით იმსჯელება და თავის პოეტურ, ტრანსლურ, სულიერ განწყობილებებში თავის სულს, თავის თავს, თავის შეს, სუბიექტს ხედავს და ცხადია, უარყოფს სოციალური ძალის არსს, სოციალურ-საზოგადოებრივ სფეროს, ანუ, შიდაკოესკის ტერმინოლოგიით რომ ეთქვას, უარყოფს „ნათელ სოციალურ დაკვეთაბ“...

მაგრამ „პოზიტვისტიკები“ მიიწე ლაპარაკობენ სიმბოლური სახის რეალობისაში დამოკიდებულებაზე: იოპანსენი ფიქრობს, რომ სიმბოლისტებს უნდა ჰქონდეთ, გარკვეული ზომით მაინც, გრძნობა რეალობისა, თუმცა კი სიმბოლისტიკები არიან არა მთხრობელი, ფაბულის შემთხვეული პოეტები, არამედ „სუბესტიური შეგონების“ პოეტები. აქ იმავე გეგმის მოვლენა შეიძინება, როცა იქმნება ახალი და ღრმა „იმპრესიონისტული“ სურათი სინესთეტური ვისუფლების დროს ფერების, ბერყებისა და სხვა რეალურ საშუალებათა გამოყენებით, ე. ი. როცა იქმნება არა რეალობა, არამედ რეალობის ილუზია. ამ პირობებს აშკარად „სიმბოლურ იმპრესიონიზმს“ უწოდებენ და საქმის მდგომარეობა ისეა წარმოდგენილი, თითქმის შეიკარა, „სუბესტიტიკა“, ხელოვნური „შეგონებით“ (და არა შთაგონებით) მიღებული სიმბოლური სახე კვლავ მჭიდროდ უკავშირდება რეალობას და სინამდვილეს, რაც ადრე გაგებული იყო, როგორც „ტრანსცენდენტური, მალეფიანტირებული და ილუ-

ზონისტური“ ეფემერული ფენომენი... როგორც არ უნდა იყოს რეალობის „იმპრესიონისტური სიმბოლისტიკის“ მთავარი სიმბოლისტის თეორიკოსებმა შეტყობეს, ლეგული ფორმით წარმოგვიდგინენ, ახრია შემდგომი განვითარება, აუცილებლობის გზით მიგვიყვანს მოულოდნელი „ალტერნატივის“ აღიარებამდე.

რომელი გზაა მისაღები? ორიდან ერთი: ამ „ჩვეულებრივი იმპრესიონიზმი, ჩვეულებრივი („ორდინალური“) სიმბოლური სახე, როგორც პოეტური ფორმა, უკიდურესი რეალიზმი, ბუნებით, შთაგონებით წარმოქმნილი; ასეთ რეალიზმს შეტყობინების თქმით, „აპრიორულად“ აღიარებდნენ ესკილე და შექსპირი — უველა დროისა და ეპოქის უკიდურეს რეალიზტებში ლიტერატურას, მხატვრობასა და მუსიკას.

ასეთი ხასიათის სიმბოლური სახე უპირისპირდება ისეთ სიმბოლურ სახეს, რომელიც „ტრანსცენდენტური“ მისტიციზმით არის გამსჭვალული და ხელოვნურად გამოიწვევს „სუბესტიტიკური შეგონებით“ წარმოქმნება.

„რეალიზმი“ ამტყობებს რეალურ პოეზიას და ლიტერატურას, რეალური ბუნებრივი შთაგონებით, „შენიოსის“ ძალით, შინაგანი სიდიადით (ეს იგივეა, რაც გერონტი ქიკობის მიერ შემუშავებული ტერმინი: „გარბობა შინაგანი ხელისა“), „სიმბოლისტიკა“ კი „შისთვის საჭილველ“ რეალურ პოეზიას და ლიტერატურას. უპირისპირებს ბუნდოვანი ნიუანსებს, რითმიული ღანღების, ელვარდი ფერადების „სუბესტიტიკური შეგონების“, უსაგნო, უშიზო „წმინდა“ პოეზიას; „შენიოსის“ ძალს კი უპირისპირებს ვერსიფიკაციის კანონების დაცვის შედეგად შექმნილ „კონტრაპუნქტის“ მარბონიულ ხელოვნებას, ხოლო შინაგან სიდიადეს („შინაგან ხილვას“) უპირისპირებს ახალ მოძღვრებას ხელოვნური „შეგონების“ შესახებ (იგივე „სუბესტიკა“), რომელიც უკვე ზემომისხელებული ფრანგი მოაზროვნის გიული სიტყვებით და ბოდლერის მოწმობით, მუდმივი და ზანგრძლივი, მაგრამ უშიზო გონებრივი „გინანტიკაა“. უკეთუ ამ მუდმივი და ზანგრძლივი „გინანტიკის“ (სუბესტიტიკური ანუ მისტერიული „შეგონების“) მიზანი მხოლოდ ის ყოფილა, რომ შექმნას ფორმათა „გრაია“ და გარგნულად ბრჭყვიალა სილამაზე.

„ჩვეულებრივი“ სიმბოლური პოეტური სახის თეორია, ჩვეულებრივად გაგებული რეალიზმი ითვალისწინებს ტიპურ ხასიათებას ტიპურ გარემოში გადმოცემას, ანუ „ნაენობი უნობი“ სახის შექმნას და, როგორც გარკვეულია, იგი საესებით ეწინააღმდეგება ე. წ. „სუბესტიტიკური“ სახის, ანუ „ტრანსცენდენტური“ სიმბოლური სახის ბუნდოვან იდეალისტურ თეორიას...

ასეთია გზა ოციდი ნაზონისა, ესკილესა



შექსპირისა, ვალატიონ ტაბიძისა — გზა რე-  
ალიზმისა.

რომეაღლა თქმისა არ იყოს, ვეღას თავისი  
გემოვნება აქვს და ფერების თავისებური შეგ-  
არღება ვაჩინია — ამიტომ არის, რომ ვემოვნე-  
ბაზე არ დავიბნე, ისინი, ვისაც სადავო არაფე-  
რი აქვთ. მაგრამ რეალიზმს აქვს სადავო სიმ-  
ბოლიზმთან, რადგან განსხვავებულია მისი  
მხატვრული კონცეფცია, პოეტური სახის თე-  
ორცა, აზროვნების ხელება და სტილი, „მართა-  
ლი და პატრიოსანი“ შემოქმედებითი მეთოდი,  
ჩასაც შექსპირი გამოხატავს სიტყვით „პო-  
ნოსტ“ ანუ, თანამედროვე ტერმინოლოგიით,  
ხელოვნებაში, პოეზიაში მოპოვებული, დანა-  
ხული და აღიარებული „პატრიონება, ქვეშა-  
რითება და სიმართლე“ (შექსპირი, „ამლეტი“).

ამ პატრიოსანი, მართალი და ქვეშაირტი  
შემოქმედებითი მეთოდით შეიარაღებული რე-  
ალისტი პოეტი „მეტაფორული“ აზროვნების  
პროცესში უკვე სცილდება მშრალი — სქემა-  
ტური სიმბოლოებით აზრის გამოხატვის წე-  
სებსა და კანონებს და მის მიერ გამოყენებუ-  
ლი გრანოზალი ელემენტები (პოეტური ხარხე-  
ნი და სემეალებები, ტონლისტერ-რიტორიკე-  
ლი ფიგურები) ემსახურება ტონალური-წინა-  
რე-პოეტური და ორიგინალურ-მიზნობრივი  
ფსიქოლოგიური განწყობის გამოხატულებას,  
თანაც კონკრეტულად განზოგადებული რეა-  
ლური სურათის ფერწერულ სამუალებად იქ-  
ვედა ხილი ამ სურათში სკულპტურულად  
(მასტერებად) გამოკვეთილი ღრმა იდეური  
წინაარსი და ფარულად (შეპარებით) ნათქვა-  
ში — საზოგადოებრივად აქტიურებელი რეალე-  
რი, თბიქტური ქვეშაირტება ისახება. ეს ფორ-  
მულა რომ უფრო გასაგები გახდეს, ვალატიონ-  
ნისავე რეალისტურ ფერწერას დაევიწყებთ:

ამ ვარჯისფერ ატმებს მოვიგონებ კვლავ...  
იმგვარადვე მდევ... იმგვარადვე მკლავ:  
ჩიოგორ მამწყურდლი მწუნხარეა დღე.  
იმგვარადვე ცა, იმგვარადვე ზე...  
იფე ქარის დაქტრის, იღუნება ზხა.  
იმგვარადვე მზე, იმგვარადვე გზა.  
ქლიერ... ქლიერ... ქლიერ... ვეტყვი ზენა ქარს.  
იმგვარადვე ხშით. იმგვარსავე ზარს.

სრულად აღებებრად გამოიფურება ამ ლექ-  
სის ანუ ელემენტური რაუსილიის პოეტურ სახე-  
თა მუსიკალურ-ფერადოვანი ელერა და სტი-  
ლისტერ-ესთეტიკური კომპოზიცია.

ამ კონკრეტული სურათის მოძარს „სტრუქ-  
ტურულ“ ერთიანობაში გამოსკვირვის აღმაინუ-  
ნი სულის მოთქმა და გოდება, იმ ბრძოლებისა  
და ქარტულიების გამოძახილი, რომელიც ამ  
თბიქტურად დახატულ პეიზაჟურ მხატვრობა-  
ში მარადიული სულოვით თან ჩაუყოლებია  
შემოქმედის დადღეგარ მაძიებელ გონებას,  
ჭოგორც თავისივე, საკეთარის განდლით წარ-

მოქმნილი ძიების ნაყოფი და ნოვადა-დამაინუ-  
რი ბუნების ხატება.

პოეტი კვლავ იმ ვარდისფერ სტრუქ-  
ტურულ იმგვარადვე დღევანესა და...  
დაეს ამწერად: „იმგვარადვე მდევ... იმგვარად-  
ვე მკლავ...“—ამბობს პოეტი პირველი სტრო-  
ფის მეორე ტაქტში, ხოლო მომდევნო მეორე  
და მესამე სტროფებში კვლავ: „იმგვარადვე ცა,  
იმგვარადვე მზე, იმგვარადვე გზა“ ესახება.

უქანასკნელ სტროფში, რომელიც ორ ტა-  
ქტისაგან შედგება, მხატვრული ფერწერის ის  
ხერხი, რასაც შეიძლება „ეფფონიური გრად-  
ცია“ ვუწოდოთ, აღწევს თავის უმაღლეს მი-  
ზანს (ამოვეას):

ქლიერ... ქლიერ... ქლიერ... ვეტყვი ზენა ქარს.  
იმგვარადვე ხშით. იმგვარსავე ზარს.

არაპირდაპირი თუ ირიბ-პირდაპირი მეტყვე-  
ლების ხერხით, პოეტურ სახეებში შეპარვით  
„განწეული“ და შეფარვით ნათქვამი იდეების  
დადღეგარი დინამიკით, პოეტი ახერხებს გა-  
მოხატოს აღრინად ვაქილარაველები გეღის  
აგი ზმანება (მწუნხარე ფიქტები), რომელიც თა-  
ვის მხრივ საზოგადოებრივი ცხოვრების ქარ-  
ტებლითა სიმბოლური გამოხატულებაა. არა-  
პირდაპირ, მეტაფორულად (შეპარებით და შე-  
ფარვით) ნათქვამი აზრები სუფევს პეიზაჟური  
მხატვრობის სახეთა სიუეტურ ქსოვილში,  
სადაც ლოკიკური აზროვნება „დესკურსიულ  
პლასტიკაშია“ ჩაქსოვილი (ქიუგოს მტკაცებო-  
თაც, ასახისაგან განწყურელი იდეა არის ლირი-  
კული პოეზიის დედაპირი“. „ოდებისა და ბა-  
ლაღების წინასიტყვაობა“).

ბუნების წიაღში აღმოცენებული საზოგადო-  
ებრივი ბრძოლის ანტითეზა (როგორ იღვალა-  
საღში წინააღმდეგობა) ახლა „თეთრ-ვარდი-  
სფრად და ლურჯ-ციხდრად“ მოელვარე საგან-  
თა ციაგებში ბრწყინდება. დღეთა უსაზღგრო  
მწუნხარებაში ინასკება ბზასავით დაღუნული,  
ვარდისფერი ატმის ყვავილების და რტოებში  
ეგობით მძინვარე ზენაქარის შერყინების იღუ-  
მალი კვანძები. ქარის კივილსა და ქარაშხალის  
ტბორში, ისევ ამ ატმის დაღაღულ რტოთა და  
ვარდისფერ ყვავილთა გადარჩენაზე ოცნებობს  
რეალისტი პოეტი:

ატმის რტოთ, დაღაღულ რტოთ. ატმის  
რტოთ, სიმწვიღეაშირი,  
ქარიშხალი მოღის საამდროთ, ყვავილების  
ქარში მაქარს ტბორი.  
მოღდა არ ღირს, თუ ისევე უღდა, ამ გრეგალ-  
ში ღრთ არ არისსივის.  
დაღაღული ყვავილი ხარ სუსტი. ქარი კივის,  
ქარი კივის, კივის.

ნაპარლებზე გადაიხსენიან ნარკი, ესაა ზღვა, ესაა სისხლის დროს თუ ვადარნი, ხომ ვადარნი, ვარკი... ატმის რტოო, დაღალთო რტოო.

მეტაფორული აზროვნების „ნათელიღივის“ დაუსაბამო მდინარებაში თავს იჩენს იმ ღებულებათა სისწორე, რომ ვრძნობა განწყობელია აზრისაგან, და მათი ურთიერთობაში განიხილვა საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ ფსიქოლოგიური („სინესთეტიკური“) ელემენტების „ფუნქციონალური“ თვისებები (იდეური ფუნქციები), რადგან გრძნობის აზრობრივი მხარე წარმოშობს ფერის (იერის, ელფერის, ნიუანსის) გამოხატველ არსებით სახელს (ეპითეტების სახით), და, საერთოდ, გრძნობათა აზრობრივი გამოხატულება იღებს „სინესთეტიკური“ კმნადობის სახეს, ისე რომ, ფერს ენიჭება არა მხოლოდ ფსიქოლოგიური, არამედ მორალურ-ეთიკური და სტილისტიკურ-ესთეტიკური მნიშვნელობა, და გამოხატველია იდეური შინაარსისა, აღნიშნული მოსაზრების რეალობა და სისწორე შეიძლება ცხადყოფილი იყოს ვალუატიონ ტაბისი პოეზიიდან აღებული თვალსაზრისი არგუმენტებით:

რტოებში აეობს ბებერი ქარი, ყვავილთა ქარი ფიფქით ზანაობს, ტყდება, ნანაობს ეთერა ჩქარი, ნანაობს ქარი და მიქანაობს.

რეალისტი პოეტი, მუღმივი ეპითეტებისა და მეტაფორული ზერხების გამოყენებით ახერხებს მოახლოვანს ელფერის (ნიუანსების) „სუბსტანტიურ“ და ეპითეტებით გამოხატულ არსებით სახელს მიანიჭოს მორალურ-ეთიკური აუცილებლობის მნიშვნელობა, სადაც მათი ტრფობა-სურვილის ტენდენციურად გამოხატული ზნეობრივი სიტყვა და სიკეთის იდეა იხატება. იმ დროს, როცა ქარი შეხვდა ატმის ყვავილებს, ვარდისფერ ღილებს შეატყო ერთგულა, ფრთა დაატოლა ვაშლულ ღილებს, დაწვდა ბილილებს და აათრთოლა — ავობით მჭინვარე ბორბტი, ბებერი ზენაქარის „ანტითეზა“, ატმის ხე ზნეობრივი სიკეთის იდეას განასახიერებს თავისი მუღმივად მოქმედი ეპითეტებით და ფერთა ნიუანსების გამოხატველი ზედსართავი სახელების „სუბსტანტიკებით“. ასე, მავალითად, ატმის ხე ღვას თავივლივით, მიღვეით ფრთის სული, შორით მოსულა ვაზღაფელ-სხივივით, მათა მჭევით ვარკვივით, ატმის ხე ღვას, ვით ნაზი ქალი, ვით დღეღვალე ეტბო მხარეში, სინარჩარეში სწევას მზის აღი, ხოლო გრძნობათ აღი სიმწვხარეში. ატმის ხე შლილი ოცნებაა: მზით აღჭურვილი ღვლავეს... და აჭეც, ისევე როგორც ვალუატიონის მრავალ სხვა ლირიულ რეალისტიკურ კმნილებში („მერე“, „მესაფლავე“, „ატმის რტოო“, „სიღალვარდე ანუ ვარდ სიღამი“ და სხვ.), სამი მოქმედი პირი გამოდის პოეტური გულს-

ატმის სასიკუნო ასპარეზზე. — ატმის ყვავილებში“ პირველი მოქმედი პირი, ელფერი და ხსიათებული ფერის გამოხატველი მოქმედი მოქმედი „სუბსტანტიურული“ ეპითეტებით: ხოლო მეორე მოქმედი პირი თვით პოეტია ხან ტენდენციურად გამოხატული, ხანაც ფარულად ნათქვამი ზნეობრივი სიტყვისა და სიკეთის გამოხატველი კეთილი იდეებით; ხოლო მესამე მოქმედი პირი განლაგთ რტოებში ავობით მჭინვარე ბებერი, ბორბტი ზენაქარი. ამ ობიექტური პერსონაჟი მხატვრობის დროს ყველგან ეამოსკვევილი პოეტოლოგური ქარტეხილებით აღსავსე, ზღვასავით მღვღვარე, სისხლიანი დროის მთაფრ პერსონაჟებში ღრმად ჩაქსოვილი რეალობა, იდეალურ სედაც-კეთილად.

სადაც-კე, ბორბტი, ბებერი, ავობით მჭინვარე ზენაქარის ფრთები გაიშლება, იქ ყოველთვის ატმის ხეს ბზარი აჩნდება და ყვავილების ღვარი იფრქვევა. ამის გამოა, რომ პეპლებივით მშვიდი და ფრთხილი, „აშლილი და აფრენალი“, გადაცვენილი ატმის ყვავილი დაღლილა და მოწყვენილი. უფრო მეტად: ბორბტი, ბებერი ზენაქარის მეღვარე ფრთების გაშლის გამო ისიც მოხდა, რომ „მტკრიტი დაისეარა წყალთა ღილივი, ყვავილი იგი მოკვდა და ჩქარა წითლად დაიფარა ბალის ბილივი“.

ამგვარად, პოეტი, „ფისკურისილი პლასტიკის“ და ობიექტური პერსონაჟი მხატვრობის მეშვეობით, ერთმანეთის საწინააღმდეგე მოვლენათა „ანტითეზური“ დამპირსპირებით გამოხატავს არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების მოყოლოდნელი ქარტეხილებით აღსავსე, ზღვასავით მღვღვარე, სისხლიანი დროის მთაფრ პერსონაჟებს და ვარდისფერი ატმის „ყვავილთა ქარში, კვილისა და ქარიშხლის ტობაში“ სიკეთისა და ბორბტების მარადიულად არსებულ ზნეობრივ შერკინებას ხედავს, ხოლო ფერებისა და ბებრების აზრთან პარამონიში დამქინარ ყვავილთა სურნელების კეთილ იდეას შეიგრძნობს და რეალისტიკური — მეტაფორული აზროვნების იშვილთ ნიშნებს ქმნის.

პოეტი, სიმბოლისტი პოეტისაგან განსხვავებით, ლაბარაკობს არა მხოლოდ სუბიექტურად დანახულ ოცნებაზე, ფიქრებზე, იგი უპირალოდ და მარტივად, ფსიქოლოგიური ფაქტორებით, ბუნებიდან აღებული მარტივი საღებავებით გამოხატავს თავის „პირად-დაყარვულ გრძნობებს“, პოეტურ განწყობილებებს, ტრანსლურ ელემენტებს. პოეტი ლაბარაკობს არა მხოლოდ თავისი საკეთარი, სინესთეტიკურად წარმოქმნილი გრძნობაზე, არამედ იმ გრძნობის შესახებ, რომელიც საერთოა, საზოგადოა. ასე იქმნება შინაარსი საკეთარი და პირადი გრძნობისა, შინაარსი და ფორმა ფსიქოლოგიურად წარმოქმნილი სუბიექტური მგრძნობელობისა, რომელიც განზოგადებულ ხასიათს იღებს. ეს ნათელი აზრი საოცარი სიკბადით და სიმსუ-

ბეჭით არის გადმოცემული გადაკტიონის ლექსში, რომელსაც ეწოდება „გრანობა, რომელიც დაკარგულია“:

„ის მღერის როგორც დარის დარება, იმისი გული ხალხის გულია, მასში მოისმის იღუმალთა ხმით მწუხარება, გრანობა რომელიც დაკარგულია, ის ხეტიალობს ასეთნაირ განწირულებით, როგორც სამოთხის დახურულ კართან, გულზე აწინა ეყრდნევი დროის წყლულები ვაუნელებელ ცეცხლთა და ქართა“.

პოეტის გული და გრანობა, ეს იგივე ხალხის გრანობაა, ხალხის გულია, რადგან მასში მოისმის იღუმალ ხმითა მწუხარება (ვაშლისკვირის საზოგადო ნიშნითა „კრებულები“), — „რომელიც ხეტიალობს ასეთნაირი განწირულებით“, როგორც საზოგადოდ ხალხის გული, გრანობა, გონება, ფიქრი იცნება, გულისთქმვა და სულს-კვეთება („განწირული სულისკვეთება“) და, როგორც არ უნდა იყოს დახშული „სამოთხის კარები“, პოეტს მაინც „გულზე აწინა ამ გაუნელებელ ცეცხლთა და ქართა ეყრდნევი დროის წყლულები“.

ორი „პროზაზე“ (სტიქიის (სიმბოლისტური) და რეალისტური, დემონიური) და „მხოლოდ“ ბრძოლის პარობებში, პოეტი ხვდება, რომ ხელოვნების ამოცანა უწინაე იმ ყოფილა, რომ ბუნებას საკედ ვაუხდეს, ცხოვრებას მისი სახის მეტყველება აჩვენოს, ბიჭვრებას — მისი ფშვავისება, დროებას და ხალხს მათი ელოტება და ნაკვალევი“ (მემსართ „სამბოლი“) საკვავართა: პოეტის საკედქვეული გული ბუნების „ნათავებია“, და მხოლოდ მის ხაზებს უჩვევებს, რასაც შეე ჩაუხედნია (აქაი). პოეტრობა და ტიპეტობა რეალისტური სახის განმასხავებელი სტილური ნიშანია. სახეთა კონკრეტულობითა და საზოგადო ნიშნების აერთან კრებულობით: იზაშება სიბრძნე და გონიერება რეალისტური პოეზიისა დახვლოვნებისა. ასეთია რეალისტური სახის თეორია.

რეალისტური პოეზია არის მხატვრული სახის სიტყვიერი წარმოქმნის პროცესი და მას თავისი სპეციფიკა, თავისი გამოთქმის ხერხები, საშუალებანი გააჩნია: რეალისტური პოეტის მიერ დახატულ, კონკრეტულად განზოგადებულ სერათში გამოსკვივის წარმოშასხველობით და შთავონებით იაღთა მოქმედების შედეგად წარმოქმნილი მგრანობელობის სტილიტური მღელვარება, რომელიც იზავტარება არსებულ „ცეცხლთა და ქართა ეყრდნევი დროის წყლულებით“ არის გამოწვეული და რომლის განზოგადებულად და სიმბოლურად წარმოსახვა რეალისტური პოეტის ესთეტიკური შეგრანებისა და პოეტური ხედვის ერთ-ერთ სტილისტური თავისებურებაა.

დებარების სისწორით ვგაოცებს რეალისტური პოეტის მიერ დახატული ბუნების პეისაჟი, სადაც გამოსკვივის აღამიანური სერებებს სერებებზე, გრანობათა სიმართლი კომპლექსურ გრანობა გადებულად წარმოდგენილ პირად აღამიანურ გრანობებსა და სულეერ განწყობილებებს მიკვანიშნებს, და დროის, ეპოქის საზოგადო ნიშნებს შევიგრანობთ და შევიკვინებთ. ამიტომ, „ყუთელებით თობა“ და მის ფერთა ციაგებით ვატყება, შემთხვევითი არ არის რეალისტი პოეტისათვის. მრავალი რეალისტური ლექსი მოწმობს, თუ რაოდენ ხიბლავს რეალისტი პოეტის „დაღაღული გულის იცნებას ყუთელთა ფერების აღგნებელი სურნელება“. მაგრამ, ფერთა სიმბოლიკის მრავალი სტილისტური ფერსხვით არ შეიძლება პოეტური-მხატვრული სახის თავისებურების განსაზღვრა, რადგან ფერის წარმოქმნა წმინდა ფსიქოლოგიური პროცესია, მაშინ როცა მხატვრული სახის წარმოქმნის პროცესი არის შემოქმედებითი პროცესის „კონსტრუქციული“ და არა იგივეობრივი მოვლენა, და ამდენად რეალისტიისთვის მთავარია არა სიტყვა, ფერი თავისთავად (როგორც საშენი მასალა), არამედ პოეტური სახე, როგორც შემოქმედებითი პროცესის საბოლოო რეზულტატი, როგორც დასრულებული პოეტური ფორმა და ესთეტიკური „ნაქრებები“. ამიტომ, პოეტური სახე არის რეალისტური სტილის რეგისტრი, არსებობის ერთადერთი პარობა და განმსაზღვრელი საფუძველი... ხოლო „სანესთეტიკურ“ მგრანობელობას, როგორც ფსიქოლოგიურ ფენომენს, რეალისტური პოეზიაში აქვს დაშმაკ — საწესის ფაქტორის მნიშვნელობა და როგორც თავისებური, ირიგინალური არ უნდა იყოს საკანთა და მოვლენათა „სინესთეტიკური“ (სუბიექტური) ხედვა და მგრანობელობა, იგი რეალისტური განზოგადების კარგე პოეზიის ვერ შექმნის.

რეალისტური პოეზიაში ფერთა სიმბოლიკა ფსიქოლოგიური ფაქტორების მოქმედებით არის განმარობებული, მაგრამ რეალისტური პოეზია „სუვეესტიკური“ ხელოვნებით და ვერსიფიკაციის კანონებთა შექმნილი მღუმეობი და ხანგრძლივი გონებრივი „განმასტყვა“ არ არის, არც ფუფია და კონტრაქტების მადალისტატობის სწავლა, როგორც ფიქრობენ სიმბოლისტები, არამედ იგი სახეებით აზროვნება და მისი ესთეტიკური ღიბებულება განსაზღვრულია იმ კავშირითა და ურთიერთობით რომელიც განმარობებულია მისი იღუმალ-მხატვრული მთლიანობა, ფერთა სიმბოლიკა თავისებური ხერხი და საშუალებაა პოეტური-რეალისტური სახის შესაქმნელად.

რეალისტური პოეტს შეუძლია „ოისფერი და ცისფერი სიტყვით ციაგები ვადავიშალოს“, მაგრამ ამ პროცესის დროს ფერთა და სტი-



ყვეს მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა ენიჭება და თვითმიზნად არ გამოდგება, წინააღმდეგ შემთხვევაში პოეზია დაყარვას თავის მალღ დანიშნულებას და იგი ასევევესტრუქტურით შეგანებით წარმოქმნილ „კონტრაპუნქტის“ მკყარ ზელოენებდ, — უზარო ვერსიდვაციოდ ვადაქცევა, როგორც ეს ზდება სიმბოლისტებთან. სწორი არის რეალისტი პოეტი, როცა აცხადებს: „ღამარტებულა, ვისაც ამ ენის ვა შეუცვლია, რადგან ვონებას არასოდეს არ შეუძლია დაკმაყოფილდეს პარმონის მხოლოდ თამაშით, წინაღმდეგ შემთხვევაში, კვლავ პოეზია უნდა იდგეს სიმბოლისტის ცივ აქლდამაში“ (ვალაკტიონი „საუბარის ღირაკის შესახებ“).

რეალისტური პოეზია ენობრივი სამკაულეებით, სტილისტური ხერხებითა და სმშუალეებით, „მეტაფორულ-ტიოპული“ ფიგურებით შეტყველი მხატვრობა, საარაკო და საოცნებო პოეტურ სახეთა მწყობრის და მთლიანი სისტემა, და იგი ცდილობს შეიცნოს მისი თანამედროვე სინამდვილის, მღელვარე რეალობის უფრი ებოქის კონკრეტული შინაარსი, საზოგადოებრივად აეცილებელი კანონზომიერება და სოციალური განვითარების ტენდენციები, ეს ფაქტორი რეალისტურ სახეს სიმბოლისტურისაგან განასხვავებს. რეალისტური პოეზიის თემები და მოტივები ნაკარანახებია რეალური სინამდვილისაგან, რეალისტურ სახეთა ორიგინალური მიზნობრივი განწყობა, წინარე რიტმი („რიტმის ვეგენი“, წინარე-პოეტური ელემენტები, აზრთან შებმის დაუსაბამო პროცესი), როგორც ფსიქოლოგიური ფაქტორი, პოეტური ქმნადობის „ტანჯვით აღსაყვ გზაზე“, გამოხატვის მამივე სუღიერ მდგომარეობას, ვულისოქმას, სუღიერ ღელვას, რომელიც იბადება „მარტობის საშინელ ფამად“ და გამოწვეულია მწარე სინამდვილის მწარე განცდით.

რეალისტურ პოეზიაში, ჰუნების ღიალი მოკლენები, და საერთოდ პეიზაჟური მხატვრობა, თუნდაც, პეპერი, მჰაფრი, ბოროტი, მღელვარე ზენაქარი, ვროვალი, ატმის ყვაოლები, ზღვაქარიშხალი, გემი-იშედი თუ „ღურქა-ცხენების“ დაუნაბამო სრბოლა უსა-

ზღურებისაგან და მშობლიური „ქვეყნის“ ნაცნობი აკორდები, მთელმეტყველად განთავსდნ მთვარის შეჭთა რბილი ნათელი, არის მამივე სუღიერი განწყობილების და ეროვნული ტრადიციების გამოშხატველი და, მართალია, ძალზე სუბიექტურია (ეროვნული), მეგრამ მისი ზოგად-საყოველთაო საკაცობრიო შინაარსის გამო ენიჭება ობიექტური აეცილებლობისა და მარადიული უკმარებების მნიშვნელობა.

რეალური საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან შინაგანი პოეტური „ზილით“ გამოწვეული სევეა-ნაღველი, რომელიც „გუნენებელ ცეცხლთა და მართა უკურნებელი ღრბის წყლულებით“ არის აღბეჭდილი, როგორც ეროვნული ხსიათი ზოგად-აღამიანურ ბუნებაში არის „ვადამწელი“, რაც აგრეთვე, რეალისტური წარმოქმნის ანუ გენიალობის ერთ-ერთი აეცილებელი პირობაა. ბედი ხალხისა, ბედი კაცობრიობისა, აი რეალისტური ზელოენების მარადიული თემა (პეშკინი). ამ მარადიული თემის რეალისტური ანუ გენიალური წარმოქმნის უნარი რჩეულია ზეღრია. ამ რჩეულთა შორის პეშკინი ერთეულბს ასახელებდა, ამის გამო იყო ღიადი შექსირია... და, ამიტომ ინარჩუნებს რეალისტური პოეზია, რეალისტურ სახეთა სისტემა, რომელ ებოქამიც არ უნდა იყოს იგი შექმნილი, „ფორმისა და ნიშნის მიუწვდომელი ნორმის მნიშვნელობას“ (მარქსი).

ასეთია რეალისტური, სახის სპეციფიკა, რეალობის უნივერსალური კანონი, მისი წარმოქმნის პროცესი და ესთეტიკური იღვალი, მხატვრულ-პოეტურ აზროვნებაში სუბიექტობიექტის დიალექტიკა და რეალობის მხატვრული კონცეფცია, რომლის გათვალისწინება აეცილებელია მხატვრული ნაწარმოების იღვური შეფასების დროს, რადგან ზელოენებისა და პოეზიის სიმშვენიერით დატკობის უნარის მქონე სუბიექტის (საზოგადოების) გარეშე, რეალობის მხატვრული კონცეფციისა და კონკრეტული თვალთახედვის გარეშე, არ არსებობს თვით ობიექტი, ზელოენების მარადიულობა და უკვდავება.





ათაქ ავსაჯანოვნილი

ალ. ყაზბეგის „მოძღვარის“ ხალხური წყაროები

ხალხურ ზეპირსიტყვიერებასთან ორგანულ კავშირშია ალ. ყაზბეგის ფსიქოლოგიური რომანი „მოძღვარი“. ამ რომანში ავტორს გამოყენებული აქვს ხალხური ლექსები.

პატარა ხალხური ლექსი, საგმირო ან ღვინდარული ამბავიც კი საკმარისი იყო იმისათვის, რომ ალ. ყაზბეგს მოთხრობა ან რომანი შეექმნა.

ალ. ყაზბეგს აღაფრთოვანებდა იდეურად ღრმა, მხატვრულად სრულქმნილი ხალხური შემოქმედება. იგი ვულგარულიდან ეცნობოდა მთის ხალხის ჩვეულებებს, მათ ადათებს, რომელიც ხალხის გონიერებამ მიიღო და დაადგინა. ამის თაობაზე მწერალი იონა მეუნარვიას „მოძღვარის“ გამო საპასუხო წერილში წერდა: „დღემდის მომეტებულად მე ვწერდი მოღსრობებს მთის ცხოვრებიდან და ვცდილობდი დამხატვა ის წმინდა ჩვეულებანი, ადათები და წესები, რომელიც ხალხის გონებამ მიიღო და დაადგინა თავიანთ ერთბაშად. ოდესმე, ყოვლად შეუძლებელია, რომ ჩვენის ცხოვრების პირადათა თავიანთი დასაწყისი ამ წარსულიდან არ მიიღონ. მე ვეცადე ამ წესებიდან გამეცნო ხალხი, გამეგებინა რა გავლენა აქონდა ხალხზე და რამდენად შეიძლებოდა მათის ხელმძღვანელობით ურთიერთობის მორგება, ცხოვრება და დამოკიდებულება. მიემართე მათს ხელის შემწველს მიზეზებს და მათი აწმყო მდგომარეობის გამოხატვა ელსტრეე“.

ხალხური ზეპირსიტყვიერების სიყვარულით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ალ. ყაზბეგი თვითონ დადიოდა ხალხში და იწერდა ხალხურ თქმულებებს.

ყაზბეგის შემკრებლობითი მუშაობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ალ. ყაზბეგის მწვემსობის შეგობარი დიპირტი ლუღუ-

შაური და სიმონა (ჩეკიაშვილი) გიგაურის მისწვილი.

დიპირტი ლუღუშაური წერს: „სანდროსთან ერთად ჩიხვებზე სანდროდ ვიყავი. ბევრი ვდრეთ ნადირს, მგერამ ვერაფერი ვერ მოვკალით. უნდა გამოებრუნებულაყავით უყარ. რომ თოფის ხმა მოგვესმა. ჩვენც იქითვე გავწიეთ, სიღინაც ეს ხმა მოვიდა. ვხვდავთ. ერთ ხვესურს ორი ჟიხვი მოვკლა და დიდის ტანვით ხან ერთს ჟიხვს ამოიტანდა ხოლმე კლდეებზე, ხან მეორეს. ჩვენ მივებმარეთ ამოტანაშო... იქვე ცეცხლი დაეანთეთ და მწეაღები შეეწიეთ სანდრომ ხვესურს რალაც ამბავი გამოკითხა. ხვესურმა რაც იყოდა, ყველაფერი გვიამბო და ბოლოს დაემატა. ერთი მეცხვარე ფშაველა ამოვიდა ბალიატთან და ისეთ ლექსებს დამღერის ფანდურზე, რომ, ღვთის მადლმა, ტირილა მოვიყავი. სანდრომ თქვა, თუ ის არ ენახე, ვერ მოვისხევენბო. მე სტუფანწმინდას დაებრუნდი, სანდრო კი ხვესურს გაყავა. საში წეღი ისე გავიდა, რომ სანდროს ვეღარ შევხვდი. ერთხელ ქალაქში თურმე მადიოდა სანდრო. ვხათ ჩემთან მოვიდა, ერთხრთი მოვიყიბეთ. ბოლოს სანდრომ ჩვენს ერთად ნადრობა და ფშაველი შეღექსე მოვიგონა. სანდრო ძალიან ღოკავდა იმ ფშაველს, ათვალეები ამიბილაო“.

ალ. ყაზბეგს უცნობი მელექსისაგან ჩაეწვირა „ჯარჯი“, „სამი არ გაიწერთნება“ და „მეთლემის კარზე ჰეღია“.

ასევე საინტერესოა სიმონა გიგაურის მისწვილის გადმოცემული ამბავი ალ. ყაზბეგზე.

„ბობა ჩემისაგან, — იგონებს გიგაური, — ხშირად გამიგონია, რომ სანდრო ცხვარში უც-

1 დ. ბენაშვილი, „ალ. ყაზბეგი“, 1939 წ.

ნათრად იქცეოდა... ვეტუოლით: კაცო, თუ შეცხვარე ზარ, შეცხვარე იუჯი, თუ არა და რას მერგებო. მაგრამ სანდრო უფრადღებას არავის აქცევდა და თავისას დაგატობდა. „მოდღვარის ამბავი“ პეტრეარ მათქმევინო... როდესაც „მოდღვარი“ ბძიანემ წაუკეთებთ, სიტყვა: ხე-ღაჯ-რასთვის მალაპარაკებდა, რამდენჯერ მათქმევინა და საღ ვამოუყვებოა თურმე.“<sup>1</sup>

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, უბრალო მწვემის მოყვალად ამბავი დასდებია საფუძვლად ალ. ყაზბეგის ფსიქოლოგიურ რომანს „მოდღვარს“.

მისი მწვემოსობის მეგობრები — პეტრე გუჯარაძე და იაკობ ღუღუშაური იგონებენ: „უცნურა კაცია სანდრო, როცა ყარაულშია ზოლში, კარტოფლის სანთელს შეიჭანს, აანთებს და სწერს“. ამაზე იაკობ ღუღუშაურს უთქვამს: „რთა საკვირველი, იმაზიან მთელი ღღუღა-მე სწერს, სახლშია ნახვევი და აქაც, ქალაქ ლამეს რა ვასტებს, თუ არ სწერაო“.

ასე გატაცებით წერდა ალ. ყაზბეგი, სადაც წერის გინი მოუვლიდა, იქ დაიწყებდა თავის მდლიანი კლამით გმირებთან საუბარს, იქ ატორდებოდა იგი თავისი გმირების ზედიზე და იწუ დასყვამდა ყვირის მოძალადე მტერს, რომელმაც მისი ოდესღაც წმინდა და შეურყვევლო თემი ფეხქვეშ გათელა.

ალ. ყაზბეგი „მოძღვარში“ გმირთა ღრამას შლის თემისა და პიროვნების დაპირისპირების ნიადაგზე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნიადაგზე აღმოცენებული კონფლიქტი მაინც არ თრგუნის ადამიანის მოსწავლევას თავისუფლებიასკენ. თემი თავის უფლებებით პირობებს ზღუდას, მაგრამ თემისა და პიროვნების შორის მაინც არსებობს საზღვარი. ამიტომაც არის, რომ თემი ატორისათვის თავგანისცემის საგანია. თემში ხელუფალი იგი შირალურ და ზნეობრივ სიწმინდეს და ამიტომ შირთხოვდა ყველა წევრისაგან მის დაცვას და თემის შირილიებას. თემი თავის მხრივ ვალდებულია ყველა წევრი დაიცვას, თემისა ზოგჯერ თვითონ თემიც უხეშად ურავო თავის წევრების ცხოვრებაში. ასე, მაგ., თემი ეხვეწება ონისეს დარჩეს („მოდღვარი“). ზელი ალს განზრახვაზე და არ მოშალოს კერა.

„ონისეუ... ონისეისა... ნუ წახელო, ნუ მოგეშორდები! ვთხოვთ! ძაღსა ეი არ გატანო.“<sup>2</sup>

თემი ცდილობს ერთად შეაკავშიროს თავისი წევრები, დაეკისროს მათ თემის ძველი, დრო-

მიკმული ადამიანებისადმი შირილიება, შირითხოვის მითგან გულწრფელობა, პატიოსნება, სიტყვის ვაუტებლობა და მოქმედის სიყვარული. თავის მხატვრულ პროზაში ალ. ყაზბეგი ერთმანეთს უპირისპირებს თემისა და პიროვნების. კეთილშობილური გრძნობების შირთხოვადე პიროვნება თავის ინდივიდუალურ უფლებებს შირითხოვს, რის გამოც ხდება შეგახება თემისა და პიროვნების შორის. ამ დაპირისპირების დროს პიროვნება ყოველთვის დამარცხებული გამოდის.

ალ. ყაზბეგი, შირთალოა, თავიანისმცემელია თემისა, მაგრამ მაინც ვერ ურგდება პიროვნების თავისუფალი მოსწავლევების შეზღუდვას, რასაც თემი იხენს პიროვნების მიმართ.

ალ. ყაზბეგი ხელდაუდა, რომ ბარი თავის ურთიერთობის წესებით ანგრევადა მისი ცხოვრებას, რითაც ხელს უწყობდა თემის ერთმანეთის რღვევას. თემში ჩნდებოდნენ გელა გოდერაშივილისა და გაგი ჩოფიკაშვილის მსგავსი ტიპები. „მოდღვარში“ ტრაგედის საფუძველი მაინც სიყვარულია. თავისუფალი ზუნებრივი სიყვარულის გარშემო იყრის თავს კონფლიქტების შირალი წყება, მაგრამ სიყვარული შეიარყვება უცხო ძალის შემოჭრის შედეგად.

ალ. ყაზბეგი „მოძღვარში“ იყენებს ხეში ფართოდ ვავრცელებულ ტრადიციას „მოკვეთისა“. თემიდან მოკვეთის იშხახტრება ის პირო, ვინც თემისათვის შეუფერებელ საქციელს ჩადენდა, შირქს მოსცხებდა მას. ასეთი შირიტი განაჩენი გამოუტანა თემის ონისე არახულს, გელა გოდერაშივილისა და მყვალას. თემის ონისე მოკვეთა ოჯახური სიწმინდის დარღვევისათვის.

თემის ყველა წევრს აკრძალული ჰქონდა დახმარების ხელი ვაუწყებდინა იმ პირისა, თვის ვინც თემიდან მოკვეთილი, „სამანჩასტელი“ ხყო. თემის საბჭოს ეს გადაწყვეტილება ყველასათვის ნათელი იყო და ყველას ევალებოდა მისი დაცვა.

„მოძღვარის“ მიხედვით, თემიდან მოკვეთილი მყვალა, თავის ვინაობას ვაუმხელს ქვარე ვითისა, ვითამ ვარვად იცოდა, რომ მყვალა სამანჩასტელი იყო, მის არსებაში იბრძოდა ორი სპირისპირო გრძნობა და, არ იცოდა, რომლი-ნათვის შირედა უპირატესობა. ერთი მხრივ, იგი ვალდებული იყო თემის გადაწყვეტილება შეესრულებინა და, შირეც მხრივ, ეცოდებოდა ქრისტიანის შირეა, რომელიც უსამართლობის მსგავსი გამოდარაყო და „როდესაც ეი მყვალასაკენ ვამგზავრებოდა, ყოველთვის პირიჯარს ვადიწერდა და წყნარად წარშოს-თქვამდა:

— უფალო, გელი საშეველად მერყის და თუ ცოდოს ჩადივარ, შენ მამატიე“ (გვ.362). ვითი მხად არის ვატეხოს თემის ვადაწყვე-

<sup>1</sup> ვ. კოტეტიშვილი, „ალ. ყაზბეგი თუ დიმიტრი ყაზბეგი“, 1925 წ.

<sup>2</sup> ალ. ყაზბეგი თხზულებათა სრული კრებული, თბ. 1965, გვ. 421.

შემდგომში ამ წლის გამოცემის შირილივ გვარდებს აღნიშნავთ ტექსტში.

ტილება, თუ კი ის ეწინააღმდეგება ჭეშმარიტ ადამიანურ გრძნობებს.

მოკვეთილი ადამიანის შემნახვისა და ხელის-შემწყობი პიროვნების განდევნა არ დასტურდება ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში. სამანის ჩასმის კი ხშირად ვხვდებით. სამანს ჩუხსამდნენ თემიდან მოკვეთილ ადამიანს. ამას ამტკიცებს როგორც ალ. ყაზბეგის შემოქმედება, ისე ზეპირგადმოცემები და თეთი ნიშანცვალი სამანის არსებობისა.

„მოძღვარის“ მიხედვით სამანისაშუღი არიან: ონისე, გელა და მყუელა, ავტორი სამანის ჩასმის წესს შემდეგნაირად აღწერს:

„ონისე, როგორც დიაცის გამშობილებული და მუზობლის ოქანის შეურაცხყოფელი ქედონი სქესისა, დამრღვევი თემის წესისა, გამტეხი მუზობლის სისხლისა.

—შეკრულ იქნას და განდევნილ ზევიდგან. —გელა, როგორც მუზობლის და მოძმის სისხლის დამღვრილი, მიზეზი ცოდის ყოფაქცევისა, დანაშაუდ თემის მშვიდობიანობის დარღვევით, გამტეხი თემის პირისა (რადგანაც თემის გადაწყვეტილების წინააღმდეგ ცოლი ძალად დაიბრუნა. — შეკრულ იქნას და განდევნილ ზევიდგან.

„სამთავის ჩასვით სათემო სამანი, სამნივ თემთაგან მოწყვეტილ და შეჩვენებულ იქნენ.

„დღეის იქით, — გააგრძელა თემის ნების დაღვრებას ვადმომცემმა. — მოწყვეტილი იქნებთან ჩვენი თემითგან, მოშორებული ჩვენი კართთგან, ჩვენი მიწიდგან და წყიდგან... ერთ აღარ ეღიარებებს, არც ჩვენი ცრუმო. არც ჩვენი სამარბ, არ შეეხება ჩვენი საღმართო, არც ჩვენი საწირი.

წყევლით იქნება, ვინც მავათ ხელს ვაწუვდის, მოწყურებულს წყალს მიაწვიდის, შეიკვიზელს დათბუნებს და შებრალებულს ჰყოფს. წყევლით იქნება და განდევნილ თემითგან“ (გვ. 405).

იმ დროში ხალხისათვის ერთობას ჯერ კიდევ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თემობას თავის საზოგადოება ერთ ოქანად მიანდა, თემი მოვალე იყო დაეცვა თითოეული წევრის ღირსება, ოქანური სიწმინდე და მორალი. ვისაც მჭარელობას თემი უწყვედა, დამატებული არავისაგან დარჩებოდა. ყველა წევრმა იცოდა, რომ მოსარჩლელ მთელი თემობა ჰყავდა.

„მოძღვარის“ მიხედვით სამანის ჩასმაში, თემთან წევრის მოკვეთაში მონაწილეობას იღებს მთელი თემი. სამანად ჩასმული ჭეა ანუ დაწყვეთილი ადგილი ყველას შიშის გრძნობას აღუძრავდა.

ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში არ დასტურდება სამანის ამოღების შემთხვევა. ზეპირი ვალ-მოკეობებით კი ზევის ცხოვრებაში ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც სამანი თემს თავისივე გადაწყვეტილებით უკან ამოღულია. ამას

თემი მაშინ აეთხებდა, როდესაც სამანისაშუღის გამოსწორების გზაზე დამდგარს დანიშნავდა. სამანის ჩასმის ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში ვხვდებით არა მარტო მოკვეთის დროს, არამედ მოსისხლე მტერთან შერიგებისასაც. მაგრამ ამ დროს სამანს უკვე აღარ აქვს ის ფუნქცია, რაც მოკვეთის დროს.

მოსისხლე მტერთან შერიგების დროს ჩასმულ სამანს შემდეგი დანიშნულება ჰქონდა. თუ რომელიმე მხარე შერიგების შემდეგ დაარღვევდა თემის გადაწყვეტილებას, მაშინ ის მხარე დაწყვეთილი იქნებოდა და სამანიც მათ ეუთვნოდად ჩრებოდა.

ამ საწესო ტრადიციას ალ. ყაზბეგი მაშინ აღწერს, როდესაც გელასა და ონისეს ვეარეულობა შეაოგა.

„ხალხი მოეხვია მიწას, — ამბობს ავტორი. — მოთხარა ღრმა ორმო და ამისთანა შესაძლებლობის შემთხვევის მოსაგონებლად მაღალი ჭეპი სამანად ჩასვა“!

ზევის საწესო ტრადიციის მიხედვით, როდესაც რომელიმე გვარს ან პირს ჩაუსვამდნენ სამანს, თემის უფუცესნი ითხოვებოდნენ იმ დანაშაულზე. ვისთვისაც სამანი უნდა ჩაესვა. სამანის ჩასმისთვის ამოთხარდნენ ორ ორმოს (ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში კი ყველაგან ერთი ორმო გვხვდება.) ერთ ორმოსი ჩაღებდნენ მაღალ ჭეპს (ჭეპალის ჭეპს, ვ. ა.) რომელსაც „სამანი“ ეწოდება. მეორე ორმოსი კი ჭეპს ღებდნენ, ის ჭეა სამანის ჭეაზე პატარა იყო და „მოქმენს“ უწოდებდნენ.

თემს ჰქონდა უზნაესი უფლება, მაგრამ იგი ამ უფლებას იყენებდა არა მარტო თავის წევრის დასჯის დროს, არამედ მისი დაცვის დროსაც: მტეგომარეობამ ონისე აიძულა ხელი მყუელას სისხლში გაესვარა, მაგრამ იგივე მტეგომარეობამ იგი იძულებული გახადა თემში გამოცხადებულყოფ და სიყვდილით დასჯა ეთხოვა.

ყველასგან მოშორებული, მოკვეთილი და ტანჯული ონისე თემში ვერ იცნო, სანამ მისი პირით არ მოისმინა აღიარება თავისი დანაშაულისა. ონისემ მძიმე დანაშაული ჩაიღინა. მაგრამ თემმა მას სიციცხლე აიძუტა. თემმა ზევიკურადაც და სულეირადაც განადგურებული ადამიანის დასახვე ვარს თქვა. გელა ვოღერძიშვილი, წინ აღუდგა თემის ვინიერულ გადაწყვეტილებას და მოკლა ონისე, თემმა გელას ასეთი მოქმედება პირადი ღირსების შეტრაცხყოფად ჩათვალა. გელა სასამართლოს პროცესზევე ჩაქოლეს.

გელას მიმართ გამოტანილი ასეთი განაჩენი ალ. ყაზბეგს საშუალებას აძლევს, რომ ნათელი მოჰვიანოს თემის სულიერ სიმაღლეს. თემი ონისეს მიმართ დაუნდობელია, როდესაც ონისეს სიციცხლეს აიძუტებს. ონისეს მტეგომარეობაში

მყოფი კაცისათვის ხომ სიცოცხლეს აზრი აღარ ჰქონდა. თემის განაჩენს ყმებსას პირით ვეცნობთ:

„თემს რომ გაძლიერებელი ენახე, გაუტყუე-ლო, ჰაი, ჰაი, რომ გიჩვენებდა ძალას. მოგვრე-და და მოგტყუებდა... მაგრამ ესლა, ესლა სელს არ გახლებს... არ გახლებს, მაგრამ თემობაშიც ვერ მივიღებს... წადი, იცხოვრე, იცხოვრე, სა-დაც ვინდა... შენ ერთხელ მოსწყუდი თემობას და ვეღარ შეუღუღლებია“ (გვ. 517).

თემი ონისეს კვლავ ძველი განაჩენით ისტემ-რებს, არწმუნებს, რომ ის, როგორც ერთხელ მოკეთილი თემს ვეღარ შეუღუღლებდა. წყა-ლობად თემმა ონისეს სიცოცხლე აჩუქა: მაგ-რამ ონისე არ არის ასეთი განაჩენის ცმაყოფი-ლი. გულდაწყვეტილი ონისე თემს მიპართავს:

„—არა, ხალხნო, არა ყმებზე: არა, ავტომე თქვენს ჰირს დაღუე:... არა ვარ თქვენი წყა-ლობის ღირსი... ეგ წყალობა დიდია, მაგრამ მწე-ლი, შეტად ძნელი... არა ვარ ღირსი არც იმ პე-რისა, რომელსაც მოამწოდენს... ვინც ლეკმას მოასწავებს, ის ლეკმა ალაღი იქნება და მე კი არამი ველ ვეღარ ჩაუწევს... ყმებისათვის ჰირსი კენესამე... ხალხო, თემო!... ავტომე თქვენს ჰირს დაღუე... არ მინდა, მაგად არ მოვსულვარ.“

— მამ რისთვის მოხვედი რა ვინდა?

— იმად, რომ დამნაშავე ვარ... ვაგი დაიკარგა ჩემის მიზეზით და მიშველეთ—დავიხსნა... მიშ-ველეთ, თემი ხართ, დიდი შეგაძლიათ... დაიხს-ნით და თემად ჩამქოლეთ.

მცირეაზია და, კერძოდ, ის მხარეები, სადაც კომანა, კასტამონი ივარაუდება, ეთნიკურად ეთნიკურ სამყაროს არ ეკუთვნოდა. რალა თქმა უნდა, ეს არ გამოიცილება ამ მხარეებში ბერძნული მოსახლეობის არსებობას ამათიშ რაოდენობით (თუქმა არც ისე მასობრივად, როგორც ზოგჯერ ვარაუდობენ). მაგრამ რადგან პირდაპირი კი არა, რამე სამასიო ცნობა არ მოგვეპოვება, ამიტომ, ექვს ქვეშ დგება კომუნისტთა ბერძნული შთამომავლობა, მათი ბერძნული ეთნიკური სამყაროსადმი ეუთვნილება.

ამგვარ ექვს აქლიერებს შემდეგი გარემოება:

პირველ კომუნისტთა შთამომავალი ანა კომუნე თავის ისტორიულ თხულებებაში „ალექსი-სიდა“, მოგვითხრობს რა იმპერატორ მიხეილ დუკას (1071-1078) დამოხობის შემდეგ ბიზანტიის სამეფო კარის ირველიც დატრიალებულ ამბებს, რის შედეგადაც მისმა მამამ და ბიძამ — ალექსი და ისაე კომუნისტებმა — ხელთ რგდეს ძალაუფლება, გაღმოეცემს რამდენიმე მო-



მენტს, რომელთაც მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს კომუნისტთა ეთნიკური შთამომავლობის გასაწყვეტად.

ანა კომუნენ მოვითხოვს, რომ იმპერატორ ნიკოლოზ ბოტანიტს (1078-1081) ძალიან უყვარდა, მისი სიმამაცის გამო, ანას მამა ალექსი კომუნისი და ამისი მამა ისაკი. ანას სიტყვით: „ამან გამოიწვია მათ წინაღობა<sup>30</sup> შერი, განსაკუთრებით კი ზემოხსენებულ ბარბაროსების მხრით, წარმოშობით სლავების — ბორილესი და გერმანელი. ისინი იტანჯებოდნენ, კომუნისებისადმი ასეთ განწყობილებას წამ ზედადნენ მეფის მხრით.“<sup>31</sup>

ეს ცნობა ფრად მნიშვნელოვან დეტალს შეიცავს: ბარბაროს სლავების შერი შექმნილია აღმოცენებულიყო კომუნისთა მიმართ, როგორც აგრეთვე „ბარბაროსთა“ — „არაბერძენთა“ მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს შერი უაღვლო იქნებოდა და უპერსპექტივო, რადგან ბერძენთა სახელმწიფოში ბერძენის მიმართ იმპერატორის გულიანადი დამოკიდებულება, მათთვის უპირატესობის მიცემა, კი, ბუნებრივი იყო და შერი მათ მიმართ არ უქადა სიკეთეს ბარბაროსთ. ბორილე და გერმანე ხომ კომუნისებს იმპერატორის წინაშე ერთგულების გამოჩენაში ემეტოქებოდნენ, და ასეთი მეთოდობა კი ბუნებრივი იქნებოდა უცხო წარმოშობის დაგუფებათა, თუ ინდივიდუალთა შორის, ვიდრე ბერძენებსა და უცხოელთა (ბარბაროსთა) შორის. ბორილა, როგორც ანა გადმოგვცემს: „თვითონ ცდილობდა სამეფო ტახტი ჩაეგდო ხელში“.<sup>32</sup>

ანა კომუნენს მიერ ამ ყრულ გადმოცემულ ცნობას, ვლიტრობთ, უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა კომუნისთა შთამომავლობის საკითხის გადასაწყვეტად: ამ ცნობაში ისინი ბერძენებად არ მოსჩანან.

**ანას ამგვარი ცნობა კენტად როლი დგას.**

ანა მოვითხოვს ამბავს, რომლითაც მარიამ დედოფლისმაც ვაჯს კონსტანტინეს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის საქმეში საფრთხე დამუქრა. ნიკოლოზ ბოტანიტემ, რომელმაც 1078 წ. კომუნისების დახმარებით მიიღო ბიზანტიის სამეფო ტახტი, შეერთა გადაყენებული იმპერატორის მიხეილ დუკას შეუღლე ქართველი მარიამ დედოფალი. ნიკოლოზ უკვე მოხუცებული იყო და რადგანაც იყო, რომ შვილი აღარ ეყოლებოდა, როგორც ანა მოვითხოვს: „შეუდგა ზრუნვას ტახტის მემკვიდრის შესახებ.“<sup>34</sup> მას ჰყოლია ნათესავი ენემე ახალგაზრდა სინანდის, წარმოშობით აღმოსავლეთის წარჩინებული გვარისა; მეფე მას აძლევდა უპირატესობას სხვებთან შედარებით და მას ვარაუდობდა თავის მემკვიდრედ სამეფო ტახტზე.<sup>35</sup> ამით მარიამმა ვაჟი კონსტანტინე, რომელიც მას იმპერატორ მიხეილ დუკასთან ჰყავდა და რომელიც მემკვიდრეობით ეკუთვნოდა სამეფო ხელისუფლება, უხუცად-

ბელუოფილი რჩებოდა. ამ გარემოებამ დედოფალი მარიამი ძლიერ გაანაწყვეტა და უნაწყვეტა. ეს გაიგეს ძმებმა ალექსე და კონსტანტინოსებმა, წარსდგნენ დედოფლის წინაშე და გულისხმობებით შეეკათხნენ ჰმუნვის მიზნს. შემდეგ ეუბნენ: „ნუთუ არავინ გყავს ისეთი, რომ შეგეძლოს დეობა და საიდუმლოების ვაზიარება?“<sup>36</sup>

ამაზე, თურმე დედოფალმა „მომედ ამოხე-ნეშა და თქვა: რათ აძლევთ ასეთ შევითხვეს იმით, ვინც უცხო ქვეყანაში ცხოვრობს? მართო ეს არის საქმარისი იმისათვის, რომ ისინი დამუხრებულნი იყვნენ. მე კი, საუბედროლო, ცვლილებები არ მაკლდება და ვინ იცის ელევ რას უნდა ველოდე აბლო მომავალში“<sup>37</sup>

ეს დიალოგი ძალიან დამაფიქრებლად გუჩენება. ძნელი წარმოსადგენია, რომ ბიზანტიის დედოფალს მისთვის უცხო და ისიც ბერძენების წინაშე, თავისი გულისხმობით ასე ადვილად გამოემდლებინა და ამასთანავე, უცხო ქვეყანაში მართობა და უთვისტომობა მოეჩივლა. პირიქით, ჩანს დედოფალმა იცია, რომ მის წინაშე არამბრძენები დგანან; იგი თავის მოსაუბრებელში ისეთივე უცხო ქვეყანაში ჩხოვრებთ ჰხედავს, როგორც თვითონ იყო და კიდევ ანიშნებს მათ, რომ უცხო ქვეყანაში ცხოვრება საქმარისია ადამიანის მწუხარებისათვის, როგორც ეს თქვეც იცით.

ხოლო ანა კომუნენს შემდეგი ცნობა უფრო მრავალმეტყველო და მეტრისებრად დამაფიქრებელია.<sup>38</sup> როგორც იგი მოვითხოვს, მარიამ დედოფლისა და კომუნისების პირველი კონფიდენციალური შეხვედრა იმით დამთავრდა, რომ ეს უკანასკნელი დამუხრებულნი გამოეთხნენ დედოფლს და შინისავე გაემართნენ „აფორიაქებულ გრძნობებით.“<sup>39</sup>

რამ აფორიაქა კომუნისები?... პოლიტიკურ სიტუაციასთან ერთად, უთუოდ იმან, რომ ისინიც, მარიამის მსგავსად, უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ... მათი გრძნობები ერთნაირ განცოდას შეეპარო.

მონათხრობის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს, მოსაუბრეთა შორის შეხვედრა შემთხვევითი და ეპიზოდური ხასიათისა იყო და ამ ერთი აქტით დამთავრდა. მაგრამ მთულოდნულად გვახსენებს ანა კომუნენ, რომ „მეორე დღეს კომუნისები ეკლა მივიდნენ დედოფალთან სალაპარაკოდ.“<sup>40</sup>

ამჟამად, რომ კომუნისთა მეორეჯერ მისვლა დედოფალთან შედეგი იყო მხარეთა შორის სათანადო მოლაპარაკება-შეთანხმებისა, რაღაც საქმეზე ერთობლივი მოქმედებისათვის.

თ. უსპენსკი ავითარებს იმ აზრს, რომ სანაზღობის არსებული ხელისუფლების დასამზობად და კომუნისთა გასამეფებლად, ქარვა ბანის მიმდინარეობდა და რომ ამ საქმეს სათავეში ედგა კომუნისთა დედა ანა. დასისინი, რომელიც დიდი ბანია იმ აზრით იყო შეპყრობილი,

რომ დეკებისთვის, რომლებმაც კომუნისტებს გამოსტაცეს ხელიდან ძალაუფლება (იგულისხმება 1059 წ. ისაყ კომუნისტის გადაღობა) კვლავ წაერთმია იგი და თავისი შვილებისათვის დაუბრუნებინა. ანა უღებდა სათავეში ამ შეთქმულებას.<sup>41</sup> ხოლო ი. ლიუბარსკის მიზანია, რომ არსებობდა შეთქმულება. მისი აზრით: „კომუნისტთა აჯანყება იყო არა თავდაცვითი აქტი, როგორც ცდილობენ წარმოვიდგინონ ანა და რამდენიმე მისი უკრიტიკოდ მიმდევარი თანამედროვე ისტორიკოსი, არამედ იგი იყო შედეგი ყარაღ შოფიერებული შეთქმულებისა, რომელსაც შეთაურობდა ალექსისა და ისაყის დედა, ჰკვიანი და ენერგული ანა დალასინი.“<sup>42</sup>

ანა დალასინის მიერ ინსპირირებულ აჯანყებას გადატრიალების ხასიათი ჰქონდა და მიზნად ისახავდა ძალაუფლება კომუნისტების შტოს მიედო... აჯანყებულებს უმაღ შეუერთდებიან ალექსის მრავალრიცხოვანი ნათესავები და თავისიანები, პირველ რიგში, კი დეკების ძლიერი საგვარეულოს წარმომადგენლები, რომლებიც ალექსის მეუღლე ირინე ეკუთვნოდა...“<sup>43</sup>

კომუნისტთა და მარიამ დედოფლის მეორე შეხვედრის დროს მხარეებმა ერთი მეორე დაარწმუნეს ურთიერთისადმი ერთგულებაში დედოფალმა გაუმეაღვა მათ თავისი საიდუმლოება.

კომუნისტებმა აღუთქვეს დედოფალს მხარის დაჭერა და შეპირდნენ, ყველაფრის შესრულებას, რამაც იგი უბრაძანებს; თან ემუდარებიან, რომ ყველაფერი ხალხით შეეასრულებთ. „ოღონდ ღირს გავგაბე ვითვლებოდეთ შენ თვისტომებად და შეგახრებებად (კითხვობდეთ) იქიდანვე წარმომობილებად, საიდანაც შენ ხარ წარმომობილი“, ე. ი. შენს თანამემამულეებად გვიგულე-მიგვიჩიეთ.

ეს იშვიათი ცნობა! ამაზე უფრო შვეთორ მითითება კომუნისტთა ეთნიკური შთამომავლობის შესახებ მოსალოდნელი (საქირო) აღირკეთა. აქ, გარდა იმისა, რომ მითითებულია დედოფალ მარიამისა და კომუნისტების თვისტომობაზე, ხაზგასმულია აგრეთვე, რომ ისინი ერთი ქვეყნიდან შთამომავლობენ. მარიამს საქართველოდან იყო და კომუნისტებისგანაც — კაპადოკიელ და (მოტომელ) ქართველ ტომთა შთამომავალთ — მიიჩნიათ, რომ საქართველოსაგან გათიშული არ არიან.

ეს დიალოგი მკვერამეტყველურად ლაღლებს კომუნისტებისა და მარიამის თვისტომობას. კომუნისტების და მარიამის როლს სხვადასხვა ტომისა ყოფილიყო ენენ — მანასაკუდრების, ბერძენები რომ ყოფილიყვნენ კომუნისტების, — მაშინ მათი ამგვარი საუბარი ქართველ ქალთან სრულიად უაღ-

ვილო, უაზრო, რაღაც აბსურდული რამ იქნებოდა. მოსაუბრენი... რომ სხვადასხვა ტომისა... ყოფილიყვნენ, მაშინ მათი ურთიერთობა მარსა და ხიფათით აღსავსე სწრაფუვას სრულიად სხვა რამ კარგად მოტივი დაედებოდა საფუძვლად და თვისტომობა სავსებით უცხო და გამოუსადეგარი ფაქტორი იქნებოდა. ან რა აზრი უნდა ჰქონოდა ანას მიერ ამის გადმოცემას, თუ კი ამ შემთხვევაში სინამდვილეს არ გვაუწყებს? რა მოტივით უნდა შეეთხზა მას მარიამისა და კომუნისტების თვისტომობა, თუ ამას რეალური ელემენტი არ ედგა საფუძვლად? ეს არა ჰგავს ცალკეულ ფაქტობრივ შეცდომას. აქ ამ ფაქტორს (თვისტომობას) მთავარი როლი განეკუთვნება დიდმნიშვნელოვან მოვლენაში. ანამ ამაზე (თვისტომობაზე) შემთხვევით კი არ ჩამოაგდო სიტყვა, არამედ ეს არის ლაიტმოტივი დედოფალ მარიამისა და კომუნისტების შორის იმ ურთიერთკავშირის განმტკიცებაში, რამაც კომუნისტებს გამარჯვება მოუტანა და მათს დინასტიას ბიზანტიის სამეფო ტახტი არ გუნდა.

იმისდა მიუხედავად, თუ საიდან შთამომავლობენ კომუნისტები, კომანდან თუ კასტამონიდან (წყარობიდან ჩანს, რომ მათ იქაც და აქაც ჰქონდათ სამფლობელოები) — ის გარემოება, რომ ისინი ქართველ ქალს თანამეტომეობას ეფიცებოდნენ, უდავოდ მიუთითებს, რომ ისინი ბერძენები არ არიან. აქედან კი აღმოცენდება აზრი მათი (კომუნისტების) — როგორც პონტიელ კაპადოკიელების — ქართულ ენითა და სამყაროსთან კავშირის შესახებ. ან კომუნისტს ეს ცნობა იმას უდრის თითქოს ამ პირველ წყაროში პირდაპირ წერებულყოფის: ქართველი ქალი მარიამ დედოფალი და უმაღლესი ხელისუფლებამ პრეტენდენტი კომუნისტები ქართული სამყაროს შვილები არიან.

გუნ რამ არაფერი გვეოდნოდა პონტი-კაპადოკიის მოსახლეობისა და, კერძოდ, „კაპადოკიელთა“ ქართული სამყაროსადმი დამოკიდებულების შესახებ: რომ კაპადოკიელები იქვე შესხები არიან,<sup>45</sup> მაშინაც კი ანა კომუნისტს ცნობაში დაინებთით ლაპარაკი ქართველ მარიამ დედოფლისა და კომუნისტთა თვისტომობაზე, რასაც რამდენჯერმე აქვს ხაზი გასმული, საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რათა რეალურად წამოჭრილიყო საკითხი კაპადოკიელებისა და ქართული სამყაროს ერთიანობის შესახებ.

ანას ეს მონათხრობი აღნიშნულ ასპექტში ორმაგი მნიშვნელობისა: ერთი მხრივ, იგი გვიდასტურებს იმას, რომ კაპადოკიელები ნამ-

დვილად შესვები არიან, რაც ჩვენთვის სხვა წყაროებიდანაც უკვე აღრე იყო ცნობილი; მეორე მხრივ, იგი გვაძენებს იმას, რომ პონტო-ელ-კაბადოკიელი კომწენონებე ბერძნები კ არა, ქართველი მარიამის თვისტომნი არიან. აღნიშნულს შემდეგი გარემოებაც ადასტურებს.

როგორც ცნობილია, სტრაბონი გარკვევით ამბობს, რომ მის დროს მთელი კაბადოკიის დიდ სივრცეზე მოსახლეობს ერთი ეთნიკური ელემენტი და მეტყველებს იგი თავის საკუთარ ენაზე.<sup>46</sup> ხოლო VI საუკუნის ერთი ძველი ავრეთვე გარკვევით გვაუწყებს კაბადოკიელთა ტომისა და მათი ენის არსებობას.<sup>47</sup> კაბადოკიის მოსახლეობა რომ ბერძნული ენა ფილიყო, მაშინ სტრაბონი ამასაც იტყობდა, და იმასაც, რომ ისინი ბერძნულად მეტყველებდნენ... სტრაბონი ხომ თვითონ ბერძენი იყო.

სტრაბონის შემდგომ პონტოსა და კაბადოკიაში ბერძნების იმ რაოდენობით ჩამოსახლება, რომ მათ შესძლებოდათ ესოდენ მრავალრიცხოვანი და განვითარებული ეთნიკური ელემენტისთვის, როგორადაც იგი, პირველწყაროების თანახმად, შეზღვევით დიდხანს დარჩა, დეკარგანებებით ეროვნება, მშობლიური ენა და კაბადოკიელთა ენის ნაცულად, იქ ბერძნულის დიალექტი დაემკვიდრებინათ — უყოღვარი ვარაუდის ფარგლებს სცილდება. არც მსოფლიოში მოიპოვებოდა ამ რაოდენობის ბერძნები, არც რომელიმე ისტორიული ფაქტავაშენებს მათს ჩამოსახლებას კაბადოკიაში და არც შეიძლება მოსულ ელემენტს არა თუ ადგილობრივი მოსახლეობის ენის მძლავრ გავლენა არ განეცადა, რაც აქცილებელი იყო ცოცხალ, პრაქტიკული ურთიერთობის დროს, არამედ ვანდევნა ავტოხთონი მოსახლეობის ენა და მის ადგილას თავისი დამეკვიდრებინა. მსგავსი მოვლენები ისტორიაში ცნობილი არ არის. საუფრადღებოა, რომ I-IV საუკუნეებისათვის პონტოსა და კაბადოკიაში ბერძნების მასიური სახით მოსახლეობის არსებობას არ გვაუწყებს არც ერთი პირველწყარო; მათს პრიმატზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, IV საუკუნის წყარო გვიდასტურებს კაბადოკიელთა ტომისა და მათი საკუთარი ენის არსებობას. ხოლო სხვა ცნობათა მოწმობით, IV საუკუნის კაბადოკიელი მოღვაწეთათვის ბერძნული ენა სპეციალურად შესწავლის სავანის შეადგენს. VI საუკუნეში კა, პროკოპი ევსარიელის ცნობით, იმავე გეოგრაფიულ არეზე მოსახლეობს მრავალრიცხოვანი, ძლიერი თვითთავადი ჭანების ტომი, რომელსაც უცხო ბატონობა არ განეცდია.<sup>48</sup>

ამრიგად, კაბადოკიის ვრცელ ტერიტორიაზე I-IV საუკუნეების მანძილზე ეთნიკურ ცვლი-

ლებებს ადგილი არ ჰქონია. ხოლო შემდეგ ხანებში ეს მითვმეტეს მოსალოდნელი არ იყო, რასაც ადასტურებს ბიზანტიელთა პრაქტიკაში განმტკიცებული გეოგრაფიულ-ეთნიკური სიუიუი და ავთის ნომენკლატურა (ხალდისის თემი და სხვ.)

სამართლიანად შენიშნავს პ. ციმერერი, რომ მცირეაზიის შიდა რაიონების მოსახლეობა ეთნიკური ფიზიონომიის შეცვლა ვერ შესძლებდნენ, სამყაროში ათასი წლის მანძილზე; ეს მოახერხა მხოლოდ თურქულმა ელემენტმა.<sup>49</sup>

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ანა კომწენეს თხრობაში ალექსის ცხოვრება და მოღვაწეობა ერთგვარად იზოლირებულად გამოიყურება და რაიმე მნიშვნელოვანი კონტაქტი ბერძნებთან, საერთოდ ბერძნულ სამყაროსთან, არ შეიშენება. ანა მთელი თავისი თხზულების მანძილზე არაფრით არ გვანიშნებს ალექსის რაიმე ორგანულ კავშირს ბერძნულ სამყაროსთან, ამჟამად იკრძალობა, რომ მას ალექსი ბერძნად არ მიაჩნდა.

როგორც ი. ლუბარსკი შენიშნავს: — ფრად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ალექსის არშისა და სასახლეშიც დიდ როლს ასრულებენ უცხოელები, „ბარბაროსები“: ალანი როსიკი, „სკივთები“ — უხა და კარაკა, „ნახევრადბარბაროსი“ მონასტრა და იმპერატორის მრავალრიცხოვანი „ლათინი“ მრჩეველნი.<sup>50</sup>

ანა კომწენეს ცნობით, კონსტანტინეპოლში შესული გამარჯვებული კომწენოსები, მას შემდეგ, რაც მათი ჭარი ვაიფანტა და მძარცველობის მიყო ხელი, დარჩნენ მხოლოდ „მათი სისხლითა და თვისებებით მახლობლებთან ერთად, მცირერიცხოვან უცხოელებებთან.“<sup>51</sup> ხოლო დაეუფლნენ რა ქალაქს, ანასავე თქმით: „თვით ალექსი მშვიდით, დედითა და თავისიანებითურთ ავიდა ზემო სასახლეში.“<sup>52</sup>

ბიუმენდის წინააღმდეგ ბრძოლის წინ ალექსი გადაწყვიტა „გაბაევა უველა რაზმები თავისი ნათესავეებისათვის. მთავარსარდლებად კი დანიშნა ნიკიფორე მელისინი<sup>53</sup> და ბასილი კურტიკოსი, რომელსაც აგრეთვე იოანეს უწოდებდნენ (ეს წარჩინებული ადამიანი იყო აღრიანოპოლიდან და განთქმული იყო თავისი ვეჯაცობითა და სამხედრო ხელოვნებით).“<sup>54</sup>

აქაც, როგორც ვხედავთ, ალექსის ვარს ახვევიან მცირეაზიულ-კაბადოკიელები, რომელთა წრეც მისთვის მშობლიური ჩანს.

აქ უნდა გავიხსენოთ კიდევ ერთი მომენტი, რომელიც კვლავ დაგვიდასტურებს ალექსის მცირე ურთიერთობას კაბადოკიელებთან. ერთერთ ბრძოლაში ალექსის გვერდში უღდა, ანას თქმით, „ვინმე კაბადოკიელი, სახელად გულა, მამარემის ერთგული მონა, ვეჯაცური (მამაკურთ) ხელისა და მებრძოლი სულის პატრონი.“<sup>55</sup>

მთელი რიგი ეს მომენტები მოწმობს, რომ

აღეჭი და სხვა კომუნისტები მართლაც კაბადოკიიდან შემომავლები არიან.

საყურადღებოა, რომ აღეჭი კომუნისტების თანამებრძოლი და თანამოღვაწე არიან მისი მახლობელ-ნათესავნი, ძირითადად მცირეაზიელინი (უპირატესად კაბადოკიელინი). და როგორც ე. ლიბარსკი აღნიშნავს, ვარკვეულად უმეტესბელყოფილი არიან ადრე წარჩინებულნი საგარეოელები: «Создается впечатление, что при Алексее происходит определенное обновление византийской знати: к высшей военной власти и государственной деятельности приходят отпрыски прежде малоазийских родов»<sup>66</sup>.

ესეც ამის მანველებელია, რომ აღეჭი კომუნისტო არ ვუთვნიდა ტომით იმ დიდგვარადათ (ბერძენებს), რომელთა ხელშიც იყო იმპერიის პოლიტიკური ცხოვრების საფუძველი.

აღეჭი კომუნისტის მახლობელ-ნათესავთა შორის მხოლოდ მცირეაზიელინი არაბერძენები მოსწინაა.

კომუნისტებისა და მარიამ დედოფლის თვისტომობის ასპექტში განსაკუთრებულა მნიშვნელობა ენიჭება მარიამ დედოფლის ვინაობას.

როგორც კარგად ცნობილია, მარიამი იყო ბიზანტიის იმპერატორ მიხეილ VII დუკა პარაპინაის (1071-1078) მეუღლე და ასევე საქართველოს მეფის ბაგრატ IV.

„მეტიანე ქართლისასი“ ცნობის თანახმად „დიდმა ბაგრატ მეფემან გაათხოვა ასული თვისი მართა და შერთო ბერძენთა მეფესა.“<sup>67</sup>

ხოლო ნიკთორე ვრიენიოსი გვაუწყებს, რომ მიხეილი იყო „დაქორწინებულ იმართა მხრანების ბაგრატის ქალშვილზე მარიამზე.“<sup>68</sup>

მართას ბიზანტიაში უწოდებს მარიამი.

რას უნდა ნიშნავდეს კომუნისტთა ღალადი მარიამის მიმართ, მიიჩნაოს მან ისინი არა მხოლოდ თავის მეგობარად, არამედ თანამეცობეებადაც და იქილანეე შთანთმავლებად, საიდანაც თვით დედოფალი იყო? შეეძლოთ ტომით ბერძენებს ქართველი ქალისათვის ასეთი რამის თქმა? ან რა აზრი უნდა ჰქონოდა მათ მიერ ასეთი სურვილის გამოთქმას? მეგობრობის დამყარება შეიძლება სხვადასხვა მოტივით, მაგრამ თვისტომობის გაჩენაროგორ შეიძლება სხვადასხვა ტომის ადამიანთა შორის! მეგობრობა შეიძლება აღმოცენდეს სხვადასხვა ნიადაგზე, მაგრამ თვისტომობას ხომ სხვა ვერაფერი წარმოშობს, თუ არა ნაშლევი ტომობრივი ერთიანობა. თვისტომობის არგუმენტი მხოლოდ თვისტომთა შორის შეიძლება იყოს გამოყენებულა. ამგვარა, რომ ანა კომუნე თავის მონათბრობში ქვეყნობილად სწორედ იმის აღსტურებს, რომ მარიამ დედოფალი და კომუნისტები ქართული სამყაროს შვილი იყ-

ვნენ და კომუნისტთა სახით მარიამი ქართველსაც ეძება — თვისტომნი.<sup>69</sup>

შეიძლება დიდადოს აზრთ, რომ კომუნისტებში იყო იყო დენე მარიამის ქართული (საქართველოდან) შემომავლობა, მაშინ რატომ პირდაპირ არ ეუბნებოდან, ჩვენც ქართველები ვართ. შენი თანამემამულე-თანამეცობენი?

საქმე ის არის, რომ მარიამი (ქართველი საქართველოდან) და კომუნისტები (მცირეაზიიდან, კომანიდან) თვისტომნი არიან, მაგრამ გეოგრაფიული სივრცითა და პოლიტიკურ მდგომარეობით გათიშულნი; ოდესღაც კი ესენი ერთ მთლიან სამყაროს წარმოადგენდნენ. ამასთანავე, ეუნებ სწორედ ქართველობის მომენტზე იყო საუბარი მარიამსა და კომუნისტებს შორის, მაგრამ ამის სწორად გადმოცევერ შესძლო ანამ. იუნება, მისი აზრით, თვისტომობის მომენტის აღნიშვნა უკვე გულისხმობდა ქართველობაზე მითითებას, რადგანაც მარიამი ხომ ქართველი იყო. თვისტომობა ამ შემთხვევაში მხოლოდ ქართველობის მომენტზე შეიძლება უოფილიყო აღმოცენებულა. ამ მხრივ საყურადღებოა შემდეგი ვარკვეობა:

ჩვენ ვეფიქრობთ, რომ, სხვა ვარკვეობათ გვერდით, ბიზანტიისაგან ტრაპიზონის იმპერია გამოყოფის საქმეში მთავარი მნიშვნელობა ამ მხარის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას ჰქონდა.

ტრაპიზონის ოლქის მოსახლეობის ძირითად ნაწილს ადგილობრივი ტომები შეადგენდნენ. იე. ყავახიშვილის თქმით: „ოდესღაც ლაზების ანუ ქანების მოსახლეობა ტრაპიზონსაც კი სცილებოდა და თვით ქალაქი და ოლქი მათ ქვეყანას ეკუთვნოდა.“<sup>70</sup>

საისტორიო წყაროების მოწმობით ირკვევა, რომ მოსახლეობის სწორედ ეს ნაწილი წარმოადგენდა ტრაპიზონის იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებას, დღიდან მისი წარმოქმნისა, — იყო რა იგივე მოსახლეობა თვით იმპერიის წარმოქმნის ერთ-ერთი უველაზე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.“<sup>71</sup>

საქონოა გათვალისწინებული გვერდეს, რომ ტრაპიზონის გამოყოფა ბიზანტიის იმპერიისაგან ადრევე მზადდებოდა და თვით გამოყოფის ფაქტი 1204 წლის კონსტანტინეპოლის კატასტროფას წინ უსწრებდა.

საქმე ის არის, რომ უკვე დავით აღმაშენებლის დროიდან მოკიდებულა, საქართველოში დღიერი ფეოდალური მონარქია ენერგიულად ავითარებდა თავის მისწრაფებას. საქართველოში მოყოლილის საშხრეთის ტერიტორიები, რომლებიც ქართველთა მომე ტომები იყო დასახლებული, მაგრამ ბიზანტიის პოლიტიკურ ორიბიტაში იყო მოქცეული. ამ ნიადაგზე წარმოებდა ბრძოლა ბიზანტიასა და საქართველოს შორის კარგა დიდი ხნის მინძილზე.“<sup>72</sup>

თ. უსენესის თქმით, ტრაპიზონის „კომუნისტთა სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენდა

მხოლოდ ეპიზოდს იმ ბრძოლისა, რომელსაც საქართველო აწარმოებდა შავი ზღვის აღმოსავლელ სანაპიროზე გაბატონებისათვის; ეს იყო ვაგრძელება თამარის შამის პოლიტიკისა, რომლის ლაშქარმაც ერზურუმსა და თეთი ტრაპიზონამდე მიაღწია.<sup>63</sup>

ფრიალ საინტერესოა, რომ ტრაპიზონის იმპერატორთა ტიტულატურაში ნათქვამია, რომ ტრაპიზონის იმპერატორი არის: „ერთგულ მეფე და თვითმპყრობელი შთელი ანატოლიისა, საქართველოსი და პერატეისა.“<sup>64</sup>

საქართველოს შეტანა ტიტულატურაში ყარვად ეხმარება კომწენოსების ღალადს შარამ დედოფლის მიმართ: მიიჩნის ისინი თვისტოებად. იგი აგრეთვე ეხმარება პირველწყაროს უაღრესად დიდმწიფელოვან ცნობას იმის შესახებ, რომ VI ს-ში კომანა-ამასისა და ნეოკესარიის რაიონებში ბლომად ცხოვრობენ იბერები (ქართველები), როგორც ამას ვეაფხვეს პატრიარქ ვერტის ბერძნულად დაწერილ ცხოვრება. იქ ნათქვამია, რომ არდევსა ხოსრომ (572 წ.) ააოხრა კაპადოკია, სებასტია-მელიტენეთით, ქალაქებიდან ნიკოპოლი, ნეოკესარია, კომანა, ძელა და სხვ. — ლტოვილ მოსახლეობა შეიხიზნა კარგად გამაგრებულ ქ. ამასიაში. ლტოვილ-შეხიზნულთა შორის უმეტესობას იბერები შეადგენდნენ.<sup>65</sup>

ტრაპიზონის იმპერატორთა ტიტულატორის პერატეიაზე თ. უსპენსკი შენიშნავს, რომ „ეს უკანასკნელი ტერმინი აღნიშნავს სამხრეთ რუსეთის იმ ნაწილს, რომელიც მდებარეობს ზღვის იქვე, ტრაპეზენტის ჩრდილოეთით.“<sup>66</sup>

თუ ტიტულატორის შენიშნავს ჩვეუკვირდებით: პერატეია აღნიშნება ტრაპიზონის იმპერიის ჩრდილოეთი ნაწილი, ანატოლით — სამხრეთი ნაწილი, ხოლო იმპერიის შუაგულს, არსებითად ძირითად ნაწილს, სახელმწიფო ცენტრს, ეწოდება საქართველო და ეს რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის. იმპერიის სწორედ ეს ნაწილი განსაკუთრებით ქართველ ტომებით იყო დასახლებული, რაც დღეისათვისაც ადვილი შესამჩნევია. სამართლიანად შეუთუბებს თ. უსპენსკი, რომ ტრაპიზონის იმპერიის „აღმოცენება და არსებობა ემყარება როგორც ქართულ ეროვნებას, აგრეთვე ჯერჯერობით ნაყლებად გამოკვეთულ გერმანოზღვის და სავაჭრო-სამხრევლო კავშირ-ურთიერთობას, რომელიც მას ჰქონდა ყირიმთან და კავკასიანთან.“<sup>67</sup>

როგორც ვხედავთ, ქართველ დედოფალ შარამსა და კომწენოსების თესტამენტის აღიარებას რეალური საფუძველი ჰქონია. ამ ფაქტიდან კი ისიც გამოსჩანს, თუ რამდენად მძლავრი იყო შამის ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში მცირეაზიულ-კაპადოკიური ნაკადი. ამდენად, კომწენოსთა გამარჯვება სრულიად ბუნებრივი ჩანს... და სუფთა ქართული (სა-

ერთივე ქართული) ელემენტის მოწინააღმდეგე აგრეთვე ბუნებრივი იყო კომწენოსთა... გამარჯვებაში და მნიშვნელოვანიც თავისი ზეგავლენით წინთ, როგორც ამას ქვეშით დავიხსავთ.

როგორც ღღეს უკვე საკმაოდ ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, მცირეაზიის გარკვეული რაიონები, კერძოდ, პონტო და კაპადოკია — ისტორიულად დასახლებული იყო ქართველი ტომებით. შარამ ამ საკუთრად საქართველოსა და მცირეაზიულ ქართველ ტომთა შორის ეროვნულ-პოლიტიკური კონტაქტების ისტორიის მსვლელობაში მოშლილი იყო და ამ ხანგრძლივი გათიშულობის წყალობით, მათ შორის ერთიანობის შეგნება შერყვეული ახლა. ამ კერძო შემთხვევაში, ორივე მხარისათვის გასაჭირის მომენტში, ამ ერთიანობამ იჩინა თავი და იგი კიდევ გამოდგამს ფაქტორად რომელმაც დედოფალსა და კომწენოსთა შორის საიდუმლო კავშირი შესაძლებელი გახადა, იგი მათ შორის ხილად გაიღვა. სწორედ ამ თვისტოობამ განაპირობა მათი ერთიერთ დაახლოება, მათი ზედის ურთიერთ გადაჭყა. ეს იყო მცირე პრეულდი იმ დიდი მოვლენისა, რაც შემდეგში ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში გამოიხატა: ტრაპიზონელი კომწენოსები არა მხოლოდ იმ მხრივ იყვნენ ტრაპიზონის ტახტის მემკვიდრე-პრეტენდენტები, რომ ისინი ბიზანტიის იმპერატორთა შთამომავალი იყვნენ, არამედ იმპერიის მოსახლეობის ლეიტლი შთამომავლიც იყვნენ.

ტრაპიზონის იმპერატორს თანე კომწენოსს (1280-1297) ტრაპიზონის იმპერიის ისტორიკოსი გ. პახიმერე, მოიხსენიებს რა როგორც ლაზების არქონტს, „იქვე მას უწოდებს „პარაბაროსს“. (Georgii Pachimeris de Mich. Paleologo liber VI, cap. 34, p. 15, Bonnae. Ф. Успенский, Очерки из истории Трапезунтской империи, зв. 68, с. 49-50; გიორგი გოჯალიშვილი, კოპონილი, კი ტრაპიზონის იმპერატორს იხსენიებს „კოლხეთის მეფედ“ — ხოლო მცირე ადგილას, ტრაპიზონის იმპერიის ტახტის მემკვიდრედ, რომელიც ბიზანტიაში იყო-ფლობდა (შიმდგომში გამეფდა ტრაპიზონში ალექს II კომწენოსის სახელით, 1297-1330წ.) და რომლისთვისაც მოსურვეს ცოლად შერთვევინებინათ ბერძენი ქალი იმეფე პახიმერე, მოხსენებული ჰყავს როგორც „ლაზი ქაბუკი“ (X, 7, с. 49-50; გიორგი გოჯალიშვილი თარგმნის — „ლაზთა მთავარი.“ ტექსტში სწერია: „ლაუსპაილი“ თ. უსპენსკის ნათარგმნი აქვს აноша-ლ Очерки, გვ. 72).

XV საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი ლაონიკ ხალკოკონდილე ვეაფხვეს, რომ კოლხეთი (ე. ი. ტრაპიზონის) მეფეები წინათ იყვნენ ბიზანტიის მეფეები კომწენოსთა ოჯახიდან. როდესაც კომწენოსებმა დაკარგეს ძალეუ-

ლება, ტახტიდან ჩამოგდებული იმპერატორის შვილი გაიქცა „კოლხეთის ქვეყანაში და ტრაპიზონში. ის რომ იქ ჩავიდა, ადგილობრივმა ხალხმა დააყენა ის კოლხეთის მთავრად და ამრიგად, სამეფო ტახტი გადაიტანა კოლხეთის ტრაპიზონში“ (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IX გვ. 93).

მართალია, ლაონიკე იქვე ამბობს, რომ კომნენოსნი ელიზბრე შთამომავლობისა იყვნენ, მაგრამ ეს იმ ტრადიციის გავლენაა, რომლითაც კომნენოსები ბერძნულად იყვნენ მიჩნეული. დასჯალი იმპერატორის ლტოლვილი ვაჟი კოლხეთის ქვეყნების მოსახლეობაში ისე ადვილად ვერ მოაპოვებდა მხარდაჭერასა და უმაღლეს ხელისუფლებას, კომნენოსებსა და ამ მოსახლეობას შორის ეთნიკური ერთიანობა რომ არა ყოფილიყო შემავსებელი. ლტოლვილ უფლისწულის კოლხეთის მთავრად დადგენას საფუძვლად სწორედ ეთნიკური ნათესაობა ედგა პირველყოფისა.

როგორც ზემოთაც ითქვა, კომნენოსების სამშობლო კომანა იყო<sup>68</sup>, ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მარიამ დედოფალსა და კომნენოსებს შორის მოლაპარაკება-შეთანხმებას უნდა ჰქონოდა ადგილზე. აყად. თ. უსპენსკის აზრითაც, როდესაც იმპერატორ ნიკეფორე ბოტანიარის განზრახვა, გადაეცა სამეფო ტახტი არა მარიამის შვილსათვის, არამედ თავისი ნათესავისათვის გამომეღვანდა, რაც მარიამისათვის ფრიად უსამართლო იყო და რაც აგრეთვე ძლიერ ბოძლავდა კომუნისტა ინტერესებს, „... უნდა ვიფიქროთ, რომ შემდგომ დონისძიებათა საბოლოო გეგმა იქნა შემუშავებული სწორედ ბოტანიარის განზრახვათა წინააღმდეგ.“<sup>69</sup>

რომ მარიამი, როგორც უცხოეთში მცხოვრები, ეძებდა საშუალო ადამიანებს, რომელთაც შეიძლებოდა დაეპყრნობოდა, ამაზე კიდევ ერთხელ მიუთითებს ანა კომნენა, როდესაც თავის თხრობაში ცდილობს გააბათილოს მარიამის მიმართ ის ცოდნისწიება, რომ, ეითომუ მან კომნენოსებთან მკვიდრო ურთიერთობ. ქვეყნა გრძნობებით ამოპარკებულმა დაამუარა.

ანა ამბობს, რომ ეს მკვიდრო ურთიერთობა აღნიშნულის შედეგი კი არ იყო, არამედ გამოწვეული იყო იმით, რომ მარიამ დედოფალ უცხოეთში ცხოვრობდა, არ ჰყავდა არც ნათესავი, არც ვინმე თანამგრძნობი და არც ერთი თვისტომი.<sup>70</sup>

მარიამისათვის ასეთები (თვისტომნი) აღმოჩნდნენ კომნენოსები.

რასაკვირველია, მარიამ დედოფალსა და კომნენოსებს შორის ურთიერთობაში მთავარი სტიმული იყო პოლიტიკური მომენტი, მათი ინტერესების ამ მხრივ ურთიერთდაძახევა, მაგრამ მათ შორის გულთაღი დამოკიდებულების საქმეში გადაწყვეტი მნიშვნელოვან როლს მათს თვისტომებს, რაც შეიქმნა მათი

თი კავშირის საფუძველი და რაც კომუნისტებს ნათლად გამოკრის ანა კომნენის მონათხრობიდან. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ როდესაც ანა მიუთითებს მარიამსა და კომნენოსებს შორის გულთაღი ურთიერთობა დამყარად მათი თვისტომობის ნიადაგზე, ამით იგი მიუთითებს, რომ ეს თვისტომობა ქართველობას ნიშნავდა, რადგანაც ისტორიკოსმა კარვად იცოდა, რომ მარიამი ქართველი იყო და, მამასადაც, მისი თვისტომნიც ქართველები უნდა ყოფილიყვნენ.<sup>71</sup>

არც ის არის უმნიშვნელო, რომ, შეთქმული კომუნისტები ბიზანტიაში უკავშირდებოდნენ წარჩინებულ გრიგოლ ბაქურაიანს ძეს, ქართველს.

შთამომავლობით კაპადოკიელი კომნენოსების მისწრაფება უმაღლესი ხელისუფლებისაკენ არაფერს უჩვეულოს არ წარმოადგენს. გარდა იმისა, რომ ბიზანტიაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო უცხო ტომის (არაბერძნის) სამეფო ტახტზე ასვლა, XI საუკუნეში საერთოდ პროვინციული ფეოდალური დიდკაცობა ასრულეს წამყვან როლს ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. და არსებითად, ერთი მხრივ, მათ შორის, ხოლო, მეორე მხრივ, კი მათსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის წარმოქმნა ბრძოლა ძალაუფლებისათვის. თვით დეკათა საგვარეულოც ხომ პროვინციიდან, სახელდობო, შირაქ აზიიდან, პალეოგონიიდან შთამომავლობდა.<sup>72</sup>

კომუნისტა გვარი, უნდა მომდინარეობდეს მათი შშობილური ქალაქის კომანას სახელწოდებიდან,<sup>73</sup> ისევე, როგორც ტრაპიზონის იმპერიაში ცნობილი წარჩინებული საგვარეულოებისა: კავსიტებისა — კავსადან (აქვლან ქართული გვარი კავსაძე); კომპიტებისა — კომახადან (ქართული გვარი კომახიძე); ქანიიტებისა — ქანიკიდან (ქართული გვარი ქანიშვილი).

აღნიშნული სრულ ანალოგიას ჰპოვებს ქართულში, როგორც არის: ახალციხელი, თმოგველი, ციხისყვარელი და სხვა მრავალი.

კომანის სახელით ცნობილი იყო ორი უმნიშვნელოვანესი პუნქტი: ერთი კაპადოკიაში და მეორე პონტოში, რომელიც კაპადოკიის ნაწილს, ზღვის პირა კაპადოკიას შეადგენდა. ამ ორი, ერთი მეორისაგან დამორბეული პუნქტის, ერთი და იმავე სახელწოდებით აღნიშვნაში უნდა გამოსკვეოდეს ეთნიკურ-კულტურული ერთიანობა: ამ რაიონების მოსახლეობისა, სადაც ეს პუნქტები მდებარეობდა. და მართლაც, ხომ ცნობილია, რომ პონტოსა და კაპადოკიის სახელწოდებით ცნობილ მთარეაზიის რაიონებში ძველი ქართველი ტომები მოსახლეობდნენ ისტორიის მანძილზე, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც დღესაც ცოცხლად არის წარმოდგენი-

ლი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო ზოლში.<sup>74</sup>

კომუნისტური კომანდან იყვნენ. ჭ. კომანი კავადოკიაში მდებარეობდა და ამ მხარის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა.

სტრახონის სიტყვით: „ანტიკავრისში არის ღრმა და ვიწრო ხეობები, რომლებშიც არის კომანა და ვნიესის ტაძარი... ქალაქი მნიშვნელოვანია... მცხოვრებლები... მეფის მიერ ამარაღიანი, მებრამ უფრო მეტად ჭურჭუმებს ემორჩილებიან... ჭურჭმი პატივის მიხედვით კავადოკიაში მეფის შემდეგ არის მეორე, რადგანაც მეტწილად ერთი და იმავე გვარადან არიან ჭურჭუმები მეფეებთან.“<sup>75</sup>

სხვა ადგილას უფრო ზუსტად მიუთითებს სტრახონი, რომ კომანა არის, „ე.წ. ზემო კავადოკიელებში.“<sup>76</sup>

მაშასადამე, კომანა კავადოკიის ტერიტორიაზეა, ხოლო კავადოკიის მოსახლეობა ერთ ენაზე მეტყველებს. თეთ კავადოკიის ტერიტორია შემოსაზღვრულია: „სამხრეთისაკენ ე.წ. კილიკის ტაბრით, აღმოსავლეთისაკენ ანჭინით, კოლხიდიით... ჩრდილოეთისაკენ ევქსინით ვიდრე ჰაღისის შესართავამდე, დასავლეთით პაფლაგონიელთა ტომით და ვალატელთა (ტომით), რომელიც ფრიგიასი მოსახლეობს...“

აი, ამ ვეებერთელა ტერიტორიაზე მოსახლეობს ერთი ტომი ახალხი, რომელსაც კავადოკიელებად უხსმობენ და ეს ხალხი ერთ ენაზე მეტყველებს.<sup>78</sup>

კავადოკიის ბერძნული დიალექტის ჩვენ დროს შეკვლევაზე კაროლიდის აღნიშნავს, რომ ის ენა რომელზედაც, სტრახონის მოწმობით, მეტყველებდნენ კავადოკიელები, იქ გაისმოდა ისტორიულ მანძილზე, მაშინაც კი, როდესაც კავადოკიაში შეიჭრა და გავრცელდა პპოვა ბერძნულმა ენამ, რომელშიც უმთავრესად ქალაქში მოიკადა ფეხი და სხვაგან კი ავტოხონი კავადოკიელები ან კავადოკიურ ენაზე მეტყველებდნენ, ან კავადოკიურისა და ბერძნულის ნარევი დიალექტზე.<sup>79</sup>

ხოლო ი. ფლავიოსის ცნობის თანახმად, „კავადოკიელები“ არის ახალი სახელწოდება ამ მხარის ძირითადი და უძველესი მოსახლეობისა — მესხებისა, რომელთაც ეს ახალი სახელწოდება მიანიჭებიათ პირველი საუკუნის შებლობელ ხანებში.<sup>80</sup>

თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მაშინდელ სამყაროში კავადოკიის მოსახლეობა, რომელსაც ი. ფლავიოსის მოწმობით, უწინ შესხებდნენ ეწოდებოდა და დიდი ხანი არ არის, რაც, კავადოკიელებად იქნენ წოდებულნი, თავისი პოლიტიკური და საფიქრებელია, კულტურული ეკონომიური ცხოვრებითაც, თუნდაც იმითაც მტკიცდება, რომ ვიდრე კავადოკია რომის პროვინციად გადაიქცეოდა, როცა იგი რომაელებს მოკავშირე ქვეყანას წარმოადგენდა,

რომელები თავიანთ „მეგობრად და მოკავშირედ სთვლიდნენ არა მხოლოდ კავადოკიის მეფეს, როგორც ეს სხვა ქვეყნების მიმართ იყო მიღებული, არამედ აგრეთვე *ქალაქი სტრახონისა ტომისა*ც.“<sup>81</sup>

ეს კი იშვიათი მოვლენა იყო მაშინდელ საერთაშორისო ურთიერთობაში და რომის საგარეო პოლიტიკის პრაქტიკაში. აქვე უკვე ავყარად შიჩანს კავადოკია-კომანის მოსახლეობის ზედფენების გავლენა და მნიშვნელობა, რომლისათვისაც ანგარიშის გაწევამ გამოიწვია რომელების უჩვეულო კეთილგანწყობილება მათადმი რომელები თავიანთ მეგობრებად და მოკავშირეებად, რასაკვირველია, სწორედ ამ წარჩინებულთა ზედადენებს მიიჩნევდნენ... სწორედ ამათი შთამომავალინ შეიძლება იყვნენ კომუნისტები.

კომუნისტთა ქართული ფინიკური საწყაროდან შთამომავლობის ასპექტში მნიშვნელობა ენიჭება ანა კომუნეს იმ ცნობას, რომელიც მოგვითხრობს იმპერატორ ალექსი კომუნესის მიერ ბიზანტიაში მყოფ იბერიელთა მიმართ გამოჩენილ მზრუნველობაზე.

ანა გადმოგვცემს: „დიდი მქადაგებლის პავლეს ტაძრისათვის შეჩვენულია დიდძალი და მრავალრიცხოვანი მღვდლობა და უხვი განათება ამ ტაძარში რომ შედინა, დანახავ გუნდებს, რომლებიც ორ მხრად ვალობენ, რამეთუ შან (ალექსიმ) დაუწესა მოციქულთა ტაძარს მგალობელი კაცები და მგალობელი ქალები მსგავსად სოლომონისა, იგი ძალიან ზრუნავდა დედათ-დაეკონებზე. აგრეთვე დიდი ზრუნვა გამოიჩინა იქ დაბინავებულ იბერიელთა მოლოხნების მიმართ, რომლებიც წინათ კარ-კარ დადიოდნენ სამათხოვროდ, როდესაც კონსტანტინეპოლში დასახლდნენ, ხოლო შათ მიმართ გამოჩენილი მამიქემის მზრუნველობით აიკო მონასტერი, სადაც შათ სმა-კემა და ზაი-მა-დახურვა უზრუნველი ქონდათ.“<sup>82</sup>

უდაჭობთ, რომ ალექსი კომუნესის მიერ იბერიელთა მიმართ გამოჩენილი უღელის (ეგების უჩვეულოც) მზრუნველობა შემთხვევითი არ არის, ისევე, როგორც შემთხვევითი არ უნდა იყოს თვით ანას მიერ ამის საგანგებოდ მოხსენიება საყურადღებოა, თუ ალექსი კომუნესის, რატომ გამოფეხისთანავე იბრთა მონასტერს აარსებს, რომელია მიმართ განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენისა ანა საგანგებოდ აღნიშნავს. განა, კონსტანტინეპოლში იბერიელთა გარდა, სხვანი ეოტანი იყვნენ, რომელნიც ყურადღებას საჭიროებდნენ? ამასთანავე, რატომ მხოლოდ განსაკუთრებულ იბერთა მონასტერს აარსებს ალექსი და არა სხვათა მონასტერს, რომელიც უფალსათვის იქნებოდა განუთენილი და სადაც, სხვებთან ერთად, იბერიელებიც მოთავსდებოდნენ.

ალექსი კომუნესის განსაკუთრებულ ყურადღებას იბერთადმი თავისი საფუძველი იქნა

ანა კომუნებს ცნობით, ალექსი კომუნოსმა, გრიგოლ ბაქურაიანის ძემ და მათმა მომხრეებმა ძალადუღება ხელში ზაიგდეს სწორედ თავიანი თანამეტომთა და ნათესავ-მახლობელთა დახმარება — თანადგომით.<sup>83</sup>

ანა კომუნეც და სხვა ისტორიკოსებიც ხზგასმით აღნიშნავენ, რომ ალექსი კომუნოსი დიდად ზრუნავდა თავისიანების დაწინაურებაზე სახელმწიფო სამსახურის და მატერიალურად დაუ დიდად უწყობდა მათ ხელს. იმ იბერიელთა მიმართ ზრუნავს, რომელთათვისაც ალექსი კომუნოსმა კონსტანტინეპოლში სპეციალური (ცალკე) მონასტერი დააარსა, სწორედ აქედანვე მომდინარეობდა.

ვის გატეობდა მისწვნელოვანი ელემენტი ალექსი კომუნოსისა და გრიგოლ ბაქურაიანის ქართული ეთნიკური სამყაროსადმი კეთვნილების მიუწყებელ მასალაში. აქვე უხდა აღინიშნოს, რომ მაშინდელ ბიზანტიურ წყაროებში იბერელები მხოლოდ საკუთარივე აღმოსავლეთ საქართველოს (იბერია-იფერიის) მცხოვრებთა აღსანიშნავად კი არ იხმარებოდა, არამედ მას ფართო შინაარსი აქვს და მოიცავს ტოკლარაქეთთან ერთად, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო რაიონებში მცხოვრებთაც, რომელნიც იბერთა ტომს განეკუთვნებოდნენ.

საუტრადღებოა, რომ, ანას თქმით, ალექსი კომუნოსმა მონასტერი დააარსა ქართველთათვის, რომლებიც კონსტანტინეპოლში ცხოვრობდნენ და თავშესაფარი არ გააჩნდათ. იბერთა რიცხვს კონსტანტინეპოლში, საფიჭრებელია, ამრავლებდა იმ ქართველ მეთობარს რიცხვ, რომელნიც იქ უნდა დარჩენილიყვნენ მას შემდეგ, რაც ბიზანტიის ხელისუფლებამ, — როგორც ამას ვიორგი კედრენე მოგვითხრობს, — დასალა „იბერიელი ვარი, დაახლოებით ორმოცდა ათი ათასი კაცისაგან შემდგარი.“<sup>85</sup>

ყოველ შემთხვევაში, ეს ცნობა იმას შიაც ადასტურებს, რომ იბერიული (ქართული) ელემენტი ბიზანტიაში მაშინ შეტად თვალსაჩინო უნდა ყოფილიყო და ეს ელემენტი იმ მოვლენების გარეშე ვერ დარჩებოდა, რაც კომუნოსებისა და ქართველ დედოფალ მარიაშის სამეფო ძალაუფლებისათვის ერთობლივ ბრძოლასთან არის დაკავშირებული.

ბულგარეთში ფილიპოპოლისის რაიონშიც, სადაც ქართველი მოსახლეობა ივრავებდა,<sup>86</sup> ყოფილან ქართველი ბერები, რომლებსაც გრიგოლ ბაქურაიანის ძემ აუშენა საკუთარი პეტრიწონის მონასტერი.

თეთი კონსტანტინეპოლში თავმოყრილ ქართველებში (იბერებში), რომელთათვისაც ალექსი კომუნოსმა სპეციალური მონასტერი დააარსა, უნდა ყოფილიყვნენ ფილიპოპოლისის რაიონში მცხოვრებ ქართველთაგანნი, რომელნიც, უთუოდ ეხმარებოდნენ ალექსი კომუნოსს სიმპერატორ ხელისუფლების მოსაოყებლად

ბრძოლაშიც და მწვალებელთა წინააღმდეგ ბრძოლაშიც. ესენიც იმსახურებდნენ ალექსი მხრივ უტრადღების და სამაგურებრებრებრებს.

ამგვარად, განხილული გარემოებებიც მისტურებს, რომ კომუნოსები მცირეაზიიდან იყვნენ და იქარ ეთნიკურ სამყაროსთან შედარო ურთიერთობა ჰქონდათ. და ეს სრულიად ბუნებრივია, რადგანაც, როგორც ცნობილია, ბიზანტიის იმპერატორთა უმეტესობა აბაზრებები იყვნენ. მათა ეთნიკური შთამომავლობა უმრავლეს შემთხვევაში უცნობია და დღესაც მეცნიერებისათვის სადავოა, თუ რომელი მათგანი მიმართ ცნობილია ამა თუ იმ გეოგრაფიული არედა წარმომავლობა (ისაიკოლი, მაკედონელი, პავლოგონელი), არ მოიოვება ცნობები მათი გარკვეული ეთნიკური სამყაროსადმი კეთვნილების შესახებ. დღემდე მეცნიერების მიერ საბოლოოდ არ არის დადგენილი, თუ რომელეროვნებას ეკუთვნოდნენ ისეთი თვალსაჩინო იმპერატორები როგორც: თესტინიანე I, პეტრეკე, ლეონ III, პასილი მაკედონელი.

კომუნოსებამდე ბიზანტიის სამეფო ტახტზე ყოფილან მცირეაზიიდან და, კერძოდ, კაპადოკიიდან გამოსულ საგვარტელოთა წარმომადგენლები, მთ შორის — ლუკები პავლაგონიიდან იყვნენ. ნიკეფორე ბოტანიტეც (1076-1081) მცირეაზიელი იყო.

რუსი შეკლევარი ა.3. რუდაკოვის თქმით, „ავიოგრაფიული ლიტერატურა ასახელებს ბიზანტიის დედაქალაქის არისტოკრატიის გვერდით პროვინციულ დიდ კაცობას (провинциальную знать).“<sup>87</sup> და რომ აღსანიშნავია მცირეაზიელი არისტოკრატიის ისეთი წარმომადგენლები, როგორიც „იონანე მდღემარე, ევდოკიმე, მიხეილ მალეინი, ვაზარა... ნეტარ ევდოკიმესა და თეოდორე ვაზარას, როგორც ადგილობრივ მაცნებებს უკავთ უმაღლესი სამხედრო თანამდებობანი თავიანთ მშობლიურ იმპერატორში: კაპადოკიასა და ტრაპიზონში. ნეტარი მიხეილი შთამომავალი იყო კაპადოკიის სტრატეგოსისა: შისი პაპა შაშის მხრივ, აგრეთვე პატრიკოსისა და სტრატეგოსი იყო; პაპა დედის მხრივ, მახურობ. და აღმოსავლეთის სტრატეგატად; ბებია იყო ნელსავი შომევილი იმპერატორის რომანოს I-ისა. მიხეილის და ცოლად შეირთო ევისარა ვარდამ. ხოლო მამა დამიკელირა შაშისაგან და შაშისაგან კაპადოკიის სტრატეგოსის თანამდებობა.“<sup>88</sup>

კაპადოკიელ წარჩინებულთა წრე საკმაოდ მძლავრი იყო და მას შეეძლო ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკურ საბიბელზე მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა. ეს წრე აქტიურად ეხმარებოდა კომუნოსებს. «Комнины опирались на сравнительно узкий слой знати, на своих родственников и свойственников» (История Византии, т. II, 1967, გვ. 297).

ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე X დე-



კას გარდაცვალების (1067 წლ. მისში) შემდეგ ძალუფლება გადავიდა დედოფალ ევდოკიას ხელში, მისი ვაჟების მცირე წლოვანების გამო. ფაქტურად საქმეებს განაგებდნენ გარდაცლილი იმპერატორის ძმა კესარი იოანე და მიხეილ პელოსი. ევდოკიას წინააღმდეგ ეწეობა პროვინციული სამხედრო არისტოკრატების შეთქმულება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ვაჟადოკიელი დიდაკი რომანოზ დიოგენი. «Мужественный и сильный человек Роман принадлежал к каппадокийской знати» (იქვე, გვ. 283).

შეთქმულება დამარცხდა, რომანოზს სიკვდილო დასჯა გადაუწყვიტეს... შერე შეიწყალეს... «...смертную казнь заменили ссылкой в Каппадокию, в родные места Диогена» ხოლო იმავე 1067 წლის დამლევს კონსტანტინეპოლში გაიწვიეს და მთავარსარდლად დანიშნეს.

1068 წლის 1 იანვარს რომანოზ დიოგენი იმპერატორად იქნა გამოცხადებული, შეიერთა იგი ევდოკიამ. რომანოზ დიოგენი საიმპერატორო ტახტზე ისევ კომნენოსის მსგავს მოღვაწეობას განაგრძობდა. ა. კეიდანის თქმით: «По существу Роман IV Диоген продолжал политику Исаака Комнина, да он и открыто опирался на могущественный род Комнинов, женив своего сына на Феодоре Комниной... Императору<sup>99</sup> принадлежали доминальные земли в различных областях Малой Азии — от Мелангеев на западе до фемы Харснани<sup>100</sup>, по время похода на восток он вел армию через свои поместья, черпая там необходимые материальные средства» (История Византии, т. II, 283).

ზემოთ მოთხრობილი საინტერესოა, ერთი მხრივ, იმით, რომ ბიზანტიამ უძალესი ხელისუფლებისათვის ბრძოლა წარმოებს აღმოსავლურ, მცირეაზიელ დიდ საგვარეულოთა შორის: დუკათა საგვარეულო მცირე აზიიდან იყო. მეორე მხრივ, რომანოზ დიოგენის სახით ზვეს ვენეზიის ძლიერსა და ენერჯიულ წარჩინებულ კაბადოკიელთა წრიდან გამოვლულ კლობრიულ ფიგურას, რომელიც, როგორც თავისი პირადი ღირსებებით, ისე ქონებრივ-მდგომარეობით, კომნენოსთა საგვარეულოს ვერძლით, ამშვენებს მაშინდელ კაბადოკიურ მოწინავე საზოგადოებას.

ამასთან, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ დამარცხებული აჯანყების მესვეურს რომანოზ დიოგენს, რომელსაც სიკვდილი მიუსჯეს, შალე საიმპერატორო ტახტზე ეხდებოდა. ეს კი იმ წრის საიმპლავრებზე მიუთითებს, რომელიც გააჩნდა დუკათა და კომნენოსთა საგვარეულოების ირგვლივ დაზარალებულ შორის იმ ბანაკს, კომნენოს-დიოგენის ერთიანობას რომ გამარჯვება მოუტანა. ეს მომენტი ნათლად მეტყველებს იმ მოსახლეობას სიძლიერებზე, რომე-

ლიც კაბადოკიის პოლიტიკურსა და ეკონომიურ-კულტურულ ცხოვრებას წარმოადგენდა.

ხოლო, რომ ამ რაიონში სანდუქლონობის მოსახლეობა თავის ეთნიკურსახეობას ინარჩუნებდა, ამაზე არ დიდაკიე აშობის, რომ სირიაში, სადაც ელენური გავლენა საუკუნეთი მანძილზე იგრძნობოდა, ბერძნული ენა ვერ იქცა საყოველთაოდ და მოსახლეობა „განაგრძობდა სირიულ ენაზე მრეტყველებას. ედესისში არსებობდა სირიული მწერლობის სკოლა.“<sup>101</sup> სადაც წარჩინებული და გაბატონებული წრეების შვილები სწავლობდნენ. ეგვიპტეში კი „ადგილობრივი ენა იყო არა მხოლოდ სამეტყველო ენა ხალხის მასისათვის, არამედ ამ ენაზე იქმნებოდა ადგილობრივი აგიოგრაფიული ნაწარმოებები.“<sup>102</sup>

კაბადოკიელებზე კი აშობის ა. რუდაკიევი, რომ აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში განსაკუთრებით ხშირად იხსენიებია კაბადოკიელები: „რომლებმაც, სხვებზე უფრო ძლიერად შეინარჩუნეს თავიანთი ძველი სახელები ეროვნული იერი და დამკვირვებლებს უფრო მკვეთრად ეცემოდათ თვალში.“<sup>103</sup>

იქ ზვეს დავეუბრებოთ, რომ ეს კაბადოკიელები, რომლებიც სხვებზე მეტად ინარჩუნებდნენ „სახელოვან ეროვნულ იერს“, გარკვეულ ეთნიკურ ელემენტს წარმოადგენდნენ. თუ „კაბადოკიელი“, „ტომით კაბადოკიელი“, როგორც ხშირად იხსენიებია პირველწყაროებში, ეთნიკურ მომენტს კი არ მიუთითებდა, არამედ ამა თუ იმ მოღვაწის გეოგრაფიული რაიონიდან წარმომავლობას აღნიშნავდა, მაშინ რატომ სტრაბონი, რომელიც შეივლეს კაბადოკიიდან (ქ. ანასიიდან) იყო, თავის თავს არ უწოდებდა კაბადოკიელს, ან საისტორიო წყაროებში ერთხელ მაინც რატომ არ არის იგი კაბადოკიელად მოხსენიებული. ან კაბადოკიელ მოღვაწეთა დიდ პლავის მიმართ რატომ ნიადვ საგანგებოდ არის ხაზგასმული, რომ ეს მოღვაწენ „ტომით კაბადოკიელი“ არიან და რატომ საისტორიო წყაროებში მათ ერთხელ მაინც ბერძნულობის (სხვათა რომ თავი დაეანებოთ) რამე ნიშანწყალი არ ეტყობათ, ხოლო იმ მოღვაწეების მიმართ კი, რომლებიც კაბადოკიიდან წარმომავლობდნენ — მაგრამ სხვადასხვა ტომს ეთნიკურად იყვნენ, სათანადოდ არის ხოლმე აღნიშნული, და აშკარად, ისინი არ არიან გაიგივებულნი „კაბადოკიელებთან.“ ცხელია, „კაბადოკიელი“ ტომობრივი ნიშანი იმ თვალსაზრისით ეთნიკური ელემენტისა, რომელიც მასიურად იყო დასახლებული ეს მხარე და რომელიც, თვით რაიონის სტყვიით, მცირე აზიის ვრცელ ტერიტორიაზე მოსახლეობდა და ერთ ენაზე მრეტყველებდა, ხოლო ი. ფლავიოსის ავტორიტარული მოწმობით, ამ ელემენტს, — უწინ რომ მესხების სახელით იყო ცნობილი, დაახლოებით პირველ საუკუნეში „კაბადოკიელები“ ეწოდა.

მოციტანთ აქ ერთ საყურადღებო მახალს. ეფთიმე დიდის (გარდ. 473 წ.) ბერძნულად დაწერილ ცხოვრებაში (თავი 6-ე) ვითარდებით, რომ მასთან მივიდა „სამი ღვთისა და მოღვთი კაბადოკიელთა ქვეყნიდან, აღზრდილნი სირიაში და შემოქმედნი ყოველგვარი სულიერი გონიერებით — კოსმა, ჭიჭინა და ვაბრიელი.“<sup>95</sup>

31-ე თავში კი ნათქვამია, რომ ეფთიმემ „... აქრთას სტეფანე და კოსმა კაბადოკიელი წმ. აღდგომის დღეაღწებდა.“<sup>96</sup>

33-ე თავი გვაუწყებს: „ხოლო არქიეპისკოპოსმა იუვენალიმ აქრთას სტეფანე მელიტენელი<sup>97</sup> შამნის ეპისკოპოსად, კაბადოკიელი კოსმა კი პრეზბიტრად და დაადგინა იგი ჭარბის მცველად.“<sup>98</sup>

ეფთიმესთან მისულ სამივე კაბადოკიელ მძამთავრს უსახელებია თავიანთი მოღვაწეობით; იუვენან ისინი უმალდეს სამღვდელ-მონაზვნო-სამონასტრო თანამდებობებზე; დაუტოვებია ღირსშესანიშნავი თხზულებები. ხოლო ვაბრიელს აუშენებია თავისთვის მცირე მონასტერი. ამ მონასტერში გარდაიცვალა იგი 80 წლის ასაკში: „... ჰქმნიდა რა სასწაულებს; იყო რ: იგი ნიჭიერი, უყვარდა სწავლა, მან შეისწავლა სწორად მეტყველება და წერა ლათინურ, ბერძნულ და სირიულ ენებზე.“<sup>99</sup>

როგორც ვხედავთ, მოტანილ ამონაწერებში სავანეებოლ აქვს ხაზი გასული სამი ძმის ერთ-ერთს წარმოშობისას, რომელიც ტომით კაბადოკიელები არიან და წყაროში რამდენჯერმე ნახმაზი „კაბადოკიელი“ სწორედ ეროვნების სინონიმია. რომ ეს კაბადოკიელ ძმები საყურადღებო ეროვნულად არიან, იქნადაც ჩანს, რომ მათთვის, რომელნიც სირიაში იზრდებოდნენ, არ წარმოადგენს მშობლიურ ენას არც ლათინურის, არც ბერძნული და არც სირიული. ამ ცნობის მიხედვით, კაბადოკიელები ეთნიკურად გამოიწერა არიან, სხვებთან ერთად, ბერძნულ ეთნიკურ სამყაროსაგანაც.

ეფთიმეს ცხოვრება გვაუწყებს აგრეთვე (თავი 48-ე), რომ ეფთიმესთან მისულა ორი პირთაგანა, რომელთაგანაც „ერთი იყო ტომით კაბადოკიელი, სახელად მარტირი (486 წ.),“<sup>63</sup> თავში კი მოთხრობილია, რომ იერუსალიმის ბერძნობის სიყვდილის შემდეგ, „საპატარაჟიკო ტახტი მიიღო... მარტირი.“

როგორც ვხედავთ, კაბადოკიაში ცხოვრობს ადგილობრივი გარკვეული ტომის ხალხი, ებლა „კაბადოკიელები“, ადრევე კი მესხებად ცნობილი. მესხები კი, ქართული ეთნიკურ სამყაროს თვალსაჩინო ნაწილს შეადგენდნენ.

რომ პონტოსა და კაბადოკიის მოსახლეობას ქართველი ტომები შეადგენდნენ, ამას ისიც ადასტურებს, რომ, როგორც ცნობილია, პირველწყაროები კაბადოკიის ტერიტორიას მოსახლეობას პონტოელ ხალხებად — „პონტოელებად“ იხსენიებენ.<sup>100</sup> და მათ ეს სახელწო-

დება მიუღიან პონტოს ზღვისაგან.<sup>101</sup> და ამ პონტოელ ხალხებში ანტიკური წყაროებიც, ყოველთვის გულისხმობენ „სტრუტონიკურ“ ტომებს.<sup>102</sup>

ამ ცნობებს ავსებს და ადასტურებს პროკესარიელის შემდეგი ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ პატლაგონიელების შემდეგ: „ცხოვრობენ ეგრეთ წოდებული პონტოელები ტრაპეზუნტის ქალაქამდე და მის საზღვრებამდე. აქ სხვა ზღვისპირა ქალაქებს შორის არის სინოპე და ამისე, ხოლო ამისეს მახლობლად არის ეგრეთ-წოდებული თემისიკე და მდინარე თერმოდონტი.“<sup>103</sup>

აქ, როგორც ვხედავთ, სინოპე და ამისე (ამასოა) ო. წ. პონტოელებს ეკუთვნით, ხოლო პონტოელებად პირველწყაროებში ამ რაიონი მოსახლე ქართველი ტომები იგულისხმებიან. პროკოპი კესარიელის ეს ცნობა შეტრიალია სინტრესა. ამით პირველწყარო ადასტურებს, რომ VI საუკუნეში აღნიშნული ქალაქები ქართველ ტომებს ეკუთვნის.<sup>104</sup> პროკ. კესარიელს რომ სწორედ იმის თქმა უნდოდა, რომ ეს ქალაქები პონტოელებს (= ადგილობრივ ქართველ ტომებს) ეკუთვნით, ამაზე პირველწყაროს კონტრესტი ექვს არა სტოეებს. წინამთავალ სტრუტონიკებში პროკოპი, ასახელებს რა მითინიელებს და პატლაგონიელებს, იქვე ამბობს, რომ მათ „უფროატი ქალაქები ჰქარაგლია და ამასტრისი.“<sup>105</sup> ახვე იტყვია იგი პონტოელთა მიმართაც. ასახელებს რა მათ ქალაქებს სინოპესა და ამასოსს. კონსტანტინე პორფიროგენეტიც სინოპეს იხსენიებს მესამე კაბადოკიის ქალაქად.<sup>105</sup>

უფრო გვიანდელი პირველწყაროს ცნობის მიხედვითაც, სინოპე ქანთის ოლქში მდებარეობს.

თ. უსპენსკი შემოკლებულად გადმოგვცემს ოფიციალური ქრონიკის სელჯუქნამეს 1214 წლით დათარიღებულ მონაბეობას, რომელშიც აღაპარაია სულტან იზაღ-დინ ბეიკაყე I-ის მცირე აზიაში ლაშქრობაზე და ნათქვამია, რომ როდესაც სულტანი „იპყრებოდა სივამი, შამან მასთან მივიდა მანუე და შეატყობინა, რომ «...тегвер Джанита Кир Алексис обранным образом захватил синоп»<sup>106</sup>.

სულტანმა ხელთ იგდო ალექსი ნადეობის დროს, დაუწყო მას, სინოპის მოსახლეობას საყენებლად, წამება, რის შემდეგაც სინოპელები დათანხმდნენ პორიღებზე. იმ პირობით, რომ სულტანი ალექსის არაფერს ავებდა და მათაც ნებას მისცემდა თავისუფლად გასულიდნენ ქალქს. სულტანი დათანხმებულა: «Султан покаялся, что будет охранять области Джанитскую, Трапезунтскую и лазскую», თუ ალექსი იყისრებს ხარკს და სულტანს დაეხმარება ქართი, ამ უკანასკნელის მოთხოვნისა.<sup>107</sup>

აქაც, როგორც ვხედავთ, პონტოსა და კაბა-

დოკის მნიშვნელოვანი რაიონები ქართული სამყაროს კუთვნილებად გვევლინება.

განსაკუთრებით საუფრადღებოა, რომ ამ ცნობაში ჩამოთვლილი სამი ოლქიდან, ყველაზე დასავლეთით მდებარეს (სინოპის ოლქს) ეთნიკური სახელწოდება აქვს მონიკებელი (კანეთის ოლქი, კანოიკი), ისევე, როგორც აღმოსავლეთით მდებარე ოლქს — ლაზიკის (ანუ ლაზთა) ოლქი ეწოდება. ზოლო მათ შორის მდებარე ტრაპიზონის ოლქში ზომ მუდამ კოლხები ცხოვრობდნენ. თვით უძველესი წერილობითი წყაროს, ქსენოფონტეს მოწმობით, ტრაპიზონის კოლხეთის ქვეყანაში მდებარეობდა.<sup>109</sup>

ამასთანავე, სინტერესოა, რომ პაფლაგონია და კაპადოკიე ვითომღაც არ უნდა იყოს ერთმნიშვნელოვან სხვაფრთხ, თუ არა მხოლოდ გეოგრაფიული ნომენკლატურით. ამდენად, ვასაგებაა, რომ თ. უსპენსკის მტკიცებით, პაფლაგონიაში „იყო კომწენოსთა სამეგვიდრეო მემულები.“<sup>109</sup> ამიტომაც, მისივე თქმით, „ტრაპიზენტთან ყველაზე ახლო მდებარე ქალაქებზე და სოფლები, განსაკუთრებით კი პაფლაგონია, სადაც იყო კომწენოსთა სამეგვიდრეო მემულები, მალე შეერთდნენ“ ტრაპიზონის იმპერიის აღმოცენებისთანავე იქ გაშვებულ ალექსი კომწენოსს.<sup>110</sup>

ტრაპიზონსა და მის ოლქში ისტორიის მანძილზე ქართველ ტომთა მოსახლეობა ძირითად მასას წარმოადგენდა.<sup>111</sup>

რუსი მეცნიერის პ. შუბინსკის მოწმობით, 1911 წელს ტრაპიზონის მოსახლეობის ორშესამედს ლაზები შეადგენენ.<sup>112</sup>

მაგრამ, რომ აღნიშნულ რაიონებში ძველთაგანვე ქართველი ტომები მოსახლეობდნენ, ვარსადა საყოველთაოდ ცნობილი ძველი, თუ ახალი ისტორიის წყაროებშია, ამას ადასტურებს ბიზანტიური ავთოგრაფული ლიტერატურის მიერ შემთხვევით შემონახული არა ერთი ძვირფასი ცნობა.

ამ ცნობათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობა, რომელიც ზემოთაც იყო მოხსენებული და რომელიც კაპადოკიის ცენტრალური რაიონის VI საუკუნეში ქართველ ტომთა მიერ დასახლებულობას გვიმოწმებს. იგი დაბეჭდილია ვეტიხი პატრიარქის ბერძნულ დაწერილ ცხოვრებაში. ცხოვრების ავტორი პრესბიტერი ევსტატი. იყო ვეტიხის მოწოდ და მერე კონსტანტინეპოლის პატრიარქი. ვარდათცვალია იგი 582 წელს. ცხოვრებაში, სხვათა შორის, მოთხრობილია 572 წელს სპარსელების შეტარზე კაპადოკიაში, რაზედაც თეოდანეც მოგვითხრობს და ამ ომის მიზეზი კი გადმოცემული აქვს ევსტატეს საეკლესიო ისტორიაში.<sup>113</sup> ცნობაში ნათქვამია, რომ ახალმა ნაბუქოდო-

ნოსორმა ხოსრომ მოახორა სევასტია, მეტეტენე, ზოლო: ნაოხლოს, ნეოკესარიის, კომპანას, ძელოს და სხვა ქალაქების. შემოქმედებულმა ლტოლვილმა მოსახლეობამ თავი შეაფარა ქარვად გამაგრებულ ქალაქ ამასიას. ლტოლვილი შორის უპრავლესობას იბერები შეადგენდნენ („პლეიონეს დე ტეტონ იბერეს ეზან“).

მაშ, აღნიშნული რაიონის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს იბერიელები შეადგენენ, თუ ვიმსჯელებთ ლტოლვილთა რაოდენობის მიხედვით. ზოლო, თუ გავიხსენებთ პრაკობი ექსარქელის ცნობას VI საუკუნეში, ამავე რაიონში კანური მოსახლეობის სიმრავლეზეც, მაშინ სურათი უფრო ნათელი გახდება.

პრაკობი ექსარქელის მოწმობით, „კანებ ძველად თვით-თავადად ცხოვრობდნენ“ და მხოლოდ VI საუკუნეში, თესტინიანე პირველის დროს, მოხერხდა ბიზანტიის მიერ მათი დამორჩილება.<sup>115</sup>

მაგრამ ვეტიხის ცხოვრებაში სხვა ცნობაც მოიპოვება ამ რაიონებში ქართველ ტომთა მოსახლეობის შესახებ.

ცხოვრებაში მოთხრობილია, რომ ახალგაზრდა ვეტიხის კონსტანტინეპოლში მცხოვრებმა ვაჟუნმა მან თავისიანებმა მოიწადინეს იგი ეურთხებიანთ ამასიის მახლობლად მდებარე ქალაქ ლაზიხის ეპისკოპოსად („...გენესთის იეტონ ეპისკოპონ ტეს ტონ ლაიხენონ პონელის“).

როგორც ვხედავთ, ქ. ამასიის მეზობლად რომელიც ამ დროს საეკლესიო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მეტროპოლიის როლს ასრულებს, არსებობს ლაზთა ქალაქი. და რაკი ამასიას ჰევემონობა ევლოვის, მისი მოსახლეობაც ქართული უნდა ყოფილიყო, და ეს არც ვასევირია თუ გავიხსენებთ, რომ კანები სტრაბონის დროსაც, VI საუკუნეშიც და შესაუკუნეებშიც ამ რაიონში ბლომად მოსახლეობდნენ.

რომ ეს ვარაუდი სწორი უნდა იყოს, რომ ამ რაიონში და ეგრძობა, ამასიის ქართული მოსახლეობა ისტორიის მანძილზე ჰევემონობა ინარჩუნებდა, ამას კიდევ ერთი არაპირდაპირი ცნობა ადასტურებს, რომელიც იმავე დროს კომწენოსების აქაურ, და მამასიადამე, ქართულ მოამომავლობაზე მოითხოვს.

ანა კომწენე მოგვითხრობს, რომ აჯანყებულ ურსელისის წინააღმდეგ მებრძოლს ბიზანტიის ჯარის სარდალს ალექსი კომწენოსს თავისი წგაბი ქ. ამასიაში აქვს. იგი ამასიის მოსახლეობისაგან გამოითხოვს ფულს, რომელიც უნდა გადაუხადოს თურქებს ურსელისის შეპყრობისათვის. ამასთანავე ამასიელები ფულს აძლევან ალექსის იმიტომ, რომ მისი ნდობა აქვთ.<sup>117</sup>

აქაც უნდა გამოსკვიოდეს რაღაც შინაგან გულისითი დამოკიდებულება ალექსი კომწენოსსა და ამასიის მოსახლეობას შორის, რაც მშობლიურ ნიადაგზე იყო აღმოცენებული.

მოტანილი მასალის მიხედვით, კომუნისტებმა და მარხამ დედოფლის თვისებების საფუძველი შექმნეს და ისიც ირკვევა, რომ კახაბრელები ქართულ სამყაროსადმი ეთნიკურად მისწინან.

ოსმალებს აღმოსავლეთ საქართველოში დიდხანს არ უბოგონიოთ, უკვე 1735 წლის 6 დეკემბრისთვის (ოქტომბერს) სპარსთა ქართთამაზხანი (1736 წელს მელანში შაჰად კერთხევის შემდეგ ნადირ შაჰი) თბილისშია. თამაზ-ხანს თბილისში სომხეთიდან, ერევნის მხარის საქმეების მოგვარების შემდეგ მოდის. მას თან ახლავენ ქართველი დიდებულები: — გივი, ამილახვარი, მუხრან-ბატონი, ქაიხოსრო ავალიშვილი. ქართლს მომავალი თამაზ-ხანი ილექსანდრეს, სარდალ ასლამაზ ხანს და ალიფული-ბეგ ამირეყიზს ავალებს, რომ მათ თბილისში 8,000 თუმანი ხარჯი აკრიფონ, სოფლებიდან 3,000 თუმანი, ხურო ათასი ზაკიარი, ერთი ზარვარი, ათი კოლი, ბოლო ქართლ-კახეთიდან 2,000 მოლაშქრე გამოიყვანონ. ასევე თამაზ-ხანმა თეიმურაზ კახთბატონი ცოლშვილით თბილისს დაიბარა. მაგრამ თეიმურაზმა ხანის ბრძანება არ შეასრულა და ცოლშვილით ფშავს შეეფარა, ზოლო თამაზ-ხანის თანამგზავრი ქართველი დიდებულები მას გზიდან გაეპარნენ და მიიმაღლნენ. ყოველივე ამან გაანაწევნა გამძვინვარა თამაზ-ხანი. „მოვიდა, ქალაქს თამაზ-ხან დიდისა დიდებითა, გაუშალეს მოქალაქეთ ციხის-კარიდამ ალაყათის ჩარდახამდის, დადგა ჩარდახში და შიგნით არამო დაყენა“<sup>5</sup>. ამ ზარ-ზეიმით მიღებამ საქმეს ვერ უშველა, ქართველ თვადიშვილთა საქციელის გამო თამაზ-ხანი შურისძიებას შეეპყრო. შურისძიებას ვერ ასცდენია ქალაქ თბილისის ზრახვითა მოზიარე თაბორის ციხე. მოხრობელი სეხნია ჩხვიძე გვაუწყებს, რომ თამაზ-ხანმა — „დააქცია ციხე გორისა, ქალაქს თაბორი“, დამარბეველი ქარი გაუსია ზემო ქართლს, არაკვის ხეობას, ქანს, მტკვრის ხეობას. ამ დამსჯელი ექსპედიციის შედეგად ბევრი ეკლესია და მონასტერი დაიქცა.

ბაბუნა ორბელიანი თავის პოემაში — „შეჭირებანი ქართლისანი“ — ამ ამბავს ასე ავეიწერს:

„ერთი თვე იყო ქალაქში ამ ქარებით და დიდებით,  
იყუნენ ქართველნი ურვილნი, მარადის დიდის შიშებით,  
დააქცივნა გორს ციხე, გარემოს კილით კიდეით,  
და თაბორის ციხე თბილის(ს)ა, სულ ამოიღო მიწებათ“<sup>6</sup>.

<sup>1</sup> ქრონიკები, ტ. III, გვ. 122; საინტერესოა რომ საბელი თაბორი ზოგ შემთხვევაში დეტომოლოგიზაციას განიცდის, უფრო სწორად, მას ქართული ენობრივად ეწოდება ასო მის საბელის წინ დასმით.

<sup>2</sup> სეხნია ჩხვიძე. გვ. 47.

<sup>3</sup> მრავალთავი I, 1971, გვ. 241.

<sup>1</sup> სეხნია ჩხვიძე, ცხოვრება მეფეთა, საქს ცხოვრება, მეორე გამოც. ზ. ტიქინაძის მიერ, 1913, გვ. 35.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 36.

<sup>3</sup> ვახუშტი, აღწერა... გვ. 52.

1747 წლამდე ქართველებს მხოლოდ ქალაქი თბილისი ეკავათ; მეტეხის ციხე, თაბორის ციხე და ნარიალა ყიზილბაშებს ეპყროთ. აღნიშნული ციხეების მტრის ზელში ყოფნა ყიზილბაშებს და ქართლის ტახტის მამიებელ აბდულაბეგს (მეფე იესეს ძეს) საშუალებას აძლევდათ ქალაქში მყოფნი შიშში და ძრწოლავში ჰყოლოდათ. და აი, საჭირო გახდა ამ ციხეების განთავისუფლება.

ნარიალას აღება შეუძლებელი იყო, თუ ქალაქის კიდევ ორ დამცველ ციხეს — ჩრდილოეთიდან მეტეხს და სამხრეთიდან თაბორის მტრისაგან არ გაათავისუფლებდნენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ მეტეხსა და თაბორის მეტად სტრატეგიული ადგილი ეკავა ქალაქის დაცვაში. მეტეხი მტერს ძლიერ ჰქონდა გამაგრებული, ამიტომ, მეფე ერეკლემ ამირინდო ამილახორს გორიდან დიდი ზარბაზანი ჩამოატანინა. ერეკლე გარით თაბორის მთაზე ავიდა და ციხის ახლოს თხრილი-სანაგარი გაუჩრქო. როცა მეფე ერეკლემ ნახა, რომ თაბორის ციხე ძნელ ასაღები იყო, დიდი ზარბაზანი თაბორზე ამოატანინა. დააყარეს ყუბბარები თაბორის ციხეს და ქართველთა ყარმა იგრძინა შიიტანა ციხეზე. სიმაგრისათვის ციხის მკველელებს მისთვის მიწით სავსე ტომარები შემოეწყოთ. თუმცა ციხეს მცირერიცხოვანი გარი იცავდა, მათ არ შეუწყვეტიათ თავგანწირული დაცვა, მათ ქართველები შოგ ციხეში არ შეუცვივდნენ. ციხე აიღეს, ზოგი ცოცხალი მიჰგვარეს ერეკლე მეფეს, ზოგსაც თავი წაავსებინეს, ამის შემდეგ ერეკლე მეფემ „დააყენა მუშა ფრიალი, შემოავლო სწრაფად გაღავანი თაბორის ციხეს და დააყენა გარი კახთა, აგრევე რომელი იყო სანაგარი გარისა იქაც დაადგმევინა კოშკი მაგარი და შეაყენა ციხის მისანდონი, თითონ ჩაბანდა ქალაქს გამარჯვებულნი და იტრუა საქმე ციხისა“<sup>1</sup>.

თაბორის ციხის შემდეგ გაათავისუფლეს მეტეხის ციხე და ბოლოს ნარიალაც (1748).

კრწანისის ბრძოლას ქართველი ხალხის მრავალსაუფროვან ეპოქაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. სპარსეთის შაჰმა ალა-შაჰმადხანმა 1795 წლის სექტემბრის დასაწყისში შუშის ციხეს ალყა მოხსნა, განჯის გზით საქართველოსკენ გამოემართა და მრავალრიცხოვანი გარით თბილისის მახლობლად, სოღანდუღში დაბანაკდა.

10 სექტემბერს ყაენის მრავალათასიანი ჯარი თბილისის ასაღებად დაიძრა. ერეკლე მეფე მცირერიცხოვანი გარით მომხდურს მომზადებული დაუხვდა. პირველი დღის ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა ალა-შაჰმადხანი უკან აპირებდა გაბრუნებას. მოლაღატევი-

მა (იოსებ ყორღანაშვილმა და არტემ არარკიანმა) ერეკლე მეფის მიერ დაკავებულ ალა-შაჰმადხანის ელჩი გააპარეს, რომელმაც თაყიბ მბრძანებელს მოახსენა საქმის ვითარება (ქართველთა მეფეს მცირე გარი ჰყავსო).

11 სექტემბერს ალა-შაჰმადხანმა ყიზილბაშებს უკან მოუყენა მათი მოძულე თურქმანების ნასახნ-ბაშების 6.000-იანი რაზმი და ბრძანა უველა უკან გამობრუნებული ყიზილბაში მოეკლათ. მოძალებულ მტერს თაბორის მდგარი დავით ბატონიშვილის ზარბაზნები მესრის ავლებდა — ამდგარს ამუშავებდა დავით ბატონიშვილი ზარბაზნებს თაბორის აყოლება კლდოვანი სერით და მესრის ავლებდა სპარსთა რაზმებსა.<sup>2</sup>

ქართველთა თავგანწირვამ საქმეს ვერ უშველა. რიცხოვნობა უპირატესობამ თავისი გაიტანა, მეტრმა გაიმარჯვა. მაშინ, როგორც თვით ამბის მომსწრე დავით ბატონიშვილი გადმოგვცემს, ამეფის ძემ დავითმა შთაყარა ჰქეცა შინა საგებრისათა ზარბაზანი იგი, რომელაცა აქვნდა მას თაბორის კერძო, რათა არა დაეშთეს სპარსთა, და ესრეთ განაზინა... აღიღეს ტფილისი, და მოწყვიტა<sup>3</sup>.

ალა-შაჰმადხანმა თბილისთან ერთად თაბორის ციხეც დაანგრია. სულ მალე, 1801 წელს, ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და რუსეთთან იმპერიას შეუერთდა. ძლიერი სახელმწიფოს ეპლთას შეფარებული საქართველოს დედაქალაქი დამცველ ციხეებს აღარ საჭიროებდა; თაბორის ციხე აღარ აღედგენიათ, მეტეხის ციხე კი, ერმოლოვის თვითმმართველობის (1816-1827) დროს, სატუსაღოდ გადააკეთეს.

რუსი მოხელის მიერ შედგენილ თბილისის 1800 წლის გეგმაზე დატანილია თაბორის მთა, სადაც დგას «Разоренное укрепление Корчи-Кала»<sup>4</sup>.

გეგმაზე დატანილი ნახაზის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თაბორის ციხე მდგარა მთის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. გეგმის ნახაზით, თაბორის ციხე მთის რელიეფს მიჰყვება, კედლებში დატანილია აქვს ვარსკვლავი შეკრული მრგვალი ფორმისა და ციხის მხრილად გაბნული რამდენიმე ბურჯი, საერთოდ, ციხის ფორმაზე რაიმე კონკრეტულის თქმა უკნია.

საინტერესოა თაბორის ციხის სახელი ყორღი-ყალა. თაბორის ციხეს ამავე სახელწოდებით იხსენიებს თბილისის ისტორიის მკვლევარი პლატონ იოსელიანიც. «Крепость Фабор (თაბორი) или Корчи-Кала (ყორჩი-ყალა). Она была со стороны юга Тифлиса и защищала южные или Ганджистские (განჯის კარი) во-

<sup>1</sup> ქრონიკები; III, გვ. 431.

<sup>2</sup> დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, 1942, გვ. 23-24.

<sup>3</sup> ЦГВИА, Ф. ВУА, д. 22660.

<sup>4</sup> პაუნა ორბელიანი, ცხოვრება მეფეთა, საქ. ცხოვრება, მეორე გამოც. ზ. კვიციანიძის მიერ, 1913, გვ. 149.



рота города. Во дни славы, она была построена каменными стенами»<sup>1</sup>.

ყორნი-ყალა აღმოსავლური სიტყვაა და დამცველ მკველ ციხეს ნიშნავს. ეს მეორე ზედსახელი თაბორის ციხეს როდის და ვინ შეარქვა, არ ვიცით. პლ. იოსელიანი აღნიშნულ ნაშრომში (იქვე) თაბორის მთაზე, ციხის გარდა, ეკლესიის არსებობაზეც ლაპარაკობს: «...и на плоской ее вершине была построена церковь Преображения Господня...» ამის შემდეგ ისტორიკოსი მოგვითხრობს თაბორის ციხეს თავს ვარდამბდარ ამბებს...

შველევარის ცნობა საინტერესოა იმით, რამ იგი თაბორის ეკლესიის სახელს ვაწვდის. საუბარი ღვთის ფერიცვალების სახელზე ყოფილა აგებული (ვაიხსენოთ რომ ქრისტემ თაბორის მთაზე იცვალა ფერი) ტაძრის სახელი წრთხელ კიდევ აღასტერებს ჩვენს მოსაზრებას, რომ სახელი თაბორი ძველი თბილისის მიკროტოპონიმიაში ქრისტიანულმა რელიგიამ შემოიტანა, და რომ იგი ქალაქის ძირძველი ტოპონიმია.

თაბორის ეკლესიაზე ლაპარაკობს ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი — ტაძარი სახელსა ზედა ყველა ურეკლთა ნუგეშისმცემლისა თაბორის გორაზედა... გაოხრებული ტაძარი<sup>2</sup>.

როგორც აღენიშნეთ, თაბორის ციხის არ აღგენა გამოწვეული იყო ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობით, ხოლო რაც შეეხება საუდარს, რუსეთის საფარქვეშ შესვლამ და 1811 წელს ქართული ეკლესიის დაშოუცილებლობის დაკარგვამ განაპირობა ტაძრის ნანგრევებად დატოვება, რომლის ნაშთიც დროთა სვლამ სულმთლად წარბოცა.

სამწუხაროდ, ვველაზე ადრეული ცნობა თაბორის ეკლესიის შესახებ გვხვდება სრულიად საქართველოს მეფის ალექსანდრე I (1412-1443) 1429 წლის ბუქარაშში.

როდის უნდა გაჩენილიყო თბილისის მახლობლად თაბორის სახელით ცნობილი მთა და მასზე როდის უნდა აეგოთ ციხე და ტაძარი?

ძველ თბილისში და მის შემოგარენში ადრეფეოდალური ხანის საეკლესიო ხასიათის ძეგლები არცთუ ისე ცოტა იდგა — სიონის ტაძარი

(VII), ამის ბატი (მისი ადრეული სახელი არ ვიცით) VII, მოაწმინდა სადაც იდგა ერთ-ერთი სირიულ „ათამეტ“ მამათაგანი — დაკრიოს საკანი (VII), და ბოლოს მეტეხის ღვთისმშობლის ძველ საუდარს განა გადმოცემა ვახტანგ გორგასალს არ უკავშირებს? ვახუშტი გადმოცემს: — „იტყვიან ამის აღმენებას გორგასალისისა“ (აღწერა, გვ. 53).

ჩვენ აქ არ ვცდილობთ ვამტკიცოთ ვახუშტის სიტყვების უცილობლობა, ეს არ შედის ჩვენს კომპეტენციაში და არცა ვვაქვს ამის პრეტენზია (ამის შესახებ იხილეთ ვახტანგ ბერიძის „მეტეხის ტაძარი“, 1969 წ.).

გვიწინა დაუბრუნდეთ ჩვენი კვლევის საგანს — თაბორს.

მართალია თბილისის თაბორი ქართულ ისტორიულ და აგიოგრაფიულ ძეგლებში X-XI საუკუნეებში ვხვდებო, მისი გაჩენა უფრო ადრეა სავარაუდო და სავლესობა.

ბაგრატ IV 1045 წელს ქალაქის ბერებს<sup>3</sup> რომ არ მიეწვიათ თბილისში, აღმათ თაბორის შესახებ ქართულ წყაროებში კიდევ დიდხანს არა დააწერებოდა რა. ასეთმა „ბედნიერმა“ შემთხვევამ შემოგვიჩინა თბილისის თაბორის სახელი.

რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიძლია ხელაღებით და დაბეჭოთებით იმის მტკიცება, თითქმის თბილისის სანახებში სახელი თაბორი ვახტანგ გორგასალის ანდა მისი მემკვიდრის დროს გაჩენილიყო, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ იგი ადრეულ ხანაში უნდა გაჩენილიყო.

ვარაუდის სახით (გადმოცემებზე დაყრდნობით) შეიძლება ვთქვათ, რომ იერუსალიმიდან დაბრუნების შემდეგ, ვახტანგ გორგასალმა, ანდა მისმა დედამ ან დამ, იერუსალიმში ლოცვა-კურთხევების აღსანიშნავად, თბილისის ახლოს მდებარე მაღალ მთას თაბორი შეარქვეს და მასზე საყდარიც ააგეს მეფის ანდა თავიანთი სულის სიხარად.

ამგვარად, ზემოთ მოტანილ მკვლევარებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვავაქეთოთ დასკვნა, რომ თაბორის მთა არამარტო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტი იყო, არამედ იგი კორასამლოცველოც ყოფილა.

სამწუხაროდ, დღეს თაბორის მთაზე ხეროთ-მოძღვრული ნაგებობის რაიმე ნაშთის მიკვლევა კირს, იქ მარადმწიანე საფარის ვაშენების გამო.

<sup>1</sup> Па. Иоселиани. Описание древностей, 1866, стр. 253.

<sup>2</sup> მოსე ჯანაშვილი. საქართველოს დღეაქალაქი ტფილისი, ქუთაისი, 1899, გვ. 184.

<sup>3</sup> ქრონიკები, II, 1897, გვ. 236.

## ქართული ასომთავრული

111. ქართული ანბანური ჯგუფი

ქართული ასომთავრული ანბანის საკუთრივ ქართულ ანბანურ ჯგუფს ასო „ღან“-ი იწყებს. რადგან ქართული ასო „ღან“-ი „ბერძნული“ ანბანური ჯგუფის უკანასკნელი „ომეგა“ გრაფემის ადგილზე ზის, ამის გამო იგი ქართული ანბანის უკანასკნელი ბერძნული გრაფემაა: რადგან ქართული „ღან“-ი გრაფიკულად „ომეგა“ ასონიშნის მოხაზულობისაა, ამის გამო გრაფიკულად იგი ბერძნული გრაფემაა.

რადგან ქართული ასო „ღან“-ი ქართულ ასომთავრულ ანბანში 25-ე ასონიშნად ზის, ამის გამო იგი საკუთრივ ქართული ანბანური ჯგუფის პირველი გრაფემაა („ომეგა“ ასონიშანი ბერძნულ ანბანში 24-ე ასონიშანია).

გარდა ამისა, ქართული ასომთავრული ანბანის სტრუქტურის განხილვისას უკვე ითქვა, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში ორი ანბანური ნაწილია: 1. ქართული ანბანის „სემურ-ბერძნული“ ანუ „უცხოური“ ანბანური ნაწილი და 2. ქართული ანბანის საკუთრივ ქართული ანბანური ნაწილი.

ქართული ანბანის 24 ასონიშნის შემცველ „უცხოურ“ ანბანურ ნაწილს

ჯვარი (ასო „ქან“-ი) ამთავრებს (+ crux immissa), ამის გამო ქართული ანბანის 25-ე გრაფემა ასო „ღან“-ი ქართული ანბანის საკუთრივ ქართული ანბანური ნაწილის და ქართული ანბანური ჯგუფის პირველი გრაფემაა.

რადგან ქართული ანბანური ჯგუფის პირველ გრაფემას ქართული ფონემური მნიშვნელობა აქვს და არა ბერძნული ფონემური მნიშვნელობა, ამის გამო ასო „ღან“-ი საკუთრივ ქართული ანბანური ჯგუფის პირველი ქართული ფონემაა.

ქართულ ასომთავრულ ანბანში ასო „ღან“-ი ქართული ფონემების საკუთრივ ქართულ ანბანურ მწკრივს იწყებს. ამგვარად, გასაგები ხდება, თუ რატომ არის საკუთრივ ქართული ანბანური ჯგუფის პირველი გრაფემა ასო „ღან“-ი.

ახლა საკითხავია, რამ განაპირობა ასონიშნების თანმიმდევრობა ქართული ასომთავრული ანბანის საკუთრივ ქართულ ანბანურ ჯგუფში? ეს მწკრივი, თუ უკანასკნელ ბოლოში დართულ „ჰაე“ ასონიშანს მივითვლით, ასეთია: ლ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ქ, ხ, ჯ, გ, პ.

ასონიშნების თანმიმდევრობა ქარ-

თელი ანბანის „სემურ“ ანბანურ მწკრივში ადვილად ასახსნელია, რადგან ქართული ასომთავრული გრაფემების მწკრივი „სემური“ ანბანური ჯგუფის ფარგლებში საკუთრივ სემურ-ფინიურ დედა-ანბანურ მწკრივს მისდევს.

ასო-ნიშნების თანამიმდევრობა ქართული ანბანის „ბერძნულ“ ანბანურ მწკრივში აგრეთვე გასაგებია, რადგან ბერძნული ანბანის საკუთრივ ბერძნული ანბანური ჯგუფის მწკრივს მისდევს.

მაგრამ რამ განაპირობა ასო-ნიშნების თანამიმდევრობა ქართული ანბანის საკუთრივ ქართულ ანბანურ ჯგუფში? ამ საკითხის გამო ივ. ჯავახიშვილი წერს:

„ქართული ანბანის დანართი ასოები გარკვეული სისტემით და ერთგვარი ენათმეცნიერული დაკვირვების მიხედვით არიან დალაგებულნი. დაცულია ერთგვარი ბგერათა ჯგუფობით დაყოფა-დალაგება, მაგალითად: ლ, ყ; შ, ჩ; ც, ძ; წ, ჳ; ხ, ჳ. განმარტოებულად დგანან ჯ. და ჰ. ეს გარემოება, რასაც ეიწვევლია, იმის დამამტკიცებელია, რომ ანბანის პირვანდელი შედგენილობისათვის დანართი ასოების შემქმნელთ ქართული ენის ბგერათა ბუნება გათვალისწინებული ჰქონიათ. მაგრამ საკმარისია დანართ ასოებს თვალი გადაავლოთ, რომ ერთგვარი აღრეულობა მაინც შეატყუთ. ბგერათა ბუნებისდაგვარად რომ ყოფილიყვნენ ასოები მოთავსებულნი, ლ, ყ, ხ, ჳ და ჰ უნდა ერთ ჯგუფად და ერთიმეორის მიდევნულობით ყოფილიყვნენ დალაგებულნი. ქართულ ანბანში კი ჯერ უკანაენისმიერი ლ და ყ ზის, შემდეგ კი სისინა და შიშინა წინაენისმიერ ბგერათა მთელი ექვსი ნიშნისაგან შემდგარი რიგი მისდევს: შ, ჩ, ც, ძ, წ, ჳ. მერმე ისევ უკანაენისმიერი ხ და ჳ არის მოთავსებული, შემდეგ ჯ და სულ ბოლოში ჰ. ასეთი შეუსაბამობა და აღრეულობა ალბათ იმის შედეგი უნდა იყოს, რომ დანართი ასოები ერთ დროს და ერთ-

ბაზად არ უნდა იყვნენ მიმატებული, არამედ თანდათანობით დასხვავდებოდნენ. ამ შირივ საგულმსმართლმ დანართ ასოთა მეორე ნიშნის შემცველი ჯგუფი გასაოცარი დაკვირვებით არის დალაგებული და ბგერების მწკრივი ისეა შედგენილი, რომ ჯერ ბრჯუანუ ყრუ ბგერა ზის, შემდეგ მელერი მაგ. შ, ჩ; ც, ძ; წ, ჳ. ეს პრინციპი დაცულია სისინა-შიშინა ბგერათა ჯგუფის მიმდევრობა და კ-არისაგან შემდგარ ჯგუფშიც, მაგრამ დარღვეულია უკანასკნელ ჯგუფში, რომელიც „ჭ“ ანისა და „ჰ“-აესგან შედგება. ასოთა დალაგებულობის პრინციპის ერთგვარობას მეორე და მესამე ჯგუფში შეიძლება ისეთი აზრიც დაებადა, რომ ეს ორივე ჯგუფი ერთსა და იმავე დროს და ერთად ყოფილიყოს ანბანისათვის მიმატებული, მაგრამ მაშინ ძნელი ასახსნელი იქნებოდა, თუ რატომ არ წაუძღვანეს ამ ჯგუფს ჯერ ხ და ჳ, რომლებიც თავიანთი ბუნებით წინამყოფ „ლ“ და „ყ“-ს უფრო უდგება, არამედ სისინა-შიშინა ბგერათა შემდგომ მოთავსეს.“<sup>1</sup>

ამგვარად, ივ. ჯავახიშვილის თქმისა არ იყოს, ასო-ნიშნების თანამიმდევრობა ქართული ანბანის საკუთრივ ქართულ ანბანურ ჯგუფში აუხსნელი რჩება. ბგერათმსგავსების ფონეტიკური პრინციპით რომ ვიხელმძღვანელოთ, ქართული ანბანური მწკრივი შემდეგნაირად შეიძლება დალაგდეს:

#### I უკანაენისმიერი.

უკანა ველარული თანხმოვნები.

1. ლ — მელერი სპირანტი
2. ყ — ხახისმიერი მკვეთრი ხშული
3. ხ — ყრუ სპირანტი
4. ჳ — ხახისმიერი ფშინვიერი ხშული
5. ჰ — ლარინგალური ყრუ სპირანტი

#### II უკანაენისმიერი.

შიშინა თანხმოვნები

6. შ — ყრუ სპირანტი
7. ჩ — ყრუ აფრიკატი

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია. 23-200.

- 8. ჰ. — მკვეთრი აფრიკატი
- 9. ჯ. — მკლერი აფრიკატი  
III წინანუნისმიერნი.  
სისინა თანხმოვნები
- 10. ც — ყრუ აფრიკატი
- 11. ძ. — მკლერი აფრიკატი
- 12. წ — მკვეთრი აფრიკატი.

ახლა ქართული ანბანური ჯგუფის ფონეტიკური მწკრივი ქართული ანბანური ჯგუფის ნამდვილ, არსებულ მწკრივს შეიძლება შევადაროთ: ფონეტიკური მწკრივი

	ლ	}	ველარული და ლარინგალური
1.	ყ		
	ბ		
	ქ		
	კ	}	შიშინა
2.	შ		
	ჩ		
	ც		
	ძ	}	სისინა
3.	ც		
	ძ		
	წ		

ქართული ანბანური მწკრივი

	ლ	}	ველარული
	ყ		
	შ		
	ჩ		
	ც	}	სისინა
	ძ		
	წ		
	ჭ		
	ქ	}	შიშინა
	ბ		
	კ		
	ჯ		
	პ	}	ლარინგალური
	ფ		
	ვ		
	გ		

ჩემი ვარაუდით, ქართული ანბანის საკუთრივ ქართული ანბანური ჯგუფი შემოკლებულია ერთ დროს და ერთდროულად, ქართული ასომთავრული ანბანის შექმნისთანავე. ქართული ასომთავრული ანბანის ანალიზი ცხადყოფს, რომ საკუთრივ ქართული ანბანური ჯგუფი განუყოფელია ქართული ანბანის „სემური“ და „ბერძნული“ ჯგუ-

ფებისაგან. ქართული ანბანის სტრუქტურის განხილვისას ამის შესახებ უკვე ითქვა: ქართულ ანბანს „მთავარის იდეოგრამა-აქროფონი იწყებს და „ქარ“ — ხარის იდეოგრამა — აქროფონი ამთავრებს, დასასრულის ნიშნად კი „ჯან“ — ჯვარის იდეოგრამა — აქროფონია დასმული.

საკუთრივ ქართული ანბანური მწკრივის შესწავლამ ცხადყო, რომ უკანასკნელ „ჰაე“ ასო-ნიშანს საერთოდ არ ეძებნება ადგილი ქართულ ანბანურ ჯგუფში: „ჯან“ — ანბანის დასასრულის მათწყებელი ნიშნის შემდეგ მის ყოფნას გამართლება არა აქვს, „ქარ“-ის მომდევნო და „ჯან“-ის წინა ასო-ნიშნად „ჰაე“ ვერ დაჯდება, რადგან ქართული ანბანის ერთებას „ქარ“ იდეოგრამა — აქროფონი უნდა ამთავრებდეს და დასასრულის ნიშნად ჯვარი უნდა იჯდეს; „ქარ“ — ასო-ნიშნის წინ კი „ჰაე“ ვერსად დაჯდება, რადგან „ქარ“ — ასო-ნიშანი ქართულ ანბანში 34-ე გრაფემა უნდა იყოს, რომ მისი საკრალური რიცხვი იყოს 7 — მთვარის წმინდა რიცხვი.

რაც შეეხება „ქარ“ — შიშინა ასო-ნიშანს, იგი ვერ დაჯდება „შინ“-ისა და „ჩინ“-ის მომდევნო ასო-ნიშნად, რადგან „ცან“ — ცისკრის ვარსკვლავის იდეოგრამა-აქროფონი, ვითარცა ასული ცის ღმრთისა და დედოფალი ცისა, მთვარის ციური მოძრაობის უკანასკნელ შეიდეულს უნდა იწყებდეს.

„შინ“-ისა და „ჩინ“-ის გამო უნდა ითქვას, რომ ამ ორი ნიშნის ადგილას ვერ დასხდებოდნენ „ხან“-ი და „ქარ“-ი, უკვე ცნობილი მიზეზების გამო („ქარ“-ი 34-ე ასო-ნიშნად ანბანს უნდა ამთავრებდეს); „ცან“-ის მომდევნო „ძილ“-ი და „წილ“-ი, ვითარცა სისინა ბგერები კუთვნილ ადგილებზე სხედან.

რაც შეეხება „ღან“-სა და „ყარ“-ს, პირველ, მეორე ასო-ნიშნებად რომ სხედან, გამართლებულია როგორც პალეოგრაფიულად, აგრეთვე ფონეტიკურად. „ყარ“-ი მე-19 „კოფ“, „სემურ“ ანბანურ ჯგუფში გამოტოვებული ვრა-

ფემა, „ლან“-ი კი ქართული ანბანის „ბერძნულ“ ანბანურ ჯგუფს ამთავრებს და ერთდროულად ქართული ანბანის საკუთრივ ქართულ ანბანურ ჯგუფს იწყებს.

ამგვარად, ქართულ ანბანურ ჯგუფში ასო-ნიშნების თანამიმდევრობის ერთად-

ერთი შესაძლებელი მწკრივი გვაქვს: ლ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჰ, ხ, კ. ქართულში ლ-ან

1. არქაული ფინიკური „აინ“. 2. საშუალო ფინიკური „აინ“. 3. ქართული ასომთავრული „ლან“. 4. ქართული რიცხეთი მნიშვნელობა.

1	2	3	4	5	
○	⊂	∩	700		

ქართული ასომთავრული „ლან“ შექმნილია მე-16 ფინიკური „აინ“ ასო-ნიშნის გრაფიკის საფუძველზე. „ლან“ ასო-ნიშნის შესაქმნელად გამოყენებულია ფინიკური გრაფემის არა არქაული ფორმა (იხ. ტაბულის პირველი უჯრედი), არამედ ამ გრაფემის უფრო გვიანდელი ფორმა — თავგახსნილი ვარიანტი (იხ. ტაბულის მე-2 უჯრედი). „აინ“ ასო-ნიშნის თავგახსნილი ფორმა ფინიკურ დამწერლობაში ჩნდება, როგორც ჩანს, ძველი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნეში. უფრო ადრე, სემურ დამწერლობებში (ფინიკურში, ძველ-ებრაულში, მოაბურში, არამეულში) „აინ“ გრაფემა შეკრული წრეა. უკვე ითქვა, რომ კლასიკური ბერძნული „ომეგა“ თავგახსნილი ფინიკური „აინ“ გრაფემის ინვერსიული ფორმაა. ამიტომ ცხადია, ბერძნული „ომეგა“ ასო-ნიშნის კლასიკური ფორმა შეუძლებელია შექმნილიყო უწინარეს მე-5 საუკუნისა ძველი წელთაღრიცხვით. ბერძნული „ომეგა“ ასო-ნიშანი ყველაზე გვიან შემოღებული ასო-ნიშანია ბერძნული დამწერლობისა. სწორედ ამის გამო ბერძნულ ანბანში იგი უკანასკნელ ასო-ნიშნად ზის. უფრო ადრე, არქაულ ბერძნულში „ომეგა“ სხვაგვარად იწერებოდა. მისი გრაფიკული ფორმა იყო წრე და წრეში დასმული წერტილი.

შსგავსად კლასიკური ხანის ბერძნული „ომეგისა“, ქართული ასომთავრული „ლან“ მე-16 ფინიკური „აინ“ გრაფემის ინვერსიული ფორმაა. ე. ი. ქართულ

ასომთავრულში გათვალისწინებულია კლასიკური ბერძნული გრაფიკული მეთოდი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ V/IV საუკუნეთა მიჯნაზე ბერძნული „ომეგა“ არა წრიული, არამედ „თალოვანი“ გრაფემა იყო. ყველა ამის გამო, შეიძლება ითქვას, რომ ქართული „ლან“ გრაფემა იძლევა საკმაოდ კარგ ქრონოლოგიურ მაჩვენებელს. „ლან“ გრაფემა ცხადყოფს, რომ ქართული ასომთავრული დამწერლობა შეუძლებელია შემოღებულ იყოს უადრეს V საუკ. ძვ. წელთაღრიცხვით. ამავე დროს ქართული „ლან“ გრაფიკულად ძალიან ემსგავსება V/IV საუკუნეთა მიჯნის ბერძნულ „ომეგა“ ასო-ნიშანს. ეს გარემოება რამდენადმე ეხმარება ვარაუდს, რომ ქართული ასომთავრული დამწერლობა შექმნილია არა ძველი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნეში, არამედ გაცილებით ადრე — ძველი წელთაღრიცხვის V/IV საუკუნეთა მიჯნაზე.

უკვე ითქვა იმის შესახებ, თუ რატომ მიენიჭა 25-ე ასო-ნიშანს ქართულ ანბანში „ლ“ — უკანაენისმიერი მელერი სპირანტის მნიშვნელობა: ფინიკურ მე-16 „აინ“ ასო-ნიშანს ორი ფონემური მნიშვნელობა ჰქონდა, — (ხორხისმიერა მელერისა და „ლ“ — უკანაენისმიერი მელერი სპირანტისა. მე-16 ფინიკური ასო-ნიშანი ბერძნულ ანბანში ორგზის არის გამოყენებული „ო-მიკრონ“ და „ო-მეგა“ ასო-ნიშნებად. ქართულ ან-

ბანში მე-16 ფინიკიური ასო-ნიშანი აგრეთვე ორგზის არის გამოყენებული: მე-16 „ონ“ და 25-ე „ლან“ ასო-ნიშნებად. მე-16 ფინიკიური „აინ“ ასო-ნიშნის ფონეტიკური მნიშვნელობანი ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში განხორციელებულია უკეთ, ვიდრე ბერძნულ დამწერლობაში.

ქართული ასომთავრული „ლან“ ასო-ნიშნის გამო კვლავ უნდა გავიმეოროთ ზემოთ უკვე გამოთქმული თვალსაზრისი და ერთხელ კიდევ უნდა დავასკვნათ:

1. ქართული ასომთავრული ანბანის 25-ე და საკუთრივ ქართული ანბანური ჩგუფის პირველი გრაფემა — ასო-ნიშანი „ლან“-ი მე-16 ფინიკიური ასო-ნიშნის ინვერსიული ფორმაა და მე-16 ფინიკიური ასო-ნიშნის უკანაენისმიერი მკლერი სპირანტის ფონემური მნიშვნელობა აქვს. ამდენად, ერთგზის ასო — „ლან“-ი ფინიკიური გრაფემა და ფინიკიური ფონემაა.

2. ქართული ასომთავრული „ლან“-ი ქართული ასომთავრული ანბანის „ბერძნული“ ანბანური ჩგუფის უკანასკნელი გრაფემაა, „ბერძნული“ ანბანური ჩგუფის „ომეგა“ გრაფემის ადგილზე ზის და ბერძნული „ომეგა“ გრაფემის მოხაზულობისაა. ამდენად, მეორეგზის ასო „ლან“-ი ბერძნული გრაფემაა. („ომეგა“ 24-ე ასო-ნიშანია ბერძნულ ანბანში).

3. ქართული ასომთავრული „ლან“-ი ქართულ ანბანში რიგითი სათვალავით 25-ე გრაფემაა, ე. ი. ქართული ასომთავრული ანბანის საკუთრივ ქართული ანბანური ჩგუფის პირველი გრაფემა და პირველი ფონემაა.

გარდა ამისა, როგორც ქვემოთ გაიჩვენება, ქართული ასომთავრული „ლან“-ი ღვთის კარის იდეოგრამაა და ამდენად საკუთრივ ქართული იდეოგრამა-აკროფონია.

ამგვარად, ცხადია, რომ ასო „ლან“-

ში განხორციელებულია ძველი წარმართული სამების პრინციპული გრაფიკული კიდევ ამოსაცნობია მისი სახეობისა და საკრალური მნიშვნელობა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ქართული ანბანური ჩგუფის პირველ გრაფემას „ლ“ ფონემის მნიშვნელობა აქვს, ე. ი. მისი ფონემური მნიშვნელობა საკრალურია, რადგან აკროფონიულად ღმერთის სახელის აღმნიშვნელია.

წარმართულ საქართველოში მნათობლვთაებათა ტრიადის გარდა, როგორც ჩანს, არსებობდა კულტი დიდი ღმერთისა, ქვეყნის შემოქმედისა. აღმოსავლურ ქართულ წარმართულ პანთეონში უმაღლეს ღვთაებას მიემართება სახელი მორიგე ღმერთისა ანუ ცისა და ქვეყნის გამრიგისა.

ვ. ბარდაველიძე ამის შესახებ წერს: «Согласно религиозным пережиткам, всевышний Гмерти восседал на золотом троне, разверзал золотые уста, изрекал свою волю и властво. вал. Он был верховным законодателем и учредителем порядка на небесах и на земле. Поэтому ему и был присвоен эпитет Мориге. Под этим эпитетом Гмерти упоминается как в бытовых религиозных пережитках, так и в священно-служебных текстах. Кроме того, Гмерти был всевышним правосудцем, который по своему усмотрению распределял добро и зло на земле»\*.

დასავლურ-ქართულ წარმართულ პანთეონში უმაღლეს ღვთაებას მიემართება სახელი დიდი ღმერთისა, ქვეყნის შემოქმედისა და ცისა და ქვეყნის მბრძნებლისა.

ვ. ბარდაველიძე ამის შესახებ წერს:

\* В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования... თბილისი, 1937 г. გვ. 15.

«По народным верованиям и пережиточно сохранившимся в устной народной передаче духовным текстам сванов, Хоша гермет (ხოშა ღერმეთ-დიდი ღმერთი. რ. პ.) был владыкой неба (უფალ ღეცემ-უფალი ცისა რ. პ.), господом вселенной великим творцом мира (დამბადებელ ხოშა ღერმეთ. რ. პ.). Вознесенный на небо он... восседал на золотом троне и созерцал вселенную, но непосредственного участия в управлении земными делами не принимал. Для этого в распоряжении хოშა ღერმეთ находилось множество божеств, между которыми он «раз навсегда, неизменно и непрекословно» распределил обязанности и каждому разграничил род деятельности и сферу влияния».

აღმოსავლურ-ქართული მორიგე ღმერთი და დასავლურ-ქართული ხოშა ღერმეთ როგორც ჩანს, ერთი და იგივეა. მორიგე ღმერთი გამჩენი ღმერთია, ხოშა ღერმეთ დამბადებელი ღმერთია. უმაღლესი ღვთაების კულტი, როგორც ჩანს, ძველი ქართული წარმართული მსოფლმხედველობის ზოგად-ქართული მრწამსია.

ღმერთი მროველი ქართული წარმართული პანთეონის შესახებ ამბობს:

„პატეისცემდნენ (ქართველნი) მზესა და მთვარესა და ვარსკვლავთა ხუთთა, და მშახურებდნენ ღმერთსა უხილავსა, დამბადებელსა ყოვლისასა.“

ყოვლისა დამბადებლისა და უხილავი ღმერთის ადგილ-სამყოფელი, რა თქმა უნდა, ცაში იგულისხმებოდა. ქართულ წარმართულ ტექსტებში (ხუცობა, საღი-დებელთაჲ), ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ხშირად მოიხსენება ღმერთთან დაკავშირებით „ღვთის კარი“. „ღვთის კარი“ დამბადებელი ღმერთის ადგილ-სამყოფელია.

\* В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования. Тбилиси, 1957 г. 33. 171.

ვ. ბარდაველიძე წერს:

«По народным представлениям; в небесном царстве главы ~~вселенной~~ имелись врата, называемые «вратами Гмерти» — ღვთის კარი. «Врата Гмерти» часто упоминаются и в священнослужебных текстах... Гмерти, обитая в небесах, никогда не спускался на землю и не имел на земле... культовых центров. Поэтому его врата находились только на небе»\*.

ახლა ასომთავრულ „ღან“-ს რომ დავუბრუნდეთ, იდეოგრაფიულად ეს ასომთავრული თაღოვანი კარია, კარის იდეოგრაფიული ნიშანია. კარის იდეოგრამა ფინიკიურ ღედ-ანბანშიც გვაქვს. რადგან კარის იდეოგრამას ქართულ ანბანში „ლ“ ფონემის მნიშვნელობა აქვს, რატომ არ ვიფიქროთ, რომ ფინიკიური კარის იდეოგრამა ქართულ ანბანში საკრალიზებულია და ამდენად ასო „ღან“-ი ღვთის კარის აღმნიშვნელია და ღვთის კარის იდეოგრამა-აკროფონია.

გარდა ამისა, ცნობილია, რომ ასო „ღან“-ის იდენტური იდეოგრაფიული ნიშანი საკრალური ნიშანია დასავლურ-ქართულ, კერძოდ სვანურ ხალხურ ყოფასა და ხელოვნებაში.

ამის შესახებ ვ. ბარდაველიძე წერს: «Сванское народное творчество преисполнено изображениями подобными сакральным знакам гвала и животных гвала, однако, по своему значению ничего общего не имеющих с ними. Наиболее характерным мотивом сванского орнамента является дуга. (იგულისხმება ასო „ღან“-ის იდენტური იდეოგრაფიული ნიშანი. რ. პ.). Входная дверь, перегородка хлева, помещения для мелких животных, корта, марани, лари, кресла и множество других предметов домашнего обихода украшены узорами дуги. Нередко, орнамент поверхности целого ряда предметов состоит исклю-

\* В. В. Бардавелидзе, დასახელებული შრომა.

чительно из узоров дуги, или же они количественно значительно преобладают над другими орнаментальными мотивами. Подобными узорами снабжается даже траурная женская одежда, — края ее рукавов, блузки и подола юбки подрезаются дугообразно... Вообще большое изображение дуги и арочек сванскому народному искусству придает специфический характер\*.

რაკი ასო „ღან“ იდეოგრაფიულად მართლაც საკრალური ნიშანია, უნდა ვიფიქროთ, რომ გრაფიკულად იგი ღვთის კარის გამოხატულებაა და უზილავი ღმერთის სამყოფელია.

თუ ეს მართლაც ასეა, ქართულ ასომთავრულ ანბანში დასტურდება წარმართული ღმერთების ასტრალური პანთეონი: მნათობ-ღვთაებათა ტრიადა და „ყოვლისა და მბადებელი“ ღვთის უზილავი ხატი.

მისთვის, რომ შეძლებისამებრ ბოლომდე იქნეს ამოცნობილი ასო „ღან“-ის საკრალური რაობა და მნიშვნელობა, საჭიროა გაირკვეს ასო „ღან“-ის ადგილი ასომთავრულ ანბანში.

ასომთავრული ანბანის სტრუქტურის განხილვისას გაირკვა, რომ ქართულ ასომთავრულში ორი ანბანური ნაწილია: „უცხოური“ ანბანური ნაწილი და საკუთრივ ქართული ანბანური ნაწილი. „უცხოურ“ ანბანურ ნაწილს „ან“ — მთვარის იდეოგრაფია-აკროფონი იწყებს და ჭვარის ნიშანი (+ — „ქან“) ამთავრებს. საკუთრივ ქართულ ანბანურ ნაწილს კი „ღან“ — საკრალური ასო-ნიშანი იწყებს და კვლავ ჭვარის იდეოგრაფიული ნიშანი („ჯან“) ამთავრებს. ცხადია, ანბანის სტრუქტურული თვალსაზრისით, „უცხოური“ ანბანური ნაწილის მსგავსად, ქართულ ანბანურ ნაწილს საკრალური იდეოგრაფია-აკროფონი უნდა იწყებდეს. რაკი ერთი ანბანური ნაწილი იდეოგრაფია-აკროფონითა და იდეოგრა-

ფიქრული, მიტუმეტს მეორე ანბანური ნაწილი აკროფონი-იდეოგრაფია-აკროფონებით უნდა შედგეს. ქართული შეუძლებელია ასო „ღან“-ი არ ახორციელებდეს ქართული ასომთავრულის ანბანურ სტრუქტურას.

ქართული ასომთავრული ანბანის სტრუქტურის განხილვისას გამოირკვა, რომ ქართული ანბანი შეიდეულებად ნაწილდება. გარდა ამისა, ქართულ ანბანში შეიდეულების განსაკუთრებული სისტემა გვაქვს, კერძოდ, სამი, ოთხი და ხუთი შეიდეულებისა. სხვადასხვა ანბანურ ასპექტში, ქართულ ასომთავრულში შეიდეულებად დაჯგუფების ეს სისტემაა განხორციელებული. კერძოდ:

1. ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკაში გამოიყოფა ხაზოვან-რგოლური გრაფემების სამი შეიდეული. წრიულ-რგოლურ ერთ შეიდეულთან ერთად ჭკუფდება მრგვლოვან ასო-ნიშანთა ოთხი შეიდეული; ხოლო ქართული ანბანი მთლიანად მრგვლოვან და კუთხოვან ასო-ნიშანთა ხუთ შეიდეულს შეადგენს. ე. ი. ქართულ ასომთავრულ გრაფიკაში სამი, ოთხი და ხუთი შეიდეულის სისტემა დასტურდება.

2. ასო-ნიშნების სახელდების ასპექტის თვალსაზრისით, ქართულ ანბანში ჭკუფდება „ან“ — სილაბური ერთეულით სახელდებულ ასო-ნიშანთა სამი შეიდეული; ხოლო „ან“ და „ქარ“ — სილაბური ერთეულებით სახელდებულ ასო-ნიშანთა რაოდენობა ოთხ შეიდეულს ანუ მთვარის სრულ ციკლს შეადგენს. ასო-ნიშნების სახელდების მე-5 შეიდეული, როგორც ჩანს, ქართული ანბანის ასო-ნიშნების სახელდების სისტემას აერთიანებს და მთლიანად ხუთ შეიდეულს ჰქმნის. (დაწვრილებით ქვემოთ ვიტყვი) ე. ი. ასო-ნიშნების სახელდების პრინციპმა ქართულ ანბანში შეიდეულების (სამისა, ოთხისა და ხუთის) იგივე სისტემა დაადასტურა.

3. იმის გამო, რომ ქართულ ანბანს მთვარის იდეოგრაფია-აკროფონი იწყებს, ეს უკვე იმას მიგვანიშნებს, რომ

\* В. В. Бардавелидзе. დასახელებული შრომა.



ქართულ ანბანში მთვარის ციკლის შეიდეულების მწერი იუნდა გვქონდეს. ცხადია, შეიდეულების მწერი „ან“ ასონიშნით იწყება, ხოლო ქართული ანბანის „სემური“ ანბანური მწერი ფარგლებში სამი შეიდეულით მთავრდება (საგულისხმოა, რომ მთვარის ციკლის მესამე შეიდეულს, პირველი შეიდეულის მსგავსად, რკალური, ე. ი. საკრალური ასონიშანი იწყებს).

ქართული ანბანის უკანასკნელ შეიდეულს „ცან“ — ცისკრის ვარსკვლავის (მთვარის ღვთაების ასულისა და ცის ღედოფლის) იდეოგრამა-აკროფონი იწყებს, ხოლო ამ უკანასკნელ შეიდეულს „ქარ“-ისა და ჭვარის იდეოგრამა-აკროფონები ამთავრებენ. ამიტომაც ეს შეიდეული, უძველესი მთვარის შეიდეულთა ციკლს განეკუთვნება.

ამგვარად, ქართულ ანბანში გვაქვს მთვარის ციკლის სამი შეიდეული („ან“-ის სამი შეიდეული, შეიდეულთა სამება „სემური“ ანბანური ჭვუფის ფარგლებში) და „ქარ“ — მთვარის ემბლემის შეიდეული, რომელიც მთვარის სრული ციკლის ოთხ შეიდეულს ასრულებს.

ირკვევა, რომ ქართული ანბანის ერთი შეიდეული მთვარის სრული ციკლის ოთხ შეიდეულს არ განეკუთვნება. ეს შეიდეული, როგორც ქვემოთ გაირკვევა, მთვარის შეიდეულთა სისტემას აერთიანებს და მთლიანად ხუთ შეიდეულს ჰქმნის (დაწერილებით ქვემოთ ვიტყვი).

შეიდეული, რომელიც მთვარის ციკლის შეიდეულებს არ განეკუთვნება, ქართულ ანბანში მე-4 შეიდეულია. ამ მეოთხე შეიდეულში მე-4 ასონიშნად ქართული ასომთავრული „ღან“-ი ზის.

4. ქართული ასომთავრული ანბანის სტრუქტურის განხილვისას გაირკვა, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია — „სემური“, „ბერძნული“ და საკუთრივ ქართული ანბანური ჭვუფების ერთება, სამების ერთება.

ახლა საკითხავია, ჰქმნიან თუ არა

ქართული ანბანის ანბანური ჭვუფები შეიდეულების იმეფის შემოსახარისხი-ლულ სისტემას? შემთხვევითი თუ არა, რომ ქართული ანბანის „სემური“ ანბანური ჭვუფის 21 გრაფემა სამ შეიდეულს შეადგენს, მაგრამ გვაქვს თუ არა ანბანური ჭვუფების ოთხი და ხუთი შეიდეული?

შემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ერთიან „ბერძნულ-ქართულ“ ანბანურ მწერიში 14 ასონიშანია, ე. ი. „ბერძნულ“ და ქართულ ანბანურ ჭვუფებში ასონიშნების საერთო რაოდენობა ორ შეიდეულს შეადგენს, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საკუთრივ ქართული ანბანური ჭვუფის ასონიშნების რაოდენობა (11) არ შეადგენს ორ შეიდეულს, ხოლო „ბერძნული“ ჭვუფის ასონიშნების რაოდენობა (4) ერთი შეიდეულიც არ არის. ყოველივე ამის გამო, ქართული ანბანური ჭვუფი წმინდა სახით მხოლოდ ერთ შეიდეულს გამოჰყოფს. ეს შეიდეული ქართული ანბანის უკანასკნელი შეიდეულია: „ცან“ — ცისკრის ვარსკვლავის იდეოგრამა-აკროფონით იწყება და „ქარ“ და „ჯან“ — იდეოგრამა-აკროფონებით მთავრდება.

ამგვარად, ქართული ანბანის „სემური“ ანბანური ჭვუფის სამი შეიდეული ქართული ანბანის უკანასკნელ შეიდეულთან ერთიანდება და მთვარის ციკლის სრულ ოთხ შეიდეულს ჰქმნის. ამ შემთხვევაში ერთიანდება „სემური“ ჭვუფის სამი შეიდეული და საკუთრივ ქართული ჭვუფის შეიდეული.

რაც შეეხება „ბერძნულ“ ანბანურ ჭვუფს, იგი ერთ შეიდეულს არ ჰქმნის. ამის გამო ქართული ანბანის მეოთხე შეიდეული მთვარის სრული ციკლის ოთხ შეიდეულს არ განეკუთვნება. ეს შეიდეული, როგორც ქვემოთ გაირკვევა, მთვარის შეიდეულთა სისტემას

აერთიანებს და მთლიანად ანბანის ხუთ შვიდეულს ჰქმნის.

ქართული ანბანის მეოთხე შვიდეულში განსაკუთრებული ვითარება გვაქვს. ამ შვიდეულში „სემურ-ბერძნულ-ქართული“ ასო-ნიშნების ერთობლიობაა, ე. ი. ქართული ანბანის სამების პრინციპი ამ შვიდეულში თავის იდეურ გამოხატულობას ჰპოულობს: შვიდეულის პირველი სამი ქართული ასო-ნიშანი — ვ, ფ, ქ — „ბერძნული“ ანბანური ჯგუფის ასო-ნიშნებია, მათი ფონემური მნიშვნელობა „ბერძნულ“-ქართულია, ხოლო ასო-ნიშნების — გრაფიკა „სემურ“-ქართულია; იგივე შვიდეულის ბოლო სამი ასო-ნიშანი — ყ, შ, ჩ — საკუთრივ ქართული ანბანური ჯგუფის ასო-ნიშნებია, მათი ფონემური მნიშვნელობა „სემურ-ქართულია; ხოლო ასო-ნიშნების გრაფიკა აგრეთვე „სემურ“-ქართულია. რაც შეეხება შვიდეულის შუა, ცენტრალურ გრაფემას — ასო „ღან“-ს, როგორც უკვე ითქვა, იგი ერთდროულად ფინიკიური ასო-ნიშანიც არის, ბერძნული „ომეგა“ გრაფემაც და ქართული იდეოგრამა-აქროფონიც.

როგორც ჩანს, ქართული ანბანის მეოთხე შვიდეულში განზორციელებულია ძველი წარმართული სამების საიდუმლო, საკრალური პრინციპი. სამების ეს პრინციპი ასო „ღან“-სა და „ღან“-ის შვიდეულში დევს.

უნდა დავასკვნათ: სხვადასხვა ანბანურ ასპექტში, ქართულ ასოზმთავრულში ჯგუფდება ასო-ნიშნების სამი შვიდეული ანუ შვიდეულების სამება; ოთხი შვიდეული ანუ მთვარის სრული ციკლი, ხოლო მთლიანად ქართული ანბანი ასო-ნიშნების ხუთი შვიდეულით ერთიანდება.

შვიდეულთა სამებას პირობითად „ან“-ის შვიდეულები შეიძლება ვუწოდოთ; ოთხ შვიდეულს ანუ ზოვარის სრულ ციკლს „ან“-ისა და „ქარ“-ის შვიდეულები ჰქმნიან; ხუთ შვიდეულად კი ასოზმთავრული ანბანი „ღან“-ის შვიდეულით ერთიანდება.

როგორც ჰქვემოთ გაიჩვენება, ქართული ანბანის ხუთი შვიდეული შვიდეულთა სამებას ანუ შვიდეულების სამებას ჰქმნის; მართკუთხა სამკუთხედის სამ, ოთხ და ხუთ შვიდეულს. რიცხვები სამი, ოთხი და ხუთი პითაგორიანული მართკუთხა სამკუთხედისა და პითაგორიანული კვადრატული ჰარმონიის რიცხვებია.

ქართული ასოზმთავრული დაწერლობის ეს საიდუმლო „ღან“-ის შვიდეულსა და ქართულ ასოზმთავრულ „ღან“-ში დევს. მაგრამ ვიდრე ამ საკითხის შესახებ ვიტყვოდე თვით „ღან“-ის რაობა და მნიშვნელობა უნდა ამოვიცნოთ. რამდენადმე უკვე გარკვეულია ასო „ღან“-ის სამების საკრალური პრინციპი. ასო „ღან“-ი ქართული ანბანის მე-4 შვიდეულში ზის და „სემურ-ბერძნულ-ქართული“ ასო-ნიშნების სამების პრინციპს ახორციელებს; ასო „ღან“-ი ერთდროულად სემური, „ბერძნული“ და ქართული გრაფემაა და ამდენად მისი არსი სამებაა.

ჩემი ვარაუდით ასო „ღან“-ი, როგორც ქართული ანბანური ჯგუფის პირველი გრაფემა საკუთრივ ქართული ასო-ნიშანი და საკუთრივ ქართული იდეოგრამა-აქროფონი უნდა იყოს. თუ ასო „ღან“-ი იდეოგრაფიულად მართლაც „ღვთის კარია“, ასეთ შემთხვევაში ამ ასო-ნიშანში უხილავი ლმინით ზის. როგორ ამოვაცნოთ მისი რაობა?

ვფიქრობ, ქართულ ანბანში განზორციელებულია პითაგორიანული მოძღვრება რიცხვის შესახებ.

საერთოდ პითაგორიანული ფილოსოფიის საგანია სამყარო, როგორც ყოვლადი ერთება და ჰარმონიული მთლიანობა. ერთიანი, სრულიადი სამყარო ექვემდებარება ჰარმონიულ წეს-რიგს. ამ ჰარმონიული და სრულიადი ერთების საწყისი და საფუძველია პითაგორიანული რიცხვი. ბერძნული ფილოსოფიის ცნობილი სპეციალისტი

ს. ნ. ტრუბეცკოი პითაგორიანული მეტაფიზიკური რიცხვის გამო სწერს:

«Число есть душа и закон гармонии, ее тайна. Пифагор распространил это заключение на всю гармонию, разлитую во вселенной... между всеми силами природы, в их взаимодействии существуют числовые соотношения, на которых зиждется подвижное равновесие вселенной»\*.

\* С. Н. Трубецкой. Метафизика в древней Греции, т. III, М., 1910, гл. 176-177.

მეტაფიზიკური არსი კეთილფიქროსი ულა რიცხვისა, სპეციალურად კი ტურაში კარგად ცნობილია. მოკლედ ვიტყვი, თუ ასო-ნიშანი „ლან“-ი ღვთის კარის იდეოგრამა-აკროფონია და ადგილ-სამყოფელია უზილავი ღვთისა, მისი საიდუმლო და ღვთაებრივი რაობა პითაგორიანულმა რიცხვმა უნდა გაარკვეოს.

□ ზაზაქელმა იანმა □

## ას ერბასის ღვა

### გვალუცი ნოვაგი...

სწორედ ამ მიმართებით მიმდინარეობდა მამინ მემოთა გერმანიაში. ყველას თავისი გარკვეული უბანი ჰქონდა მიჩენილი. მე ისევ „კულტურბუნდის“ საორგანიზაციო კომიტეტთან ერთად მიხლებოდა გერმანული ინტელიგენციის ნაშთების შეკრებივება. ზმირად ვხვდებოდი ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებს. ზოგიერთი მათგანი იმდენად ვულგარული იყო, რომ სკვბტიკურად უყურებდა ყველაფერს, სხვები საკმაო ენთუზიაზმს იჩენდნენ. რამდენიმე თეატრი აღდგა, ზოგან ფილმებსაც უჩვენებდნენ, გამოვიდა ლიტერატურული ფერნალი, უმაღლესი სასწავლებლებშიც რაღაცას ჩაღიზობდნენ და საერთოდ ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევებში, ლოდებს შორის აქა-იქ ამოსულ მწვანე ყლორტებს ვუყურებდი. ერთი ასეთი „ყლორტთავანი“ რაინჰარტის სახელგანთქმული თეატრი იყო, რომლის სათავეში ცნობილი მსახიობი და რეჟისორი ვანგენაიმი იდგა. მეც ვიყავი ამ თეატრში. ვიღაც უნგრელი ავტორის ანტიფაშისტურ პიესას დგამდნენ. მონაწილეთა შორის მთავარი მსახიობი ქალი იყო, რომლის გვარი არ დამამსოვრდა, ჩინებულად თამაშობდა და მსურველების დიდი შოწინებაც დაიმსახურა. სპექტაკლის შემდეგ ვანგენაიმი და მხეციოებით მთხოვა ერთხელ კიდეც შენახა ის, რომ ამჟერად სპეციალურად ამ მსახიობი ქალის ხელების თამაშს დაეკვირებოდნენ. ეს ჩემთვის უჩვეული და რამდენადმე გაუგებაროი იყო. იმდენი დრო სად მქონდა, რომ ერთი სპექტაკლი ორჯერ შენახა. ეტუობა ვაკვირებდა შემამჩნია და მთხბრა:

— მსახიობის ხელების მემოთას განსაკუთრებულ ყურადღებას ვსევოლოდ შეიერბოლდი აქცეედა. ბატონი რაინჰარტი და მეც გრტაცებული ვიყავით შეიერბოლდის შემოქმედებით. მოგვხსენებთ, რომ ელეონორა დუზეს დიდი სახელი გაუთქვა მისმა მშვენიერმა ხელებმა. იგი ისე ოსტატურად თამაშებდა ხელებს სპექტაკლში, რომ საერთო აღტაცებას იწვევდა. ყველგან ელეონორა დუზეს თეთრ ხელებზე იყო ლამარაკი. მახსოვს ბატონი შეიერბოლდიც დიდი სიყვარულით მსყელობდა ამ თემაზე. ერთხელ მთხბრა კიდეც:

— ხელებს გამოსახვის დიდი ძალა აქვსო. ამა დააკეორდით, ლეონარდოს „საიდუმლო სერაობაში“ ყველას მაგიდაზე უწყვიო ხელები და ყველა მათგანი დიდი გამომსახველობით აქვს მხატვარს შესრულებული. ასეთი მეტყველი ხელების ძალა. ჩვენს თეატრშიც დიდ ყურადღებას ეაქცეით ამას და თუ შეორედ მობრძანდებით, დარწმუნდებით. კიდეც ამამო...

რაკი ასე დაბეჯითებით მთხოვა, მეორეჯერ მარკოვთან ერთად მივედი თეატრში და მართლაც დავრწმუნდი ვანგენაიმის ნათქვამის სისწორეში...

...მერე რამდენჯერმე კარლსბორტის ვაროეტშიც ვიყავი, სადაც ის ბაბუა ვოტტრილი „ოხით აკაცუნებდა სტრადევიარის მომღერალი ვიოლინოს სიმებზე“. ჩვენი მთარგმნელი გოგოები, ვინც ბერლინში დასტოვეს სამეშოლ, ამ ვარიეტეს ზმირი სტუმრები იყენენ. მათ გამაცუნეს ერთი ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელიც უცხოური აქცენტით, მარამ მაინც კარგად ლამარაკობდა რუსულად.

— ალა ჩეხოვა, — მთხბრა მან და, აღბოთ, იმისათვის, რომ უფრო გაერკვეულიყავი, დამემატა:

— ოლდა ჩეხოვას ქალიშვილი...



მე ზოგი რამ ვიციდი იმ ოღდა ჩეხოვას შე-  
სახებ, თუმცა ძალიან ბუნდოვანად, გერმანულ  
ეტიკეტად რამდენჯერმე შემიხდა მისი სურათი.  
ახლად მასსოუს შუა ხნის ძალზე ლამაზი  
მალალი ქალი, მავი კაბით და თეთრი ძვირ-  
ფასი ბუწვის მოსახსნაობით. მე ძალიან მაინტე-  
რესებდა რას აკეთებდა იგი გერმანიაში ნაცი-  
სტური რეჟიმის დროს, მაგრამ უბერხელად  
მეჩვენა ადსათვის რამე შეყოხა ამის თაობა-  
ზე. ის კი ვიციდი, რომ დედამისის სახელი  
შვიდროდ იყო დაკავშირებული პიტლერთან.  
ამბობდნენ, რომ... თუმცა რა ჩემი საქმეა რას  
პრობობდნენ ამის თაობაზე. ფაქტი ის არის,  
რომ ოღდა ჩეხოვა ხშირად ახლდა პიტლერს  
ოფიციალურ მიღებებსა თუ თეატრებში. ეს  
რაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რომ პიტლე-  
რის ბიოგრაფიები წერენ, საკვირველია, ევა-  
ბრაუნი რატომ არ ეკვიანობდა...

ვინ იცის, იქნებ კიდევ ეკვიანობდა, მაგრამ  
ასეთ რამეს იგი მხოლოდ თავის დღიურებს  
ანდობდა...

... — ხვალ ჩემი გამოსვლა ვარიეტეტში, —  
გვითხრა ადამ, რაც იმას ნიშნავდა, რომ გეთხო-  
ვა გვეწახა მისი ნომრები. ეს „ნომრები“ მარ-  
თლად ჩვეულებრივი ნომრები აღმოჩნდა. ამ  
სიტუციის პირდაპირი მნიშვნელობით. იგი „ქალი-  
ნიშვლი ნომერი“ თამაშობდა. იმ ვარიეტეტში, მგო-  
ნა საერთოდ გერმანულ ვარიეტეტებში, ასე  
იყო მიღებული: მსუფრებლები წინასწარ იძენ-  
დნენ საკონცერტო პროგრამას, სადაც როგორ-  
ცობით იყო აღნიშნული რა იქნებოდა შესრუ-  
ლებული და ვის მიერ. კონცერტანსი არ ჰყავ-  
დათ. მის მავიერობას ეს „ქალინიშვლი ნომერი“  
სწევდა. ეს ასე ხდებოდა: იხსენება ფარდა, ორ-  
კესტრი უჩრავს მარშა, გამოდის შესანიშ-  
ნავი ვარეგნობის სრულად ახალგაზრდა  
და თითქმის მთლიანად შეშველი ქალიშვილი.  
რომელსაც დიდი დაკვირვების შემდეგ შენიშ-  
ნავთ, რომ რაღაც აკვია, ხელში უჩრავს მუც-  
ოსსაგან ლამაზად გამოპირილი უხარმარაო ნო-  
მერი 1... 2... 5... 7... ან სხვა, როგორცობით  
და ამ მარშზე ტანის გრაციული რბევით, მომ-  
ხიბლავი დიმილითა და რვეერანსებით ვაიცილის  
სცენაზე. როგორც ცოცხალი მანქანი კაბის  
ახალი მოდის ჩვენების დროს, ამის შემდეგ  
მსუფრებელი პროგრამას მიხედვით ეცნობა  
მორიგ ნომერს. ისე კი, როგორც ჩანს, „ქალი-  
ნიშვლი ნომერი“ თვითონა ვარიეტეტს პროგრამის  
ერთ-ერთი მთავარი მონაწილე. ვინც დიდ-  
ძალ მსუფრებლებს იზიდავს.

როცა ადამ გამოვიდა სცენაზე, დარბაზში ისე-  
ლი შექხარა ოვაკობი ატყდა, რომ იგი იძუ-  
ლებული გახდა რამდენჯერმე გაეშეორებინა  
თავისი „გაულა ნომრით“. ამის შემდეგაც ყო-  
ველი გამოსვლის დროს ადამ უფრო მეტ ადტა-  
ციებას და ტანს იმსახურებდა ვიდრე ის ნომერი,  
რომელსაც იგი ამცნობდა მსუფრებლებს...

... იმ ვარიეტეტს უამრავი ხალხი ეტანებოდა.  
უწინ ამბობდნენ „პერი და კარგი ვარიეტეტის“  
ზნის დროს დოქტორმა ლუიჯი კარინი სტუქსა-  
რდლობა“ ვადმოისროლა ახალი ლოზუნგი.  
ახლა ბერლინელებს არც პერი ჰქონდათ, არც  
სამუშაო და იქნებ ამიტომაც ეტანებოდნენ სა-  
ნახაობას...

**შენი საუბარი**

ჩემი ამგავში „ვერტებრტრეგერელი“ მოლა-  
წეობა მოულოდნელად შეწყდა. ბერლინში გერ-  
მანული ენის მკოდნე ოფიცერების „ტოტალური  
მობილიზაცია“ გამოცხადდა. ჩვენს ზონაში მი-  
წის რეჟიმმა ტარდებოდა და ყველანი „ამ  
ფრონტზე გადაგვიროლეს“. მე ჩემს სუვენიერ-  
ებში ახლაც ვინახავ მანდატს, რომელიც მაშინ  
მომიცეს:

— მოწმობა. ამის წარმომადგენი მაიორი (ესა-  
და ეს) არის გერმანიაში საბჭოთა საშხედრო  
ადმინისტრაციის მთავარსარდლის პოლიტიკ-  
ური მრჩეველის ახარტის მასუხისმგებელი თა-  
ნამშრომელი და ასრულებს პოლიტიკური მრჩე-  
ვლისა და გერმანიაში საბჭოთა საშხედრო ადმი-  
ნისტრაციის პოლიტიკური ვანყოფილების და-  
ვალებას.

ოკუპაციის საბჭოთა ზონის საშხედრო ადმი-  
ნისტრაციის ყველა წარმომადგენელსა და კომ-  
უნდანტს ევალება ყოველგვარი დახმარება აღ-  
მოუჩინოს მაიორ (ამას და ამას) მასზე დაკის-  
რებულ მოვალეობის შესრულებაში.

მანდატს ხელს აწერს გერმანიაში საბჭოთა  
საშხედრო ადმინისტრაციის შტაბის უფროსი  
ვერერალ-ლეიტენანტი ბოკოვი.

ასეთი მოწმობა, როგორც იტყვიან, ქეის გა-  
ხეობავდა, მაგრამ ყოველივე ეს ჩემთვის მაინც  
სრულად მოულოდნელი და უცნობი სფერო  
იყო მოლაწეობისა. თუმცა საშხედროში ყველა-  
ფერს ადვილად ვსწავა ადამიანი. განაწილების  
დროს მე ბრანდერბერგის პროვინცია შემიხვდა.  
„პროვინცია“ რომ ვამბობ, იქნებ სწორად არ  
გვიგოთ. ეს უხარმარაო ტერიტორიაა. მოგე-  
სენებათ, რომ გერმანიის მთელი ტერიტორია  
მაშინ და უფრო ადრეც პროვინციებად იყო  
დაყოფილი. ბრანდერბერგის პროვინცია უწინ  
ბერლინსაე იერთებდა. მაგრამ მე-19 საუკუნის  
დასაწყისში ბერლინი ცალკე გამოვიყო. მე შორს  
წასვლა არ მიხდებოდა. რადგან ეს პროვინცია  
ძალიან ახლდა ბერლინთან. გამგზავების წინ  
მიხბრეს ქ. ვერდერის კომუნდანტი ქვეყანას  
აქციეს. მთარგმნელი სხვა ქალაქში ვაბოხოვდა  
და ვინმე გამომიგზავნეთო. მე მიხბოვს რომე-  
ლიმე მთავარი ჩამეყვანა იქ. რაკი ვიციდი, რომ  
ბერლინიდან წასვლა არცერთს ან უნდოდა,  
ეუთხარაი თვითონ შეარჩიეთ-მეთქი. მეორე  
დღლით ვერდერში „გასახობავდა“ გალინა მოი-  
ყვანეს, რომ შეეხედე სახე ჩამოსტიროდა, გტ-  
ყობოდა ნაპტირალები იყო, მაგრამ დაკისრე-

ბელი მოვალეობის შესრულების საქმეებზე  
 კარგად ესმოდა და ცხადია, წასვლაზეც „სიამო-  
 ნებით დათანხმდა“. სხვა დარჩენილია გოგო-  
 ებმა გამოაცილეს „საყოფადი ვალიანა“. შევხი-  
 რდი რომ მისამართს ჩამოვეტანიდი. თვითონ ვა-  
 ლინია კი დავამშვიდე. ვერღერი „თითქმის ბერ-  
 ლინია“-მეთქი. ის „უბედური“ მხოლოდ მაშინ  
 ვახალისდა, როცა გზად მიმვალმა პოდვამი  
 დაეთვალიერებოდა და სანსისის სასახლეც ვნახეთ.  
 ყველაფერი მოეწონა, განსაკუთრებით ტბები  
 პოდვამის პარკში. მერე ვერღერში ჩავედი-  
 მორიგევე მიიხიზა, კომუნდანტი თათბირს ატარ-  
 ებსო და რატომღაც ეშმაკურად ჩაიციოდა, რომ  
 ვყოფოდა რა გეცინებოდა-მეთქი, ეს მივახსენა:

— შედით ერთი და ნახავთ რა დღეშია ჩვენი  
 პოდპოდოვნიკი. ერთი ღერი გერმანული არ  
 იცის და გერმანელებს კი თათბირს უტარებს!

შევედი. დარბაზში ოციოდე გერმანული ბერ-  
 გომისტრები იყდა. ყველა სოლიდური, მაგრამ  
 რაღაც გაოგნებული სახეებით, დაბნეულები. შე-  
 წუხებულნიც. პოდპოდოვნიკი უარეს დღეში  
 იყო. შეტბლზე ხეივანი გაღასლიოდა. იყდა მკი-  
 ლის თაში და რაღაცას ვეიროვდა. „შესვლისთა-  
 ნავე გაჩერდნენ. მე შეკრებილთ გერმანულად  
 მივესალა. მერე კომუნდანტს ჩემი რწმუნების  
 შესახებ მოვახსენე და ის „ყოვლისშემძლე“  
 მანდატიც დავედე წინ. არაფერზე უფრადლება  
 არ მიუტყვიოდა, ჭირის ოფლი მოიწმინდა და ისე  
 ხამამლა იყვირა თითქოს მდინარის ვაღმა  
 ვმღვარაყავი და არა მის წინ;

— ამ შობელაძელების ენა თუ იცით, ან  
 მთარგმნელი თუ ჩამოიყვანეთ ვინმე?

გავახარე. ამითი ენაც ვიცი და მთარგმნელიც  
 ავერ მინჭანათი ზის-მეთქი, ცას ვწია სიხარუ-  
 ლით. სულ დააიწყდა ყველაფერი, გადამეხვია,  
 დამოცნა, გადამარჩინე კაციო...

... ბურგომისტრებთან „თათბირი“ იმაზე  
 ჰქონდა მოწყვეტილი, რომ აეხსნა მიწის რეფორ-  
 მის შესახებ მიღებული კანონის თანახმად  
 იუნერებს, ვისაც ას ჰექტარზე მეტი ფართობი  
 ჰქონდათ, მიწები მთლიანად ჩამოერთვათ, ზო-  
 ლო ვისაც 100 ჰექტარზე ნაკლები — მხოლოდ  
 ნაწილობრივ. ეს მიწები მცირეკმეწიან და სუ-  
 ლაც უმწიფო გლეხობას ურავებოდა. ადგილო-  
 ბრი ზელისუფლებას უნდა უზრუნველყო მთ-  
 საელის დროულად აღება, და სხვა.

ყოველივე ეს იცოდა კომუნდანტმა, მაგრამ  
 გერმანელებისათვის როგორ უნდა გაეგებინე-  
 ბინა!

ავერ ორი საათია ველაპარაკები ამ... და მაინც  
 ასე ლენჩებოვით სხედან და მომჩერებთან ვითომ  
 ვერაფერი ვაჯიგებო.

— თქვენ რუსულად ელაპარაკებით, იმით  
 გერმანული მეტი არაფერი იციან, როგორღა  
 გაუგებთ ერთმანეთს?

— არა, გერმანულადაც ვეუბნები: ზენდერტ

გა, დალო! კანტა! ალეს კანტა! ნიბტ/ზენ-  
 დერტ გა, იავოლ, ვუტ. რა არის კანტა ვეპერი.  
 მაგრამ ამ ილიტებს ვითომ კანტა ვეპერი მოსე-  
 ვლის აღებაზეც ასე ვეუბნები, გერმანულად,  
 ცხადია: ზენდერტ პროცენტ ვუტ, ონენ ვუტ...  
 ვომ კაც ვუტ — წამოიძახა მან და ცერო თითი  
 გაჭიმა, ეს ზომ ვასაგებია, არა? — ცხადია ვასა-  
 გებია, დაასვენა თვითონ. ანდა ვეუბნები, თუ  
 ამას არ ვაყვებობ, აქ მან მუშტი მოვლერა  
 „მითათბირეებს“ — მაშინ ნიბტ ვუტ, და ფრიც  
 ვოლვა დალო, კანტა! თან კისერზე ვამო-  
 ისეა ხელი და იციან: ესეც ვასაგებია, არა!  
 ცხადია ვასაგებია! — დადასტურა მან და იმ  
 ფრიცებს უყვირა:

— პანიშია!

შეშინებული „ფრიცები“ შეიშმუნენ და  
 ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ მაინც ვერ მიხ-  
 ედნენ ამ მუშტის მოვლებით ან კისერზე ხე-  
 ლის გამოსმით რისი თქმა უნდოდა ბატონ კო-  
 მუნდანტს. მერე ვილაკამ ვაბედა:

— ნე პანიშია!

— ნე პანიშია და შენი... ვაულებსა კომუნდა-  
 ტმა. მისი ფიქრით იგი „უხსნიდა“, რომ მოსა-  
 ელის აღების გეგმა ასო პროცენტით უნდა შე-  
 ესრულებინათ და ასე ევგონ ამისათვის საყმარი-  
 სი იყო „ზენდერტ პროცენტი“ ეთქვა და მუშ-  
 ტი მოეჭნა, ამასთანავე ისეთი საოცარი გამო-  
 მუტყველება ჰქონდა, რომ უფრო ხაზს უსვა-  
 მდა სიტუაციის კომპერობას...

... თათბირი როგორც იქნა ჩავატარეთ. ბერ-  
 გომისტრებს აეუხსენა რა, როგორ უნდა გაეყე-  
 თებინათ, ისინი დასტურის ნიშნად ყველაფერზე  
 თავს მიქნეუდნენ. ეს კომუნდანტს მოეწონა და  
 თათბირი „შეაჯამა“:

— ახლა პანიშია!

— პანიშია, პანიშია, — ერთხმად იღვირეს  
 მათ, კომუნდანტიც ვახალისდა და რომ „იმ  
 ძალღმევილებს“ შერავებოდა, ადგა, მათთან  
 მივიდა, ზოგს მხარზე შეგობრულად მოტყუა-  
 პუნა ხელი და ისევე თავისებურად „ჩაუტერმა-  
 ნდა“:

— სიჩას კამარად, ვუტ კამარად!...

მერე სრულად მოულოდნელად ენა რაც შე-  
 ეწლო წინ გამოადგო, ზელი მოყლია, აქუა-  
 იჭით ვასწი-გამოსწია და ვითომ, რა ცუდია  
 გერმანული რომ არ ვიციო, თქვა:

— მოი იაზიკ ნიბტ ვუტ, მე ვაგისი... სავსემ  
 ნიბტ ვუტ!...

გერმანელები თითქოს მიუხედნენ რაც უნდა  
 ეთქვა და ახლა იმათ „წაუხადაფიშის“ გერმა-  
 ნულ-რესულად:

— ნაინ, ნაინ, ზურ ვუტ, ონენ ვუტ, ონენ  
 კორომ... და სიამოვნებისაგან სახე ვაბაღ-  
 რათ...

**საინფორმაციო მადლობა...**

დარბაზიდან გამოვედი თუ არა, კომუნდანტი  
 ისევე მივიდა;

— სად არის მთარგმნელი?

ქვეყნი ჩავიყვანე. გალინა ისევ მანქანაში იქაა. ჩვენ რომ დავეყინა, ვამოვივინა და უხერხულად გაიღიმა. ამდენხანს გაბადრულ კომენდანტს სახე უცებ მოეღრუბლა. გალინას ცალკვად გაუღიმა და ხელი ჩამოართვა. მერე გვერდზე გამოიყვანა და ბრაზისაგან გავედღღღმა მომმართა:

— რა არის, კაცო, ეს?

მე ვერ მივხვდი, რა არ მოეწონა მას, და გაცოცხლებლა ვუთხარი:

— რა უნდა იყოს, ვერ უყურებ, მთარგმნელია, მშვენიერად იცის გერმანული ენა.

— მერე, მე აქ სამუშაო მაქვს თუ გასათხოვართა ვაქვტო?

— გათხოვება რა შენაშია, — გავეცვირე მე.

— შე, კაცო გათხოვდება ამა რა იქნება, ასეთ წამაზ ქალს მე ვინ დამიტოვებს კომენდანტურაში?!

გალინას სილამაზისა რა მივახსენოთ, მაგრამ ბევრს გემოვნებისა კი იყო — „კოლოსალური დელიკანა“. ეტყობოდა ის კომენდანტოვ ბეგისებურად უყურებდა სილამაზის საკითხს და ამიტომაც ეშინოდა, ესეც მალე გათხოვდება და მე ისევე „უენოდ“ დავრჩები. ძლივს დავაწყნარე. ისედაც უხერხული სიტუაცია შეიქმნა. გალინა იღვრა მარტო და გაცივრებულ გვიყურებდა, რომ მივედიო, ისევე გაველიმა, მაგრამ ეტყობოდა ნაწყენი იყო. ამასობაში კომენდანტოვ მიხვდა თავის უტაქტობას და ვითომ უცებ გამოასწორა ყველაფერი:

— ა, ბატონო, მთელი ქალაქი თქვენს განკარგულებაშია. — უთხრა მან გაცოცხლებლ გალინას, — გინდათ ცალკე სახლს მოგვცეთ, გინდათ ბინას, რაც გინდათ, სულ ხელისგულზე გატარებთ, ოღონდ ამ...

აქ უცებ მოიყენიბა ენა. მიხვდა, რომ ქალიშვილთან სხვაგვარი სიტუაციების შერჩევა იყო საუბროს.

— მე კი ყველაფერს გავაკეთებ, მაგრამ ერთი პირობა: გათხოვება არ იყოს! — თქვა მან.

გალინას გაეცინა.

— მე სულაც არ ვაპირებ გათხოვებას!

— მე ვიცო თქვენი, — დაუწია ხმას კომენდანტმა — ჩემი ნორაც ასე ამბობდა, მაგრამ, ერთიც ვნახოთ, პოცდამიდან ვილაცა კაპიტანმა უხშირა სიარულს. საღამოობით სულ აქ ტრიბუნაზედა. მერე, ვითომ არაფერი, მეღუმენა...

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, გათხოვთ მაპატიოთ, თქვენი მთარგმნელი შევირთე და პოცდამაში მიმიყვას, რა უნდა მექნა, ხომ არ ჩაუშლიდი საქმეს, გავატანე და დავრჩი უენოდ.

— ასეთი რამეები არ იყოს, აი, — გავხუმრე იგი გალინას, — ადგილობრივი თუ იქნა ვინმე, სამაჟოვებით, თუნდაც მე თვითონ დავწერო ჟურნალს, მაგრამ სხვა ქალაქიდან მოსული არ ვნახო, თორემ... და ისევე შეიკავა თავი... ეტყობო-

და ახლაც რაღაც „მამა-პაპერთ“ უნდა ეშვეს, მაგრამ დროზე შეცვალა გეზი და წყნარად დაუმატა:

სერქენული

— რას იზამ, ჩემო კარგო! უნდა შევხებოხარია...

თანამეშვეს დაუმატა, განკარგულებები მისცა და გალინა გაატანა. წასვლამდე გინახულებთ-მეთქი დავამშვიდე და გავუთხარი.

— წასვლამდე კი არა, ერთი-ორი საათის შემდეგ შევხვდებით, ერთად ვისადილებთ, — გაასწორა კომენდანტმა...

...მერე ქალაქის დასათვალისწინებლად წამოვიყვანა ეთხოვე, ფეხით ვავიაროთ-მეთქი, ერთი საათი თუ მეტი ვიხეტიალეთ ქალაქში. აქ ომი ნაკლებად იგრძობოდა, მხოლოდ აქა-იქ ჩანდა ჩამონგრეული სახლები. მღაზიები ვასწილიო იყო და ქუჩაში აუარებელი ხალხი ირეოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ერთ გრძელ მოსუბე გავედით. ორივე მხარეს მდიდრული ვილები იყო ჩამწკრივებული. ეს პრუსიელი იუნკრების ყოფილი ბუნავებიაო, — ამიხსნა კომენდანტმა.

— თითქმის ყველა გაქცეულია და ეს სახლები ისეა მიტოვებული, — განაგრძო მან — აი, ეგერ რომ ვილას ხედავთ, ვილაც მდიდარ მემამულეს ეკუთვნოდა თორმე. აცო მისი გზაკვალა ჩანს, მეც ავიღე და ერთ სიმპათიურ ბებერს მივეცი. ცნობილი მწერალიაო, ამბობენ, და ქალაქში დიდი პატივისცემით ეპყრობიან. მეც რა მენახვლებოდა, მამაჩემის ქონებაა თუ რამ ის სიცოცხლე პიტლერის დროს სულ სარდაფში იმალებოდა თორმე. აქედანაც ჩანს, კარგი კაცი რომ უნდა იყოს. ახლა დიდი მადლობელია ჩემი, მაგრამ რა გინდა, მავის ენა მე არ ვიცო და იმან ჩემი. ქუჩა სად იყო, თორემ მესწავლა თავის დროზე ამ ძალიშვილების ენა. სკოლაში სწორად ვერმანულის მასწავლებელი გყავდა, შემდეგ ინსტიტუტშიც, მაგრამ ვინ ოხერმა მოკიდა ხელი, რომ მცოდნოდა, ასეთ დღეში ჩავეპარდებოდი, ვისწავლიდი კი არა, სულ თავს დავაკლავდი...

დავინტერესდი, ვინ მწერალი უნდა ყოფილიყო ასეთი და კომენდანტს ვკითხე:

— რა გვარია, თუ იცით ის მწერალი?

— ეშმაკმა იცის მავათი თეი და ტანა, მავათ ვარებებს დამიხსოვრებ თე? რაღაც გრძელი სახელი და გვარი აქვს ვიცი, მაგრამ რა, არ მახსოვს.

თუ შეიძლება შევიდეთ მასთან?

— სიამოვნებით, რატომ არ შეიძლება, გავხარდებო კიდევ იმათ ენაზე მოლაპარაკე ოფიცერს რომ შეხვდებო. მეც უკეთ ვავიკებ იმის ავან-ავანს.

ალეუათის კარები შევალეთ და მშვენიერად მოვიღო ეზოში შევედიო. არაიერ ჩანდა.

— კამარად! — დაიძმა კომენდანტმა. მერე კიბე აირბინა და ზარი დატყვა. არავითარ

პასუხი. იქვე ეზოს კუბურში შევანე მოღზე ჰის მარჯვლი მავიდა და რამდენიმე სკამი იდგა. ჰისლაქში ხეტიალით დაღლილებში ეივაიით და ჩამოვქექით. შესანიშნავი ვილა იყო. ბარლეს შევაში მარმარილოთი მოპირკეთებულ თუხიკ ჰქონდათ გაეთებული, მაგრამ შედრე-ვანი არ მუშაობდა. წინ კვიპაროსის ხეები იყო ჩამწყრივებული. უკან კი ხეხილის ბაღი გაეშვებინათ. გამიყვარდა, ძველებური ჰკაც რომ ენახე. ეს ალბათ „ეგზოტიკისათვის“ უნდოდათ სახლის შებატონებებს. წამოსვლას დაიბრძნოთ, რომ ეზოში ვილაც მოხეცო შე-მოფრატუნდა. თავაქინდრული მოდიოდა და ისე მოვეციხლოვდა, რომ ვერც შეგვიშინა. სარტლის დროს რატომღაც სულ საკეთარ ფეხებს დასკურდა, თითქოს ამოწმებდა ნაბიჯებს წინაფედ ვადგამ თუ არაო.

შეგეხდა და... ელდა ეცა: შეეშინდა ორ საბჭოთა ოფიცერს რომ წააწყდა, მაშინვე შე-ბრუნდა და ასევე უიშროსაკენ გაემართა.

— ემარად! ემარად! — დაუბახა კომენდანტი, მაგრამ იმან უფრო მოუჩქარა ნაბიჯს. კომენდანტი უნდოდა როგორმე გაეჩერებინა ის და რაღაც ეკითხა წამოხტა კიდევ და გავეი-და, მაგრამ მოხეცი ახლა სულ სასაცილოდ მიიჩიქრებდა. აღაყუთის ვარებს რომ მიადწია, კომენდანტი თავისი გერმანული სიტყვებით უკანასკნელ მარაგი ამოყარა და მშვეპარე ხნით მიამახა:

— ემარად, აინ მომენტ! ხენდე ხოზ... ბიტტი... მაგრამ მაინც რომ ვერაფერი გააწყო, რუსულად უუვირა:

— სად ეშვებებში მიეთარევი, შენი... მე სიცილი შემსკდა. ეს „ამხანაგო“, „ხელე-ბი სეითი“ და „გოზოეთი“ რა ლოგოით ეხა-მეოდა ერთმანეთს. ან ეს რუსულად წარ-მოთქმული დესერტი რა იყო, მართლაც ეშმა-კი ეერ გაიგებდა, მაგრამ კომენდანტის „ლო-ჯიკამ“ მაინც გაჭრა. მოხეცი გაჭერდა შე-მობრუნდა და შეშინებული თვალებით მიამ-ტერდა მას. პოღოლოკონიკმა ხელი მოკიდა და ჩემენ წამოიყვანა, რომ მომიახლოვდნენ იმ საცილავს ხელეზე უნაკალებდა.

გამოველაპარაკე, მაგდელსთან მივიწვიე, დაბრძანდით-მეთქი ეთხოვე და ოდნავ დამშვი-დებული მოხეცი სკამზე დავსეი.

— ჰკოთხე ერთი, ვინ ოხერია! — მოღბა კომენდანტი და შეღბზე ოფლი მოიწმინდა.

— მე მწერალი ბერნარდ კელერმანის მკით-ხველი და მეგობარი ვახლავართ, ბატონო, — მიპასუხა მან, კომენდანტისათვის საინტერესო კითხვა რომ მივეცი.

ამით გავიგე, რომ აქ გამოჩენილი გერმანე-ლი მწერალი ბერნარდ კელერმანი ცხოვრობ-და. კელერმანი საქართველოშიც კარგად იყო ცნობილი. მისი რომანი „გვირაობი“ წართლად ითარგმნა და დიდი პოპულარობითაც სარგებ-

ლობდა. მე ისიც ვიცოდი, რომ პიტლერის დირტატორის პერიოდში იგი გერმანიაში იყო დარჩენილი, მაგრამ მის საქმიანობაზე არაე-თარა ცნობა არ მქონდა. თქვა კელერმანის, რომ ნაცისტურ რეჟიმს არ თანაუგრძობდა, თორემ მის სახელს პიტლერელები ფარხე-ასწევდნენ.

მოხეცი ძლივს დაეამშვიდე, ეგონა რამეს ვაბრალებდით და შეშინებული ლულუ-ლებდა:

— ბატონო, მე ცუდი არაფერი ჩამიდგია. ჩემს მეგობარ კელერმანთან მოვედი, მიწლო-და ეს გადამეცა, მეტი არაფერი.

ვინ რას აბრალებდა ან ვის რაში სჭირდუ-ბოდა ეს მოხეცი, მაგრამ ისე იყო შეშინებუ-ლი კომენდანტის „ხენდე ხოზ-ით“, რომ მერე ვერც „ამარადმა“ უშველა და ვერც ჩემმა-ახსნა-განმარტებამ. პორტფელი გახსნა და ჰა-ლალში სათუთად გახვეული ორასიოდე ვრა-მი შავი პური დაღო მავიდაზე:

— აი, ამის გადაცემა მიწლოდა, ბატონო, მე-ტი არაფერი. მოგხსენებთ, ახლა პროდუქ-ტების გაჭირვებაა და გვიწდა მოვეთარო ჩვენს სახელოვან მწერალს...

— კი, ბატონო. — ვუბუნები — თქვენი ნუ-ბაა, რაც გინდათ ის გადაეციოთ. ჩვენც ელე-ვრმანს ურედიოთ. გვიწდა ენახოთ.

როგორც იქნა დამშვიდდა. მერე ენაც კა-ეხსნა და გვიამბო:

— 12 წელიწადია ეინახათ მას, ბატონო, ხან სად ემალავდით, ხან სად. ახლა კი ავერ თქვენი წყალობით სასახლეში ცხოვრობს...

ეს რომ თქვა, რატომღაც ნერწყვი გადაუ-ლაბა და ისე განაგრძო:

ეხ, ბატონო, ასეთ სასახლეს ეინ ექებს, ნეტეე უბრალო თავშესაფარი შექონდეს სადმე.

— განა თქვენ ბინა არა გაქეთ?

— არა, ბატონო, ჩვენი სახლი დინგრა სა-პაერო თავდასხმის დროს, მეზობლებთან ვარ შეფარებული.

მისი ნათქვამი კომენდანტი გადაეეცი. გა-ეკინა:

— ამ საიქიოს დამკედარს ცალი ფეხი სა-მარეში უღვას და კიდევ ამ ქვეყნად ექებს ბინას? კარგი, უთხარა რომ მივეცემ, მოკიდეს ნემთან და მოვეუბერებე რამეს.

ეს რომ იმ „საიქიოს დამკედარ“ მოხეცს გადაეეცი, კინაღამ გაგეყდა სიხარულით. ისე იყო აღზუნებული, რომ კომენდანტის ხელში წვდა და უნდა ეკონა, იმან უკან დაიხია:

— არა ჩემო ძმო, ეს ჩვენში მიღებული არ არის. — უთხრა მან რუსულად და მაშინვე „გერმანულზე“ გადავიდა.

— მე როცა ვიძახი, შენ ბეგაი, ბეგაი, ეს ნიხტ ვერტ. მაგრამ ბინა მაინც იაეოლ, — გაიგე?



— იმ უბედურმა, რა თქმა უნდა, ვერაფერი გაიგო, მაგრამ მაინც უთხრა:

— იაჟოლ, ჰერ კომენდანტი, პანიშია, პანიშია, და თანაც გუბერნევილად გთვლიან...

**აქოხვის ნიშანი...**

ილაყავის კარები ისევ გაიღო და ეზომი ახლა მალაღი, გამხდარი, სრულიად ქალაქის მოხუცი და შედარებით ახალგაზრდა ქალი შემოვიდა.

— აი, ისიც, — წამოიძახა კომენდანტი. წამოდგებით და მივეგებეთ. კელერმანაყ მაშინვე იცნო „მისი მწუვალბელი“ კომენდანტი და მხიარულად მიესალმნენ ერთმანეთს. მერე მეც გავეცანი. კელერმანის მუდღელემ შინ შეგვიპატოვა, მაგრამ ჩვენ ეზოში დაჩრუნა ვარჩიეთ და საუბარი გავაბით.

უკვე ბინდებოდა, კელერმანი ძალიან მოტეხილი ჩანდა. შეგობრები რომ არ დამხმარებოდნენ, ამდენხანსაც ვერ გავძლებდიო თქვა და სიყვარულით გადახედა მის მოხუც შეგობარს. გრძელი ოვალური სახე სულ ნაკლებით ჰქონდა დეფარული. მხრებშიც კითხვის ნიშანით იყო მოხრილი, მაგრამ საოცრად ახალგაზრდული თვალები ჰქონდა. მისი მუდღელე უფრო ყოჩაღად გამოიყურებოდა.

მე ჩემი ძირითადი სამუშაო გავიხსენე და „ელტერბუნდის“ შესახებ ჩამოვეგდე ლაპარაკი. ძალიან დაინტერესდა და მაშინვე გამოისრა სტრეილი, რითაც შეუძლო მონაწილეობა მივიღო ამ „გამამხრეველ საქმიანობაში.“

მერე ცოტა ხანი ლიტერატურაზე ვისაუბრეთ. 12 წლის განმავლობაში მთელი ჩემი ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი მიწაში მქონდა ჩამარტყლილი. თქვა.

— ტოლსტოისა და დოსტოევსკის ნაწარმოებები ასე გადავიჩინე განადგურებას, — განაგრძო მან — სხვაც ბევრი მაქვს რუსი ავტორების წიგნები გერმანულ ენაზე, ყველაფერი გადავმალე, სინესტემა, მარათალია, ცოტათი დაახიანა. მაგრამ არა უშვას რა, წამობრძანდით ჩემს ბიბლიოთეკას ვაჩვენებთ.

ეს ისეთი თბოვით გვითხრა, რომ არ ვაწყენინეთ და შევეყიით. მთელი პირველი სართული მართლაც წიგნების თაროებით იყო სავსე. მე, სხვათა შორის, ვუთხარი რომ ქართული ვარ და მისი „გვირაბი“ ჩემი ქვეყნის ენაც თარგმნილი.

— მართლა? — იკითხა მან — თუ ასეა, აუცილებლად ჩემს კატალოგებშიც იქნება აღნიშნული.

ეს რომ თქვა, წიგნის თაროებს შორის გაძვრა და საღვალე მიიმალა, მერე უცებ გამოვიყო თავი და იკითხა:

— რამდენა თარგმნილი, ხომ?

— დიახ, რამდენი. — მივეუბნე მე.

კატალოგი გადაქეცა და მართლაც ნახა რამის „გვირაბი“ თარგმნილი ქართულად.

— აი ხომ ხედავთ? მე სრულიად კატალოგი მაქვს შედგენილი ჩემი წიგნებისა, სულ რამდენიმე ითარგმნა და არ დიდს გამოიკა.

მერე საქართველოც მოვიგონა. იგი ერთხელ ვაეღოთ იყო საქართველოში, როცა ირანის აზერბაიჯანში მიდიოდა ახალი რომანის დასაწერად, ბერლინში ერთ ქართველ მწერალს ვხვდებოდით ზოგჯერ, და მოვიგონა, რომ ის მწერალი მისმა მეგობარმა და ქართველი ენის მეოღნე პროფესორმა შეველაინმა ვაეღოთ...

... ერთხანს კიდევ ვისაუბრეთ და წამოვეღოთ. მე ის 200 გრამი შავი პური გამახსენდა და კომენდანტს ვთხოვე, ეიღებ ბერლინში გადავიყვანდეთ, პროდუქტებით დაეხმარებოდეთი ამ მოხუცს. ყველაფერი რიგზე იქნებოდა შეშობიდა. მართლაც სიტყვის პატრონი აღმოჩნდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ბერლინში „ელტერბუნდის“ შენობაში, უკვე ამ საზოგადოების ვიცეპრეზიდენტი, კელერმანს რომ შევხვდი, გაიცინა და მოთხრა:

— რაც თქვენ იყავით ვერტებში, იმის შემდეგ ჩემი სახლი პროდუქტების საწყობად გადაიქცა. იმდენ რამეს მიგზავნიდნენ.

ქალაქ ვერტერსა და, საერთოდ, ბრანდერბერგის პროვინციაში, ერთი კვირა ვიღუშავე. ამასობაში ვაღიანაც შევეგუა ახალ სიტუაციას. ერთ საღამოს „ქვიპა ჩაიზე“ მიგვიწვივა შინ, მე და კომენდანტი. კელერმანიც გაიცნო და საერთოდ კმაყოფილი ჩანდა.

მერე რომ არ დამეიწყუდეს, აქვე ვიტყვიო, რომ ერთი თვის შემდეგ, როგორც გავიგე ვაღიანა თურმე იმ კომენდანტს ვაყუა ცოლად და ამით „უენოდ დარჩენის“ ყოველგვარი საშიშროება მოისპო...

მე კი ერთი კვირის შემდეგ ისევ ბერლინში დავბრუნდი...

... საღამოს ვოქოხეთის იმ ბიბლიოთეკაში აეღდი, მარკოვი და ბერლინში დარჩენილი მთარგმნელი გოგონაც იქ იყვნენ. მარკოვი ძველებურად იღრინებოდა, ღუნა რატომღაც სულ ნიყმის ჩაიარებოდა, ვენადი ისევ ისე ქერდულად აპარებდა მისკენ თვალებს. თუითონ წიგნების კითხვა ეზარებოდა, ამბობდა ეს თქვენი ასტროლოგი საზრდო“ კისერში ამომიღიღიდა, და სხვებსაც ხელს უშლიდა.

მე, ვითომ სხვათა შორის, ვკითხე მას:

— რას შერებთ, ვენადი, ისევ ნაღრობ?

— ჰო, სულ მწვეარივით მივსდევ, მაგრამ მაინც ვერ მივეწვი. — მიპასუხა მან.

ნაშუალამეფა რომ ვაღიარა მარკოვიც გამოაცხადა, წაეღეთ ვენადი.

— ჰო წაეღეთ, — დეთანხმა მაშინვე სათვალუბარი სუზანა და წამოღდა. სხვებაც წა-

მოიშალენ. ლენას წიგნისთვის თვალი არ მო-  
უწოვრებია, ისე თქვა...

— მე ვერ მოვიციდი, სინტერესო რამეა,  
მინდა ბოლომდე ჩავიკითხო...

მარკომა დარღები გადმოჭია:

— მარტო თარღები? — ისე ვაოცებით იყო-  
ხა მან. თითქოს მე იქ სულაც არ ვყოფილი-  
ყავი.

— ჰო, რა მიჭირს! — ჩილაბარაყა ლენამ.

— წამსვლელები კარბამდე მივაცილე. და-  
ვემშვიდობე და უკან გამოვბრუნდი, მაგრამ  
მარკოვი ისეე მობრუნდა და ეშმაკური ლი-  
მილით მიხურჩნულა:

— შენგან გამოვონია, მწერისაგან დაღლილი  
კურღლევი მერბარმა დაიჭირაო, ასეა არა?

— კურღლელს დავერისა რა მოგახსენო და  
ანდაზა კი მართლაც ასეა. — ვუპასუხე მე...

**ეშმაკის ხელი...**

არც ამის შემდეგ მელირსა „ძირითად სამუ-  
შაოზე“ დაბრუნება. ერთი კვირაც არ იყო გა-  
სული, რომ ისევ სობოლევმა მიხმო თავისთან  
და გამოიძვხადა, პოლკოვნიკ Ne-თან და მის  
მთარგმნელთან ერთად. ოცი დღით კასელში  
მოკონსტანტო წასვლა სპეციალური დავალები-  
თით. ამ მივლინების მიზანიც მისივე ნაამბობა-  
დან ვაიგე: ნიურნბერგის პროცესის მზადე-  
ბასთან დაკავშირებით, საკითრ იყო ნადავლი  
დოკუმენტების დამუშავების წესების დადგენა.  
ოთხ სახელმწიფოს წარმომადგენლებს წინას-  
წარ თათბირი გაემართათ, თუ როგორ უნდა  
მოშდარყო ეს ამერიკის, ინგლისისა და  
საფრანგეთის დელეგაციებს განუცხადებიათ  
რომ ყველა დოკუმენტს აგროვებენ კასელში  
შექმნილ სპეციალურ ცენტრში და წინადადე-  
ბას იტყოდნენ საბჭოთა კავშირშიც შეერთე-  
ბოდა მათ, როგორც ჩანს, ჩვენებმა წინასწარ  
შეიტყვეს, რომ მოკავშირეებს კასელში თავი-  
ანთი დოკუმენტების მხოლოდ ნაწილი მოკ-  
ტონდათ. დანახენს კი, განსაკუთრებით საგა-  
რეო საქმეთა სამინისტროსი და უმაღლესი  
მთავარსარდლობის დოკუმენტებს, სხვაგან  
ინახედნენ, ეს ართულებდა საკითხის გადაწყ-  
ვეტას. თუ ჩვენი მოკავშირეები ასე მოიქცე-  
ოდნენ, ცხადია, საბჭოთა მხარე უარს იტყოდა  
კასელის „ცენტრთან“ შეერთებაზე. ამის  
გამოსარკვევად და მდგომარეობის ადგილობ-  
რივ შესასწავლად, ჩვენი მხარემ მოითხოვა  
საბჭოთა წარმომადგენლების დამუშავა კასელ-  
ში. მასზე პირიქითელი თანხმობა მიიღეს და  
შეუდგნენ კოლექციონირებას შეტრევა.  
შესაძლებელია იმიტომ, რომ საქმე უმთავრე-  
სად გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს  
დოკუმენტებს ეხებოდა, ხოლო მე ბერლინიში  
ჩვენი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარია-  
ტის სისტემში ვმუშაობდი, ეს დავალება  
მეც მივღე...

... ამერიკელები რატომღაც აუტონებდნენ  
ჩვენს გაგზავნას. სამკერ გავედოთ ტემპელ-  
პოფის აეროდრომზე და სპეციალურ ტრენდ-  
ბრუნდით. სულ იმას ამბობდნენ, ცუდი დაზი-  
და კასელი თვითმფრინავებს არ იღებოს. ეს რა-  
ღაც ფანდი იყო, თორემ ვტყობოდა დარბ  
სრულიადაც არ იყო ამის მიზეზი. მეოთხე  
დღეს საბჭოთა მხარემ პროტესტი განაცხადა  
თუ ჩვენი წარმომადგენლები დაუყოვნებლივ  
არ იქნებიან გაგზავნილი, თვითონ გავუშვებთ  
თვითმფრინავს ან მანქანებით გაგზავნილო.  
მართლაც მანქანებით წასვლა გადაწყდა. ამე-  
რიკელების მხრივ გამოკლები იყვნენ პოლ-  
კოვნიკი ნიურტონი და პოლკოვნიკი დამერი.  
ვთქვით, პოლკოვნიკი ნიურტონი გასაგები იყო  
მაგრამ ამ დამერის ფუნქციებში მაშინვე ეტ-  
უობოდა, რომ ანაგური ამერიკელი არ იყო.  
ჩინებულად ლაბარაკობდა რუსულად, თან  
სულ რაღაცას ეშმაკობდა. ტემპელპოფის აე-  
როდრომიდან რომ მესამეკერ დაებრუნდით,  
მან გვიოხრა:

— უკან გაბრუნება ცუდი ნიშანია. თუ გინ-  
დათ ამ თვითმფრინავით ლონდონში ჩავიდეთ  
ღამე იქ გაათენოთ და დილით ჩაფრინდეთ  
კასელში.

ჩვენ, რა თქმა უნდა, უარი ვთქვი. თუ კა-  
სელის აეროდრომი არ იღებდა თვითმფრინავს,  
გამა სულერთი არ იყო ბერლინიდან ჩაფრინ-  
დებოდათ თუ ლონდონიდან!.

... პოლკოვნიკი დამერი ჩემთან იქდა მანქა-  
ნაში, სხვები პოლკოვნიკ ნიურტონთან. გზადა-  
გზა ბევრი ვისაუბრეთ. მე ცნობისმოყვარეობამ  
შემიპყრო და არ მოვეშვი:

— თქვენი მშობლიური ენა რუსული უნდა  
იყოს, ისე კარგად ლაბარაკობთ. უცხოელი ისე  
ვერასოდეს ვერ ისწავლის სხვის ენას.

— რატომ, არც თქვენ ხართ რუსი, მაგრამ  
კარგად ლაბარაკობთ?

— მე რუსეთში მიცხოვრია, იმიტომ.

— თქვენ რა გგონიათ, მეც მიცხოვრია.

— სად? რომელ ქალაქში?

— ოდესსაში.

შემდეგ ისე დაწვრილებით და გატაცებით  
ყვებოდა ოდესსაში თუჯაობის ამბებს, რომ  
ცხლად ჩანდა, ამ ქალაქში იყო გაზრდილი.  
მე, ვითომ არაფერი, ისე ვკითხე:

— კასელში რა საქმეზე მომხმანებებით?

ჭროლა თვალებით დამამტერდა, მერე გა-  
მიკინა და მოხრა:

— მე თქვენი მზღებელი ვარ!

— მე მგონი ჩემთვის ზედმეტი ჰატეოია,  
მზღებლად პოლკოვნიკი მუყადეს.

— რატომ? რაკი რუსული ვიცი, გემსახტრე-  
ბით, მე ამავე კაცი არ ვარ. ვარდა ამისა  
თქვენგანაც ხომ პოლკოვნიკი მოიღ!

ვაჩკობინე ამ საკითხში არ ჩაეღრმავებულ-  
ყავი და საუბარი სხვა თემზე გადაიტანე...

... ახლა შეგონდება, რომ იდრეც მქონია  
მსგავსი შემთხვევა. ბერლინში საბჭოთა ზონა-  
ში სამოგზაუროდ ინგლისის ლორდთა პალა-  
ტის დელეგაცია ჩამოვიდა. მე ერთხანს ამ  
დელეგაციასთან მომიხდა მოგზაურობა, ჩვენ-  
თან ერთად ვილაც ოფიცერი მოდიოდა, რო-  
მელსაც შოტლანდიური უნიფორმა ეცვა. მე  
მაშინვე ვიციანი, რომ ეს კაცი საკონტრაქტო  
საბჭოში ვნახე, მაგრამ არა შოტლანდიურ  
აბამულ ინგლისურ ფორმაში. დრეზდენში  
რომ ჩავდილი, საღღაც ქალაქგარეთ ერთ  
უზარმაზარ ვილაში მოგვათავეს... საღამოთი  
ვიქცეთ სალონში და ესაუბრობდით. ერთმა  
ინგლისელმა ლორდმა, რომელსაც ავიაციის  
გენერლის ფორმა ეცვა, რატომღაც თავის  
ქვეყნის ლიტერატურაზე ჩამოავლო ლაპარაკი.  
ის ოფიცერი მაშინვე ჩაება საუბარში და ამ  
საკითხების კარგი ცოდნა გამოამჟღავნა.

შერე მე მოულოდნელად შოტლანდიურ  
ლიტერატურაზე დავუსვი რამდენიმე კითხვა  
დააბნა. ვერაფერი მიასახა.

— საკვირველია, — უფთხარი მაშინვე —  
შოტლანდიელმა ოფიცერმა ინგლისის ლიტერ-  
ატურა ასე კარვად იცოთ, თქვენზე ქვეყნი-  
სა კი არა!

მიხვდნენ, რატომ იყო ეს ნათქვამი. სტუმ-  
რებს სიცილი აუტუდათ. ვილცამ იხუმრ-  
კოდა.

— მეგობრობ, სკოლს ეს შოტლანდიური კა-  
ბა გაიხადოთ და ისევ ინგლისური მუნდირი  
ჩაიციეთ...

იმ დღეს შემდეგ „შოტლანდიელ ოფიცერს“  
არც შეხვდებოდა. ეს ინგლისურ ფორმაში  
გამოწყობილი ოდესელი კი გვერდით მეჯღა-  
და კიბულად ამტკიცებდა, ამერიკელი ვარა.

... პოლკოვნიკი ნიუტონი უფრო სიმპათი-  
ური კაცი ჩანდა. მას უკვე სიბერეში ჰქონდა  
ფეხი შედგმული და ეტუობოდა მაწანათი ხან-  
გრძლივი მოგზაურობა სწყინდა. ამიტომ გზა-  
დაზნა აჩერებდა თავის „ხორხს,“ რომ შეეს-  
ვენებინა. პირველი შესვენების დროს გზის  
პირას ჩამოვეჭვით.

— გავიარეთ „ემშაის ყელი“, დასწევდეს  
ღმერთმა, — სთქვა მან.

„ემშაის ყელს“ იმ ვიწრო დერეფანს უწო-  
დებოდა, ბერლინს რომ აერთებს დასავლეთის  
ზონასთან. ეს ფაქტობრივად ერთი შოსეა, რომ-  
ლის ორივე მხარეს საბჭოთა ზონაა. თვითონ  
შოსე კი „ინტერნაციონალურია“.

— რას არ მოიგონებენ ეს პოლიტოკოსები  
— სთქვა უკმაყოფილოდ ნიუტონმა — ამისთანა  
რამეს პირველად ვხედავ: გზის ორივე მხარე  
ერთი სახელმწიფოსი იყოს, გზა კი მეორესი.

რამე რომ დავერდეთ ახლა და ორივე ნა-  
ბიჯით შოსედან მარჯვნივ ან მარცხენა ვად-  
უხვიოთ ბუჩქებში, სახელმწიფო საზღვრების  
დარღვევად ჩაგეთვლება! ეს საჭეწაა! — ჩი-  
ციანი მან და ფოტოაპარატს გაიხსენა. გზა-  
დაზნა სულ სტრათებს გვიღებდა. კასელში  
დავბუქდავ და მოგვემთო. გვიარდებოდა.

დიდი ცნობისმოყვარე ვინმე იყო. სულ იმა-  
ზე ოცნებობდა, საბჭოთა კავშირში როდის  
მოვხვდები, რომ სტალინგრადად ვინახული  
თვითონ სულ „პოლიტოკოსების“ ლანძღვაში  
იყო. რაღაცაზე განაწყენებული ჩანდა. რაც  
არ უნდა პატროსნად იმსახურო ქარში, ბოლოს  
შინც პოლიტოკოსები ჩაერევიან შენს საქმეში  
და ყველაფერს გააფუჭებენო.

„ემშაის ყელი“ რომ გავიარეთ და ამერი-  
კულ ზონაში შევედი, ჩვენდამი ინტერესი  
ერთმაშად გაიზარდა, რადგან აქ პირველად  
ხედავდნენ საბჭოთა ოფიცრებს. მისვლების  
დროს ყოველგვარი მორიდების გარეშე მოდი-  
ოდნენ და ხელით გვესინჯავდნენ მუნდირს  
ეპოლეტებს, ორდენებს. თან ათან რამეს გვე-  
კითხებოდნენ. ჩვენც ან ეტუახუბებით ან  
თავს ვარიდებდით, უჭლებოდით მაწანაში და  
მივდიოდით. ასე გავიარეთ პოცდამი, ვერდერი,  
მაგდებურგი, გეტინგენი და კასელი შევე-  
დიით. უფრო სწორედ, კასელს გარეუბანში.

აქ საღღაც გადაუხვით და ერთხანს ტყე-ტყე  
ვიარეთ. შერე აამ ტყეში არაჩვეულებრივად  
დაბალი სახლები გამოჩნდა, 2-3 მეტრი სიმაღ-  
ლისა, შენობის დანაჩრები ნაწილი სულ მიწის  
ქვეშ იყო. ამიტომაც უწოდებდნენ მიწისქვეშა  
ქალაქს. სახურავებზეც მიწა ჰქონდათ დაყრი-  
ლი და მცენარეები დათესილი. რაც არ უნდა  
ეცადა მტრის ავიაციის პეროდან აქ ტყის  
გარდა ვერაფერს შენიშნავდა. მიწის ქვეშ კი  
უზარმაზარი კორპუსები იყო მოწყობილი.  
ჩვენ ერთ-ერთს ასეთ სახლთან შევჩერდით.  
წინ ამერიკელი ოფიცრები შემოგვეგზნენ.  
ნიუტონსა და დამერს მეგობრულად მოესალ-  
მნენ, ეტყობოდათ ისინი აქ შინაურები იყ-  
ვნენ. შერე ერთ პატარა კოტეჯში შეგვიყვან-  
ნეს და ცალ-ცალკე ბინებში მოგვამყვებს. და-  
შერმა გამოგვიცხადა:

— ერთი საათი წესრიგში მოყვანა, მომხალე-  
ბა და პროგრამა დაიწყება!

ასეც მოიქცეით. სამგზავრო ტანისამოსი  
გამოვიცვალეთ და დანიშნულ დროს ვესტი-  
ბიულში შევიკრიბეთ. მალე დაშერცი მოვიდა  
და საღღაც წაგვიყვანა. უკვე შებინდებულ  
იყო, შორიდან რომ მიყრუებული ტყე ნაღდა,  
ახლა დაეაკვირდი და ვნახე რომ ზეებქვეშ  
ხალხი ჰიანჯველბოვით ირეოდა. იყვნენ რო-  
გორც სამხედრონი, რე სამოქალაქონი — ქალე-  
ბი, კაცები; ამერიკელები, ინგლისელები,  
ფრანგები, გერმანელები, უმრავლესობა ქალე-  
ბი...



— აქ ფრთხილად უნდა იყოთ, თორემ ღამე მარტო გავლა საშიშია, — გაგვანთხილა დამერმა.

— რატომ, საშიში რა არის? — ვკითხე მე.

— შერე ნახავთ! — მითხრა მან და ეშმაკურად ჩაიცივნა.

პირველი შეხვედრა...

ფიქვანარში ვერ მარჯვნივ შეუხვებით, მერე მარცხნივ და ერთ სანახევროდ მიწაში ჩამარბულ სახლს მივადევნებთ. აქაც ამერიკელი ოფიცრები შეგვხვდნენ და სახლში შეგვიყვანეს, მერე უცებ საყვოლ დიდ და მდიდრულად მოწყობილ დარბაზში აღმოჩნდით, სადაც უკვე ოციოდენ ოფიცერი იყო თავმოყრილი, ასევე მდიდრულად გამოხილი მავლის გარშემო. ჩვენ პირველად მივლი, მზარბუქიანი ქალბარა გენერალი გაგვანგეს.

— გენერალი ტიმბერლეიკი, გარნიზონის უფროსი და ჩვენი შუფი, — თქვა დამერმა, მერე ინგლისელ გენერალთან წარგვადგინეს, ბოლოს კი პატარა სათვალეზიან ფრანგთან, რონელიც ძველებურ კანტორის მუშაკს უფრო გავლა ვიდრე გენერალს. დანარჩენ ოფიცრებსაც გავეცანით და მამინეე ჩავებით მეგობრულ საუბარში...

... მთელ ამ შეკრებილობის გენერალი ტიმბერლეიკი მეთაურობდა. მხიარული კაცი ჩანდა და ყოველ უმნიშვნელო ხუმრობაზე ისე არხროხლებოდა, რომ შემდეგ გაიჭრება უქირადა. თავი სრულიად თავისუფლად ეჭირა და არავითარ „სეთიყვეტო შეზღუდულობას“ არ გრამობდა სტუმრების წინაშე. ინგლისელი გენერალი უფრო თავშეკავებულად იქცეოდა. გინგეს ხუმრობას იგი მხოლოდ ოდნავ შესამჩნევი ლაშქრობით უპასუხებდა და ცდილობდა ეუბნებინა გამომეტყველების მიუხედავად ყველასთან თავაზიანი ყოფილიყო. ფრანგი ერთ ავგილას ვერ ისვენებდა, ხან აქ იყო, ხან იქ. წამდარეწმ სათვალეს იხსნიდა და ისევ იყო-ობდა, ბევრს ლამაზაყოფდა და იცინოდა.

— ჩვენი შეკრება მიძღვნილია რუს მოკავშირეებისადმი, — გამოაცხადა ტიმბერლეიკმა და მავიდასთან მოგვიწვია.

— დღეს მოკავშირენი პირველად ვართ სრული შემადგენლობით, — განაგრძობ მან უკვე მავილაზე: რუბეზი, ამერიკელები, ინგლისელები... მერე რატომღაც ჩაახველა, ჩაიცივნა და დაუმატა, — ფრანგებიც, რა თქმა უნდა...

— რა თქმა უნდა, კი არა, ფრანგებიც, — შეუწწორა სათვალისაში გენერალმა.

— დიხ, წარმოიდგინეთ, რომ მე მხედველობაში მამეს ფრანგებიც, — ისევ იხუმრა ტიმბერლეიკმა, — თუკი ამის ისტორიაც მიიღებს მხედველობაში.

— უსათუოდ მიიღებს! — არ ცხრებოდა ფრანგი.

— ღმერთმა ქნას, — დეველანდო უკვეტიკელმა, — პირველად მე ამის საწინააღმდეგო არაფერი მამეს, თუნდაც ამის ხათრით, — თქვა მან და ზღაში ფრანგული ღვინის ბოთლი შეათამაშა.

— დაასხით, ბატონებო! ვის რა გესიამოვნებათ. მსოფლიოში არსებული ყველაზე საუკეთესო ღვინოები მოამიყვება ამ მავიდაზე. რაც აქ არ არის, საქმარისია ისურვით და ისიც დაუყოვნებლივ განძდება. ეს არის დღეს ჩემი სამხედრო ძალა და მინდა თქვენც დარწმუნდეთ ამასში. აბა, ისურვეთ ვის რა ღვინო გნებათ.

ამას უმოთაყვსად ჩვენს საყურადღებოდ ამბობდა. ამიტომ ვუთხარი:

— აქ ისეთი დიდი არჩევანია, რომ დავიბენით. ყოველ შემთხვევაში, რაც არის, ჩვენთვის ისიც საქმარისია.

მავიდაზე, მართლაც, სულ სხვადასხვა მარკის ღვინოება ეწყო: თეთრი და წითელი, ფრანგული ბორდო, შედოკი, სე-ემილიონი წმინდა ბერგენდიული, ალიგატე და მერსო, გერმანული როსლინგი, იტალიური კიანტი და ასე. სხვა რაღა გვინდოდა, მავრამ გენერალი ტიმბერლეიკი მაინც ჩავვაყოფა:

— ისურვეთ და გამომცადეთ, თუ უმალვე არ გავანინო!

რომ ისურვო, უნდა იცოდე რა, მე კი წინანდალს ან ზეანჯარას ზომ არ მოვითხოვდი, ამიტომ ვერ მავიდა შევათვლიაგრე, მერე უცებ უნგრული ღვინო გამახსენდა და ვთქვა:

— მე მურის ტოკაი!

ტიმბერლეიკმა მავიდას თვალი გადაავლო, მავრამ ტოკაი ვერ ნახა და სიცილი დაიწყო: — ასეც ვიცოდი, რუხებს უყვართ მოწინააღმდეგის სუსტი მზარის აღმოჩენა. ეს მათა ტაქტიკაა. თუმიც იარაღს მინეც არ დავერი. კაპიტანი დევიდსონი, ტოკაი თუ წუთში!

აბალგაზრდა ოფიცერი აღდა და სწრაფად გავიდა...

... ფაუსტური ლევენდის მბეჭდვით მეფისტოფელი ზომ ისე სწრაფი იყო, როგორც „აზრი აღამიანის“, ამიტომ რასაც ფუსტიც ისურვებდა, იმავე წამს ხორციელდებოდა. ეს კაპიტანი დევიდსონი კი რას იზამდა, საინტერესო იყო.

მე ტოკაი ისე ვთქვი, თორემ განა არ ეცოდა ამ ღვინოებთან რომ ვერ მოვიდოდა.

ტიმბერლეიკმა ვერ კონიაკი დაგვასახშვეინა და გამოაცხადა:

— ეს ნაპოლეონის დროის კონიაკია!

ჩვენ ყველაფერ ამას ხუმრობად ვიღებდით. მავრამ თანდათან დავრწმუნდით, რომ ასე არ იყო. გენერალმა გვითხრა:

— არცაბრუნებ მე ხელ გავუმჯობესებ ჩემს სა-  
იღმრობას, თუ ამალამ ჩემმა ინგლისელმა  
ან ფრანგმა კოლეგებმა არ გამცეს...

პირადად მე სრულიად ვერ ვერკვეოდი  
ხასმელანების ხანდაზმულობის საერთაშორისო, ასე  
რომ ტომბერლეიკს შევძლო თავისი კონიაკი  
ნაბოლგონის კი არა, თუნდაც, ალექსანდრე მა-  
კდონელის დროსათვის მიეწერა. ეს ჩემთვის  
სუღერითი იყო.

მერე ტომბერლეიკმა ხელში ისევ ფრანგუ-  
ლი ღვინის ბოთლი შეათამაშა და გამოაცხადა:

— პირველად მაინც ბორდო დავლიოთ. ეს  
ჩვენი გამარჯვების სადღეგრძელო იყო. მარ-  
თალია, ფრანგებს არცთუ ისე დიდი წილი მი-  
უძღვით ამ გამარჯვებაში, მაგრამ რაკი ღვინი  
კარგი აქვთ, ხათრი ვაძევიოთ და ისინიც ვა-  
დღეგრძელოთ!

მე მივკვირება, როგორ მოუტირებლად დას-  
ციროდა ტომბერლეიკი თავის ინგლისელ და  
ფრანგ კოლეგებს. ვფიქრობდი, წუთი არ  
სწყინთ-მეთქი, მაგრამ როგორც ჩანდა, ისინი  
მირვეული იყვნენ მის ხასიათს, ალბათ ამიტომ  
იყო, რომ ფრანგმა გენერალმა ტომბერლეიკის  
ამ მწარე სიტყვებს სიკეთით უპასუხა:

— ყოველ შემთხვევაში, ფრანგებს ამერიკე-  
ლებივით არასოდეს ტერისტული ომები არ  
უწარმოებიათ!

არც ეციე ამ „ტერისტული ომი“ რას გუ-  
ლისხმობდა, ალბათ იმას, რომ ამერიკელები  
ყოველთვის სხვის ტერიტორიაზე ომობენ.

ინგლისელი გენერალი უსმენდა მათ კინლა-  
ობას და დიწყად ეღიმიებოდა.

ამ დროს დედისონმა დარბაზში სავი ბოთ-  
ლი ტოკაი შემოიტანა. ტომბერლეიკი ისეთი  
ზეიმით შეხვდა ამას, თითქოს დიდი ბრძოლა  
მოგვოს.

— აი, ზომ ხედავთ. — რომბობებდა იგი —  
არის ტოკაი! აქ ჩემი დამარცხება არ შეიძლე-  
ბა. ხელ თქვენც დარწმუნდებით ამას!

რას გვეტყობოდა ამ „ხელანდელი დღით“  
მამინ გენერალის გაუგებარი იყო. ეს მერე გავი-  
გეთ და მეც მერე მოგიყვებით.

ტომბერლეიკმა ახლა ტოკაი დაასხა და ინ-  
გლისელი გენერალი ადღეგრძელა. თანაც თა-  
ვისებურად დაგესლა: ინგლისელებს უნგრეთი  
ველში აქვთ განხორცილი და იქნებ უნგრეთში  
ღვინომ ჩაუფიჩინდოსო.

ინგლისელმა ისევ მედიდურად გაიღიმა,  
მაგრამ ტომბერლეიკი არ მოეშვა.

— ზედა ზომ კვირა, დილით გამოვიცილთ,  
— მოგვმართა მან, — და კასულს დაგათვლი-  
ვრებინებთ. ნახეთ ნაიცისტებს როგორ ვადა-  
უფხადეთ ინგლისური ქალაქის კოვენტრის  
დანგრევამ აბა, ამას ზომ თვითონ ინგლისელები  
ვერასოდეს მოახერხებდნენ. ისინი ისე ბე-

რძიან, რომ არ უნდათ თეთრი ხელთათმანე-  
ბი დაისვარონ.

ინგლისელმა მედიდური **გენერალი** **გენერალი**  
მოითორა. ტუთილა კი არ ამბობენ, ხათრი რქე-  
ბით კლავს, ცხენი — წიხლებით, ინგლისე-  
ლი კი — ღიმილითო.

ფრანგი გენერალი ინგლისელ კოლეგას მი-  
ეშველა:

— ტომბერლეიკი მართალია, ხომ ნახეთ ანე-  
რიკელები პირლ-პარბორში სამარადო ხელ-  
თათმანების კი არა, შარვლების დასერასაც არ  
მოირიდებიაო.

მასპინძელი მიხვდა საით ურტყამდა ფრანგი  
გენერლის იუმორი, და სტვა რომ ვერაფერი  
მოიფიქრა, ეს უთხრა:

— ზემ ფრანგ კოლეგას ენა მაგინოს ხაზი-  
ვით აქვს გამაგრებულიო...

...ტომბერლეიკმა დაიბრუნა შეასრულა და დე-  
ლით ორი ვილისით მოგვადგა. ჩვენთან ერთად  
წამოვიდა ფრანგი გენერალიც. ინგლისელი არ  
ჩანდა. ალბათ არცთუ ისე მოსწონდა „კონტრ-  
ბრუნებულ“ კასულით რომ ამერიკელი გენერალი  
ამყოფდა. მე ურვე ვიამბეთ, იმის შესახებ, თუ  
როგორ „დაკოვენტრეს“ ამერიკელებმა ქ. კა-  
სელი. ახლა კი, შემთხვევამ მოიტანა და თვითონ  
წუხადეთ დიდი სამრეწველო ქალაქის ამგვარი  
„ტოტალტრი დაბოშების“ შედეგს. აქველი წარ-  
მოსადგენია თუ რა კომპარტული იყო ის ღამე  
კასელის მოსახლეობისათვის. ჩვენ ახლა გენე-  
რალ ტომბერლეიკს იმიტომ მიუყვდიოთ იქ, რომ  
ამერიკელი ავიაციის ძალა ეხვეწებინა. იგი ამტ-  
კიცებდა, რომ კასელიმ არც ერთი სახლი არ  
ღარაა დაღწერველი. მგონი ასეც იყო. ჩვენ  
თვალწინ სამხედრო საწარმოა გაღიშალა. ყველ  
გან სახლების ჩონჩხები ჩანდა ქუჩებზე ნანგ-  
რევებით იყო სავსე. ვილისები მოხერხებულად  
დაძებნობდნენ ამ ნანგრევებს შორის. ცოცხ-  
ლად გადაარჩინილი მოსახლეობა სარდალში  
ცხოვრობდა. ბავშვები ნაგავში იტყუებოდნენ და  
რ-ლაკებს ეძებდნენ. ისინი მონესტელი თვალე-  
ბით უყურებდნენ ჩვენს მანქანებს.

მე არ დამაფიქვლებია ამ ბავშვების შემინებუ-  
ლი, მაგრამ მაინც ცნობისმოყვარე თვალე-  
ბით ამ შეუძლოთ გარკვეულობენ, რაღამ ხდე-  
ბა ეს ყველაფერი! დიდების თვალეში კი არც  
ბავშვური ცნობისმოყვარეობა იყო, არც ხალი-  
სი, ისინი ნაღვლიანად, ოდნავ დამკონადად თუ  
ხიზლით მოგჩერებოდნენ. ზოგიერთები ნანგ-  
რეველიდან გამოყოფდნენ თავს და ისევ იმალე-  
ბოდნენ. ვილისები კი თავგებოვნით დაძებნობ-  
დნენ ამ ანგრეტულ-ფანგრეტულ ქუჩებში. ვერ  
აეღნის ქუჩას გამოვეყვით, კონტორიას მოსე გა-  
დაესერეთ და ბანკის უხარმაზრი შენობის ნან-  
გრევეს ჩაუტარეთ. მერე მარცხნივ გადაუხვი-  
ეთ და ლუთერის ქუჩაზე ვაუვდიოთ. აქ ერთი პა-  
ტარა ველსიასთან შეეჩერდიოთ. გვიბრტეს, რომ  
ეს ველსია ცნობილი გერმანელი მხატვრის ტი-

შინაინს ფრესკებით აყო სახელგანთქმული, მაგარამ ჩვენ ისე მიღწეულ-მოღწეული დავგებდით, რომ ამ ფრესკების რამე წიშანაც ვერ მოგვყარით თვალს. შემდეგ ისევ უკან დაბრუნდით და სამეფო მოედანზე გავედით. მე ლიტერატორიდან მახსოვდა ამ მოედნის უცნაური აგებულებას შესახებ. შენობები ასე იყო განლაგებული, რომ თუ ვინმე მოედნის ცენტრში დადგებოდა და დაიყურებდა, ექვსჯამი ეხო უპასუხებდა. ეს რომ ტიმბერლეის ენაა, დანტეარსდა. მანქანები მოედნის ცენტრში დააყენა და საყვარები მიუშვა. არაერთად ეჭო. ირგვლივ უხარმარაო შენობების ჩონჩხები შემოგვეტყუაროდნენ დემილით. ტუქილი უოფილაო, დასყენა ტიმბერლეისმა.

ცხადია, ეს ტუქილი არ იყო, მაგრამ ამა დანგრეული სახლების ჩონჩხები რა ეჭოს გამოცემდნენ!

ამის შემდეგ მდინარე ფედლას სანაპიროზე გამოვედით და ქალაქის უღამაზეს ნაწილში, კარლის ველზე, მოგვხვდით. აქ აკაცების ზეფანის გავყვით და მწვანეში ჩაფლული ბაღები გავიარეთ. უზარმაზარი ხეების ტოტები ჩამოღწეული იყო ყუბარების ნამსხვერველები. სავან. აქვე ვნახეთ კასელის ცნობილი სამსახურთა ვალერაის ნაწერეები. დრეზდენის და მიუნხენის ვალერებთან ერთად კასელის ეს ვალერაე ცნობილი იყო თავისი მდიდრული ექსპოზიციით. განსაკუთრებით პოლანდიელი ოსტატების ნამუშევრებით. აქ ჰქონდათ რემბრანდტი, რუბენსი, ვან დეიკი, იორდანსი, აგრეთვე: დიურერი, ტიციანი, გვიდო რენი და სხვები...

ყოველივე ეს იყო... ახლა არაფერი. მხოლოდ ნაწერეები და აქეთ-იქით მიყრილ-მოყრილი სულპატრული ფიგურების ნამსხვერველები.

კიდევ ერთხანს ვიხეტიალეთ ქალაქის ნაწერეებს შორის. მერე პლატონე ავედით, რომელიც ისე დაყურებდა ქალაქს, როგორც მოაწმინდა თბილისს, აი სწორედ აქ ვნახეთ ერთადერთი დაუნგრეველი ძეგლი — პერკულესის უზარმაზარი ქანდაკება, გლიკონის ანტიკური ორიგინალის მიხედვით შესრულებული.

ესეც ირონია სინამდვილისა!..

... ბერძნული მითოლოგიის გმირთა-გმირი პერკულე ანუ რომაულად პერკულესი ადრე მზის ღმერთი იყო, რომელიც თავისი ელვის ისრებით სპობდა სიზნულესა და ბორბტემას. შემდეგ მეცნიერებმა ერთ-ერთ თანავარსკვლავედს პერკულესი უწოდეს. მის ახლო, მერკურსს კი პოდრა, რომელიც პერკულემ დაამარცხა, გლიკონის ქანდაკება გამოხატავს პერკულესს, როგორც მოხვეული ძალის გამოსატრელებას,

უღიერესი მამაკაცის კუნთბაღმცემელ სხეულს, რომელიც ოდნავ გადახრული დაყრდნობა რაღაცას და მორცხვად დაჰყურებს დანგრეულსა და დაღწეულ კასელს.

ეს მართლაც საშინელი სანახაობა იყო. მე მესმის, რომ ომი, ომია და ქალაქების დაბომბვაე ბუნებრივია. მაგრამ სამხედრო ობიექტების განგრეველად მთელი ქალაქის ასე მთლიანად მოსპობა ერთ ღამეს... უოველ შემთხვევაში, სიხარულის გრძობას არ უნდა იწვევდეს. ტიმბერლეიე კი უზომობდა:

— ზომ ზედათ, ჩვენ აზერაველები პერკულესივით დაყურებთ ახლა ამ ნაყარტუტად ქვეულ კართავენს. ეს ვაფრთხილებთა!

მე არ ვიცი ვის გასაფრთხილებლად წარმოსთქვა მან ეს სიტყვები, მაგრამ ტონი მაინც არ მომეწონა და ქ.ბოხუში ვახსენე. ეს არცთუ ისე დიდი ქალაქია სამხრეთ გერმანიაში, ომი დასასრულს ისე უახლოვდებოდა, რომ აქ ერთი ყუბარაე არ ჩამოვარდნილა. ახლა არც ჰქონდა აზრი, რადგან ამ საყურბორტო ქალაქში სამხედრო ობიექტები არ იყო. ამის გამო უამრავი ლტოლვილი მიაწყდა ბოხუმს. ამბობდნენ, მარტო იატაკზე დასაწოლი ადგილი ფანტასტიკური ფედლი ღირდაო. თითო ოთახში თერმე 20-30 კაცი მიეწყობოდა ერთმანეთს.

ერთ ღამეს ათასზე მეტი თეთმფრინავი დაესხა ამ ქალაქს და ნაყარტუტად აქცია ყველაფერი.

ტიმბერლეიე მიხვდა, რატომ ვახსენე ბოხუმი და ღიმილით მითხრა, ავიაცია მარტო ქალაქების წინააღმდეგ კი არ მოქმედებს, არამედ ცოცხელი ძალის წინააღმდეგაცო.

ახლა აღამიანი ზომ „ცოცხალ ძალას“ ნიშნავს, მეომართა ენაზე, მაგრამ სამხედროსა და სამოქალაქო მოსახლეობას შორის მაინც არის განსხვავება:

რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ დაებრუნდით ჩვენს მიწისქვეშა ქალაქში. ტიმბერლეიემა შეგვახსენა, საღამოთი ჩემი ოფიციალური სტუმრები იქნებოთ და წაეღო...

**ამორკალაშის ბუნაბი...**

კვირა დღე იყო და სამეშაო არაფერი გექონდა. ამიტომ დამერის თანხლებით ტუქში გამოვედით, მიწისქვეშა ქალაქის დასათავალიერებლად. ეს არც მისე ადვილი აღმოჩნდა. „ადგილობრივი მოსახლეობა“ სულ კარგით იყო გამოფენილი — უმთავრესად ქალები: მთარგმნელები მემანქანეები, მღივნები; აქა-იქ ოფიცრებიც. ღამით მარტო არ გამოხვიდით ამ ამორკალაშის ბუნაგში, თორემ თქვენს დაევაზე პასუხს არ ვაგებ, — ისევე გავფრთხილდამერმა.

ეს არც დღისით იყო უხედიოთა. საბჭოთა



ოფიცრები აქაც ისეთი უცხო ფრანგულები აღმოჩნდნენ, რომ ყველა განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ჩვენდამი. ვასაგებიცაა, რადგან ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ ოფიცრებს მიჩვეულნი იყვნენ, „ჩვენ მას“ კი პირველად ხედავდნენ. ამიტომ ქერ შორიდან დაკვირვებს თვალდერბა, მერე ახლოს მივიდნენ და ბოლოს შეტყაზეც გადმოვიდნენ. უამრავ კითხვებს გადალევდნენ. სამხედრო ფორმას, ეპოლეტებს განსაკუთრებით ორდენებსა და მედლებს ბეღით სინჯავდნენ. ქედზე ხუთქიმიანი ვარსკვლავები მაშინვე ავჯავლიყვს და სუვენირებად წაიღეს. მერე ჩვენი ზოლკონიკის მთარგმნელს ვილაყამ შევადამ „სტალინგრადის დაცვისათვის“ აღმოუჩინა. ეს სიტყვა „სტალინგრადი“ ისე მაგიასათით მოქმედებდა ყველაზე, რომ ერთბაშად თხუთმეტვიოდე ქალიშვილი მიესია იმ უბედურს და შედარი აკვლიყვს. დამერმა სხვა ამერიკელ ოფიცრებსაც მოუხმია და ლეიტენანტს ძლავს დაეხურნეს თავისი საამაყო ჩოლო...

...ვერც მე ვადავტრნი ამგვარ შემოტევას. ცუცხ ვილაც ნახევარდღისშველი, ვეღლით დაკლანძლი ველი გამოტა და ჩემს წითელი ვარსკვლავის ორდენს უცა. მე გავიტარბოლე, მაგრამ ის „ამორბალი“ ფოცხვერრით ჩამევიდა და ძლიეს მომგლიყვს. ბრინჯაოს-ფერისა იყო, თმებგაწეწილი და ისეთი ველური გამოხედვა მქონდა, რომ, მართალი ვითბათ, ველადამიქანდა, კიდეც არ შეეცს-მეუტი. მის გვერდით ახალგაზრდა სიმათიერი ყმაწვილი იდგა და ეხვეწებოდა, თავი დაანებეთ.

— ლახლოტა, რა ამბავი ბარ! — მომესმა ვილაყის ხმა. შევხედე, კარებში სანდომიან სახის მოხუცი იდგა...

— ნუ გეშინიათ კოლეგა, ღიზი იკბინება მაგრამ ცოფიანი არ არის! — დამამშვიდა იმამ და გაიცილა.

ასეთი იყო ჩემი პირველი შეხვედრა იმ, „წმიდა სამებასთან“, რაზედაც აღრეც ვიამბეთ...

ამის შემდეგ, რამდენიმე ამერიკელი ოფიცრის თანხლებით ჩვენჩვენს ოთახებში დავბრუნდით. მე ქედზე მისამარებელი წითელი ვარსკვლავების ისეთი მარჯვი მქონდა წამოღებელი, რომ დანაკლისი უცებ აეინახა-ჩეთ. ორდენები და მედლები კი ჩამოვხსენით და მხოლოდ ოფიციალური მიღებებზე ვიკეთებდით...

... კარზე ფრთხილი კაცნი გავიგონე.

— ვინ არის? — ვიკითხე შეშინებულმა, აქაც არ შემომცვიდნენ-მეთქი.

— თუ შეიძლება! — მომესმა მამაკაცის ხმა.

— მობრძანდით! — მივეცე მე და ინგლისელი გენერლის მთარგმნელი შემოვიდა.

— სერგეი პეტროვიჩ, — გამეცნო იგი — თუ თქვენი კეთილშობილების ნებართვით ვინმე ვაპოვესაუბრობო.

— სიამოვნებით, ოღონდ ამ „კეთილშობილებას“ თავი დაანებეთ, ეს ჩვენი მიღებული არ არის.

— დიახ, თქვენო... — დაიბნა იგი — დიახ... ბატონო მაიბრო, როგორც იქნა, გამართ მან ენა და განაგრძობ:

— ასე მოვლოდნელად შევხვდი ჩემი ყოფილი ქვეყნის წარმომადგენლებს და შემობვევის როგორ გავუშვებ ხელიდან. მე დამერიკეთ კი არ ვმალავ ჩემს წარმოშობას, რუსი ვახლავართ, მაშინვე ჩვეოლციის შემდეგ წამოვიდა უცხოეთში. მე მაშინ 14 წლის ვიყავი. ამჟამად კანადაში ვცხოვრობო.

დამერის ვინაობის „საიდუმლო“ უცებ გაიხსნა, მაგრამ მე ვითომ ვერ შევხვდი ამას.

— დამერს რატომ ამბობ ასე იგი ხომ წმიდა ამერიკელია.

— ისეთივე ამერიკელი, როგორც მე კანადელი, თქვენო... არ დაამთავრა მან, — ორივენი რუსეთიდან ვართ, ბატონო, მხოლოდ იგი ებრაელია, მე კი რუსი.

— შეტყებულაია, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს.

— რატომ არა აქვს მნიშვნელობა, ვინც თავის წარმოშობას მალავს, ვერც ცხოვრებას აკებს სიმატოლზე. გარდა ამისა, სამშობლო ყველას უნდა უყვარდეს, თუნდაც დაკარგულია.

— თქვენ ფიქრობთ, რომ სამშობლო დაკარგულია თქვენთვის?

— რა თქმა უნდა!.. მართალია მე თვალდურს ვადევნებ ყველაფერს, რაც იქ ხდება, მაგრამ ეს სულ სხვაა.

— თუ სერგეი გეწებათ, ალბათ, შესაძლებლობაც გაჩნდება დაბრუნდეთ სამშობლოში.

— არა, ბატონო, ეს შეუძლებელია, მაშინვე ისეთი სიძულელითაა გამსკვალული წითელი... უკაცრავად, ვთხოვთ მამატიოთ... — ეს „წითელი“ მის წარმოდგენაში, როგორც ჩანდა, შეურაცხყოფილად სიტყვა იყო. ამტომაც გასწორდა: — „ახალი რუსეთისადმი.“ რომ მის სიცოცხლეში ეს შეუძლებელია...

— იცით კი რამე ამ „ახალი რუსეთის“ შესახებ? — ვიკითხე მე.

— მართალი ვითბარა, ბატონო, კარგი არაფერი. მე ისეთ წრეში გავიზარდე, კარგს არც შეტყოდნენ. მაგრამ ახლა რომ ცხედრე თუ რა მიმიღე ომი მოიგეთ, შეხედულება შემიცვალა. შეუძლებელია, ისეთმა სახელმწიფომ, როგორსაც მე მიხატავდნენ, ასეთი ომი მოიგოს. ომი დიდი გამოცდაა, ბატონო, ეს რომ ასე არ იყოს, შეიძლება მისი უდიდებულებობა ნიკოლოზ რომანოვი ახლაც რუსეთის მეფე ყოფილიყო.

— არ ვიცი, ვუთხარი მე, — ამგვარ საკითხებში ნაკლებად ვერკვევი...

ერთხანს ვისაუბრეთ სხვადასხვა საკითხებზე, მეტე დამეშვიდობა და წავიდა. იმავე წუთს დამერი შემოვიდა ზემთან. ცოტა აღუღებელი ჩანდა:

— რაო, რა გითხრათ იმ მეღამ, აღბათ ზემზე გელაპარაკათ. რუსიარ გეტყვადათ, შეიძლება ებრაელიცა, გითხრათ, რაკი ოღესამი ვცხოვრობდი, ებრაელი ვგონივარ.

— პო, რალაქ მითხრა ამის მსგავსი, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს?

— მე არ მინდა იღვტროთ, რომ მაშინ სწორი არ გითხარიო: წარმოშობით, რა თქმა უნდა, რუსი ვარ. დღეა მართლაც ებრაელი მყავდა, მაგრამ დღეს ამერიკის მოქალაქე ვახლავართ. ამიტომაც ვამბობდი, ამერიკელი ვარმეთქი.

— იუდეით მეტე, მე რაში მყითხებდი!

— არა, რა თქმა უნდა, მაგრამ უხერხელია, გენდამეხმე ტყელი არ უნდა თქვას.

— ენ ვაბრალებთ.

— არა, ხომ? მამ საკითხი ამოწერულია?

— დიას, აბა, როგორი...

ის გველაძეა დამერი კი წაივდა, მაგრამ ის დღე იყო და ის, სურგვი პეტროვიჩი ამის შემდეგ არ გამოჩენილა. იმის მაგივრად ინგლისელ გენერალთან რამდენიმე დღის შემდეგ სხვა მთარგმნელი ჩამოვიდა... ახლა უკვე პოლანელი.

**სამარბახის სარდაფი...**

ჭერ კიდე შეზინდებული არ იყო, რომ გენერალ ტიმბერლეიკის რეზიდენციაში წაგვიყვანეს. ერთი შეხედვით ვერც გაიგებდით, ეს რა შენობაში მოხედდით. საცხოვრებელ ბინას სრულიად არ ჰგავდა. გარშემო შესანიშნავი კიდეები იდგა. ეს კი ყველაზე უარესი იყო, რალაქ კანტარის მსგავსი. ვერ მიგხდოდა, რატომ მაინცა და მაინც ეს შენობა აირჩია მან თავის საცხოვრებელ ადგილად!

შესვლისთანავე წინ თვითონ გენერალი მოგვეგება. შალაღი, მხარბეჭიანი, მწითლური, თეთრი, სრულიად თეთრი თმებით. ისე კი ძალიან ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. მუქი მწვანე ფერის მუნდირი ეცვა, რომელსაც მარტო ოქროსფერი ასოები ეკვრა ეპოლეტებზე. იქვე იყვნენ მისი ინგლისელი და ფრანგი კოლეგები და უფროსი ოფიცრები, დაახლოებით 30 ვაჟი. მათ შორის 2 ქალი, მთარგმნელები, რომელთაგანაც ერთი ინგლისურად ლაპარაკობდა, მეორე ფრანგულად.

ეს ოფიციალური წვეულება ჩვენი დელეგაციის ჩასვლასთან დაკავშირებით მოაწყო ტიმბერლეიკმა, ამიტომ მთავარ ყურადღებას აქაც ჩვენ ვეთმობდნენ. ერთხანს მისაღებ დარბაზში ვისაუბრეთ. მეტე ტიმბერლეიკმა გამოაცხადა:

— ახლა რუს კოლეგებს უნდა გაეცნო ჩემი სასაბლის საიდუმლოება. დანარჩენებმა ეს უკვე იციან...

— გთხოვთ წამობრძანდეთ... მსგავსი ჩვენ და წინ გაგივლიდა. რამდენიმე ოთახის გაელის შემდეგ ძირს ჩავედით სარდაფში. აქ სულ სხვა სანახაობა გაიშალა ჩვენს თვალწინ. უხარმაზარი მარმარილოს დარბაზი, შესანიშნავი ავეჯი, ვამილი სუფრა, რომლის გარშემო შეკლერეებიანი ოფიციანტები აღდუსდუსებდნენ. ცისფერი მარმარილოს ყეღღები და კოლონები, უფრო მოღურჩო ფერის, პატარა ესტრადა და ძვირფასი სურათები, ყელღებზე ბროლის უხარმაზარი კედლები და მდიდრული კანდელაბრები რალაქ საზეიმო იერს აძლევდა ყველაფერს. მეტე ერთი საბთული კიდეე ძირს ჩავიწვიეთ, აქ თურმე უძველესი ლეონოების ერთ-ერთი ცნობილი საცავი ყოფილა. მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჰქონიათ სხვადასხვა ვიშის ლეონოები მოტანილი და სათუთად შენახული. ძირს კიდეე სამი საბთული იყო, სადაც უძველესი მფავრი სასმელების საუყუთესო კოლექცია ინახებოდა.

აი თურმე რატომ მოეწყო გენერალი ამ „აუერბახის სარდაფში“. მართალია ზევით კანტორის შენობას ვავდა, მაგრამ სამაგიეროდ ისეთ სიმდიდრეს აქდა, რომ სხვა რა სასახლე შეედრებოდა ამას! — *In vino veritas!* — წარმოსთქვა საზეიმოდ გენერალმა და ზევით აგვიყვანა. გზადაგზა კი ეს გვითხრა:

— ახლა ხომ მიხვდით ჩემს საიდუმლოებას, საიდან მოდის ლეონოები. ან ის ტოკაი საიდან ვანდა! აბრე რომ მეკონოდა, ასეთ სასახლეში მომიხდებოდა ცხოვრება, მეორე ფრონტს უფრო აღვე გაეხნილით.

მეტე ყველანი „სილფერ დარბაზში“ მივიწვიეს, წინასწარ განაწილებულ ადგილებზე დაკვსვეს და... ის იყო, რომ აქედან მოკიდებული სულ შხამად ამოშხდა იმდღევანდელი ტოკაის ნატერა...

სუფრაზე შესანიშნავი ლეონოები მოქონდათ, მე კი მხოლოდ იმ „ნანატრ ტოკაის“ მისხამდნენ...

... აბა, სუფრული საუბრის მოყოლა რა საინტერესოა! მთელი ამ ხნის განმავლობაში ტიმბერლეიკი სულ ბახტისის მდიდარი კოლეციის დემონსტრაციას ახდენდა. ინგლისელი და ფრანგი კოლეგების მიმართ კი ისეც ენაგესილიანობდა.

— კიდევ კარგი, — თქვა მან — ჩვენმა მოკავშირეებმა არ იციან ამ „ბახტისის სასახლის“ ამბები, თორემ ამასაც გერმანისავით ოთხ ზონად ვყოფდნენ და წილში შემოვიდიოდნენ.

შემდეგ, როცა ჩემი სადღერბჭელი დალა: მოვიდა ვადამეხვია და თან ასეთი რამ მითხრა: — რუსი და ამერიკელი ოფიცრები ასე მე-



გობრულად რომ ვებევიო, ისეთი განწყობი-  
ლება მაქვს. თითქოს კუნთებს ვუსინჯავდეთ  
ერთმანეთს.

მაშინ მოკავშირეთა ჭარბების წარმომადგენ-  
ლები ვარეგნულად მაინც თავაზიანად ვხვდენ-  
ბოდით; ასეთი სიტყვები კი პირველად ტომ-  
ბერლეიკისაგან გავიგონე, მაგრამ არაფერი  
მოთქვამს. ახლა კი იმ სიტყვებს რომ ვიგონებ,  
ვხვდები „კუნთების მოსინჯვა“, მართლაც, მა-  
შინ დაიწყე, როცა ჩვენი და დასავლეთელი  
მოკავშირეების არმიები პირისპირ შეხვდნენ  
ერთმანეთს.

მუსკა ხართეს და დარბაზში რომელიღაც  
ნაცრობი სახეიმი მარნის პანგები გაისმა...

მერე, ვარე ესტრადისა, სინათლე ყველგან  
ჩაქრა და მუსკის რიტმზე ნარნარი მოძრა-  
ობით 30 თითქმის შიშველი ქალიშვილი ავი-  
და სცენაზე. მე ადრეც მქონდა გავიანილი ამე-  
რიკაში ძალიან პოპულარული ანსამბლ  
„30 girls“-ის შესახებ, ახლა კი საყვარელი თვა-  
ლით ვხედავდი ამას.

ეს ნამდვილი სიურპრიზი იყო! მაგიდაზე  
ტანსაცმეა და მოწონების ყვირია ატუდა. ახ-  
სამბლი რაღაც რიტმულ ცეკვას ასრულებდა.  
გამოვივრდა, როგორ არჩევდნენ ყველას ასე  
ერთნაირს; სიმალღობით მათი ფერითა და ვარცხ-  
ნილობით, ვარეგნობით. შთი შთავარი ღირსება  
ტანისა და სახის სელამაზეა. ვრაცეულობა,  
სხვა დანარჩენი მდარე ხარისხის. ცეკვები ვულ-  
გარულია და უფრო „შიშველი სხეულის გამო-  
დენის“ სურვილს ემსახურება, ვიდრე ქორე-  
ოგრაფიის ინტერესებს.

რამდენიმე ნომერი ამერიკელი ოფიცრების  
საერთო მოწონების ყვირის ქვეშ ჩაატარეს.  
მერე ტომბერლეიკმა დაიბაზა:

— აბა, ფერებო, ახლა ყველანი მაგიდას-  
თან, მაგრამ არც ერთი ახალი სკამი! თვითონ  
მოეწყვეთ სხვის სკამებზე, როგორ? ეს თქვე-  
ნი ფანტაზიის საქმეა... „30 girls“ სიცილ-კის-  
კისით გამოიქცა მაგიდასკენ, ჩვენ სამივენი ავი-  
დგეთ, დადლილობა მოვიმიზებეთ და ტომბერ-  
ლეიკის ხეწანა-მუდარის მიუხედავად, დაუყო-  
ნებლად დატოვეთ მისი „ზახუსის სასახლე“.  
ჩვენთან ერთად წამოვიდა ინგლისელი გენერა-  
ლიც, ფრანგი დარჩა. ის ორი მთარგმნელი ქა-  
ლიც ჩვენ შემოგვივრდნენ.

დარბაზიდან რომ გამოვდიოდით, ამერიკელ-  
მა ოფიცრებმა სიცილი მოგვაცოცლეს,  
წამოსვლისას, ჩვენმა ლეიტენანტმა უწყაო-  
ფილოდ ჩაბურტყუნა:

— ყველაზე საინტერესო დროს კი წამოვე-  
დი!

— ვაუშვი, ვაუშვაბული ხალხია, — უთხრა  
პოლკოვნიკმა.

— ორივენი მართალი ბრძანდებით, —  
ვთქვი მე. — თუმცა თვითონაც არ მესმოდა,  
რა აზრი ჰქონდა ჩემს ნათქვამს.

ინგლისელი გენერალი წამოგვეწერა, თავის  
მანქანაში ჩავესვია და წამოგვიყვანა. უკვე გვი-  
ან იყო, მაგრამ მაინც სახლში შევსვით.

— საყვარელი ხალხია ეს ამერიკელები, —  
სთქვა მან, ომის დროსაც სულ ასე ტურისტე-  
ბივით იქცევიან...

სიტყვა „ტურისტ“ ესეც ისეთი ზიზღით ამ-  
ზობდა, რომ ეტყობოდა რაღაც სპეციფიკურ  
შინაარსს სუბედა მასში.

— ის ნამოღერიან ნაზღერაოც რომ დარჩა  
— გაიყვრდა გენერალმა — ოღონდ ზრანჯს  
ასეთ თავგადასავლებს ნუ მოაკლებ და...

მერე რაღაც სისამელები გახსნა და თითო  
ჭიკა დაგვადევინა.

ესეც აღბათ იმ „ზახუსის სასახლიდან“ იქნე-  
ბოდა მოტრედილი. ცოტა ხნის შემდეგ მასპინ-  
ძელს დავემშვიდობეთ და წამოვედი. ჩვენი  
სახლიც იქვე იყო, ოთახში რომ შევიღობდით  
ლეიტენანტმა ერთხელ კიდევ გამოსთქვა თა-  
ვისი უმწუფოფილგება:

— რომ დავრჩენილიყავით, ვითომ რა იქნე-  
ბოდა?

— დაიწეო და დაიბნე! ბეჭებს ნუ ლაპარა-  
კობ! — დატუქსა პოლკოვნიკმა.

— არის ძალი და ტყბილი სიზმრები! — მი-  
უგო ლეიტენანტმა და კარი მიიხურა.

**თეთრი ნიღაზარი...**

მეორე დღეს დღიდანვე შევედგეთ მე-  
შაობას. პოლკოვნიკს რაღაც სხვა საქმე ჰქონ-  
და და თავის მთარგმნელიანად ისე გაქრა, რომ  
მთელი დღე არ მინახავს. სამაგიეროდ დაშვარი  
არ მშორდებოდა. ჯერ დავათვალიერეთ ყვე-  
ლაფერი, მოვიარეთ უზარმაზარი მიწისქვეშა  
ანგარები, პირველად რომ ერთ-ერთ ასეთ წარ-  
გებობაში შევიდით, შორიდანვე რაღაც ვრ-  
გვგენი მოგვინმა, რაც უფრო ვუახლოვდებ-  
ოდით იმ შენობას, გვგენი უფრო ძლიერდებ-  
ოდა. შემდეგ ჩვენს თვალწინ ასეთი სანახა-  
ობა გადაიშალა: როგორც უკვე ვიცავით, უზ-  
არმაზარ სამშრომლო ოთხმყარეად იღვა საბუ-  
დი მანქანები, სულ, როგორც დამეტი ამბობ-  
და, სამი ათასამდე. სამი ათასი მეტი ღერე ზა-  
ლათებში ჩაცმული შემანქანე ბეჭდავდა გერ-  
მანულ დოკუმენტებს. სამი ათას მანქანას ერ-  
თად გაქონდა გუგუნი. მართლაც ისეთი შთა-  
ბეჭდილება იყო, თითქოს საბუქდი მანქანები  
კი არა, სამი ათასი ტუვიამფრქვევი დაეყენე-  
ბინათ და ტუვიებს უმწვდნენ გერმანულ ნა-  
ცისტებს. ერთ დარბაზში ასულეს იღებდნენ  
დოკუმენტებიდან. მეორე დარბაზშიც ასიოდ  
შემანქანე იქდა და უკვე ინგლისურად თარ-  
გმნილ დოკუმენტებს ბეჭდავდნენ. შესამეში  
როტორებზე ამრავლებდნენ უკვე გამზადებულ  
საბუთებს.

მერე მიწისქვეშა გვიარბით სხვა სამაქროში გა-

დავედით. აქ სრული სიჩქმე სუფევდა, მხოლოდ ქალაქლების ისეთ ყრუ შრიალი ისმოდა. გარკვევითად, საღიდა ახლო მდინარე მივიღებო. აქ ორასამდე თანამშრომელი ქალი და ცაცი თარგმნიდა დოკუმენტებს ინგლისურ და ფრანგულ ენაზე...

სხვა დარბაზებშიც დოკუმენტები... ზღვა დოკუმენტებისა!... აქაც ისხდნენ, არჩევდნენ, ახარისხებდნენ, ყუვისფერ მუყაოს ყდებში აღადგებდნენ და საღიდა ავხავნიდნენ ისე, რომ ქალაქლების ამ ნიაღვარს საზღვარი არ უჩანდა.

— სულ რამდენი დოკუმენტი იქნება შეგროვილი? — ვკითხე დამპყრობელი...

— ემშობა იცი! — ჩაიქნია მან ზელი, — ჩვენ ჯერ წონით ვიღებთ მათ. დღემდე რამდენადაც ვიცი სამათას ზეთის ტონა დოკუმენტია აქ შეგროვილი. ახლაც ყოველდღე მოაქვთ ათარბელები.

— იცით როგორ ავროვებდნენ მათ?

— როგორ არა, ამერიკას და ინგლისის არმიების ყოველ შენაერთთან იყო გერმანული ენის საუკეთესო მცოდნეთა სპეციალური სამხედრო საველე რაზმები, რომელთაც ეს ვეალებოდათ. მათ მუშაობას ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი რ. საოტი. მეც მის განყოფილებაში ვმუშაობდი. გერმანელებმა, უნდა ვითხრობო, ამ მხრივ მდიდარი მემკვიდრეობა დაგვიტოვეს. ჩვენ უამრავ დოკუმენტებს ვხოულობდით განადგურებული გერმანელი არმიების შტაბებში, მთავრობისა და სხვადასხვა ორგანიზაციების შენობებში, უმთავრესად კი გამოქვეპბულებსა და კატაკომბებში გადაამოძღვლეს. ან მიწაში ჩამარბულს... მთი მავალი-თად, რომენბერგის მთელი პირადი თუ საშა-ხურებრივი მიმოწერა ბავარიის ერთ-ერთ სასახლეში აღმოჩნდა ყალბ კედლებს იქით შენახული. სამხედრო საქარო ფლოტისა და გერმანის სამინისტროს მთელი არქივი ბავარიის აღბებში ვიპოვეთ. ჩვენ იგი ბერპტეს-გადენში გადავიტანეთ და იქ დავამუშავეთ. ადრე ყველა არმიის თავისი ზონა ჰქონდა მიწენილი, სადაც ეს დოკუმენტები გროვდებოდა. მერე რაც პროცესის მზადება დაიწყო, ეს ცენტრი შეიქმნა — Ministerial Collekting Searwise აქ გროვდება და მუშავდება ყველაფერი.

— ვითომ ყველაფერი?

— რა თქმა უნდა, რაკი ეს ცენტრალური ბუნქტია...

— საგარეო საქმეთა სამინისტროს დოკუმენტებიც?

— რაც ხელთ ვიგდეთ, ცხადია...

— მე ვიცი, რომ ეს დოკუმენტები მთლიანდ თქვენს ზელშია...

— თუ ასეა. აქ იქნება...

— მე მინდა ვნახო...

— ვნახათ... ჯერ წესრიგში მოვიყვანო...

— არა, მე შემიძლია ისე ვნახო...

— ყოველ შემთხვევაში დღეს! არ შემიძლება... არც ვიცი ცალკე თუ მისი გამორკვევია...

გაივიგებ და ზელ გეტყვიო...

— ქარგი, ზელ იყოს. უმაღლესი სარდლობის დოკუმენტებოც, თუ შეიძლება...

— ის დოკუმენტები სხვა ეწყების ზელთია...

— უწყება სულერთია, ოღონდ ვნახო...

— ქარგი, ამასაც გავიგებო...

ვიტოდი რასაც „გაიგებდა“. ეს სწორედ ის დოკუმენტები იყო, მარბერგსა და ფლესბერგში რომ ჰქონდათ შენახული. ისე კი, უნდაოდათ შობაბუდილება შეეჭმნათ, თითქოს ყველა დოკუმენტი აქ იყო, როგორც ჩანდა, დაშერი არ მოელოდა ასე დაიენებით რომ მოეთხოვლით იმ დოკუმენტებს, ამორკმაც დამატარებდა ასე თავისუფლად ამ პალატებში, აქაოდა, ზომ ზედათ, რამდენი დოკუმენტები გვაქვს შეგროვილიო.

— არც მეორე და მესამე დღეს გაირკვა რამე. ჩემ დაიენებულ კითხვაზე: სად არის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და უმაღლესი სარდლობის დოკუმენტები! — ერთსა და იმავე პასუხს მაძლევენ. დოკუმენტები ჯერ მთლიანდ დამარსხებელი არ არის, ყველაფერი ერთადაა და ებებეთ, რაც ვაინტერესებო. მაგრამ, აბა ებებეთ სამი ათას ზეთის ტონა დოკუმენტებში ის, რაც თქვენ ვინდათ! მერე ვთხოვე საშუალება მომეცით საღამოთაც ვიმუშავო-მეთქი, მაგრამ უარი მითხრეს წესი არ არის, საღამოობით ყველა ოთახი იღუქება და ამას ვერ ვიხამთო. ისე კი, რა უნდა მოქსწრო! რაც შეეძლო, ვცდილობდი დროს ამ დამეკარგა, მაგრამ წუთებმა და საათებს მალეო ზომ ვერ გაწერაქ...

... მთელი ამ ხნის განმავლობაში დამერი ერთი წუთითაც არ მშორდებოდა და სულ იმაში მიჩინებდა, ზედათ, რამდენი დოკუმენტი გვაქვსო. ერთი ისიც ვკითხა, ჩვენებს რამდენი ჰქონდათ! გერმანიის და მისი სატელეტების ყველა დედაქალაქი ჩვენებმა აიღეს: ბერლინი, ბუქარესტი, სოფია, ბუდაპეშტი, აგრეთვე ვარშავა, ვენა, პრაღა... 5 წლის განმავლობაში ვანუწყებდოვ გროვებოდა ნადავილი დოკუმენტები. ეს დოკუმენტები გარდა საღამო-ვერეო განყოფილებისა, ჩვენც მოკვდიოდა და დაახლოვებით მიანც ჰქონდა წარმოდგენილი მათი რაოდენობა და მნიშვნელობა

ამ დოკუმენტებს, მართლაც, უდიდესი როლი უნდა ეთამაშათ პიტლერელთა მერე ჩაღუნულ დანაშაულის გამოკვლევაში, თუ მათ ნამდილი ას ერგახის „წულით რღუნა“ ვერ გამოწვივს, ქალაქების ახეთი ნიაღვარი მაინც წაღუკავდა მათ ნამთებს. როცა ისინი ამ საშინელ დოკუმენტებს ავროვებდნენ და მალა-

კის ეტიმოლოგია“, ამიტომაც ვსწავლობ გერ-  
მანულ დოკუმენტებს. ლიზი მეზმარება, მაგ-  
რამ ჩემდა სამწუხაროდ, მას სრულიად სხვა  
შეხედულებები აქვს. ახლანდელ ახალგაზრდო-  
ბასთან საერთო ენას ვერ მოძებნის კაცი. ეს  
ცეტი შარლიც მას ეზმარება. რასაც ლიზი იტ-  
ყვის, შარლი კვერს უკრავს. იმას სიყვარული  
აღაპარავენს და არა პრინციპი...

— მე არ ვიცოდი რა შეთქვა, რაზე მელაპარაკა,  
ამიტომ ვაჩუმება ვარჩიე და ისევე იმან ვანაგ-  
რძო.

— მე ძლიერ მაინტერესებს თქვენი აზრი

ჩემს წიგნზე. იცით რატომ? ძალიან უცხო  
სართ ჩემთვის და იმიტომ. ფრანგები ისე მო-  
ვეჩვიეთ ერთმანეთის აზრს, რომ უკვე ანგარი-  
შსაც არ ვერწევთ ამას. თქვენ ეს სრულიად  
უცხო ბრძანებები და ძალიან მაინტერესებს  
რას იტყვიო...

— ლიზელოტა დაბრუნდა და მშვენიერად გამო-  
ცემული წიგნი მოიტანა — „რუსი“ — ჩვენი თან-  
მედროვე. უკვე სათაურმა დაამინტერესა. ეტი-  
ენმა წარწერა ვაუწყეთა და ვადომოქა. მე მად-  
ლობა ვაღაღვებადე.

— წაიკითხეთ, ოღონდ ვაყუთეთ საწინააღ-  
მდეგო დასკვნები, — მითხრა ლიზელოტამ.

შარლიც ლექსების პატარა კრებული მარ-  
ტა და... საოცრება! ადრე ნაფიქრი სიზმარითი  
ამიხდა: სუბერზე სალომეა ებატა ოქსანანის  
მოჭრილი თავით...

— ეს ჩემი ტანჯული სულის ვოღებაა, —  
მომესმა შარლის ხავერდისებური ხმა.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა რატომღაც  
ლიზელოტამ.

— დაბ გოღება, რა ვუყოთ, ლიზის არ მოს-  
წონს ჩემი ლექსები, ზოგჯერ დამცინის კოლეც-  
მაგრამ...

— შარლ, რა საჭიროა ამდენი სანტიმენტა-  
ლობა! — ისე შეაწყვეტინა ლიზი.

— ბავშვებო, ნუ ჩხუბობთ, სულერთაა  
თქვენს აზრებს არავისთვის არა აქვს შინაშენ-  
ლობა.

— აბა, რისი ვოღება! მოყვება რაღაცას, —  
ვაკაპასდა ლიზელოტა.

მინდოდა იმ საცოდავ შარლს ვამოესარ-  
ჩლებოდი, მაგრამ ლიზის ვაღამასებულ სახეს  
რომ შევხვებდი, მართალი ვითხარათ, გული ვადა-  
მივანდა და დღემილი ვარჩიე.

როგორც ზანს, ეტიენმაც ვაჩინო შექმნილ  
გარემოების უხერხულობა და ორივე დატუქსა:

— აბა, ახლა წადით, ნუ გვიშლით, ჩვენ სე-  
ლაპარაკო ვვაქვს.

ლიზელოტას რომ ხელი ჩამოვართვი, რაღაც  
გესლიანი ვამოშტეველემა შილი და ჩამილა-  
პარაკა:

— ვანა ვერ შეგნიშნეთ, ჩემთვის ერთხელაც  
არ დავიკრავს ტაში!

— შარლმა? არ ვიცო... აღმათ ისე ვიყავი  
მოხიბლული...

— ეგ ზღაპრები ბრიყვეებს მოუყუეთ. — მო-  
მიგლო მან და მამინევე ზურგს შემაქცია...

... მე და ეტიენი რომ ვანვმარტოვდით, საუ-  
ბარიც, შარლაც, რუსოს შევხო.

— ლიზი მართალი არ არის, კოლეცა, —  
მითხრა მან. მე სულაც არა ვარ რუსოს მიმ-  
დევარი, არც სხვა ვინმესი. მე, საერთოდ სხე-  
ლი აზრების კოლეცკიონერი ვახლავართ. სხვა  
ბევრია ასეთი, მაგრამ როლი ამხელენ ამას. მე  
კი პირდაპირ ვამბობ: მორჩენვია სხვისი აზრ-  
ები ვამოვიყუო, ვადრე საკუთარი შექმნა.

სულერთია, ახალს მაინც ვერაფერს ვიტყვი. მე კი არა, ჯარ კიდევ ტერენტეოსმა თქვა, ბატონო, ისეთი არაფერი მოიქვამს, რაც უკვე თქმული არ ყოფილიყო. მეგრე ეს გოეთემაც ვაიმერია:

— რას წარმოვიდგენ მე თვითონ? რა გავაკეთე? — თქვა მან — მე შევეკრიბე და გამოვიყენე ყველაფერი, რაც ენაზე, ვაგიგონე და რაზაკ ვავეირდებოდი. ჩემს ნაწარმოებებს ყვებავე სხვადასხვა პირები — უმეცრები და ბრძენები, მკვიანები და სულელები. ბავშვებმა, ქაბუტეებმა ხანდახმულებმა, ყველამ, მომიტანა, თავისი აზრი, თავისი უნარი, თავისი იმედები და ცხოვრების მანერა. მე ხშირად ვიმიკიდი ხვათა მიერ დათესილ მოსავალს. ჩემი შრომა ეს არის ღვაწლი კოლექტიური არსებისა, რომელსაც ეწოდება გოეთე.

— ა, ბატონო, წამოიძახა ეტრენმა, — ამას თუ გოეთე ამბობს, მე რატომ უნდა დამეზრახოს თუ ვალიარებ, რომ საკუთარი აზრები არ მაქვს და არც შეინდა მქონდეს. მე ეიღბე სხვის აზრს, ოდნავ შეუუცვლი სიტყვიერ სამოსს და ისე ჩავსება საკუთარ ნაწერებში, რომ კაცის-შვილი ვერ გაიგებს, ვისი ნათქვამია ეს, ჩემი ან სხვისი, უნდა გითხრათ, რომ ადვილიცაა და მოსახერხებელიც. ასე რომ არ იყოს, მონტენი არ იტყობა:

— მე არ მივეუთობ იმას, რასაც სხვისგან ვესწავლობ, მე მხოლოდ ვარჩევ და ვაფასებ. რომ მიწოდებს მათი ღირებულება რაოდენობის მიხედვით განესაზღვრო, ორჯერ მეტს გამოიყოყნებდი საკუთარ ნაწერებში. ჩემს მიერ ნათესებები აზრი, სულ მეიგრე გამოწყლისის ვარდა, გეტყვენის იმდენად დიდად სახელგანთქმულსა და ძველ ავტორებს, რომ ისინი თვითონ მეტყველებენ თავიანთ თავზე. მე შეგნებულად არ ვასახელებ იმ აზრებისა და არგუმენტების ავტორებს, რომელთა ნააზრები გადმომაქვს ჩემს ნაწერებში და საკუთარ აზრებში ვერც, რადგან ამით მინდა გავანელო ნაქარვეი მსყარდების სიფიცე, ჯარ კიდევ ცოცხალი ავტორის წიგნზე რომ ვამოკებ ხოლმე. ასეთ მსყარმდებლად გამოსვლას კისრულობს ყველა, ვისაც ჰგონია, რომ საკმაოდ კომპეტენტურია ამ საკითხში. მე მინდა, რომ ჩემი ხაზით მასხრად ავღონ პლუტარქე, ან თავს დაესხან სენეკას. მე კი იმ დიდ სახელებს ამოვიფარებ.

— ხედავთ! ამას ამბობს მონტენი, ვინც, მოგვხსენებთ, საკუთარ აზრებსაც უხეად აფრქვევდა...

... ცხადია ეტრენი ცდებოდა. იგი პირდაპირ იღებდა იმას, რაც გოეთესა და მონტენთან ირონიულად ეღერს. ასეთ პარადოქსებს კი სხვებთანაც შეხედებით. ერთი თანამედროვე ამერიკელი მწერალი თავისი ავტობიოგრაფიული წიგნისბოლოსიტყვაობაში წერს:

— შრომა დამთავრებულა, მე, მაღლობს ვუხდი ჩემს მამას და ჩემს დედას, ჩემს მამებასა და ჩემს დედას. მე მაღლობს ვუხდი კოლუმბს, მარკო პოლოს, ბერძნებს, იტალიელებს, ეგვიპტელებს, მეგრებს, ესპანელებს, ებრაელებს, გერმანელებს, რუსებს, სპარსელებს, ფრანგებს, ინგლისელებს, იაპონელებს — ყველა ხალხს: ვანსაკუთრებით კი ქურთებსა და ბასეებს. მე მაღლობს ვუხდი ავრატოვე ჩემს ვაჟსა და ქალიშვილს...

აქ რომ ირონიას არ ვგვრძობდვ, ამგვარ რამეს მეც ვავიმეორებდი...

**მიხეილის გოეთეა...**

შინ რომ მივედი 9 საათი იყო. ისე ჩარავამოღეული ვიყავი, მამინვე დავიძინებდი, მაგრამ მეუხერხულა, ვაი თუ ვინმემ მომეკითხოს-მეთქი და ნაჩუქარი წიგნების თვალეირება დაიწყო. აბა, რუსოზე მონოგრაფიას მაკითხებდა და შაროს წიგნი ვადავებოდა. მეგრე დავიბრტყესდი კიდევ და თხუთმეტოდე ლექსი წაიკითხე. რაღაც ნაცნობი პოეტური ინტონაციები შევიგრძენი. მეგრე მივხვდი ყველაფერი ეს რომ გულუბრყვილო მიბაძვა იყო. რაინერ მარია რილეს „საგალობელთა წიგნისაღმა“. გულუბრყვილო, მაგრამ ნიჭიერი, რილეს ფილოსოფიურ ღირიკას აქ ეფერო სანტიმენტალური ინტონაციები ცვლიდა. თითქმის ყველა ლექსი მარიამ ლეთისშობლისაღმა იყო მიძღვნილი. პოეტის დიდი მოწიწება და მოყრალეობა ლეთისშობლისაღმა რაღაც რელიგიურ ექსტაზში გადადიოდა და საკუთარი ცხოვრების დრამას უყავშირდებოდა. იგი აღწერდა ლეთისშობლის სათნო სილამაზეს, მის ღეთაებრივ ვარეგნობას, მაგრამ საოკრება ის იყო, რომ ამ აღწერაში ღიზელატას სახეს წარმოიდგენილი. იმდენი დაქიზა გრძნობა იყო ამ ლექსებში, იმდენი ხიბობა ქალწულებრივი სიწმინდისა და იმავე დროს ისეთი პორტრეტული მსგავსება ღიზელატასთან, რომ გვეკოცდით: სად უღაბნოების ის ბნელი ნაშიერი და სად ლეთისშობელი მარიაში!! რა შეიძლებოდა მათ შორის საერთო ყოფილიყო, მაგრამ პოეტებისას რას ვაიგებს კაცი. შარო შეღალობდა ლეთისშობელს გავგო მისი გულისთქმა და ეცანუგეში, რადგან უყვარდა იგი უხეშთაესი სიყვარულით, ისე როგორც უყვართ დილოს ეკმი სიყმწილისა, უყვართ ცა დედაშიწა, ზღვა, ტყე და მინდვრები, მღინარეები, ყვავილები და ცხოველები, როგორც შვილი და დიადი ბუნება, ასსებობა და სუნთქვა, ან ფიქრისა და ოცნების სილამაზე.

ეს ჩემი სულის გოდებააო რომ ამბობდა, ვგრძნობდი ამის გულწრფელობას. მართლაც გოდება იყო, ოღონდ გოდება ცარიელი სულია. ეს უყარგავდა მის ლექსებს ემოციურ ზეგავლენის ძალს, იქნებ მის პირაუნებასაც. ის-

იც წარმომადგამ, ხან რა სიყვარულით შეკუთრებდა ლიზელოტა არ ახალგაზრდა მეოცნებე პოეტს და ხანაც რომელი ზიზლი იხატებოდა მის თვალებში... საიდან მოდიოდა ამგვარი კონტრასტული განწყობილება?

შარლის ლექსებს რომ ვკითხულობდი, ვფიქრობდი, ალბათ არც ერთი მათგანი არ დაიწერებოდა ლიზელოტა რომ არ ყოფილიყო ამ ქვეყნად. რა დიდი მადლიერება იგრძნობა მას ლექსებში ისე, რომ ერთხელაც არ ახსენებდა მის სახელს. ლიზელოტა და ლეთისშობელი მისთვის რატომღაც სინონიმური მოვლენა იყო. იქნებ იმიტომაც, რომ მათ არაფერი ჰქონდათ საერთო. შარლს ისედაც უყვარდა ლამაზი წინააღმდეგობათა იგივეობის შესახებ. ორ უკიდურესობას ისე შეადუღებდა ერთმანეთთან, როგორც დანტე ექვსფეხა ურჩხულს, კიანთა დონატოსა და აგნელოს, რომელთაგან აღარც ერთი ჩნებოდა და აღარც ორი...

...შენ ზოგჯერ სხვა ხარ, მე კი მინდა მედამ იგივე იყო, — შელალადებდა შარლი. მე შეშინა იმ სხვისი, იმ უცნობის, რომელიც უცებ ჩნდება შენში... მე შეშინა კენტარების მხოლოდინისა შენს ფეხებში. მე შეშინა შენი თვალების სიღრმის, შენი ტუჩების სიწითლის, შეშინა შენი ტანის სილამაზის, ნაკვთების გარკვეულობის; იმის სურვილის, რაც არ შეიძლება მოხდეს, მეწაშელი ვნების, რაც ამსხვრევს უბიწოებას. საშინელია ძალა, რომელიც შენში იმალება, ცუცხლი რომელიც შენს ძარღვებს ეღება. მე შეშინა შენი სისხლის სიწითლის, მე შეშინა ყველაფრის, შეშინა... ო, ლეთისშობელო მარიამ, მეცი ნუგეში... ნუ დაბრკობს ამ საშინელი შიშის ამარა... მომეცი სიმშვიდე... დააცხრე მჭურვალე-ბა ცხელი ჭეშმისა, გაანელე ეს სისხლის დუღილი, წაშალე მეწაშელი ფერები. შეივედრე ჩემი ტანჯული სული...

და ისევე შიში, შიში გიშრისფერ თვალეზისა, რომელსაც არა აქვს ნაპირები, არ უჩანს ფსკერი: შიში ხშირი წამწამებისა, რომლებიც შეებზვიეთ არიან მომართული და ვილაყას განგმირვით ემტყრებიან, შიში ცილების თეთრი ელვარებისა, რაც თვალებს ტყენს...

... ღმერთო რატომ აკლია შენს ოცნებას სრულყოფა...

... რად უნდა სულს ასეთი მაცდური ფორმა ო, ლეთისშობელო, რომელმაც შთასაბუღეთავე შეცოდების გარეშე, რატომ უკვამ ცდუნების აძლენ მაჭეს ადამიანებს; რატომ აღვიბებ ნდომას შეცოდებისა, რატომ აგრძნობინებ ტკივილის სიტკბოებას, რატომ აძლევ სილამაზეს ცდუნების ასეთ ძალას...

იგი წერდა იმის შესახებ, თუ პლანეტაზე დანაიეთ ნებიერად გაწოლად დამეს როგორ ანაყოფიერებს იუბიტერი, ან მრუში დედამი-

წაზღვის ლურჯი თვალეზით როგორ მიხერხება ზეცას, რომ ჰიპოპოტამივით მიიზნოდოს ავითაი-სკენ. იმაზეც, გაზხუღზე დემონი როგორ იღვრება ბუნებაში და ავზორცი დედამიწა იწყებს ვნებიან სუნთქვას... არაფერი არ ეტევა თავის ფარგლებში, ყველაფერი იშლება, იფურჩქნება. ვარდის კოკორი სკდება და წითელი სისხლის სილამაზე იფეთქებს მისგან. ყველაფერს სილამაზის სურვილი იპყრობს, ევლებს, შინდვრებს, მწერებზეც კი ლამაზდება, ირთვებთან და ყოველივე ეს იმისათვის, რომ უფრო მომხიბვლელი იყოს ცდუნება, რომ ლამაზმა ქათიბებმა დაფაროს ბუნების მრუშობა. იგი უხეში ნაყოფიერებაა, სილამაზე კი შიში ნილაბი, გაზაფხულზე გველიც კი იცვლის კანს რომ ჰტრელი ქათიბით მოიწონოს თავი.

... დედაო ლეთისა, ლეთისშობელო მარიამ! დააცხრე ბუნების ვნება, მოეც სამშვიდე ადამიანებს, წაშალე ამდენი სიციხადე და სიჭრულე ფერებისა...

**სანთ ნინიპარსუნიხა...**

დილით რომ გამეტივია შარლის ლექსებს წიგნი ლოგინში ეგლო. ელექტრონათურა ძლივს ბუტბავდა დღის სინათლეზე. ვკირა დღე იყო და არსად არ მეჩქარებოდა, მაგრამ არც შარლის ლექსების კითხვის თავი მქონდა, მით უმეტეს ეტიენის წიგნისა. ეპიგრაფს დაუხედ მხოლოდ. ვწერა:

— ჩემი დაბადება იყო ჩემი პირველი უბედურება. რუსსო.

წიგნი დავხურე და ერთხანს ლოგინში ვინებოვრე. ისე ვიყავი გადაღლილი, რომ ჰინეს ნათქვამისა არ იყო, არაფრის კეთება იყო ჩემი შიზანი: Und nichts zu machen Dass war mein Sinn.

ერთხანს არც არაფერი მიეცეთებია, მაგრამ უნებლიედ აშლილი ფიქრები მაინც ვერ მოვიშორე. მე ყოველთვის მაღიზიანებდა ამგვარი ტრაგიკული უძღურება ცხოვრების წინაშე. ადამიანები, რომელნიც სწვევლიან თავიანთ დაბადების დღეს, მაგრამ რას იზამ, აქ რუსოს-ათორ ისეთ ავტორიტეტებს შოიშველიებენ, რომ ძალაუფლებურად უნდა ვაჩუფდე:

... არ დაბადო, ეს ჭობია ყველაფერს. სოფოკლე.

... ჩვენი ყველაზე დიდი დანაშაული ის არის, რომ ვინაბდებით, კალდერონი.

... ადამიანი როცა იბადება მამში უნდა დაიტიროს და არა როცა კვდება. მონტესკიე.

... დაბადო იმას ნიშნავს რომ ეკლამა იწყო. გოტიე.

ჩვენი ქართველი პოეტიც ამბობდა: დედაო ლეთისა, რად გამაინებ, მე ხომ სიცოცხლე არ მიმოხვია... ზოგი სულ memento mori-ს (ვახსოვდე)



სიკვდილი გაიწახის თურქულ ეკლავშიც წე-  
რია თურმე:

— ნუ დაიფიქვებ სიკვდილს: რამეთუ იგი  
არ დაგვიწყევებს შენ.

ასეთ ჩრველას იძლევიან, იცხოვრეთ ისე  
თითქოს ყოველდღე კვდებოდეთ. ზოგი მარ-  
თლაც ყოველდღე კვდება, მაგრამ დილით ის-  
ევ ახელს თვალს და წივის ცხოვრება ბეწვის  
ხიდია, რომლის თავი სიკვდილზეა გამობმუ-  
ლიო. ასეთები, მართლაც, სიცოცხლეშივე  
კვდებიან. მეტიც: სენეკას სიტყვებისა არ იყოს,  
ზოგი მანამ ამითაერებს სიცოცხლეს, ვიდრე  
დაიწყებდეს. დანტე ისეთ „უბედურებზეც“  
წერდა, რომელნიც „არასოდეს არ ყოფილან  
ცოცხალნი“.

ასეა სიცოცხლეს ზოგი სიკვდილში პოე-  
ლომს, ზოგიც სიკვდილს — სიცოცხლეში. არც  
კაცი ვარგაო... — მართლაც შეიძლება რომ ბრძანებს,  
ესეც იმის პასუხია, თუმცა ამგვარ აზრებს რომ  
გაყვეს კაცი, ვინ იცის, ცხოვრების რა ლაბი-  
რინთში შეგუფს თავს. იქ კი ისეთებიც არი-  
ან ვეშაბის მთა რომ აქვთ, და ცხოვრების ტა-  
ლანში გაითხმულნი საკუთარ „ლუწს ანელე-  
ბენ“. სწორედ ამგვარ „ცოცხალ ლუწებზე“ ამ-  
ბობდა სოკრატე, ისინი იმისათვის კი არ ჰა-  
მენ რომ იცხოვრონ, არამედ იმისთვის ცხოვ-  
რობენ, რომ ჰქონოთ. მათი სული და ხორცი  
ჰქონსი ცურავს, მაგრამ მაინც „ცხოვრების ამ-  
ოების“ მისტირიან, რადგან ენანებთ ამქვეყ-  
ნად რომ კიდევ რაღაც რჩებათ შეუქმელი.

ახლა კი იმათ ჰკითხეთ, „სიმართლისათვის  
ღვენილია“ და შეჩვენებული, რომელნიც ჰე-  
ჩა-მუნა დაწინაულებენ მშობრნი, მაგრამ მშვე-  
ნიერების საყოფრთხველთან მაინც იყრიან  
მუხლს. აჟი მოგახსენეთ: ტანჯული და გაუბე-  
დურებულნი, მაგრამ ცხოვრების დიდი ტრფი-  
ალი პოეტი ეერმენ ნევი ჰეაფენილს კოცნი-  
და და იწახდა, ღმერთი სილამაზაო. ვინც ასე  
ფიქრობს, რაც არ უნდა მიიმე ცხოვრება ჰქონ-  
დეს, მის დამათრბელ მომზიბველეთას მაინც  
ვერ შეელება და ალბერ კამიუს სიტყვებს გა-  
იმოვრებს:

— მივესალმები ცხოვრებას, თუნდაც ტან-  
ჯილი ასლავსეს, რამეთუ ჩვენი არსებობის შუა-  
გულში, რა ბნელიც არ უნდა იყოს იგი, მაინც  
ანათებს დაუშრეტელი შუე...

ისე, მე თუ მკითხავთ, „მემენტო მორისტეა-  
ის“ ამდენ ფრთამოტეხილ სიბრძნეს, ჩვენი სი-  
ყვარული ლადოს ორი ფრთიანი სტრიქონი  
მორჩენია:

... და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს,  
როცა ჩვენ გავნდით ამ ქვეყანაზე...

... ეზოში რომ გამოვედი ღიზი და შარლა-  
ხის ქვეშ იდგნენ და ჩვეულებისამებრ რაღა-  
ცაზე ჩხუბობდნენ.

— ხელს ხომ არ შევილით? — კითხვ მათ  
და მვეუახლოვდი.

— არა, არაა ბრძანებთ, — პირიქით თქვენ  
ჩვენი მსაჯული იქნებით, — სხაბა-სხუელი მო-  
მყარა შარლა და ისევ ღიზის შექტა...  
რა ეცი რაზე არ დაჟობდნენ შარლა თქვენ  
ლუბს ნახავდა, ოხრავდა, თითებს იმტრეულ-  
და ისე უმტკიცებდა ღიზის, რომ კაცობრიო-  
ბის უმალესი მიზანი ანუ „ამინ უნივერსუმისა“  
არის სიყვარული. ის კი დამკინავად უპა-  
სუბებდა, სიყვარული ჩვენს დროში ისეთი აუ-  
ტანელია, როგორც შენი ლექსებო...

ამზე შარლა ბრბადებოდა, მაგრამ ღიზი  
უფრო უკიდებდა ცეცხლს:

— და თუ იგია ამინ უნივერსუმისა, განეს-  
ვენე მას უფალო აქნა მარადის? —

ღიზი იმიოაც ავიყებდა შარლს, რომ ამბობ-  
და:

— თუ მაინცდამაინც სიყვარულზე გინდათ  
ლაპარაკი, იცოდეთ, რომ იგი ცნობისმოყვარე-  
ობაა, შეყოფების მომზიბველეობა, შხამიანი  
ნექტარით სავსე ფილა ან მახრჩობელა გვე-  
ლის სრიალი შიშველ მკერდზე.

— ეგ სიძულელია და არა სიყვარული. —  
ამოიკენესა შარლმა, მაგრამ ღიზიმ ამაზეც  
დამკინავად უპასუხა, ჩვენი სიძულელი უფ-  
რო ხანგრძლივია ვიდრე სიყვარული და გა-  
მოაკხადა:

— მე ისეთი სიყვარული მინდა, რომელიც  
გამანადვრებს მაგრამ არ დამამიერებს...

**უფალი უფლებათა...**

მათი დავა მხოლოდ მაშინ შეწყდა, როცა  
სასაუბრეში შევედიო. ღიზიმ არც აქ მიაქცია  
ყურადღება შარლის შედარას და ვისკი დაის-  
ხა. რამდენჯერაც ვთხოვდიო, მეტს ნუ დალე-  
ვი, იგი ომდენჯერაც იყებდა კიჭას. მერე უ-  
ცე წამოდგა და გვითხრა:

— გინდათ ტყეში წავიდეთ სასიერნოდ?

— თუ ჩვენი სტუმარიც მოისურვებს, — უ-  
ასუხა შარლმა.

— მოისურვებს, რატომაც არა, — მიუგო  
ჩემს მავებრად ღიზიმ.

— მაშინ, ბატონ ეტენსაც ვთხოვოთ, იქ-  
ნებ ისიც წამოვიდეს, — ეთქვი მე.

— ოხ, არ გვიინდა, — წამოიბახა ღიზიმ —  
ისევ თავისი რუსოთი შეგვიჩუბებს გულს...

სხეა რა გზა იყო, დაეთანხმეთ და ტყის  
სიღრმეს შევეყვიოთ. ერთხანს ზეტიალის შემ-  
დეგ პატარა მდინარეს მივაღქვით, წყლით სა-  
ხე გაივრილეთ და ჩამოვყვით.

— ჩემი ლექსები თუ გადაათვალიერეთ? —  
მკითხა შარლამ.

— დიახ, და ძალიან მომეწონა, ნამდვილად  
მომეწონა...

— მადლობელი ვარ, — თქვა მან და ყურე-  
ბამდე გაწითლდა.

— ხომ არ წაგვიკითხავთ რომელიმე ლექსს?

— სიამოვნებით, — წამოიძახა მან, მაგრამ ლიზიმ გაუფრქვა ხასიათი:

— ეხ, მოყვება ახლა სისულულეებს...

— რატომ სისულულეებს? — გაევიკირე მე

— იმიტომ, მოწყალეო ხელმწიფე, რომ ჩვენს დროში ლექსების თხზვას ისიც ვერ გამართლებს ათ მცნებაში რომ ეწეროს „ლექსები წერეო.“ — ირონიულად მოიფიკო ლიზიმ.

— არ გინდა ლიზი, ძვირფასო, არ გინდა, მე უკვე ვიცი რას იტყვი, — შევედრა შარლი.

— იცი, ჩემო ძვირფასო მაგრამ მაინც გაგიშვობ, მოლიერის სიტყვებს: „შეიძლება იმდენად სულელი იყო რომ ლექსებს წერდო, მაგრამ ეს სხვას კი არ უნდა გაუმხილო“.

შარლიმ ეს იწინაა, მაგრამ მაინც წაიკითხა რამდენიმე ლექსი... წაიკითხა ვატკებით, მაგრამ უოველგვარი ისტერიული თეატრალიზი გარეშე. ისეთი სასიამოვნო ხმა ჰქონდა და ისე მელოდითრად კითხულობდა, რომ შთაბეჭდილებას ერთი ორად აძლიერებდა.

ლიზი დემონსტრაციულად ადგა და მდინარის ნაპირს ჩაუყვ. შარლია ლექსების კითხვა განაგრძო.

ეტყობოდა, ლიზი ისე გააცოფა ამგვარმუხურადლებობამ, რომ ისევ თავზე წამოგვადგა, უსირცხვილო კი არა, სულ ნამუსგარეცხილი პოსა მიიღო და ერთბაშად შემოგვიტია:

— გინდათ აბუნალ ამიგდოთ? არ გამოვივათ!

... რამეთუ მე ვარ დედაყვი, მჭდომარე მხეცსა ზედა წითელსა, საესესა სახელებითა გზობისათა და შუბლსა ჩემსა ზედა სახელი დაწერილია: საიდუმლოად ბაბილონი დიდი, დედა მუქათაჲ და სამაგლებათა ჭეშუვეინისათაჲ.

ამას რომ ამბობდა, ისე გამოშფევედ იდგა, რომ ჩვენი კი არა, მგონია ბუღა ხარამქცეულ ზეესსაც წამოართქებდა მის წინაშე.

შეძრწუნებული შარლი მართლაც მუხლებზე დაეცა:

— ნუ, ლიზი, ნუ გინდა ეს საშინელება! — შევედრა შარლი და აპოკალიპსის ერთეუ სცადა მისი დაცხრომა:

ის დედაყვი იყო „მთვრალი სისხლითა წმინდათაჲთა და სისხლითა მით მოწამეთა იესოჲსათაჲთა და იგი შიშველ ჰყვეს, ბოლო ხორცენ მისნი შეჰმანენ და დაუწუან ცეცხლითა...“

— ჰოდა მე ვარ ის დედაყვი, „რომელსა ედგნეს შვიდნი თავნი და აწინი რქანი... და აბუნდა ხელთა მისთა ბარძიმი ოქროსაჲ, საესე საძაგლებითა და არაწმინდებითა სიძვისა ქუეყანისათა...“

გახელებულმა „ღვთისმშობელმა“ სამხრები ჩამოგდო და წვლამდე ისე ჩაშიშვლდა... ვითარმედ: შეუფე მეუფეთაჲ და უფალი უფლებათაჲ...

შეძრწუნებულმა შარლია თვალთ დახტუა ლიზიმ კი განაგრძო:

— ესა ვარ მე, და ამიტომაც დაგადრწუნებოთავს, ფხბთა წინაშე ჩემთა...

— ეს მეც შემეხება? — ისე გაევიკირე, თითქოს ეჭვი მეპარებოდა.

— თქვენც კი არა, მხოლოდ თქვენ, ნარაბოტო, — მითხრა მან და ისე აფთარივით წამოვიდა ჩემსკენ, რომ ზურგულულმა მომიხდა დახევა. იმას კი სიცილი აუტყდა: საშინელი და გაუთავებელი სიცილი. თან ცეკვავდა და სულს რომ მოითქვამდა ე... ჰე... ბააო — შექიცილებდა.

თვალდრემლიანი შარლი გაოგნებული მისჩერებოდა მას. მეც გამეცინა, ლიზი კი უცეც ვაიერდა, სრულიად ნორმალური სახე მიიღო და მოულოდნელად გვეითხა:

— გინდათ ნადირობა ვითამაშოთ?

— არა, არ ვვინდა, — აღმოხდა შემინებული შარლს.

— მაინც სახლში წავალ, მომწყინდა. — უკვე მშვიდად თქვა ლიზიმ.

ჩვენი ადგილით და ისევ ტუის სიღრმეში შევედით.

— რატომ არ გინდათ ნადირობის თამაში? — სულ დაიტბილა ხმა ლიზიმ.

— ბავშვები ხომ არა ვართ, რომ ვითამაშოთ? — უთხრა შარლმა, მაგრამ იმ „სატანოს გულმა“ მაინც დიიჩემა:

— ნადირობას ბავშვები კი არა, დიდები თამაშობენ.

მე არ ეციოდა რა თამაშია ეს „ნადირობა“. ამიტომაც ვეითხე:

— კი, მაგრამ, რაზე უნდა ვინადიროთ?

— ეს მონადირეზეა დამოკიდებული, — გაიცილა ლიზიმ.

შერე რომ ამისხნეს მიუხედავად, რომ ეს ნადირობა ჩვენივეტრ — დამალობანას“ ჰყვეს, მაგრამ აქ ერთი „ნადირობი“ იმალება, დანარჩენები კი „ნადირობენ“. დაყოფენ ტყეს ზონებად, დანაწილდებიან და იწყება „ნადირობის“ ძებნა. ვინც „მონადირეებს“, ნანადირევიც იმისი იქნებაო, — სთქვეს.

ამ შემთხვევაში ინიციატივა თვითონ ლიზიმ აიღო, ზონებში მან გაუთ მარჯვენე — მე, მარცხნივ — შარლი; ერთი საათის შემდეგ ისევ აქ უნდა შევიკრიბოთო, გამოვიცხადა და დასამალად გაეშხადა. ჩვენ თვალთ დახტუქო შარლიმ ორმოცდაათამდე დათვალა და წავედით...

რამდენიმე წუთიკ არ სყო ვაშული, რომ ლიზის ჩემ შეძახილს „ე, ჰე, ჰეი, ბაას-ს“ მოგვარი ყური და ტყეში გაქცეულ „ნადირსაჲ“ შევავლუ თვალთ...

...ერთი საჭათს შემდეგ, მე და შარლი დანიშნულ ადგილას ისევ შევხვდით ერთმანეთთ...

— ვერ ვიპოვე! — ჩაღლაბარცა მან ნაღვლიანად და ქვაზე ჩამოვდა.



— ვერა მე. — ვიკრუე რატომღაც და გვერდზე მივეჯექი.

— დაველოდით და თვითონ მოვა, — სთქვა მან.

— სანამ ლიზი მოვიდოდეს ლექსები ვიკითხო. მე ძალიან მიყვარს თქვენი ლექსების მოსმენა, — შევაგულაანე შარლი.

იგი ერთხანს სდუმდა, მერე უცებ დაიწყო. ლექსს რომ ამბობდა, თვალში დახუებული ჰქონდა, სიტყვებსა და სტრიქონებს წელა წარმოსთქვამდა, ზოგჯერ დაფიქრდებოდა და მერე ისევ განავრცობდა. მაშინვე მივხვდი რომ ეს ექსპრომტი იყო:

ჭერ უღრანი ტყე აღწერა, დაბურული და ადამიანის ფიქრებოვით გავგებარა. მერე თუთხი კენტავრი გაჩნდა მის სტრიქონებში — ძე კენტავრი ვერცხლისფერი თმებითა და ლურჯი წინწკლებით ზურგზე. მიდიოდა ტყეში ის კენტავრი და სწუხდა კაცის სიმართლეს, სწუხდა და ფიქრობდა ზვად კენტავრების ალისფერ ქოჯზე, რომელნიც ტყეში შეეფეთებოდნენ და გამომდებოდნენ მისი სილამაზის ხილვით. აქ შარლი ისევ გაჩერდა, სული მოთქვა და განაკრძო:

მერე იმ ვერცხლისფერმა კენტავრმა ერთი ვნებიაანად ვიდრისკისა და ვაგარდა. ალისფერი კენტავრები დაეღვენენ მას. თითქოს ცეცხლის ტალღები მისდევდა ვერცხლისფერი კენტავრის ქარივით ქროლვას... ტყეს აყრუებდა მათი ფლოქვების ქაჭარა-თქერი და ენებანი ჰიხინი... მერე ერთი ძალაგამორღული კენტავრი დაეცა და მოკვდა, კიდევ ცოტა ხანი უდაღაცა მეორე... მესამე... მეოთხე... მეათე... ტყე მოიფინა დახოცილი კენტავრების გვაშებით... მაგრამ ერთი, ყველაზე ძლიერი, მაინც მისდევდა იმ ვერცხლისფერ კენტავრს, რომელაც მუშუტად მინაგარდობდა ტყის სიღრმეში. იგი ხანდახან მოხუდავდა ალისფერ კენტავრს, გავლიშებდა და ისევ გვაგრდებოდა. ალისფერი მაინც არ ეშვებოდა, ბრახი ახრჩობდა, ზელდებოდა, იცოდა, თუ დაეწია იმ ვერცხლისფერ ეღვენებას, ფლოქვებით ზაფხუსვრვდა თავის ქალას ან კბილებით დაეღვქდა მის შვევიერ სხეულს. ვერცხლისფერი კენტავრიც ვრძინობდა ამას და ამიტომაც მიფერინავდა ანუ ლაღად და მსუბუქად... ბილოს იმ ალისფერმა კენტავრმაც შეჰკივლა, შეტრატმანდა, კიდევ ერთხელ შედგა ყალუჯ და... დაეცა...

ვერცხლისფერი კენტავრი გამოერკვა ფიქრებოდან... იგი ისევ მარტო იყო ტყეში, მაგრამ მაკდურო ღიმილი მაინც ისე უთამაშებდა ტუჩებზე, თითქოს ის ტყე მართლაც ალისფერი კენტავრების გვაშებით ყოფილიყო მოფენილი...

...შარლმა თვალი გაახილა და წუნარად იკითხო:

— ლიზი არ მოსულა?  
— არა, არ მოსულა — მივეცი პასუხი. მაშინვე წამოვარდა, ხან მარცხნივ და ვერცხლად, ხან მარცხნივ და ვერცხლად:  
— ლიზი!.. ჰეი, ლიზი!...

...მისი ლიზი ამ დროს თავის სახლის წინ იდგა ხის ქვეშ და უცდიდა როდის დაებრუნდებოდათ ტყიდან...

თვლში გაღვრილი შარლიც რომ შინ მავაიციე, ჭერ სიცილი მოგვესმა, მერე მისი დამცინავი მახილიც გავიგონეთ:  
— სალუტ, მონადირეებო!...

...იმ საღამოს გენერალმა ტიმბერლეიკმა გამოსახოვარი წვერულება გამართა. ლიზელოტა ამ წვერულებას არ დასწრებია, არც „30 girls“ ჰყოლია მოწვეული...

მეორე დღით მასპინძლებმა გამოგვიცილეს. ლიზი ძველებურ პოზაში იდგა კართან და გვიყურებდა შანქანებში რომ ესხდებოდათ იმან ერთი ნაბიჯიც არ გადმოედგამს ჰვენსკენ, არც ზელი დატყვევია გამოსამშვლობებლად. მე ეს არც გამეიკრებია, რადგან ვიცოდი, მისთვის საერთოდ არ არსებობდა, რაც „გუშინ“ მოხდა ან რაც შეიძლება „ზევალ“ მომხდარიყო. ერთხელ მითხრა კიდევ:

— მე არ ვატი არც გუშინ და არც ზეალ. ზემთვის ყოველივეს ყველაფერი არის დღეს... ის „დღეს“ კი უკვე ზეენ აღარ ვაკეთებოდა...

**პოთილასის მხარე**

ბერლინში მოხსენებითი ბარათი დავეწერე სობოლევის სახელზე და მეგონა, ამით მოვრჩიო იმ დავალებას, მაგრამ არა. სობოლევმა ერთი-ორი შენიშვნა მამეცა, რაღაც თვითონაც შეასწორა და ის ბარათი მოსკოვში ვთავაზენა, შავარტო საქმეთა სახალხო კომისიის მოადგილის ვიშინსკის სახელზე.

მე ერთხანს ისევ „კულტურტრევერულ“ საშუალებას დავეზრუნდი, უნდა კინოსტედია „დღე“ აღგვედგინა. ვეებდით რეკონსტრუქცია და მშაბობება, მათ შორის მარკო როკს, რომელიც ძალიან პოპულარული იყო გერმანიაში. მე ვნახე მისი ფილმი „ჩემი ოცნების ასელი“. ამბობდნენ, ეს ფილმი გვებლასს განკარგულებით გადაიღეს „მომივე წლებში“, რომ საბერო თაღდასმებით თავზარდაცემული მოსახლეობა გავრთოთო.

იყო სხვა უფრო სინტერესო საშუალებებიც. მაგრამ, მართალი ვიხსრბათ, უკვე არცთუ დიდი ხალხი ჰქონდა ამისი. ვიცოდი, ნიურბერგში რომ დიდი მოსამზადებელი მუშაობა მიმდინარეობდა ზეავარ სამხედრო დამანაშვეთა პროცესის მოსაწყობად. გული იჭითყენ მივა-

ვიწვედა, მეც და სხვებსაც. ყველა ვიცნებობდით როგორმე მოცხვედრილიყავით ამ პროცესზე და ერთხელ მაინც მოგვეყარა თვალი მთავარ სამხედრო დამნაშავეთათვის. ეს ინტერესი უფრო გააზარდა, როცა ხმა დაიბნა, შესაძლებელია ბერლინის სამხედრო ადმინისტრაციის ერთი წარმომადგენელი გაიზავნოს ნიურნბერგშიო. ყველას უნდოდა ეს „ერთი“ ყოფილიყო, მაგრამ ათასნი ერთის იმედი თითქმის ყველასათვის უიმედო ჩანდა. ის კი ვაჟგი, რომ ჩემი ბერლინში არყოფნის დროს მარკოვი უკვე გაეგზავნათ იქ. მეც მივდიოდა წასვლა, მაგრამ როგორ? 1941 წლიდანვე ვმსახურობდი მოქმედ არმიასი და ბუნებრივია, რომ დიდი სამამულო ომის ეს ეპილოგიც მივდიოდა მენახა. მაგრამ ასეთი „უფლება“ თუ სურვილი სხვასაც ჰქონდა. ყველა ამ პროცესით იყო დაინტერესებული, ცხადია, გერმანელებიც, შათ უკვე იყოღნენ „ფიურერებისასგან“ ვინ დაიღუპა ვინ ჩაბარდა მსოფინაღმდეგეს. გერინგის, რიბენტროპის, კაიტელის, როზენბერგის, დენიციის, რედერისა და სიუების ინტერნირების ამბავი ადვილობრივ პრესასიც გამოცხადდა. მთასახლობის ინტერესს ამ საკითხებისადმი, მე ისევ ღივი მარლენის საშუალებით ვიკვებდი. შემოიკვლიდა ჩემთან თუ არა, მომპირიდა კითხვებს: რას უზამენ თუ იციო? ნუთუ სიკვდილით დასჯიან ყველას? და სხვ.

ასეთ შემთხვევაში მე უოკელთვის ნეიტრალურ პასუხს ვამღვდებ:

— რა ვიცი, მე ხომ არა ვარ მოსამართლე!

ღივი მართლენი მაინც თავისებურ კომენტარს უკეთებდა ყველაფერს.

— ახი ენა იმათზე, ციხეში ქდომას და დამცირებებს ის არ ვერჩიათ, თავი გაეწირათ ფიურერისათვის?

მე მივდიოდა გააქტება მისი ასეთი ჩიუტარქმენა და ექტობარი:

— ხომ ზედაც, რომ თავი არავის გაუწირავს იმ „მატყუარა გებელსის“ გარდა, ახლა ციხეში სხედან: გერინგი, რიბენტროპი, როზენბერგია, სხვები ყველანი; ახალგაზრდობის „ფიურერია“ ბალდურ ფონ შირახიც აქ არის.

ლოლს ყველაზე უფრო შირახის ამბავი აკვირებდა. ვერაფერი ვერ წარმოუდგინა, რამ „მათი ბელადი“ თავს არ გასწირავდა ფიურერისათვის. უფრო ის აფიქვებდა, ხმა რომ იყო დაზრებული, შირახი თვითონ ჩაბარდა მოქმინაღმდეგესო.

— შეუძლებელია! — იძახდა იგი, — როგორ შეიძლება შირახის ლალატი! ჩვენ ასე გვეჩეროდა მისი!

ამას ძველებურად კი გაიძახოდა, მაგრამ ლოლის თუ აქამდე მზახარტული ფონოგრაფია უტ-

რიალებდა თავში, ახლა, ზოგჯერ, საკუთარი აზრებსაც გამოუტყვდა.

— ამბობდნენ, წითლებზე ყველა უკვე მომწინებელი დახვრეტენო. მაგრამ მე ხომ ვხედავ, რომ არავის არ ზვრეტენ. თუ ასე იყო, ჩვენ რაღად ვაპტუებდნენ? ისედაც ხომ ვენდობოდით და ვაკეთებდით. რასაღ გვეუბნებოდნენ?

ამ აზრს მეც მივეყვი და ვცაღე გონზე მომეყვანა:

— რატომ იჭვრებდით მერე, ვისი ბრალაა? არც დაფიქრებულა, ისე მოიასუხა:

— რა ვიციო, რომ ყველაფერი ეს ტუტილია! მეც წამოინეე ვკითხე:

— ახლა ხომ იცი?

ამის თქმა და ფაცურთან მიღწენილ კალმასივით შეტრიალდა:

— არც ახლა ვიცი, არაფერი არ ვიცი, არც მინდა ვიციოღე. — შერე დაწუნარდა და დაუშობა:

— ყველა არამზადაა ფიურერის გარდა, მარტო იმან გასწირა ცოცი ჩვენთვის.

„ფიურერზე“ ცუდს მაინც ვერაფერს წამოაიღვენივინდაო. სანაგვიროდ ბაბუას ლანდავდა. სულ გამოსულულდა, ლამის წითლებს მიემგროსო.

— ოო, ესეც ახალი ამბავი, — ვითომ დავინტერესდი მე, — შენ რას ეუბნები?

— მე სულაც არ ველაპარავები!

— რატომ?

— რატომ და ხმას არ მცემს, გამებუტა. აღბოში რომ გიჩვენეთ გაიგო და, გული მოიყვანა. რომ დაეშვირე, მცემდა კიდევ, მაგრამ ვაჟივცეო. რაც თქვენ აქ არ იყავით, სულ ზემოთ შემინა ბიბლიოთეკანი. შერე ადვილიდამ წამოყვანა თავისთან.

— ბაბუამ როგორ გაიგო აღბომის ამბავი. ვინ უთხრა?

— მე თვითონ ვუთხარი.

— რატომ უთხარი მერე?

— ტუტუცი ვარ და იმიტომ. მივდიოდა გამებრაზებინა, ამა რატომ ლანდაღეს ფიურერს.. უწინ ხომ აქვბდა, ახლა კი ლანდაღეს... სულ გამოსულულდა...

ეს თქვა და ტირილიც წასკდა.

— მე არ ვიცი. არაფერი არ ვიცი... ეშმაკს წაუღია ყველა... მამა მე არ მზავს, დედა არ ვიცი სად არის, ბაბუა სახლიდან მავდებს... მე რა უნდა ვქნა... ვის რა დაფუშავე... რასაც მუღუნებოდნენ, იმას ვაკეთებდი. ახლა არავის არ ვენდიფარ... არც მე არ მინდა არაფინ, — მოუშობა მან ტირილს — ჟანდაბას გერმანიაც, ფიურერიც, ბაბუაც... ყველა. მე არავინაც არ მინდა...

შემეყოდა, დავუყვავე და შევპირდი, ბაბუასთან შეგაოკვებ-მოქოქი. არ მინდაო, წამოიძახა.

მერე თანდათან დამშვიდდა, ცრემლები ქერ კიდევ დალაღობით ჩამოსდიოდა სახეზე.

— შაპტაიეთ, — სთქვა მან, — სისუსტემ მოამიარა, თორემ მე მწუხარების ატანაც შემძინა... მე ყველაფერს ავიტან...

მერე ერთიმ გაიციინა და ცრემლი მოაწმინდა.

— გუშინ სად გეძინა? — ვკითხე მე.

აღელვალდასთან, ახლა მარტო ისაა ჩემი აზზანაგი: ისეთი კეთილია, ისეთი კარგი, დედა გერმანელი ყავს თურმე — მაინც თავისი გზით ვაუტყვი მან. მეც ამიტომ ვუთხარია:

— ადვლაიდა როგორაა შენი აზზანაგი, ის ხომ წითელია?

ეკვის თვლით შემომხედა:

— წითელი როგორ იქნება თუ დედა გერმანელი ყავს?!

— ეთქვათ, ნახევრად წითელი!

— მერე რა, ჰყენი დროშაც ხომ ნახევრად წითელი იყო. მე რა, ფერის კი არ შეშინია, მაგრამ ადვლაიდა თუ კარგი გოგოა, წითელი რატომ იქნება?

მე მაშინ მივხედი, რომ ნაციონალური პროპაგანდით ვაბრუნებული ღიმი მარტონისათვის ისეთი ცნებები როგორცაა „წითლები“, „ებრაელები“ კონკრეტულად ადამიანებს კი არ უკავშირდებოდა, არამედ რაღაც საერთო საშინაობას, თორემ შესაძლებელი იყო „კარგი წითელი“ და „კარგი ებრაელი“ არც „წითლებად“ ჩაეთვალა და არც „ებრაელებად“.

— მე ხომ ვარ წითელი? — ვკითხე ამის დასადასტურებლად. ახლა უფრო გაოცებულად სახე მიიღო:

— თქვენ როგორ ხართ წითელი!

— ვითომ რატომ არა ვარ?

— იმიტომ, რომ გერმანულად ლაპარაკობთ!...

— გერმანულად ებრაელებიც ლაპარაკობდნენ. მაგრამ დახოცეს, შეძემწოვარა ბავშვებიც კი არ დაინდეს, აქაო და ებრაელები...

— ბავშვები როგორ იქნებოდნენ ებრაელები! — კიდევ უფრო გაიკვირვა მან.

— ებრაელების ბავშვებიც ებრაელები იქნებოდა აბა, რა?!

— ებრაელები ფიურერის მტრებია, პატარა ბავშვები როგორ იქნებოდნენ ფიურერის მტრები? ამ ხლართიდან ღილის გამოყვანა შეუძლებელი იყო. მეც ხელი ჩავიჭინე და ჩემს საქმეს მივხედე.

მერე ადვლაიდაც მოვიდა და ღილი თავისთან წაიყვანა. მე ფანჯარაში ვაიხებდე და ენახე, ბაბუა იოჰანი როგორ მოფარებოდა ხეს და უფურცლად ადვლაიდა და ღილი ხელობელ ჩაყიდებულად რომ მიდიოდნენ. ერთხანს უკან ვაპყუა, მაგრამ მერე ისევ გამობრუნდა. ფანჯარა

გამოვალე და დავეძახე. შემხედო თუ არა, დამდურულივით გაიქცა.

ბაბუა იოჰანს ჩემთან შესაჯვდრურ მივხედე: მერე უკონდა იმ ალბომის შემდეგ... მერე უკონდა იმ ალბომთან მანაც გული შეტკიოდა. ამიტომ არც ადვლაიდას ვასტორებოდა მათი შერაგება...

...იმ დღეს აუარებელი სამუშაო შეკონდა და შინ გვიან ღამით დავბრუნდი. ნახევარი საათის შემდეგ სამსახურიდან მორიგე მოვიდა და მითხრა, სობოლური ვიბარებოდა. მისაღებში ჩამ შევედი, ღამის ორი საათი იყო. სობოლური კეთილი ღიმილით შემხედა.

— ახალი დავალება მოგვლით, — მითხრა მან შესვლისთანავე.

ფიქვრე, ისევ სადმე მგზავნიან-შეთქი. როგორც ჩანს, არაერთი სიხარული არ აღიბეჭდა ჩემს სახეზე.

— ამჯერად, ალბათ, კმაყოფილი იქნებით, — მითხრა მან და წინ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის დანაშაულები დაიწყო.

დეკემბრის სწრაფად გადავადე თვალს. სამი იყო ნიურნბერგში მგზავნიდნენ მივლანებაში გული სობოლურისაგან ისე ამიჭერდა, რომ მივლანება არ მიოქვამდა.

— თანახმა ხართ? — მითხრა მან, თითქოს კარგად მართლაც ჩემი თანხმობა იყო საჭირო. თანახმა კი არა აღფრთოვანებული ვარ-შეთქი — ვუთხარი და მივლანება მოვხსენე.

— ამ საქმეში მე წილი არ მიდევს, როგორც ჩანს, თქვენი მოხსენებით ბარათის შედგენა, — მითხრა მან, — დღითი მოდით და დავალებებს მოგცემთ. წასასვლელად კი დღესვე მოემზადეთ, იქნებ ხვალეც მოგიხდეთ ნიურნბერგში გაფრენა...

...ის ღამე თეთრად გავათენე. ყველაფერი გავამზადე და მხოლოდ გაჩიქრავისას ჩავთვლინე.

ღილიც გამოვლინა, სამსახურში არ დავაგვიანდეთო. მართლაც კარგა ხანი გასულყოფითი საათის შემდეგ დავიღზე ვიყავი. მეგობრები ამ შემთხვევით და მილოცავდნენ. თუ დღეს აქ დარჩი, საღამოთი უნდა ბოთლები ეანტეროთო. „ბოთლების მტრეცა“ მათ ენახე „უღმერთო ქვიფს“ ნიშნავდა.

სობოლურმა დაწვრილებითი ინსტრუქციამ მომცა, რა უნდა მეკეთებინა ნიურნბერგში მერე მისამ მოადგილემ სემიონოვმა სულ „ბეჭედში გამოტარა“ ყველაფერი. მისგანვე ავირევი, რომ ნიურნბერგში მეორე დღეს გაფრინდებოდი.

— დღეს ჩამოვლენ მოსკოვიდან ექიმები, პროფესორები — მითხრა მან — საერთაშორისო სამედიცინო კომისიის წევრები, რომლებიც ნიურნბერგში იგზავნიან სპეციალური დავალებით. თქვენც იმათთან ერთად გა-

ემგზავრებით. საღამოთი შემოიარეთ და გააკაც-  
 (ობთ თქვენს თანამგზავრებს... გაეცანი კი-  
 დევ; სამი პროფესორი იყო; სამედლიცინო მეც-  
 ნიერების დოქტორი კრასნუშკინი, სამედლიცი-  
 ნო აკადემიის წევრი სეპი და სამედლიცინო  
 მეცნიერებათა დოქტორი ეურმაკოვი...

მე ამ ექიმებთან არაერთადი საქმე არ მქონ-  
 ლა გარდა იმისა, რომ ერთად უნდა გვემგზავ-

რა. შეეთანხმდით, რომ დილით იქვე შევიკრი-  
 ბებოდით...

ერეკნული

ამ ღამეს მართლაც „ვამტკრებდით [ჩუქლები]“.  
 დილითაც გამომაცილეს შეგობრებმა. „ჩემი“  
 ბიბლიოთეკა ისევ ლილის და ადელაიდასა და-  
 ვებრვე.

მაშინ რა ვიციოდი, თუ სამი თვის მავიურად  
 ამ თვეზე მეტიც მომხდებოდა ნიურნბერგ-  
 ში უოფნა...

მისამე წიგნის პირველი ნაწილის დასასრული

## ქართული ლექსიკა რუსულ ენაში

ქართული ლექსიკის ნიმუშები ბევრ ენაშია შესული და დამკვიდრებული ხალხის ყოფაში. ადამიანთა ურტაქტებში, სალიტერატურო და ეკონომიურ ურთიერთობათა, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის გაცელის, თარგმანების, მიწერ-მოწერის, ეპრობისა და ეკონომიურ ურთიერთდამოკიდებულებათა წყალობით ათეულობით ღვიძლი ქართული სიტყვა გავრცელდა სხვა ენებში. ბორჯომი და წინანდალი, ქინძმარაული და ტვიში, ენსელი და ვარციხე, ორერა და ცერული, მარანი და სტერიი, ღვინო და ჩონგური... დღეს ათეულობით ენაზე არსებულ პერიოდულ გამოცემებში ერთნაირად ეღერს. ამიტომ ცალ-ცალკე უნდა იქნას შესწავლილი არა მარტოდღა უცხოური ლექსიკა ქართულ ენაში, არამედ ქართული ლექსიკაც უცხოურ ენებში.

ისტორიულ გარემოებათა შეოხებით ქართული ლექსიკა ყველაზე მეტად რუსულ ენაში გავრცელდებოდა. XIX საუკუნის დასაწყისიდან მოკიდებული ქართული სიტყვის ნიმუშები სულ უფრო მეტად და მეტად იკადეხა ფეხს რუსულ მეტყველებასა და სამწერლო ენაში. ამიტომ ბუნებრივია ის მეცნიერული ინტერესი, რასაც იწვევს პრობლემა რუსულ ენაში ქართული ლექსიკის შესვლისა და დამკვიდრების შეზღობის შესახებ. ეგ პრობლემა რამდენიმე შეკვლევარის ძიებებს საგნად იყო გამხდარი ვერ კიდევ ადრე, რველდელიამდის, და მას არც უკანასკნელ ხანებში მოკლება ინტერესი, მაგრამ ყველაზე შედეგიანი მაინც ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, გიორგი გოლუთიანის, დაკვირვებანი აღმოჩნდა. ამჟამად ზელთა გვაქვს გ. გოლუთიანის ფრანკო-საინტერესო წიგნი «Грузинская лексика в русском языке» (1972 წ.) და საშუალება გვეძლევა შედარებით სრულად წარმოვიდგინოთ რუსულ ენაში ქართული სიტყვების შეღწევის გზები, წყაროები, თვით ფონდი ამ სიტყვებისა და ძირითადი თემატური რკალები.

წიგნი ძვირფას ინფორმაციას გვწვდის და არსებითად ლექსიკონს შეადგენს იმ სიტყვებისას, რომლებიც დღეს რუსულ მეტყველებასა და შესაბამის წყაროებში გვხვდება. ავტორის დაკვირვებები, უწინარეს ყოვლისა, ეყრდნობა ცენტრალურ ორგანოებში «Правда», «Известия», «Комсомольская правда», «Огонек», «Крокодил», «Здоровье» რუსულ რესპუბლიკურ გაზეთებსა და ჟურნალებში («Заря Востока», «Вечерний Тбилиси», «Молодежь Грузии», «Литературная Грузия»). წლების განმავლობაში გამოქვეყნებულ მასალებს, ზოგიერთი რუსი მწერლის (ა. პუშკინი, მ. ლერმოლოვი, ლ. ტოლსტოი, ა. პოლონსკი, მ. გორკი, ვ. მაიაკოვსკი, ნ. ტიხონოვი, ი. ერეზნერგი, კ. პუსტოვსკი, მ. პავლენკო, ა. ანტონოვსკაია, კ. ფედინი, ვ. გოლუცკი, ბ. ჩორნი, ლ. ლეონოვი...) თხზულებებს, თარგმნილ მხატვრულსა და სამეცნიერო ლიტერატურას.

ლექსიკონში შეტანილია რუსულ ენაში ვერ კიდევ ადრე დამკვიდრებული და შესაბამის განმარტებით ლექსიკონებში აღებუილი ქართული სიტყვები (მაწონი, ჩახოხბლი, ბორჯომი...); აქვეა ფართო ხმარებაში მყოფი ქართული სიტყვები, რომელთაც ვერ კიდევ ვერ უპოვიათ ადგარი რუსულ ლექსიკონებსა და ცნობარებში (ზულგენი, საცივი, ჩურჩხელა, საირმე...); დამოწმებულია აგრეთვე მოძველებული (აზნაური, მოურავი, თავალი...), ნაკლებ პოპულარული (შეშხენა, საოჭახო, კრწანისული...) და სხვა ენებიდან ქართულში შემოსული სიტყვები (აზრთეშა, ვამი, კელა...) წიგნში ადგარი ეთმობა ქართულში სხვა ენებიდან შეთვისებულ ისეთ სიტყვებს, რომლებიც რუსული ენის ლექსიკონებშიაც გვხვდება ოღონდ სხვა მნიშვნელობით და ა. შ.

შთელი სიტყვარი 1300-ზე მეტ ერთეულს შეიცავს, დადავებულია თემატურად და დოკუმენტირებულია შესაბამისი ტექსტებიდან ამოწერილი ფრაზა-წინადადებებით. წიგნის პრაქტიკულად გამოყენებას აადვილებს თანდართული საძიებელი.

გ. გოლუთიანი, «Грузинская лексика в русском языке» 1972.

ლექსიკური ერთეულები განლაგებულია თემატურად რალებად. სულ გამოყოფილია 35 ამოსახა რაელი, რომელთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია: 1. ყურძნის ჭიშკები (ალა-დისტური, ბუდეშური, ჩხავარი, შავაპირი...); 2. შევენახეობასთან დაკავშირებული სიტყვები (დაბლარი, მალარი, გასხვლა, როველი...); 3. დვინის, არაყის, კონიაკის სახელწოდებები (არვევთი, ანავა, ახმეტა, ვარძია...); 4. ხილის ხეები (ალიბუხარი, კებურა... ლღნოშო, ჭანჭურა...); 5. პურეული (ღოში, დია; დოლი, ზანდური, შახა, თაფთხი...); 6. კერძები, პროდუქტები (არტალა, ბოზხაში, ჭიქალაყა, ქადა, ყვერი...); 7. მწვენილი და ბოსტნეული (ქინძი, ქონდარი, პრასა, ტარხუნა, წიწმარი, ქლაკვი...); 8. მცენარეები (ას-ფულა, ბუღრა, ძელქვა, ასელი...); 9. სიმღერები, სამუსიკო ტერმინები (ალილო, ალიფაშა, ამოდუღდი, იავნანა, ბანი, გვრინი; ძნობი, ინდი-მინდი, კრიმანჭული, ლილე, მრავალგამიერი, შთიბღური...); 10. ცეკვები (არჩია, ვანდავან, ბაღდადური, დავღური, ქართული...); 11. მინერალური წყლები (ბოლნისი, ბორჯომი, ჭავა, ზვარე, ლუგლა, მენჩი, ნაბულაფი, საირში, სურბი, ცაში, უჭერა...); 12. ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ქსოვილები, (ჯლანი, დოღბანი, კაბა, დრა, ყაბალაბი, ყაბაზა, ქალაშანი, შინდი...); 13. საოჯახო ნივთები (გობი, გოდორი, ჭინი, ჭოკო...); 14. სოფლის მეურნეობის ტერმინები (ანეული, აპურბი, ტაბიკი, არნაღი, აჩაზა, გამარველა, გამორადება, გუთანი, გუთნისდღა...); 15. საღვამი, ნაგებობა, ბინა (კომი, სპილი, დარბაზი, ბანი, დედაბობი, სარკმელი, ვრდი...); 16. ფრინველი, თევზი (ობი, ფიხელი, ხრამელი, ცოცხალი...); 17. სალიტერატურო და საენათმეცნიერო ტერმინები (ასოთაურელი, ნესხური, შებღრელი, ხეფარი, კაფია, მესტევირელი, ჩახრხაიელი, შირი...); 18. სუფრასთან დაკავშირებული ტერმინები (ნადიმი, პურ-მარბილი, სამხარი, თამადა...); 19. წესჩვეულებები (აგუნა, ბოსლობა, გიორგობა, შოთაობა, ილიაობა, კვირიკობა, ლახარობა, ლაშარი, იჩხარი, ხატობა, უსაწეთობა, წაწლობა...); 20. ზომა-წონის ერთეულები (ალღი, დღიური, კოღი, კოკა, მჭევა, ლიტრა, თუნჯი, ჩაფი, ჩარეჭა...); 21. სამხედრო ლექსიკა (ბობაღი, გორდა, დამბაზა, მკაბულა, საღროშო...); 22. დოკუმენტების წიგნთა სახელწოდებები (გუფარი, დასტურდამალი, კალმასობა, ქართლის ცხოვრება, კარაბადინ...); 23. წოდებითა სახელწოდებანი (ბატონი, გლეხი, დიდებული, ყმა, თა-

ვადი, ხიზანი, ხევისბერი, ერისთავი...); 24. სპორტი (ჭირთი, ისინდი, ლელო, მარულა, ქიდაობა, რიკი, ლახტო...); 25. სხვადასხვა (ბატონი, ბეჩა, ბიჭვი, ვაშა, გამარობა, გაწყალა, იმე, ქალბატონო, კაცო, ტაში, თვენი ქირიმი, შენი კენესამე)...

ჩვენ აქ განგებ ჩამოვწერეთ მოკლე ნუსხა რუსულ ენაში შესული ქართული სიტყვების თემატურად რალებისა. ამით გვიჩვენა მკითხველს ვაჩვენოთ ის ფართო წრე ჩვენი ენის სპეციფიკური ზეგარტის მოდელირება, რომელიც ვა გოკვლიეს საერთოდ სხვა ენებში და, პირველ რიგში, ისეთი უმდიდრესი ლექსიკის მქონე ენაში, როგორც რუსულია.

ამ თემატურად რალების მასალა მოწმობს, რომ იგი სხვადასხვა გარემოებასთან დაკავშირებითაა გავრცელებული. ყველაზე მეტად ეს სიტყვები ქართული სალიტერატურო, სასაზოგადოებრივი, მედიკალური, ეკონომიური, ეთნოგრაფიული თუ სხვა დარგის თხზულებათა რუსულ თარგმანებში გვხვდება.

ბევრი ქართული სიტყვა უხმარიათ თავიანთ ქმნილებებში ლერმონტოვსა და ტოლსტოის, გორკისა და შთაქოვსკის, ტახონოვსა და პასტერნაკს, ანტოვსკიასა და ანდრონიკოსს. შ. რუსთაველისა და ს.—ს. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილისა და დ. კონჭაძის, ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის, ა. ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას, ვ. ნინოშვილისა და დ. კლდიაშვილის, ე. გამსახურდიასა და შ. ჭავჭავაძის, გ. ტაბიძისა და გ. ლეონიძის, ა. გრიშაშვილისა და ტ. ტაბიძის, ი. აბაშიძისა და დ. შენგელიას, გ. აბაშიძისა და ა. შანშიაშვილის, ხ. ბურულაგასა და ი. ნონეშვილის თხზულებათა რუსულ თარგმანებში, ი. კავახიშვილის, ე. ყველეძის, დ. კაპანაძის, ე. დონდუას, გ. ჩიტაძის, ა. შანიძის, ს. ჭანშიაშვილის, ბერძენიშვილის ნაშრომების რუსულ გამოცემებში, რევოლუციამდელ ადგილობრივ რუსულ ორგანოებში («Кавказ, материалы по общ. местностей и племен Кавказа»...), თანამედროვე რუსულ ეურნალ-გაზეთებში, რომლებიც საქართველოში გამოდის, ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვები ჩვეულებრივ ან მეტ-ნაკლებად იხმარება.

მართალია, ამ მდიდარი ფონდიდან ჩერკურობით უმნიშვნელო ნაწილია აღბეჭდილი რუსულ განმარტებითს ლექსიკონებში, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, ეს ნაკი თანდათანობით გამოისწორდება.

გ. გოლუთიანს უეჭველად დიდი შრომა გაუწევია. გულმოდგინედ და შეყვრებული უხვი წყაროები. აღწესებულია თითქმის ყველა ქართული სიტყვა, რაც კი ზემოხსენებულ წყაროებში გვხვდება. გამოუღწევი და გაცხრილული მრავალფეროვანი მასალა.

ავტორი, როგორც მოსალოდნელი იყო, პატივისცემით იმორჩმებს სპეციალურ ლიტერატურას.



არ იგიწევს წინამორბედთა ღვაწლს. ბექდურთან ერთად თავთავის ადგილასაა მოითხოვნილი გამოუქვეყნებელი ნაშრომებიც. მაგ., თავის ადგილასაა მოხსენებული დოქ. ტ. ნ. შადურის ნაშრომი «Грузинская лексика в русской литературе первой половины XIX века», რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის გამოცემული.

გ. გოლეთიანის წიგნს ხალხით გაცნობიან არა მარტო სპეციალისტები, არამედ მკითხველთა ფართო მასებიც. ამ ნაშრომის გამოცემით ნამდვილად სასარგებლო საქმე გაკეთდა.

ეს უფროდ მშვენიერი წიგნი ჩვენს ორიოდ ტექნიკური ხასიათის შენიშვნას იწვევს. ასეთი შენიშვნის ნაშრომის უნაკლოდ შედგენა, ცხადია, შეუძლებელი იყო, რადგან ავტორს წინამორბედნი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არ ჰყოლია, თავად მოუხდა ყაშირის გატეხაც. მასალის დალაგებისა და კვალიფიკაციის პრინციპების ჩამოყალიბებაც.

პირველ ყოვლისა, ჩვენ გვგონია, რომ ამ წიგნში ტოპონიმების შეტანა აუცილებელი არ იყო. ჯერ ერთი, ტოპონიმი ნასესხებ სიტყვად ვერ მიიჩნევა; შემდეგ, ამ დამოწმებულთა მხოლოდ რამდენიმე ტერმინი, რაც შეტად მცირე ნაწილია ამ ქართული ტოპონიმებისა, რომლებიც რუსულ წყაროებში გვხვდება. თუ ავტორს სურდა ქართული ტოპონიმების რუსული მართლწერის ჩვენება, მაშინ ამ რუსული წყაროებიდან ცნობილი ყველა ქართული ტოპონიმი უნდა დაესახელებინა. ზედმეტად გამოიყურება კალკირებული სიტყვებიც. მაგალითად, «Грузинский чай» კალკია „ქართული ჩაი“ და არა ქართული ტერმინი. ამიტომ იგი არ მიიჩნევა ქართულიდან რუსულ ენაში შესულ სიტყვად და ამ წიგნში მას ადგილი არც უნდა დათმობოდა. ეგვიპტე უნდა ითქვას გამოქმეზზე: абашская желтая (აბაშის ყვითელი), аджаметская белая (აჯამეთის თეთრი), гелутская желтая (გელეთის ყვითელი), клен грузинский (ქართული ნეკერჩხალი), плюш колхидский (კოლხური სურბი), самшит колхидский (კოლხური ბზა), грузинская пчела (ქართული ფუტყარი) და მათი ტიპის ერთეულებზე. ესენი ქართული შესაბამისი სინტაგმების კალკები და სპეციალური დანიშნულების წიგნში ადგილი არ უნდა დათმობოდა. თუ მაინცა და მაინც მათ ავტორი ვერ შეეღებოდა, მაშინ სათანადო შენიშვნები უნდა გვაკეთებინა. საერ-

თოდაც ამ დამოწმებელი მასალა რამდენიმე დასახეწეწია.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს კალკურ ერთი გარემოება. წყაროთა დამოწმებაში დატული არ არის ენით წესი: ზოგი სიტყვა ზუსტადაა დამოწმებული, ზოგის წყარო კი ძნელად მოსაძებნია, ზოგჯერ დასახელებულია მხოლოდ ავტორი იმ თხზულებისა, საიდანაც ესა თუ ის სიტყვაა ამოღებული, მაგრამ ნაჩვენავ არ არის თავად თხზულება და მკითხველს ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის შესაძომებლად მწერალთა თხზულებების მთელი ტომების ფურცელი უხდება. მაგალითად, наив-наива (იავ-ნაინა), чемо гуло, чемо тао (ჩემო გულო, ჩემო თაო) სიტყვებს წყაროდ მიწერილი აქვთ «Борис Черный»; ასევე шхенисладузу (ცხენისძედი), маглари (მალარი), кумели (ქემელი), соннари (სონარი), самая (სამაია), кабача (კაბაჩა) და მისთანა სიტყვებს წყაროდ მიწერილი აქვთ: «К. Гамсахурдия, Давид Стронтеля». კერძოდ, კ. გამსახურდიას ამ დასახელებული რომანი თხზულებიდან და მკითხველს ამოღენა ტრეტის მთლიანად ვადასინჯვა დასჭირდება, რომ იპოვოს ის ადგილი, სადაც ეგ სიტყვებია ნახარი. ზოგიერთ სიტყვას უბრალოდ მწერლის გვარი აქვს მიწერილი და არა მისი თხზულება. ასეთი სიტყვებია, მაგალითად, хинкали (ხინკალი) — მიწერილი აქვს «Н. Тихонов»; сапсрави (საფერავი) — მიწერილი აქვს წყაროდ «Гр. Абашидзе»; сагзали (საგზალი) — მიწერილი აქვს: «А. Сулакаури»; маидили (მაიდილი), сациви (საცივი), мацони (მაწონი), урмули (ურმული), багдади (ბაღდადი), катиби (კათიბი) და სხვა. — მიწერილი აქვთ «А. Антоновская, Великий Моурави». ძნელია კაცმა წარმოადგინოს, კერძოდ ამ მწერალთა თუ სახელდობრ რომელ ნაწარმოებშია ნახარი ეგ სიტყვები, Экала (ეკალი) და ზოგიერთ სხვა სიტყვას სულ არა აქვს მითითებული წყარო.

სასურველი იყო წყაროთა დამოწმებაში ერთი წესის დაცვა. ბევრი წყარო, როგორც ითქვა, სწორადაა მოხსენებული, ზოგი კი — დაზუსტების საჭიროებას.

ასეთია ჩვენი მცირე შენიშვნები გ. გოლეთიანის ლექსიკონზე. ეს უფრო ტექნიკური ნაწილია ლექსიკონისა და მეორე გამოცემაში ადვილად გასწორდება. მთლიანად წიგნი ფრიად საკარო ინფორმას გვაწვდის ქართული ლექსიკონის გავრცელების შესახებ რუსულ ენაში. ამისთანა ნაშრომს მკითხველი გულწრფელად მიესალმება. სასურველია მისი ქართული ენაზე გამოცემა.

0  
5560 80 333.

ИНДЕКС  
76128

საქართველოს  
საბჭოთაო კავშირი

**«М Н А Т О Б И»**

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

**ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ**